

4
74 | 3

39

የኢትዮጵያ
የብሔራዊ መጻሕፍት
ና ሰነድ ጽ/ቤት

ገጽ ፩

5

1974

მნათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 50-ე

№ 5

მაია, 1974 წ.

საქართველოს საგოთა მხარელების კავშირის ორგანო

შინაარსი

ნიკო კაცხოველი — ჩვენებურები	3
გრიგოლ ცაცხლაძე — ლექსები	41
ვანო ჩხიკვაძე — ლექსები	44
ანატოლი სოფრონოვი — მისცხმე ტალღა. პიესა. თარგმნა ნოდარ გუჩუაშვილმა	48
ალექსანდრე ვახანიძე — ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი. რომანი. გაგრძელება	80
ფიხაილ ქვლივიძე — ფიქრები	108
ზვიად გამსახურდია — ლექსები	113
როსტომ ბაქანიშვილი — მოთხრობები	116
იოსაფ ვოლფგანგ გოთე — ფანტაზია. ტრაგედია. გაგრძელება. გერმანულიდან თარგმნა გიორგი ჯორჯანელი	122

ნაკვეთები ხუთწლედის დღეებზე

პარლემონები — საპი და გუა	135
გივი გომიხაიშვილი — თბილისური ტანსაცმელი	143

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სოსო სიგუა — დროა და ხასიათები	150
ნოდარ რუხაძე — აღმშენებელი და მათი კორიფონტი	163
დავით ფანელიძე — აკაკი წერეთელი და საფრანგეთი	174

ძიგნების მიმოსილვა

გ. მალულარია — „ხიზარი თოვლიანი“	184
საზღვარგარეთ	189

ქ. მარტვის სხ. საჭ. ს. მარტვისი

შთავარი რედაქტორი პირები ნატროსვილი

საკრედიტო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ავაშაველი (პ/მე მდივანი), დ. ბანაშვილი, დ. ბამიჯარაშვილი, მ. ლევა-
 ნიძე, ვ. მადრაძე, ვ. შლენტი, ა. სულაბაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შან-
 ბელაია, ვ. წულაქია, თ. ვილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპაბაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11.

პ/მე. მდივნის — 98-55-18, განყოფილებე-

ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 27/III-74 წ., ხელმოწერი-
 ლი დასაბეჭდად 15/V-74 წ., ასაწყობის ზომა
 7 $\frac{1}{4}$ ×12, ქაღალდის ფორმატი 70×108 $\frac{1}{16}$,
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი
 ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო
 თაბახი 12.

№ 00036. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 1200.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ჩვენებურები

დაბრუნებული სიზაზუკე

გორის და მისი შემოგარენის დათვალიერებით გული რომ იჭერეს, გადაწყვიტეს მამა-პაპეულ სოფელში ასულიყვნენ. მით უმეტეს მამაც აქ იყო და პაპაც, მაგრამ გორის თავში, წმინდა წყალზე მაინც შეყოვნდნენ, აქ უნდა ენახათ მეხილეობის სადგური, სადაც სელექციონერი ელენე ერისთავი მუშაობდა. ამ სათნო ადამიანმა და უებრო მეცნიერმა ახალგაზრდებს ბევრი საიდუმლო გაანდო. უჩვენა ახალი ჯიშის ატმები, ქლიავეები, ერთ მსხმოიარე მწიფე ბალთან მიიყვანა და უთხრა:

— ამ ბლის დეგუსტაცია ჯერ არა მქონია, თქვენზე კარგ დეგუსტატორებს ვერც ვიპოვი; ვახტანგ, ფრთხილად დაიწიე ტოტები (ზე ჯერ იმოდენა არ იყო, რომ ზედ ასულიყვნენ) და ისე, რომ ტოტი არ მოტეხოთ, შეექცეით, ზოგჯერ ჩვენც მოგვაწოდეთ... თქვა და თან ტკბილად გაიციანა.

ჩაიტკბარუნეს პირი და „ჰმ, ჰმ“-ს ძაბილში უფროსები დაავიწყდათ...

— ეს კარგი ნიშანია, — თქვა ელენემ, — ბალი კარგი ყოფილა, ასე რომ გაერთნენ.

* ერთი თავი ახალი წიგნიდან „არსიანიდან მოვლივარ, მომიხარია“.

მაგრამ ამ დროს ვახტანგმა ბუერას დახვეულ ფოთოლში მოგროვილი ბალი მიართვა. უფროსებმაც გასინჯეს, მოიწონეს, ნადრევი ასეთი ტკბილი და მკერივხორციანი ჯიში იშვიათიაო.

— კმარა, ზოგი ხეზე დატოვეთ — შეხმაურა გიორგი.

— ცოდოა, ჩიტები შექამენ... — გაიცინა ერეკლემ.

— აბა, რას იტყვიო?

— ქალბატონო ელენე, თუ შეიძლება ერთი-ორი კვირტი რომ მაჩუქოთ? — ვერ მოითმინა გივიმ. — ბალი ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთის მნახველი პირველად ვარ...

— კი შეიძლება, თუმცა მისი გამოცდა არ დამთავრებულა.

— ჩემი ორი ძირიც გამოცდაში ჩათვალეთ, ყველა ცნობას მოგაწვდით.

ელენემ გიორგის შეხედა, თვალებით ჰკითხა „ვინ არისო“.

— ელენე, მაგას კარგი ბალი აქვს ქანდას და თვითონაც ისეთი ბიჭია, რომ შეასრულებს.

დიდი მადლობით გამოემშვიდობნენ მასპინძელს და გზაზე გამოვიდნენ.

გზის დასაველეთი მხარე გადახნულ მინდვრებს ექირა. წინათ აქ ჭაობები იყო, აქ იცოდნენ ლეკებმა კამეჩების

მორეკვა, ახლა კი, ცოტა ზევით, აუარებელი საკოლმეურნეობათა შორის ორანეერეები გადაკიმულიყო; როცა ისინი ამუშავდება, ზამთარში გორში მაინც უხვად იქნება ბოსტნეული. სათბურებს ზევით ხელოვნური ტბაც ბრწყინავდა.

— მე რომ მუშაობა დავიწყე, მთელი ეს მინდვრები კაობებად იყო ქცეული. აქა გლვდნენ კარალელი დედაბრები კილს და წნავდნენ ცნობილ კარალურ კილოფს. ერთი არაკია: „კარალელი გოგო ტირიფონზე გაათხოვეს, ხალიჩაზე დასვეს და გამტკიცული კაკალა პური მიართვეს, ცხვირი აიბზუა: „აფსუს ჩემო კარალელი კილობო და კადოო“. კილობებს მართო სახლისთვის არ წნავდნენ. გერისთობას, უსანეთობას, და სხვა ბაზრობაზე ყიდდენ და ცოტაოდენი შემოსავალი ჰქონდათ. ზოგჯერ სოფელ-სოფელ დაჰქონდათ ურმით, ღარიბი კაცის ხალიჩაც და ფარდაგიც ის იყო.

მანქანა კარალეთის თავზე გაგზავნეს, თვითონ ნაჭარმაგვეის მინდვრებს გაჰყვნენ. კარალეთის დასავლეთ მხარეზე კარგი ყანები იყო. სიმინდსაც მუხბი ჩავდგა. გავიდნენ შედარებით მშრალს მინდვრებზე, ძეძვი კარგად ჩანდა. წყლისა და რუს პირებზე ხედებოდათ ყვითელყვავილეება დაბალი ბუჩქი, ყვითელი ცოცხი, იგი სწორედ ქართლის მინდვრებისთვისაა დამახასიათებელი, ამ ნესტიანი მდელოების იერის მომცემია ქართლური ზამბახი, მაღალი, გრძელფოთლები: წინათ ისიც ხშირი იყო, მაგრამ საწრეტი არხების გაკეთების შემდეგ მხოლოდ გზის პირის რუებისა და კარალულას ნაპირებსღა შერჩენოდა. აი, ასე ისპობა ბევრი დამახასიათებელი მცენარე.

მინდია მდინარის პირას მივიდა, ხელი ჩაყო, მუქაში წყალი დაიგროვა და შუბლზე შეისხა, მერე გაეცინა.

— რას იცინიო? — ჰკითხეს.

— არაფერს, რალაც მომაგონდა და გამეცინა...

— მაინც, მაინც...

— 1921 წელს ამ მინდვრებში დავდიოდი, თქვენზე ხუთიოდე წლით უფროსი ვიყავ, ზურგზე მეკიდა აბგა, ჩანთა, საპერბარო ბადე. დაცხა, მომშივდა და აი, ამ ფშასთან ჩავიშხლენ, ეს ვერხვიც მისწრება იყო. ჩანთიდან ამოვიღე ერთი პური; გამხმარიყო და ფშის წყაროში ჩავდე, სატანად ნიერის მეტი არა მქონდა რა, ის-ის იყო პური გაეტეხე, რომ ეუხცუხით მომადგა ერთი მოხუცი, ფეხზე ქალამნები ეცეა, ტანთ — ბაზარზე ნაყიდი ჭარისკაცის მოკლე ინგლისური მახარა, მხრებზე ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

— გამარჯობა, ყმაწვილო!... — მომესალმა, პირველი საღამო მომსვლელისაა.

— გაგიმარჯოთ და გადღეგრძელოთ, — წამოვხტი.

ჩემს სუფრას დახედა და მომმართა:

— შეიძლება თქვენთან სუფრა გავიზიარო?

— სტუმარი ღვთისაა, მაგრამ ვერაფრით გაგიმასპინძლებით. ყველი და პურიო, კეთილი გულოო, მაგრამ მე ყველიც არ მაქვს, თუმცა გაგეგონებათ — ნიორი ქართლელების ყველიაო.

მოხუცი დაჯდა, აბჯა გახსნა და ამოალაგა რამდენიმე მუშა კატრი, ყველი, კარალელი მჭადი (კარალეთში მართლა კარგი მჭადი იყოდნენ, ნაღვიები და თონეში გამომცხვარი).

— მეც გორში მივდიოდი, ბიბლიოთეკაში შევიხედავ-მეთქი... თქვენ ბოტანიკოსი ბრძანდებით, არა?

— დიახ, მაგრამ თქვენ საიდან?

— მე შვეიცარიაში ვისმენდი ლექციებს, ოთხმოციან წლებში, რომ ჩამოვედი. ილიას „ივერიაში“ დავიწყე მუშაობა, განათლებით აგრონომი ვარ...

და გავაბით საუბარი. ბევრის მნახველი იყო, ბევრი იცოდა, გული გადამიხსნა.

— განა ყველას ვეტყვი ამას? შენ იმიტომ გეუბნები, რომ მუშა ბიკი ჩანხარ, ამოდენა ბარგით დადიხარ, ხმელა

პურზე გადადიხარ — თუ ასე იმუშავე, ქვეყანას გამოადგები.

შემდეგ, როცა უფრო მოხუცდა, ერთ-ერთ ინსტიტუტში ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ეს გახლდათ კარალიული ვასილ ბიბილაშვილი.

ლაპარაკში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შენიშნეს, ერთ პატარა ბაზილიკასთან როგორ მისულიყვნენ!

— ესეც ნაჭარმაგვეის საყდარი!

— რა, ეს ის ადგილია, თამარ მეფემ რომ შეიღი მეფე მოიწვია?

— როგორც ჩანს, საქართველოში ამის მეტი ნაჭარმაგვეი არ არის. რვაასი წელი გავიდა, ჭერ ჭალაღღინი, შემდეგ მონღოლები, შემდეგ თემურლენგი, და სხვანი. მგონი, კმარა, რომ მისგან ნატამალი არ დარჩენილიყო.

დიდი ლიხვის რიყე მოტიტვლებული იყო, თითო-ოროლა ვერხვილა ჩანდა. გაღმა, მალხაზის წვერზე, საბაწმინდის თავზე, მუხნარი ამოყრილიყო, ერთი ნახევარი ნაჩეხი ჩანდა, მეორე — შენახული; ცოტა ქვემოთა ფერდზე ოთარშენის ნანგრევები ძლივს ეტყობოდა. დიდი ამილახვრების უქანასკნელი რეზიდენცია გორში იყო, მაგრამ ლიხვს გაღმა ოთარ ამილახვარმა სასახლე ააგო, კოშკით. ზაფხულში იქ გადიოდა, უქანასკნელ აქაურ ამილახვარს, გივის, ოცდაათამდე ლეკი ჰყავდა დაქირავებული; ის რომ ყოფილ საყმო სოფლებში აივლიდა, მთისკენ, ერთი ლექსისა არ იყოს, „წიოკობას აუყენებდა ქათამსა და ვარისსა“; ლიხვის რიყე დაისაყუთრა გორამდე. ზემო სოფლები ზეებს ტივებად ეზიდებოდნენ. ოთარშენთან უნდა გაეჩერებინათ, ბაყი გადაეხადათ; ვაი მისი ბრალი, ვინც შეეურჩებოდა, ლეკის ტყვია არ ასცდებოდა. რევოლუციის შემდეგ საქართველოდან გადაიხვეწა.

მისი სახლ-კარი ამილახვართან ნამოურაველებმა, ქარუმიძეებმა იყიდეს და დაანგრეს: მასალად წაიღეს თორტიზაში.

— ესეც ჩვენი მანქანა!

გზის პირას გოგია და მინდოა იცდოდნენ.

— კაცო, სადა ხარო აქამდე, აგერ მზე უკვე ჩვენ სადაროზე! დასულა...

როდესაც სოფელში შევიდნენ, გიორგიმ თქვა:

— მოლით, ქიტეს ვეწვიოთო.

მანქანა ლამაზ ორსართულიან სახლთან გაჩერდა.

მასპინძელს დაძახება არ დასჭირვებია, პირლიმილიანი ქალაროსანი ჩამოეგება.

— კაცო, ქალაქში შიშშილობა ხომ არ არის, რომ ამოდენა ხალხი აყრილხარო?

— რა ვიცი, იქნება ვინმემ შეგვიკედლოს-მეთქი და...

— კაცო, რად იცი აქამი ლაპარაკი?

— შეუტია შევმანდილიანმა ქალმა, ქიტეს მეუღლემ.

— რაო, ტყუილს ვამბობ? — ამ ლომივით ბიჭებს ვითომ დააძლობ?... და გამოაჩინა ახალგაზრდული თეთრი კბილები.

— არაუშავსრა, მოვრიგდებით, კაცი კაცითა, ღობე ქაცვითაო.

და ამ საუბრით შეუძღვა ქიტე თავის სტუმრებს.

— ეს ორი კვირაა ოთახები დალაგებულია და თქვენ გელით.

მალე სუფრაც გაიშალა და გამზიარულდა ჭერი.

— სუფთა შავკაპიტოა, განა?

— ბუდეშური არ გაუტრიე?

— ცოტა ბუდეშური, ცოტა გორულა, ცოტა ჰყავა და ესეც შენი ლალისფერი ღვინო, არ მოგწონს?

— უჰ, ავჭარდი, ჭერ ღვინო უნდა შეუქო მასპინძელს და მერე სხვაზე ელაპარაკო...

— თუ არ ვარგა, რა უნდა შეაქო?

— არა, კაცო, მართლა კარგია.

და წავიდა საუბარი ძველ ამბებზე, ორი დღე მარტო ის ისმოდა: „გახსოვს,

1 ლიხვის ზეობელები თვლიან, რომ მათი სადარო ლიხის მთაზეა, თუ ქვეშეთსა (მთაწმინდა) და ფონას შუა შავი ღრუბელი გაჩნდება, წვიმის ნიშანია.

ქიტე“? „როგორ არ მახსოვს“, მოიგონეს ღვთისო, პეპა, დოდე, ყველა, ვინც კი მოგონების ღირსი იყო, ერთი ორი ავიკაციც გაიხსენეს. ხან მინდია, ხან ქიტე და გიორგი წამოიწყებდნენ ამბავს.

განსაკუთრებით გიორგი იყო გახარებული, სულ ელიმებოდა, სახეზე ნათელი გადასდიოდა.

ქიტე კი თავზე ბუხს არ ისვამდა, ისე ეამაყებოდა თავის ბალღობის მეგობრის სტუმრობა.

— ტყუილად კი მოშალეთ ბუდე! — წამოიწყო ერთხელ ქიტემ, მაგრამ გიორგის სახეზე ღრუბელი რომ შენიშნა, მერე აღარა უთქვამსრა.

შენი პირიმი, გუთანო!

სოფლის ერთ-ერთი თავკაცი გუთნისდედა იყო, სოფლის აკარგს მას ეკითხებოდნენ, როდის დაეწყით ხენა, თესვა, თიბვა, მკა...

ჩვენი სოფლის ყველაზე მაღლიანი გუთნისდედა ღვთისო იყო. მაგრამ გუთნისდედაცაა და გუთნისდედაც. ერთი ზაფხული ვიარე მის გუთანზე შუა მებრედ, ბევრჯერ მომხვედრია მისგან ნასროლი გორიხი: „თავი ნუ ჩაჰკიდებ, გუთანს ძახილი უხდებოა“. მას ეთქმოდა სწორედ, „მე გუთანი მისთვის მინდა, არა მარტო საღრიტიანოთ“.

გუთანში რვა უღელი ხარი და კამეჩი ება. მოლაპარაკებაზე იყო, ხარს ან კამეჩს ხან ნახევარ ალოს აძლევდნენ, ხან მთელ ალოს¹. გუთნისდედას ერთი ალო ეკუთვნოდა, მისი იყო გუთანი — ერთი ალო, საკვეთელი და სახნისი — ერთი ალო (ნახევარ-ნახევარი ალო), ჭამბარას — ერთი ალო, ოთხი ხარი და კამეჩი ჰყავდა — ოთხი ალო (მას რვა ალო ეკუთვნოდა), გარდა ამისა ერთი, გათრეულა“ პირველ დღეს გუთნის-

¹ ერთი ალო ერთი დღის ხენა, გუთნისდედას ერთ დღეს ხენა, ნახევარ ჰექტარს 60-62-ჯერ უნდა შემოევიღო. „ამარჯვებულმა გუთანმა სამოცდასამი უარა, სამს კიდევ შემოევიღა, მებრეს რომ არ ეთარა“.

დედას ვუხნავდით, ეს პატივისცემა იყო. ექვსი მებრე — ექვსი ალო მის მიუმატე ორი ალო ღამის მებრესა. თქვესმეტი ხარი და კამეჩი (ჩვეულებრივად კამეჩი ორი უღელი იყო, ექვსი უღელი ხარი). ორი ღვედი — ორი ალო, სულ ოცდაშვიდი ალო. გუთანს ანეულის ხენის დროს ოცდაათი სამუშაო დღე უნდა ეხნა, ალოს გამოყვანას თავის კვირა-უქმით ორმოცი დღე უნდებოდა.

საერთოდ გუთნისდედაობა არ იყო ადვილი. ჩვეულებრივად, გუთანს მართავდა უფრო შეძლებული გლეხკაცი, მაგრამ გამრჯე, მოდგამად ნაკლებ შეძლებულნი ჰყავდა, ორი ხარის პატრონი, რომელსაც თავისი მებრე ახლდა ან ერთი მაინც იყო კამეჩების პატრონი, ისეთი მებრით, რომელსაც ქეუა ეკითხებოდა. სოფელში გუთნისდედა პატივცემული კაცი იყო.

ღმერთმა იყოღეს, გუთანო, შენი მიყოლა ძნელია,

როცა კაცი მუდამ მოგდევს, იმისი პური ძველია.

ან:

ქალმა სთქვა გასათხოვარმა, ნუ გამათხოვებ, დედაო,

თუ მიმცემ, ისეთ კაცს მიმეც, რომ იყვეს გუთნისდედაო.

ღვთისოს მცნება იყო: დროზე მთესველი, დროზე მოიმიკისო და კარგად მხენელ-მთესველი კარგად მოიმიკისო. ზედმეტს არავის მოსთხოვდა, არც მიწას და არც კაცს. „მიწამ ყანა გაგიკეთოს, ნუ ჩამოეკიდები, მოგიცდინოს, ნუ შემოსწყრებიო“. მიწის ყადრი იცოდა:

მიწა მოხან ნახატური, ყანა მოვა ახნატური.

უყვარდა, რომ მისი მოხნული მიწა კაი ყანას მოიყვანდა. კვირა დღეს მინდორში წაედიოდა და ყანებს ნახავდა, თავისი იყო თუ სხვისა.

ღვთისო დინჯი და დარბაისელი კაცი იყო (გუთნისდედა სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო), შვილები კიდევ უკეთესები ჰყავდა. რომ იტყვიან — ის

ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო, ამათზე ითქმოდა. თუ თვითონ ცოტა კოჭდაბალი და ბეჭკანიერი იყო, საღარის დედბოძივით, შვილები აშოლტილი, მკერდგანიერი, ხეხელა და ცოტა კაკაროტი ბიჭები, სოფლის რჩეული ვაჟაკები იყვნენ, ქონორები და პირმადლიმილიანები. კაცს მათ შემხედავს, გულში ნათელი ჩაუდგებოდა. ხელგამომავალი იყვნენ — კაი ბარჯა და თოხი იცოდნენ, უფროსი გუთნისდებობაში მამას არ ჩამოუვარდებოდა, უმცროსებმა დურგლობა და მკედლობაც იცოდნენ, ისინი რომ ყანაში დატრიალდებოდნენ, გეგონებოდათ, ასპინძის თმში არიანო, აუგ სიტყვას არავის ეტყოდნენ. კაცმა მარტილი გთხოვოს, თუ მარტილი არა გაქვს, მარტილიანი სიტყვა მაინც უთხარაო, — იტყოდნენ ხშირად. თავს კი უბრალოდ არავის დააჩაგვრინებდნენ, ძველი ჰემ-მარტიში¹ დავიფიკოთ, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, კაბდომ იცის სამართალი, მაღალ-დაბალს გაასწორებსო. იმათ მოგვერდსა და შუა კაურს ბევრი კარგი მოჭიდავე ვერ გაუძლებდა, ყველა საქმეში ფხიანები იყვნენ. მამას როდესაც ეტყოდნენ ხოლმე, კაი ბიჭები გყავსო, სიამოვნებით გაილიმებდა, ნათელი გადაჰკრავდა სახეზე, მაგრამ მაინც იტყოდა: „აქლემს მიულოცეს, კოზაკი გეყოლაო, ბევრი მყოლია, მაგრამ მაგათ ჩემი ტვირთი არ უზილიათო“. — და გადაისვამდა ულვაშზე ხელს.

იმ წელიწადს გუთანზე მეხრებდად ვიყავით — მე, სანდრო, ზურა, ვანე, იოსება და შაქრა; სანდრო და ზურა ლამის მეხრეები იყვნენ. დილაადრიანად მოლაღვდნენ გუთნეულს, შევებამდით, ერთ-ორ კვალს შემოუვლიდნენ და მერე დღის მეხრეები შევეცვლიდით, თვითონ კი ჩრდილში წაიხურავდნენ მახარას და გამოიძინებდნენ; სამხრობის დროს ისეც დასხდებოდნენ უღელზე და

გაამხიარულებდნენ სიმღერით არეშარეს. სანდრა და ვანე დამდგარი, დამღუღებული ვაჟაკები იყვნენ, დაცოლშვილებული, ზურა უცოლშვილო იყო, შემოდგომაზე აპირებდა გვირგვინის დადგმას. სამნი კი შეღვრებული ბიჭები ვიყავით. ქრისტე-ღმერთი რომ გუთნისდებდად მეყოლება, გუთანი არ მომეშლებოდა, — იტყოდნენ ხოლმე უფროსი მეხრეები. უდიერი მეხრე არცერთი არ ვიყავით, საქონელიც გვაფასებდა, სახრეს ადვილად არ დაიკრავდა. იოსება რომ დილით სიმღერას შემოსძახებდა, გეგონებოდათ ვერცხლის ზარმა დაიწყებიალაო, მეზობელ სოფელში იტყოდნენ ხოლმე: „არიქათ, დატრიალდით, აგერ, ღვთისოს გუთანი შეუბამსო“.

იოსებას ოროველას ყველა ავეკებოდი და ამ დროს, ე. ი. გარიჟრაჟზე, გულის ძილში რომ ყოფილიყო ვინმე, უმქველად თვალს გააქვეტდა.

თუ სიმღერა შეწყდებოდა, მაშინ ღვთისო წამოიწყებდა:

როდი უნდა დათერეს ღვდილი,
ზაქარია წყვრებგრძელი...

ეს მე გადმომკრავდა ხოლმე, პაპაჩემი ხომ მღვდელი იყო, წაიმღერებდა და ხშირ ულვაშებში ჩაილიმილებდა, მეც გავიგებდი მის მათრახის გაშხულებას და წამოვიწყებდი:

გუთნიდელს რა აცხონებს, რა შეიყვანს
საქლარშია,
კაი დარში თითონა ხნავს, ჩვენ კი გვთხნავს
ვედარშია...

ვანე ჩამომართმევდა:

ხარ-კამეჩის ცოლო-ბრალი უხვევია
კალთაშია.

— აბა, აიღვით ენა? — შემოგვიტყვდა.

¹ „ძელი ჰემ-მარტიის“ ტაძარი, გახზრებული იყო, როგორც „ძველი ჰემ-მარტი“. მოიგონეთ „ძელშავი“ და „ძველშავი“.

¹ „ჩვენ კი-ს“ მაგიერად ლექსშია „მოდგამს“. „მოდგამია“ გუთანში ყველა მონაწილე, ვისაც ალო ეკუთვნის.

დასაქცევი გუთნიდდა, ძირძირ გამოიყურება
გამოივლის, ჩეკსი წამოყრავს: ვასწი ხარო,
არ იქნება.

სანდრა სხვა კვალში გადავიდოდა:

ანულისა გუთანსა ჩამბარა უნდა რკინისა,
დარჩეული გუთნეული, შიგ მებრე ეღვეს
რკინისა.

— მაშა, რა გგონიათ, ანულის ხენა
ჩრდილში ჯდომა კი არ არის. ჩვეუ-
ლებრივად, სიმღერები გუთანს უტრია-
ლებდა გარშემო.

ჩეჩამ უთხრა გუთანსა: პატარა პური მიტეხე,
— მაშინ საღ იყავ, ანეჩავ, როცა უამირი
ვაებტეხე?

ან კიდევ:

სახნისს უნდა ორი ალო, საუღაბნოს იარება,
საკვეთლისა ნახევარი ზეზეურათ იარება.

იოსება ააწკრიალებდა:

იმერეთი მომივლია, ქართლი შემოიყრებია,
არ მინახავს შენისთანა, უელი მოგიღერებია.

აქ კი ველარ მოითმენდნენ ჩვენი ბერ-
მუხები:

კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდათ
ვაიდება,
კარგ კაცობა ქვაზე დედო, ვაირო წინ
დაგზებება.

ამის გამგონე ღამის მებრეები გამო-
ვიდოდნენ მუხის ჩრდილიდან, თუ უღ-
ლიდან არ ჩამოგვსხამდნენ, გადაბეკე-
დნენ ხელს ხარს ან კამეჩს და აღუღუ-
ნებდნენ ოროველას, ამ დროს გუთნის
ნახვას არა სჯობდა რა, მზე უკვე ცაში
ელვარებდა, ტოროლები მალლიდან
გვაძლევდნენ ბანს.

რომელიმე მებრეს ლექსი შემოაკლ-
დებოდა?

სიბერე მწელი ყოფილა, სიბი ქვა შეეწონება,
დაჯდება, ველარ ადგება, არგანზე დაეწონება,
რაც უნდა კაი სიტყვა თქვას, არავის
მოეწონება, —

1 ჩეკი — პატარა ბარულაა, გუთანი ტალახს
რომ აიყრავს, მის გასაწმენდად ხმარობენ. მისი
ტარი ერთი მებრის სიგრძე მაინცაა.

და გავდიოდით თავში, ხარები საქ-
ცეზე მოუხვევდნენ და შეჩქლებმა—გუ-
თანი ველისაკენ წასულარესი წიწილისა
ხარვეზი! დარჩენილიყო. ამიტომ იყო,
რომ ხეთისო ჩეკს წამოაელებდა ხელს,
ფეხს გუთნის ქუსლს დაადგამდა და
შემოგვძახებდა:

— ბიკო ზედა... ნუ გაერთეთ, თქვენ
მამამშვენიერებო!

თავმებრე და შუა მებრე შეასწორებ-
დნენ კვალს, სანდრა კი ამოისუნთქებ-
და და წამოიწყებდა:

ზედაობითა გუთანსა ევალი არ გუტანია,
ვაიედეს და გამოვიედეს, საცა სამხრის
ხანია..

და მართლაც, მინდერის ბოლოში ან
ფეფა გამოჩნდებოდა, ან დარო ხელში
საჯეროთი და მხარზე ხურჩინით.

სანამ კვალს გაეიტანდით, სუფრა გა-
შლილი დაგვხვდებოდა.

პანტი-რუზე ან ხარაზიანთ რუზე
ხელს დავიბანდით და გემრიელად შე-
ვექცეოდით, თუ საღვინით „ღვინია ქა-
ქანაურიც“ იყო, მაგას რალა სჯობდა.
ჩვენი სამი ბერ-მუხა გემრიელად მო-
უღებდა. თქვენ ერთი ყანწიც გეყო-
ფათო. შევაქებდით სამხრის მომტანს
და დამშაადებელს. „კარგი დიასახლისი
ხარო“, — ეტყოდა ღვთისო.

აჟმა კარმა, აჟმა სახლმა აჟად გამადედაკაყო,
კარგმა სახლმა, კარგმა კარმა კარგად
გამადედაკაყო.

— ეგრე, ჩემო ფეფო, ეგრე, სიტყ-
ბოებას ამ ქვეყანაზე არაფერი სჯობიან!

ისევ მალე გაიჭიმებოდა გუთნეული.

მე მაშინ ხალხური ლექსის ყადრი
უკვე ვიცოდი, რვეული უბეში მედო და
დროს დავიხვლეთებდი თუ არა, ჩავი-
წერდი ხოლმე.

ერთხელ სანდრას ვკითხე:

1 ხარვეზი — მოუხვევდა დარჩენილი აღ-
ვილი კვლებს გაყოლებზე, წიწილი — ძალიან
პატარა ხარვეზი.

— კაცო, არ იღლებით ამდენი სიმღერით?

სანდრამ სიმღერითვე მიპასუხა:

ხარამ თქვა: ხარი ვერ მამკლავს,
თუ მეხტე შემხვდა ზეთიანი,
ხშირ-ხშირად უნდა დამამახოს
სიმღერა ლაზთიანი.

— გაიგე?

— გავიგე! — ვუპასუხე და იოსებას გაუძახე:

— „ნუ დასდევ ნადირობასა, გადგიხტება შევლია... მანაც სწრაფად შემომავება:

...— წამოხვალ გაცრუებული, გაწუწული და სველია“.

როცა შუე მალდიდან ჩამოგვეხვდა და კისერში დავგვაკერდა, ტვინი თავის ქალის ახეთქვას ლამობდა, ასე იცოდა, როცა ქვენა ქარი უბერავდა. აი, მაშინ უკვე მარლწყარილი ლექსების თქმა დაიწყებოდა. იგონებდნენ სოფლის გასათხოვარ გოგონებს, ახალ პატარძლებს, ავ დედამთილებს. ეს გუთნისდენასაც ამხიარულებდა, მეხრესაც და კამეჩებსაც კი, ზანტად რომ მიალაჯებდნენ.

ღეთისო წელიწადში სამჯერ მაინც შებამდა გუთანს. გაზაფხულზე ცალუღელას, როცა თერამეტი თუ ოცი ალო იხვნოდა. ანუელს — მაისში, ამ დროს ოცდაათ ალომდე იხვნოდა და შემოდგომურს, მზრალის სახენელად, გარდა ამისა, ფარცხვის დროსაც ოთხი-ხუთი უღელი ფარცხ-კაბდოში იყო შემბმული. მაშინ უნდა გენახათ ღეთისო, განიერი ნაბიჯით რომ მიალაჯებდა და გაშლილი ხელით აბნევედა ხორბალს, დამთავრების წინ გადაყრიდა მუქა ხორბალს და იტყოდა:

— ეს ჭიასა და ღუასა, მეორეს — ეს კივქვესა და ჩიტსა, ეს ჯაგვესა მღრღნელსა, ეს ქაქსა და ეშმაქსა, ეს კიდევ ყველა კეთილსა, ღმერთო, დიდებულო, შენ უშველე ყველა ალალ-მართალსო.

თავის ნახნავს ისევ თვითონ თესავდა. ძლივსდა შემორჩებოდა დრო, რომ თავის გიგოს ამოსდგომოდა გვერდში

და საყვარელ ვენახში ეტრიალა, სადაც ჩამწყარიეებული იყო ჩინური, გორაკის მწვანე, ბუდეშური, შავკაპიტო, საფერავი, ქლია, ხარისთვალა და სხვა მრავალი.

— ღეთისო, შენი ოჯახის გახარებასა, ე ჩემი ბიჭიე მთილე მოდგამათ — შეეხვეწებოდა რომელიმე ქვრივი.

— ბაბაღე, მივიღებდი, მაგრამ პატარაა, დაიჩაგრება, დაიგვალება.

— მა რა ექნა, მე უბედურმა, სასეფისკვარი ხორბალი როგორ გავიწყვიტო სახლში?

— ისე იგულე, თითქოს მოდგამია. რომელი მიწა გინდა მოგიხნათ?

— რომელი რა, ათასი ხო არა მაქ. პანტი-რეზე რო გრძელაა, ისა!..

და ერთ მშვენიერ დღეს გუთნეული გრძელა მიწასა ხნავდა, წინა დღეს კი შეუთვლიდა ღეთისო: სადილ-სამხარი გადმოგვიტანეო¹. ამ დღეს ბაბაღეს ბიჭს წინა მეხრედ დასვამდა, მაგრამ ჯერ გამოცდას ჩაუტარებდა.

— კარგი და პატიოსანი, რომ აგიტეხია, მეხრეობა მინდაო, გუთნის სახელები იცი?

თავი დაუქნია, ვიცყო.

— მაშ აბა, რანაირი გუთან-სახენელი იცი?

— ჯილღა — დიდი გუთანი, გუთანი, ღეთისოს გაკეთებული, სულერთია, ჯილღაო...

— აი, შე... და გავიციებდით ყველა. რადგან, მართალია, ღეთისო გუთნებს აკეთებდა, მაგრამ ისეთ წმინდად ვერ თლიდა და აშენებდა, როგორც ქიტე.

— მერე?

— ორხელა, ოქოქა, აჩაჩა, კვალგასატანი.

— თვითონ გუთანი?

¹ გუთანზე სადილი და სამხარი იყო წესით. დილით სადილი, ნაშუადღევს სამხარი. ღამის მეხრეებისათვის ზედმეტი თითო პური. მკაში — საუზმე, სანამდე ნამვალს შეიტანდნენ. 11 საათისათვის სადილი, 2 საათისთვის სამხარი, 6 საათისთვის ზარმელი ფეხზე დგომით, თითო ჯამი ღვინო და ცოტაოდენი წასატანებელი, საღამოს სახლში ვახშამი.

— აი, რეილი — გუთნი-ყელი.
 — მაგის ლექსი?
 შენი ჰირიმე გუთანო, მაგ შენი მრუდე
 ფლისა,
 შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი
 ქერისა.

— კარგია, მერე?
 — შოლტა, ღერძი, ჩხა, ველის გოგო-
 რა — ღირღიტა კვალის თვალი.
 — ყველას მაგას ერთად რა ჰქვია?
 — რა ჰქვია?
 — ჰო...
 — ფამფალაკი.
 — მერე და რატო უცბად არა თქვი?
 — რავე, გული გადამიქართულდა:
 შენი ჰირიმე გუთანო, ღირღიტა, ბანი
 უთხარო.

— თვლებში რომელია გახეშილი?
 — არც ერთი, ორივე ბოშათ არიან.
 გუთნის თავის ღერძი ხომ არ ტრია-
 ლებს... საქლემში ზედ სახნისი, მის წინ
 საკვეთი, ფარეშები აქვთ, ხმალა, ფრთა,
 საქლემის ბოლო ქუსლია.

— შენ მართლაც გცოდნია, აი... —
 გაუკვირდა ღვთისოს — მერე, მერე?
 — ორი ღვედი, ერთი ჭამბარა, ჩხაზე
 ცული, ფრთაზე ჩეკი, თექესმეტი აბეუ-
 რი, ორმოცი ტაბიკი, აქედან რვა თავ-
 ტაბიკია, ექვსი მეხრე, ექვსი სახრე, ერ-
 თი გუთნისდედა.

— რამდენი კორაა?
 — კორა?
 — ჰო, კორა.
 — რამდენი უღელიცაა, ორჯერ იმ-
 დენი, საქედურის თავზე კორაა.
 — რამდენი ჭამი?
 — შვიდი ჭამი, შვიდი კოვზი.
 — გუთანს ოთხი მეხრე უნდა, ექვსი
 რათა თქვი?
 — ორი ღამის მეხრეა. გაზაფხულზე
 ხუთი უნდა, ერთმა დაასვენოს სხვები.
 — ექვსნი ვართ და შვიდი ჭამი რა-
 ლა?
 — თუ მგზავრმა ჩამოიარაო...
 — შენ რა გინდა გამოხვიდე?
 — გუთნისდედობა მინდა.

— რაო? მომე სახრე!
 მიაწოდა, ღვთისომ სახრე აღწერსა-
 ნად მოუცაყუნა მხარზე.
 — ყოჩალი ბიჭი ყოფილხარ, როგორ-
 ცა ჩანს, ბალახი არც შენ გიძოვია...
 — აბა, დროა...
 და მალე ისევე ავარდა ცაში ოროვე-
 ლა.

ხარმა სთქვა, ხართან შემაბი, ხარულათ
 გამაწვივინე,
 ოღონდ ტოლს კი ნუ დამიდებ, დამკარ და
 გამაწვივინე.

ობოლმაც შეუწყო ხმა:

სიღარიბე და ობლობა ორივე გამომიცდია,
 სიღარიბე ხომ ძნელია, ობლობა ვადამეტია.

— ზედა, ზედა... გასძახა ღვთისომ და
 მის თვალში ცრემლივით შეენიშნე რა-
 ლაც.

გემრიელი ლობიოს კეთება იცოდა
 ბაბალემ, წნილი უკეთესი, ჯონჯოლი და
 ქარქვეტა, კობრჩხილა და ღრინჭოლა,
 ნიორი და ღანძილი სულ ჩაკიწიწებუ-
 ლი ქილებით ედგა, მარტო ის ეყოფო-
 და კაცს, ამას ზედ მოაყოლებდა მახო-
 ბელა გამტკიცულ კაკალა პურებს. აამ-
 წკრივებდა ლურჯ სუფრაზე. სანიადაგო
 პური ერთიც არ ერია, თან ბოდიშობ-
 და:

— სიღარიბეს რა ვუთხრა, თორემ
 თქვენ სხვა პატივი გინდათ, — და ცი-
 ვად მოხარშულ დედალსაც მიაწვდიდა
 სანდრას, — დასჭერ და მიართვი ღვთი-
 სოსო.

— ადამიანო, ე პურზე რაღად გაი-
 სარჯე. სადღეობოდ გექნებოდა შემო-
 ნახული.

— დღევანდელ დღეზე კაი დღეობას
 სადა ვნახავ?!...

სველ ზელადაზე ყველას თვალები
 აუციმციმდებოდა, საღვინეს ზურას მი-
 აწოდებდა. შენ ჩამოარჩევო, ჩვენიანი
 ხარ, შენ გეყუთნის ამ ღვთისნიერი ხა-
 ლხის სამსახურიო.

— თქვენი სიცოცხლით, ჩემი ბიჭის
 ბედნიერებას შევესწრო და მერე...

— ბაბალე, იცოცხლე და იღლეგრძე-
 ლე, ჰირი დალხინებად შეგეცვალოს,

ბიჭი კარგი გეზრდება, ნაყე-ნაყეს არა უგავსრა, ერთი ეგაა, ხელობას მედავება... ღმერთმა ქნას, კაი გუთნისდელა დადგეს და სოფლის თავაკობაც იყისროს...

შაქროს თვალეზი დაეხარა, ბაბალეკი გაბადრული მადლს იხდიდა. აბა, ღამურებო, ჭერი თქვენია, — შეუტევედა ღამის მეხრეებს და გადავიდოდა ალავერდს.

მალე წამოგვეშლიდა. დღეს გუთანი გამარჯვებული ვატაროთო.

ღამის მეხრე სოფელში გამორჩეული ვაქაის იყო, ისე როგორც მეტყვარე, ღამის მეხრეც ვამძლე, ამტანი ბიჭი უნდა ყოფილიყო და სანდრა და ზურაყ ასეთები იყვნენ; საქორწილო ბიჭები იყვნენ და კარგად იცვამდნენ, ფეხზე გორული გამოქნილი ტყავის ქალამანი ეცვათ, თასმით ამოსხმული, დანარჩენებს კი — გამოუქნიელი ტყავისაგან, დაგრებილი კობით ამოსხმული. ქრელი წინდები და შიგ ჩატანებული, სახლში მოქსოვილი ლურჯად შეღებილი შალის შარვალი, ან ლურჯი და შავი ხალათი ეცვათ, ან ლურჯი ახალუხი; ქოჩორზე ჩიტის ბუდესავით წამოედოთ ნაბდის ქუდები, როგორა დგებოდა მათ თავზე, დღესაც არ ვიცი. საღამისხაროდ გრძელი თხილის ჯოხები ჰქონდათ, ორსამმეტრიანი, რომ დაყრდნობოდნენ და რუზე გადამხტარიყვნენ.

მეც მთელ ღამეებს ღამის მეხრეებთან ვატარებდი, ჩემი ნაბადი კამეჩს ელო ზურგზე, თუ ჩამოვარდებოდა, ნიკორა იმ ადგილიდან არ დაიძროდა.

არ შემიძლია ჩვენი ნიკორა კამეჩი არ მოვიგონო. იგი თვალთ მარღია იყო. მჭლალი, ძვალმსხვილი, ძლიერი, იტყოდნენ ხოლმე: „ნიკორას ლიახვის ხეობაში ბადალი არა ჰყავსო“. გუთანში თუ ურემში დალა არ იცოდა, რამდენიც არ უნდა დაგედო, გასწევდა და წაიღებდა, თუ უღელი გაუძლებდა. მეუღლეს რომ მშრომელი გამოადგა! თუ ტვირთი მძიმე იყო, ლომას უღელს ვუგრძელებდით, ე.ი. ნიკორას ვუღებდით

ტოლს. უღელს ორი სატაბიკე ჰქონდა, ერთი შუაზე, მეორე ცოტა მარჯვნივ!

ერთი უბედურება სჭირდა ნიკორას, სანამ უღელში შევებამდით, ერთ-ორჯერ გაითამაშებდა, ხუმრობდა, უღელს არ ეკარებოდა, როცა ყურებზე ხელს მოკვილებდით, დაგვეყვებოდა, მოგვეყვებოდა უღელამდე, ავწევდით უღელს, რომ ქედზე დაგვედგა. დაიქნევდა თავს და გავარდებოდა წინ. გულს რომ იჭერებდა, თვითონვე მოვიდოდა, დაბრჩიდა თავს და უღელს უკვე აღარ გაუბრბოდა. სამაგიეროდ, გასწევდა და წავიდოდა, სახრეს არ დაიკრავდა. მაგრამ თუ დაინახავდა „შლიაპიან“ (წინათ იცოდნენ დიდი, მაღალი, ბუმბულებით მორთული ქალის ქუდები) ან ლენაქიან ქალს, ერთი კი დაიქნევდა თავს, გამტკრევედა ტაბიკეს და მოუსვამდა, ხშირად შუალამემდე გვიძებნია. მოედებოდა სიმინდებს. მეორე დღეს ზევის კაცები გვადგნენ კარს. „თქვენი ნიკორა ყოფილა მავანისა და მავანის სიმინდშიო“.

როგორც ვთქვი, ერთ ზაფხულს, ღამის ხარში ვიარე. გუთნეული რო დაეყრებოდა ამოსაცხნად, ღამის მეხრეებიც თვალს მოვატყუებდით. ნიკორამ გაპარვა იცოდა და მე თავს მის უკანა ფეხზე ან ფერდზე დავდებდი ხოლმე. თითქოს სიმშვიდეა, ნიკორა ღინჯად იცოხნის, მაგრამ აი, ფეხი ოდნავ შეინძრა და გაჩერდა. მე გავიტრუნე, ფეხი ნელინელ მეცლება თავქვეშიდან, თავი უკვე მიწაზე მიდევს. ნიკორა არ იძვრის, ცოხნა შეაჩერა და თავი ჩემსკენ აქვს მოხრილი. ფრთხილად დგება ფეხზე, კუდი გაშეშებული აქვს. კისერი წაგრძელებული, თითქოს სუნთქვა შეიკრაო, მოიხედა ჩემსკენ და დარწმუნდა, მძინავს. უხმაუროდ გადადგა ნაბიჯები. დაგვიანება აღარ შეიძლება.

— ნიკორა! საით? — ზოგჯერ მგლის ყურს გამოიბამდა, მაგრამ ისე კი მალე იცოდა გაგონება. აი, ამ ძახილზე შედგა, მოიხედა ჩემსკენ, დაიყოყნა, დააქნია თავი და წამოვიდა თავის ადგი-

ლისაყენ. დაწვა, ამოიხენეშა და დავადე თავი ფერღზე. ღამეში თვლები უელავდნენ. დღე რომ ყოფილიყო, საყვედურს ამოვიკითხავდი; სად მიდიოდა? სიმინდებში, რომ კარგად გამოძლარიყო, რა იცოდა, რომ მის ნაფხურს ჩვენებური ბაღიც კი სცნობდა და მეორე დღესვე ხევის კაცები თავზე დაგვადგებოდნენ. გუთნეულის ერთ ან ორ ალოს მოგვთხოვდნენ.

მამაჩემმა იცოდა: „რო შემეძლოს, ნიკორას და ლომას ძეგლს დაუდგამდიო“. მაგრამ როცა დაბერდნენ, გორში გაყიდეს და გუთანში შექარამ და მერცხალამ შეცვალა ისინი.

რას ვაკეთებდით ნთელი ღამე? ზოგჯერ მეზობელ გუთნეულის ღამის მებრეებს შევხვდებოდით, ვქილიკაობდით, ვიგაობდით, ვლექსაობდით¹.

უმთავრესად კი ისეთ ადგილებს ვეძებდით, სადაც კაი ბალახი იყო, ცოდვა გატეხილი ჯობს, ყურძნის ქურდი იანვარში გამოტყდებო, ნათქვამია, ზოგჯერ დაყორულებულ ადგილას შევრკევდით, რას იზამდი, მაშინაც მთელი ქართლი გადახსული იყო; მცხრალი და ნაჩხატი არსად ჩანდა.

მთვარიან-ვარსკვლავიან ღამეში სოფლის გუგუნი ისმოდა, ზურა ტოკვას დაიწყებდა.

— ლხინია სოფელში...

— რა დროს ლხინია?

— აბა ყური მიუგდე?

მართლა ყრულ თუ რბილად ისმოდა დოლის ბაგა-ბუგი, სალამურის უცნაურად ტკბილი ხმა. პიჭდაპიჭი კი არა, ციდან ჩამოისმოდა, თითქოს კაკლის თავები გადმოიარაო და ნელ-ნელა იშლებოდა მინდორზე. ზურას შეგულეებული ჰყავდა ქვემოუბნელი თეო და ცოლად უნდოდა შეერთო, მაგრამ თეო

¹ ვლექსაობდით — ვმირებს ლექსებს ვამბობდით, ვმპირობდით — საუბრო ლექსებს ვეტყობდით ურთიერთს, ვიგაობდით — პატარა პატარა იგავებს ვამბობდით, ვქილიკაობდით — სიტყვა-მახვილობაში ვეჭიბებოდით ურთიერთს.

არც „პოს“ ეუბნებოდა, არც „არას“. რას უწუნებდა ამ აღდგომის კვერცხით ჩაქრულ ბიჭს, რ ვიცოდით: ვუკაცი იყო, ლიახვის ხეობაში იმას ბიჭი ვერ დაქარავდა, მხარბეკიანი, მკერდგანიერი, დიდთვალეა, ტუჩკბილ-მშვენიერი, კარგი მცელავი და მომკელი; ბარს რომ დასცემდა, გეგონებოდა მიწა ჩაანგრიაო, დღეობის ერში გაერეოდა და ერის მშვენიება იყო, სახლშიც გამართული იყო.

— რა ლხინია! — წამოიწყებდა ისევ ზურა.

— ზურა, წადი, ერთი გაქარ-გამოქარ და ამოდი...

— მერე, საქონელი?

— საქონელს ჩვენც ვეყოფით.

— „ხელათ ამოვალო“ — და გაქრებოდა უკუნეთში, მუხის ჩრდილებში.

საქონელს რომ საყრელზე მოვრკევდით, უკვე შუაღამე იყო და თელის ჩრდილიდან ზურაც გამოვიდოდა.

— იყავ?

— ვიყავ მაშა.

— ათამაშე?

— პო,

— რაო?

— როცა ვათამაშებდი, ჩაჩურჩულე — ზომ გამომყვები-მეთქი და, „შენაო, ხატის ღვინო ზომ არ დაგიღვევიაო?“. გასხლტა და დაჯარგე. ვეძებე, მაგრამ ლხინში აღარ იყო, აქეთ რომ მოვდიოდი, გზის პირს დამხვდა. „აპაო, შენთვის მოვქსოვეო“, აი, ეს წინდები მომანიჭა და გაქრა.

— მაშ შენია და შენია.

— როგორ?

— აბა წინდებს სხვას მოუქსოვდა?

თვლების ბრწყინვაზე შევატყვევით, რომ გაეხარა. ვიტყვი ბარემ ზურიაზე რაც სათქმელია.

ზურა შემოდგომაზე ქორწილს აპირებდა, „სამი დღით მაინც ხომ ვიქნები „მეფეო“, — ამბობდა. „შენ უნდა იყვე ჩემი მეჩვარეო“, — მეტყუოდა ხოლმე და მეც მემამაყებოდა, რომ სოფლის სა-

¹ ბიჭი ვერ დაქარავდა — ვერ მოერეოდა.



უკეთესო ბიჭის მეჭვარე ვიქნებოდი, ჯერ ანეული არ გამოგვეყვანა და რიგ-რიგა¹ შეკრა. გამოვიყვანეთ ანეული თუ არა, თოხი აიღო. სუ ტალი-ტალი-კი ბიჭები შეკრიბა, ერთმანეთის მჯობენი: ქოჩორები, დიდთვალეებიანი, შავ-ულვაშაშლილები, სქელკისერა და მკერდგანიერები. ისე უსვამდნენ თოხს, გაგონება ჩვენებური ნაგავალი მიწა კი არა, სველი ქვიშაო.

მთელი დღე მათი ენა არ გაჩერდებოდა. ხან სიმღერას იტყოდნენ, ხან არაკსა, ხან გაელექსებოდნენ ერთმანეთს. დაიწყებდა ზურა:

შენი ჰიარაჲ, მჰადო, შენი ბიჭობა ვცადო, მანამ შენ არ მოვიყვანე, ქალი არავინ მანდო.

— აბა შაქრა მომყე:

შინც არ მოხვალ, სიმინდო, ვინდ ვაცურაო
წყალშია,
ქალებს ვათოხნილი ხარ, არ ჩაიურება
ძარში.

— ვითომ რათაო? — იკითხა ვახტანგმა.

— იმიტომო, რომ სუსტად სცემთ თოხსაო.

— ახლა რომ სულ ქალები თოხნიან!

— ახლა? ახლა სხვა დროა. დაიცა, დამამთავრებინეთ რიგ-რიგის ამბავი. შაქრა ვანეს გასძებნდა, აბა რას იტყვიო.

შობბანდი, მჰადო, ვორულო, თუ ჩემი
ბედი ღირსაო

ზურგიტ წავიღებ წისქვილსა, აღარ გაკადრებ
ვირსაო.

¹ რიგ-რიგა — თავისებური მამითადა, 8-12 ახალგაზრდა შეთანხმდებოდა და სიმინდს დღე-ნაღებით თესდნენ. ნიკამ ორშაბათს დათესა, ვანემ ოთშაბათს, ლექსომ — პარასკევს და სხვ. თოხნის დროს პირველ დღეს ნიკას უთოხნიდნენ, მეორე დღეს ვანეს და ასე ბოლომდე, ორი-სამი კვირის შემდეგ პირველს ისევ მეორე თოხი სჭირდა. ეს იყო ჩვეულებრივი წესი სიმინდის თოხნისა. მონაწილეებს — „რიგ-რიგის“ ბიჭებს უწოდებდნენ.

ახლა სანდრა ჩაერეოდა:
ერაქნესული
ბიჭები დაქურებულან სიმინდის
სათოხნელათა,
ქალები დაქურებულან ბიჭების
საკოცუნელათა.

— მაგათში დოღრილაანთ თუო ხო არ ურევი? — იკითხავდა ვასა, ვითომ მიაშიტად.

— აბა, აბა, შენ შენ კვალს მოუარე, — გასძახებდა ზურა;

შაგრამ დაცხებოდა, დააქერდა მზე კისერში და გამწარდებოდა სული. გული ველარ ეტეოდა საგულეს. ჰიარდა თოხნა. და, აი, სწორედ აქ იწყებოდა კვლავ პილპილმოყრილი ლექსაობა. ჯერ ერთი, არ დაივიწყებდნენ სოფლის ქვრივებს. თავის სოფელში რომ გამოეღეღოდათ, ახლო-მახლო სოფლებს გადასწვდებოდნენ.

— რას ერჩოდნენ ქვრივებს?

— იმათი რწმენით, სათოხნში რომ ბევრი ჰანგა ერია, ქვრივის ბრალი იყო თურმე, და აი, რად:

„— აიკრიფა გულა-ნაბადი ჰანგამ და წავიდა მთისკენ. გზაში ქვრივი შემოეყარა.

— გამარჯობა, ჰანგა,

— გაგიმარჯოს, ქვრივო.

— საით გაგიწევი?

— მთაში მივდივარ.

— ვითომ რათაო?

— როგორ თუ რათაო, გამიწყალეს გული რიგ-რიგის ბიჭებმა, მომისვამენ თოხს და ხან იქით გამავგორებენ და ხან აქეთ.

— სულ ეგაა?

— მეტი რაღა გინდა?

— მაგას რა ჯობია, რას შეუშინებინარ? წამო, დაბრუნდი, მთაში რა შავი ქვა გინდა?

ასე დააბრუნა ქვრივმა ჰანგა სათოხნში; ამიტომია, რომ ჰანგიაში სულ ახალგაზრდა ქვრივებს იგონებენ“.

— მე სხვაც გამოგონია, — ჩაერია გივი.

— აბა, აბა?

— თურმე კლანჭა ყვავმა...

— კლანჭას ფესურაც ძალიან ჰგავს ჰანგას, კლანჭა სხვაა, ჰანგა სხვაა...

— თქვი, თქვი... — შეეხვეწნენ ბიჭები.

— ჰო და კლანჭას ფესურა აიტანა ბუდეზე ყვავმა, ცხრა წელიწადი იქ იდო. მეათეზე ქარმა ძირს ჩამოაგდო; ფესურის კლანჭი გუბეში ჩავარდა, თავი წამოყო და თქვა: „უჰ, კინალამ არ მოვეკლიო“.

— იცით, ბიჭებო, ორივე ეს არაკი ჩვენი ხალხის დიდ დაკვირვებაზე ლაპარაკობს — ჰანგა მთაში მართლა არ არის, კლანჭა კი ბარშიცაა და მთაშიც.

— რიგ-რიგა როგორღა თავდებოდა?

— როგორ და, ყველანი რომ ჩამოითავებდნენ, მერე ერთ-ორდღეს ქერივსა და ობლებს შეელოდნენ, უფასოდ გაუთოხნიდნენ, დილით გაუვლიდნენ და დაუძახებდნენ:

— ბაბაღე, შენი სიმიწის სათოხნად მივიღივართ და სადილი გადმოგვიტანეო.

— უი, თქვენ კი გაიხარეთ, თქვენ მშობლებს დაადგა ნათელი, აქაც და იმ ქვეყანაშიც, თქვენ სახლში კი მენახოს მზეთუნახავი პატარძალი და ოქროს ქორიანი ბიჭები...

— ბაბაღე, მაგის საცოლე მზეთუნახავი კი არა, მუგუზალსა ჰგავს... — წახუმრებდა ერთი.

— გაიგონოს, ის გაჩვენებს მუგუზალსა... კარგი, გენაცვალეთ, კარგი.

— ბევრს ნურას გაირჩები...

და, აი, ასე მიდიოდა ზაფხული შრომაში, ხუმრობაში, სიმღერაში, სიკეთეში. რას იზამ, ზაფხული ზამთრის მუსაა.

მაგრამ გავყვეთ ისევ ღამი-ხარს.

თვალი მოვატყუეთ და ცოტახნის შემდეგ ძოვებით გავიყოლიეთ კუბანაურებისაკენ¹, ღვთისო გუთანთან იდგა, ჩვეით ფრთასა წმენდავდა, ის იყო,

ირიყრაყა, ტოროლებს ჯერ კიდევ თავი ფრთის ქვეშ ჰქონდათ ამოდებული.

— აბა, ნულარ იგვიანებთ...

და მალე ავარდა იოსებას წყრიალა ხმა ჰაერში.

ღვთისომ დიდხანს იცოცხლა; გუთანთნ თავის შვილს კოლას ჩააბარა, თვითონ ვენახში გადაინაცვლა. დიდი ომი-ანობის დროს იქით ვიყავ, სოფლის გარეთ ქარხნის ადგილი უნდა ამოგვეჩია, სრულიად გათეთრებულმა კაცმა ურემი გააჩერა.

— აი, ესეც ჩვენი ღვთისო, ოთხმოცდაათისაა და თავისას არ იშლის, ასზე მეტი შრომადღე აქვს, — ტრაბახობდა კოლექტივის თავმჯდომარე.

— აი, ღვთისო, ჩვენი პროფესორი!

— აბა, ჩემი მეზრე ცუდი გამოვაა?

ჰო, საკალოე ადგილები მოვაკაბადოვე, მოვასწორე. არ დაგავიწყდეს, გარდი-გარდმოში ანეული რთა, ბალახი მორევი, ასაოშია. დღეს ცოტა მზე იკბინება, ბულული აღარ ავშალეთ... შენა, — მომმართა მე, — რაზე დაგვანატრულებ ხოლმე თავსა, ხანდახან უნდა მოხედო და ინახულო შენი ადგილის დედა.

— მართალი ხარ, დამნაშავე ვარ, შენ რა, გუთანს გაუწყერი?

— ისიც მოკვდა, ვინც ღამე ხნაო, ხომ გაგიგონია, გუთნის მუხლი აღარ მომდევს. ხიი, შე სამგლე. — შეუტია ხარებს, რომ მოიწყვდნენ.

— გაავდრებას აპირებს, მზე იკბინება და ბუზი ეხვევათ, — ხარებს გაუძლვა.

— საღამოზე ჩემთან ჩამოხვალ და ჩერჩილის ამბავსაც გიამბობ... — და გაიცინა მადლიანად.

(ეს ძველზე მოხრა, თეთრი და ლურჯი ხელმწიფეების ომები რომ იცოდა).

აი, ვინ იყო კაცური კაცი, სწორედ ღვთისოს მაგარი იყვნენ ჩვენი წინაპრები, ღვთისოსთანა მაგარი ბეჭები ჰქონდათ, რომ წამოიციდეს ჩვენი ქვეყანა და დღემდე მოიტანეს.

1 კუბანური — ადგილის სახელია.

ხვიოსკაცობა

პეპა სოფელში მოწინავე კაცი იყო, სოფლის თავკაცებში ითვლებოდა. ქვეითების სახლი ერთ-ერთმა პირველ-თავანმა დაიდგა, ყოველ შემთხვევაში, ბავშვობიდანვე მახსოვს მისი ორსართულიანი სახლი. დანარჩენ მეზობლებს მაშინ მიწური სახლები ჰქონდათ.

პეპა, ჩვეულებრივ, ჩუსტებს იცვამდა, გრძელ ახალუხს, იხურავდა ყალმუხის ქუდს¹. კვირა ღღეს კი ჩოხას იცვამდა, ახნაურთა წესის მიხედვით², ხოლო ქამარ-ხანჯალს არ ატარებდა, იყო მშრომელი, უფრო დიდ ოჯახში სარისტიის მიმცემი, ოჯახი დიდი ჰქონდა და, ასე ვთქვათ წამსვლელ-მომსვლელის დამხედური იყო. პური მის ქმას, ეასოს, მოჰყავდა, ის იყო გუთნისდედა, ოთხი უღელი ხარ-კამეჩი მისი იყო და ამიტომ მოდგამი ცოტა ჰყავდა. რკინის გუთანი რომ შემოვიდა, არ მიიღო, ზეზეურად ხნავსო, როგორც მიწირია, ისე ეწირავო; „რკინი გუთნით მოცხნა და იმან სიმინდი ვერ მოიყვანოს, ხო იცი, სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობიანო. მამაჩემმა რომ გაიგოს, საფლავში გადატრიალდებო“, იტყოდა ხოლმე, როდესაც რკინის გუთანს შეუქებდნენ.

— არა, ისევე ჩემი აშენებული გუთნით უნდა ვანგრიო მიწა... პირველში ბიჭები წამოეზარდა, მაგათზე იყო ნათქვამი, დავწვრილშვილი დავიწიე, დამეზარდნენ ავიწიეო. ბალიც წამოესწროთ, ცოტაოდენი ფული გაუჩნდათ. ტყვიავსა, ჭერესა და კარბს სახასო მიწები ბევრი იყო, თვალი დაადგეს. პეპა ხშირად დადიოდა ჩვენსა, მამაჩემს სთხოვდა, არზა დამიწერეო. მამა ამ საქმეში აქტიურად ჩაერია, „მამული გლებმა უნდა ჩაიბაროსო“ და, მართლაც, საადგილმამულო ბანკის დახმარებით შეიძინეს.

პეპა გულმართალი კაცი იყო, მყვირალა, ყველას პირში მიახლიდა სიმართლესაც და მის მტყუანობასაც, მაგრამ ამავე დროს გულქართლი, უხვი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, მომღურავი თითქმის არა ჰყავდა.

გადამთიელი რომ ყოფილიყო, სახლში მიიწვევდა, სუფრას გაუშლიდა, გულს გადაუხსნიდა, მეზობლებსაც გადასძახებდა, მომხედეთ, მარტო კაცი პურიცამაშიც ბრალიაო. თვით კარს არავის აუტალახებდა, „მობრძანდის კაცი“ თუ არ ეახლებოდა. შემთხვევით არ იყო, რომ ერთ მშვენიერ ღღეს (იმ წელს სოფელში დავრჩი) გამომეცხადა და მახარა: ხვეისკაცებად აგვირჩიეს შენა, ჯაშაანთ ლექსო და მეო.

მე პირი დავადე.
— პეპა, მე რა ხვეისკაცი ვარ, სოფლის ადათ-ჩვეულება...

— ეე... მაგას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა: ჯერ ერთი, სოფელიც იცი, მეორე — წიგნი იცი, ბრმებში ცალთვალი — სარდალიაო. მესამე, უბრალოდ ჩაყრილ ჯამთან ჯდომა არ გიყვარს. დათვი დათესა ჰპატიეებდა, სხვის ეენახში მიჰყავდაო. ასეთ კაცს არ ეყარები, განა ვერა ვხედავთ!

მაინც შემათქმირიანა. ხვეისკაცობა ნიშნავდა სოფლისათვის სამართლის მიცემას. ხვეისკაცს ეკითხებოდა: წანახელი, მიწაწყალზე და მიწანზე დავა, ჭურ-

1 ჩემი ბაბუის დროს, ე. ა. 1917 წლამდე, ქართული გლეხის სანიადაგო ტანსაცმელი იყო კომით ამოსხმული ქალამანი, წინდა, პაიკი, ზოგჯერ საცვეთიც იცოდნენ. შარვალი ლურჯი, ლანისა, პერანგად თეთრი ნარჩა ან მოწინწკლური ჩიბი, შავი ხალათი. ზვიდან საღდათის მაზარა (ნახმარი 2-3 მან. ღირდა, ახალი 5 მან). უქმე ღღეს ჩუსტი ან გორული თეთრი ქალამანი, ჭრელი, წინდა, ჭრელი პაიკი, სახლში ნაქსოვი შალის ლურჯი ან შავი შარვალი, მოკლე ახალუხი და უარყოფილი ლურჯი ჩოხა. ქუდი ნაბღისა, მაგრამ კახურ ქუდზე ვაცილებით პატარა.

2 ახნაურნი იცვამდნენ წულა-მესტებს, უმთავრესად შვე შარვალს, გრძელ შვე ახალუხს, ჩოხას (შავი, ლევა, ზანგელა), რომელსაც მოსევადებელი მასრება ჰქონდა, ან ძვლისა, მუდი ყალბუხისა იყო. ქამარ-ხანჯალი ან სადა, ან მოსევადებელი ვერცხლისა. ხელმოკლენი იცვამდნენ ჩუსტებს, ხანჯალსაც ყველა არ ატარებდა.

დობა, წყლის დახვეება, წყლის მოპარვა და ვინ იცის კიდევ რა არა.

— რატომ არა მკითხეთ?

— რო გვეკითხა, უარს იტყოდი. ეს-ლა კი სოფლის გადაწყვეტილებას სად წაუხვალ? — და კეთილად გაიღიმა. რალა მეთქმოდა, დავთანხმდი, სიძნელეზე ისევ პეპამ გამიკეთა გული, „ომში რა სჯობიან და ხელში რაც მოგხვდებაო“.

ის ის იყო, მზე გადაიხარა და ჩრდილი გაგრძელდა, რომ პეპა და ლექსო კარზე მომადგნენ, მათ ახლდა პაპიანთ მათე, რომელსაც ჩია ტანის გამო „მაჩვის ტაბიკს“ ეძახდნენ. მათე რომ გეტყვათ, ბევრი ვერც კი გაიგებდა, მაგრამ „მაჩვის ტაბიკი“ ყველასათვის ცნობილი იყო.

— პანტელანთ კამეჩებს მათეს სიმინდი წაუხდენია, ლამი-ხარიდან გაპარულან და ისეო.

— მერე და რა იციან, რომ სწორედ პანტელანთ კამეჩებია?

— ამას რა ცოდნა უნდა, კვალის მიტანა ადვილია, ნაფეხური ხომ ისე წერს, როგორც შენი კალამი ქალაღზე.

— კვალში ჩაუდგეთ და იმათ გუთანთან მიგვიყვანს...

— ჩემი კამეჩები არ იყვნენ. — უარობდა პეტრე.

— აქ რა წყალი ვნაყოთ, წავიდეთ მინდორში, ჩაუდგეთ კვალში, ვნახოთ ნაფეხური და რასაც ის გვეტყვის, ჩვენც ის გადავწყვიტოთ.

მივედით სიმინდთან, თითქმის ნახევარი კვალი გამოვილია. გარინდებული მივეყვებოდი და გულისყურით ვისმენდი მათ მსჯელობას:

— ორივე შენი კამეჩია, პეტრე, ნიკორაცა და შაქარაც, რას იტყვი?

— რალა მეთქმის? ძალიან კი არ დამჩაგროთ, — იყისრა პეტრემ.

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა. სიმინდს რომ მოსჭრი, ორ კოდნახევარი უნდა მიუწყო. არა, ალექსი! შენა, ჩვენო წიგნის ოსტატი!

მე თავი დაუქნიე თანხმობის ნიშნად.

— უღანოდ ყელსა მჭრით და ყუჭაძი. ე ნახევარ კვალს მაგოდენა გამოვა? და-კარგული ფური ბევრს იწველიდაო, თქვენ ისე სჭრით.

— ცოტაა... — ყვირის მათე.

— მართალია! — უდასტურებს პეპა.

— ბევრია!

— შენც მართალი ხარ?

ჩვენ გველიმება, ელიმება პეპასაც.

ჩვენს სოფლებში ფართოდ იყო გავრცელებული ზედმეტი სახელი, რომელიც ხშირად გამოსახებდა ადამიანის თვისებას — სიხარბეს (მგელი), ეშმაკობას (კუდიანი), სიჭიუტეს — (ჭიჭი), გარეგნობას (ნიკორა, ყურა, ჯაგრია), შემდეგ ამ სახელიდან მათ შვილებს (ვაყებს) ერქმეოდა: მგლიბიჭი, კუდიანი-ბიჭი, ჭიჭის ბიჭი, ნიკორას ბიჭი. იყო სახელები, რომელიც შეიძლება ქართველი ტომების პირველ სახელებს აღნიშნავდეს (ბაბაია, ბათრაჯა, კუწა, ბოკო, შოთია, კუქია, შეთე, ფოხო და სხვა) „ზნაჩიტა“ — ჯარიდან რომ დაბრუნდა, სულ „ზნაჩიტს“ გაიძახოდა. გულკოჰა — იმერეთიდან გადმოსული ტაბარუჯი იყო. როცა გაჯავრდებოდა, და იტყოდა: „გულს კოჰი მომიყვანეო“. გარდა ამისა, არსებობდა სახელები, რომელიც დღეს არაფერს გამოსახავენ (ტეკანე, ტოტობა, ქიკია, ჭრიკი, ცოცობა, ტოტო და სხვ.); ხშირად ზედმეტი სახელით ოჯახი იხსენებოდა — ქვაკრეფიანი — ქვაკრეფია, კუდიანია-ნი — (კუდიანი), მკედლიანია, მღვდლიანია — (ოჯახის უფროსის პროფესია) და სხვა ასეთი ზედმეტი სახელი ერქმეოდა ვაყებს, იშვიათად ქალებსაც.

— ცოტა — ვისაც ბევრი აქვს, ბევრია — ვისაც ცოტა აქვს.

— ჩვენ შუა ნათელი მირონი რო არა ტრიალებდეს, მე ვიცოდი, მაგრამ თქვენ სად გაგაქცევათ კაცი, — ამბობს პეტრე.

— ჰოდა, რახან ეგვეც იცი, შინ წადი და ჩვენც მალე ჩამოვალთ, თიკოს უთ-

ხარი, არა დაგვაქლოს რა. გარდიგარდ-
მოებშია კიდეც რაღაც წინახედი, იმასაც
ენახავთ და მალე თავს დაგვიკრავთ.

ორივე სოფლისკენ წავიდა, პეტრეც
და მათეც. ჩვენ კი გარდიგარდმოებში
ენახეთ ერთი სიმინდი.

— თქმა არ უნდა, მეღაანთ ხარებია,
— აი ეს ბეჟანას კვალი, ეს კოტასი, —
თქვა პეპამ, კვალს რომ დახედა.

— ჰო, იმათასა ჰგავს.

— ეხლა იმათ როგორ მიუღდება
კაცი...

— მიუღდება. სოფელს ვერ გაქცე-
ვიან. არც ისეა საქმე, მელიას კედის
მოქნევამ, ქათამს თვალი გამოსთხარაო.
აყიებია, მაგრამ მოეველება, ხო იცი,
სოფელი ღონიერია. — დიწხად თქვა
ლექსომ და დასარიელზე გახედა გა-
წითლებულ მზეს.

ჩავედით სოფელში, პეტრეს დერე-
ფანში სუფრა გაეშალა. ყველი, მწვა-
ნილი, წნილი, კარგი მახობელა! პური
და სველი ხელადა. პეპამ ხელადა
აიღო ხელში, ცოტა შეეჩანა, საესეა თუ
არაო. ცოტა ხნის შემდეგ მათეც მოვი-
და, ცალ ხელში ლურჯასუფრაგადაფა-
რებული ხონჩა ეკირა. მეორეში —
სველი საღვინე.

— ეჰ, მათე, შენ ავაშენა ღმერთმა,
აი, მაგაზეა ნათქვამი კიი კაცი სუფრა-
ზეო, თანაც ხელდამშვენებული.

გავსო ჩამი და მიაწოდა, იმანაც ჩა-
მოართვა, უღვაშზე ხელი გადაისცა, წა-
მოახველა, მადლა აიხედა, ღმერთს შე-
ხედა.

— ავაშენოთ, დაგამშვენოთ, ხევი
და ბარაქა არ გამოილიოს თქვენს ოჯახ-

ში, — და დიწხად შეუღდა ჩამის გა-
მოცლას.

— გაამოს, ჩემო მათე! — შეაწია პე-
პამ.

— რატომ არ იამება რა? — ვერ მო-
ითმინა პეტრემ.

— პეტრე, ხანდახან არა ხარ კიი კაცი.

— რატო რა, მე ვის შეუწევი გველის
თავი?

— არც მათეს ჩაუხვევია ვისმესთვის
მარგალიტის საკინძე.

— რა, ღვინომ ხო არ მოგტაცათ თა-
ვი? — ცოტა არ იყოს შეუტია ლექსომ.

— ვინა თქვა, მაგრამ არ მიყვარს
ორენა კაცი. აბა ერთი სატალახოც და
მორჩა.

ეზოში რომ გამოვედით, ცა ვარს-
კვლავებით იყო მოქვედილი — პეპა არ
ისვენებდა — რათა თქვა პეტრემ მრუ-
დე სიტყვაო.

— კარგი პეპა, ხო იცი პეტრეც მო-
უსვენარია...

— მოუსვენარი, თორემ რკინის კარი
არ ჩამომიხსნას, მაგრამ მაინც კიი მას-
პინძელი იყო, ააშენოს ღმერთმა.

მეორე ღვინე ისევ პეპა და ლექსო
მომადგნენ კარზე.

— კაცო, არ გეგმის შუა უბანში რა
ვიყვივია?

— კიდეც არა, რაღაცას მოვკარ უყ-
რი, მაგრამ საქმემ თავი წამართვა და...

— ხაბაზანთ ჩხუბი მოსვლიათ, ჯაგ-
რიას გიორგასათვის თავი გაუტეხია.
მმათა შეიღობა მაინც არ იყენენ.

— აბა მამ იქნება შერიგებისა, თავ-
გასამტეხლო...

— შენ ეგა თქვი და...

ჩავედით, ბანზე ხალხია შეგროვილი,
ვაჟი თუ ქალი.

ყველაზე მეტს გიორგას ცოლი წი-
წინებდა, დიდი მგელივლევია ქალი
იყო, რომ დაგვიჩანა, უფრო უმატა,
წუთში ორას სიტყვას მაინც ამბობდა.

პეპა ჯობზე დაეყრდნო.

— აბა, რაშია საქმე?

უტბად სიჩქემე ჩამოვარდა. გიორგა
წინ წამოღდა. თავი თეთრი ხილაბანდით

1 მახობელა პური ქართლში იყო და „მახო-
ბელა“, პურის ჯიში არაა, ერთწლოვანი და-
ტოტიანებული სარეველა ბალახია, იზრდება
ნახევარი ან ერთი მეტრის სიმაღლე. მისი თეს-
ლი ხორბლის სიმსილა და ზოგი მათგანი
ცხრილის შემდეგ დასაფქვე ხორბალში ჩაება.
შეიკავს ზეთს (ოსმალეთში მას ცალკეც თესა-
ვენ ცხიპის მისაღებად). ცხიში პაერთან შეხე-
ბით ლურჯდება და ამიტომ აქვს პურის ლურ-
ჯი ფერი, არბოლებს კიდეც პურს. აფვილად
არ ფაშრდება.

გ. მარტოს ს.ხ. საქ. სსრ

აქვს შეხვეული, თეთრ ტილოს სისხლის წვეთები ატყვია, როგორც ჩანს, მართლა გაუტეხია თავი, მაგრამ კრილობა მსუბუქი ჩანს, მოსამართლისათვის კი სულ ერთია, სისხლი დაღვრილია...

დაობენ კედელზე. კედელი ორი ოჯახისათვის საერთოა, სამხრეთით ერთი ცხოვრობს, აღმოსავლეთით მეორე.

— ეს კედელი ჩემია, უსისხლოთ არავის დაევანებებ.

— როგორ თუ შენია... აქნევს რკინის ფიწალს თავშეხვეული გიორგა.

— აბა, მოიტა ფიწალი! — პეპამ ჩამოართვა და ბაღს მისცა „წადი, საბძელში შეიტანეო“.

— სოლომონ! — მიმართა პეპამ ოთხმოცდაათი წლის პაპიანთ სოლოს, — რამდენი წელიწადია ეს კედელი აქ არის?

— რამდენი აბა რა ვიცი, რაც თავი მახსოვს ეგრება.

— ერთი ესეც მითხარი, მაგათ მამაპაპის ჩხუბი გავიგია ამ კედელზე?

— ამ კედელზე? ვის გაუგონია, რომ მე გამეგონოს.

— ჰო და, თქვენ რაღა ძველი ქეშმარიტი შეგეწიათ, რა თავიბრს ამტვრევთ ერთმანეთს. არც სახლისკაცობა გწამთ და არც ძმათაშვილობაო.

ხან ერთმა სარჩლა და ხან მეორემ, თანაც ერთმანეთს თათხაუნენ, სახლი უნდა ავაშენოთ და კედელი სწორედ აქ მოდისო. ჩანდა გიორგა ცოტა მიზეზიანობდა, მკლავი უჭრიდა და იმის იმედო ჰქონდა. ჩვენ ცოტა წავითათბირეთ და პეპამ გამოაცხადა.

— კედლის ნახევარი სიგრძეზე ერთსა, ნახევარი მეორეს, თუ გინდა, დანგრეით და ნახევრის ლარზე ახალი კედელი აიშენეთ. ამ განაჩენის და პირის გამტეხს გაუწყრეს წმინდა გიორგისა და ძველი ქეშმარიტის მაღლი, ამინ!

— ამინ! — ვთქვით მე და ლექსომაყ და მოჩხუბებებს გადავხედეთ. მათ ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ მაინც თქვეს „ამინ“.

— კაი სიტყვაა, ამინ თქვეს ბანზე შეკრებილებმა... *სიხლირითქა*

— ჰო და, თქვენც მართალი ხართ... ჯაგრია, რაღასა დგებართ? ჩადი, სად არის შენი დედაკაცი?

იქვე იდგა. ისიც სანდომიანი სახის კეკლუცი მანდილოსანი, ჩახმხზე შეყენებულევით იყო, ცოტაც და ისიც ტყვიამფრქვეევით აკაკანდებოდა.

— თადარიგი დაიქით, შუა უბანში ჩავალთ და მალე მოვბრუნდებით.

შუა უბანში რაზმანთ ზაქროს ლიჩელის ძაღლი მოეკლა და ახლა ის უნდა გაგვეჩჩია. იქაც იყო დავა, აყალმაყალი, შაქრა ღვთის წინაშე კაი ვაქცაი იყო, მზის ჩამონატეხსა ჰკავდა დალოცვილი, — რა ვქნა, ყურძენსა ჰკამდა და ვერ მოვითმინე, ვენახიდან მოვდიოდი და ფეხი უკანა მრჩებოდა.

პეპამ „შენც მართალი ხარ, შენცაო“ და საქმე მალე მოაგვარა. მეზობლები შევარიგეთ¹.

— პეპა, როგორ არის, რომ ყველას ეუბნები შენც მართალი ხარ, შენცაო, — შევეკითხე უკან რომ მოვდიოდით. პეპას თვალეზში რაღაცა მხიარული ეშმაკი ჩაღვა და იქიდან გადმოშმახა:

— შენც მართალი ხარ. ხომ ხედავ, სამართლის ქნა მახოხის ქამა კი არ არის!

— მაგათი ღვინო ვალად დარჩება, — სთქვა ალექსიმ.

— რად გინდა? მაგათი დედაკაცები ისეთი ქვაწვიები არიან, ღვინო ყელში არ ჩავა.

— არც ეგრება, — თქვა ლექსომ, — თითო კოჭობი ყველას ოჯახში დღეს, ზოგში რა იხარშება და ზოგში რა.

უკვე მოსალამოვდა, როცა ჯაგრიასთან ვიყავით, პირი დაებანა, ახალი ახალუბი ჩაეცვა, მისი ცოლი კეკლუცა ტრიალებდა. ლამაზი სუფრა გაეშალა, ფეხებამოტრიალებული დედალიც იდო: წნილიც, მწვანილიც, სველი ხელადაც.

¹ ამ მსაჯულების ერთადერთი გასამრჩელი იყო სახელდახლო „საღლი“, ან „ვახშამი“, რომელიც გამტყუნებულის ვალი იყო.

— გიორგა არ მოვიყვანოთ? — ჰკითხა პეპამ მასპინძლებს.

— რაეი? თქვენ თითონ იცით, თუ მოვა მაგას რა აჯობებს.

— შეარიგეთ, თქვენი ჯანის ჰირიმე, — სიტყვა შეაწია კეკლუცამ.

— აბა ლექსო, გაატარე სიტყვა.

შემოვიდა მურწასმული ლექსო.

— არ მოდის, თავი გამიტეხა და როგორ მოვიდეთ?

— მართალია, აბა ერთი შენ მიხედე, რაც ბებრებმა ვერ გავაკეთეთ, იქნებ თქვენ იმარჯვოთ — გამატანა ორლუსული სიტყვა პეპამ.

გიორგასაც დაებანა პირი, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. მისი „ამოღებული ხმალი“ — ცოლი — ხონჩას უტრიალებდა, თან ტკრციალებდა:

— გაგონილაა, თავი გაუტეხოვნ და აქ გადმოდიო...

ენლა არ მახსოვს რა სიტყვა ვუთხარი, მაგრამ გიორგა წამოიყვია. თუმცა რა ვუთხარი? წამოსასველად მზად იყო.

— აი, შენ ავაშენა ღმერთმა! — შესძახა ნასიამოვნებმა პეპამ.

— ჩამოართვით ხელი! — უბრძანა პეპამ.

ხელი კი გაუწოდეს ერთმანეთს, მაგრამ თვლებში არ უყურებდნენ. პეპამ აიღო პურის ნატეხი და გაუწოდა ჯაგრიას — თქვი რაც წესიაო.

— ამ წმინდა, გლეხის ალალი მარჯვენით მოყვანილი პურის მადლი გამიწყურეს, თუ როდისმე კიდევ ირიბად გავხედო ჩემ კარის მევზობელს გიორგასა.

ასევე მოიქცა გიორგაც.

პეპამ აავსო ჯამი, შეხედა ჰერს და წარმოთქვა:

— იხარე ჰერო, მოკვდი მტერო, სიამტკბილობისმეტე არა გამეგონოს რა თქვენ შორის.

დაცალა ჯამი, დადგა და აავლიჯა ჭამას ბარკალ-თემო, შეატრიალ-შემოატრიალა, სიამოვნებით გაიღიმა და გამოიმიწოდა.

— აბა, ჩვენო ხევიკაცო... — იმდენი

სიტბო იყო ამ თქმაში, რომ დღესაც მახსოვს, როგორც უძვირფასესნ მსახურქარი. უხაროდა, რომ მშრომელნი სკალბის შეარიგა.

თითო ჯამი რომ ჩამოვარიგეთ, პეპამ სუფრული წამოიწყო, გიორგა ადგა და ჩუმად გავიდა. მალე შემობრუნდა საე-

სე საღვინითა და ხონჩით ხელში, თან მალხაზიც შემოჰყვია.

— თქვენ სმეულებას გაუმარჯოს!

— უჰ, მალხაზ, მობრძანდით, — გაცხარდა პეპას.

— რად გინდოდა, კაცო...

— განა გვაკლია, მაგრამ ხო იცი, ირემმა ირემს გაუწოდაო... ჩემმა დედა-

კაცმა — კობრჩხილის წნილი და კაი ნიგვზიანი თაბასარა იქნება ეამოთ ღვინოზეო.

— მართალი ხარ, გიორგა მართალი, აბა, მალხაზ, მომეყ.

ღმერთო ნუ მოშლი ამ სახლში ლხინსა და ლხინის სუფრასა, ვაფების ქორწინებასა, ქალების გათხოვებასა.

ახლა მალხაზმა უთხრა:

ანაო, ქალო ანაო, ხელპირი დავებანაო, შენი პირსახის ნატეხი ციე წყაროს ჩამომღვარაო, შიგ დაკეანი დამხრჩვალა, საბრალო დედის ერთაო.

მერე ჯაგრიამ თქვა, თქვა და ისე თქვა, კინაღამ ჰერო ახადა.

ერთხელ კიდევ თქვა პეპამ „იხარე ჰეროო“, დალია საყველაწმიდო, სატალახო და, ხომლი რომ ცაზე გამართულიყო, მაშინ გამოეედით კარში. მკლავი მკლავს გადახვეულმა ჯაგრიამ და გიორგამ გამოგვაცილეს.

მიდიოდა პეპა და მოლიღინებდა.

— კაი საქმე გაცეთდა, არა?

— ძალიან კარგი!

— მერე და ვინ გააკეთა?

— შენა, პეპა.

— მართალი ხარ. მაგრამ უთქვენოთ რო არ ვარგივარ. ის როგორ არის, რო დაწვები იქითხავე: ქვეყანას რა ვარგეო?

— შემეკითხა.

— მე სხვაე ვიცი.

— აბა, აბა?

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა
ვმსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა
იბრუნოს...

— თუ, რაო... კაცი არ ვარგა სოფ-
ლისათვის არ იყვესო? კარგია, არა?
დაილოცოს მაგის მთქმელი! — და შე-
მოსძახა.

— ქალი მოგვყავს, ქალთამშუო, ღვი-
ნო შეესვით მარანზეო, ჰეი დაა...

მესამე დღეს კიდევ გაჩნდა სახევის-
კაცო. პანტირზე წყალი დაეხვევებინათ
მგლიბიკებმა და ბაბაიას სიმიინდი სულ
წაეღო. ესეც გაეარჩიეთ. დაეაქსრეთ
სათავეს ამოყვანა და სიმიინდის წანახე-
დი სამ კოღამდე.

მოვდივარ სახლისაკენ და ვფიქრობ,
სოფელში არ დაილევა ჩხუბი და წანა-
ხედი, ძაღლისა და გოქის მოკვლა და,
შე რომ ყოველ სუფრას დავესწრო, სად
წაევა?

— პეპა, — ვეუბნები! — მოდი, პი-
რობა დავდოთ, ჩვენი ხევის-კაცობის
პირველ ნახევარში შენთან ვიქნები, მე-
ორეში ვეღარ გამოვყვები.

ჯერ ვერ მიმიხვდა. მერე როცა გაეა-
გუბინე, თავი გადააქნ-გადმოაქნია და
თან დაატანა:

— მეტი რა ჯანია, შენც მართალი
ხარ! — მითხრა.

მაგრამ ხანდახან ვერ გავეშტეოდი
ხოლმე, მითუფრო თუ სასამოენო ოჯა-
ხი იყო, აი, ისეთი, ნათელი გადასდი-
სო, რომ იტყოდნენ ხოლმე.

ასეა თუ ისე, ხევისკაცობას დიდი სი-
ამოვნებით ვიგონებ, ბევრი რამ ვისწაე-
ლე და დიდ მასწავლებელთა შორის პე-
პაც იყო.

მუშა ფუტკარი

სოფელი ღონიერია არა ერთი და
ორი შეძლებული ოჯახით. სწორი თუ
მრუდე გზით რომ აუესიათ სახლ-კარი,
არამედ ისეთებით, ალალი გული რომ
აქეთ, ქვეყანას თავალებული უსწორო-

ბენ თვალს და პირზე ღიმილი აფენიანთ,
ასეთებზეა ნათქვამი. **უარჩინესული
გინჯლირთხეა**

საწყალი კაცის ცხოვრებას,
არ უნდა ბევრი ხრიალი,
უღელი ზარი ეყოფა,
ორიოდ ძროხა რქიანი.
ცოლი შეირთოს შრომელი,
პატოსანი, ზნაინა:
თვითონაც იყოს მემკაცი,
ცოლშვილთმოყვარე, პეკიანი,
მეზობელ-ნათესავებთან
ხათრიან-თავაზიანი.

ესენი იყვნენ სოფლის დედაბოძები.
გამდიდრებული ოჯახი დღეს იყო, ხვალ
არ იქნებოდა, ეს ხალხი კი ერის ძარღ-
ვსა კვებავდა. შრომობდა. იღწეოდა,
უყვარდა მხიარულებაც, სტუმარს უპა-
ტიოდ არ გაუშვებდა.

ვისაც სტუმარი ეწვიოს,
სტუმარი არნახელისა,
დააპოს ურმისა მორგეი,
ზაფხულის შენახელისა,
დასწევს ორწალი, ორითითი,
ცეცბლიც დაანთოს გულისა,
ოთხკუთხეი ბოლი ავიდეს,
დასკვს და ანადიმოსა.
ატლასის კაბა ჩააცვას,
და ცხენსაც შესვას პილოსა,
თუ კი არ ასწევს ღენოსა.

ამიტომ თავის სამყოფი ვენახიც
ჰქონდათ, ბაღიცა და ბოატანიცა, მათი
სიმდიდრე და სიკეთე მარჯვენა და ალა-
ლი გული იყო.

აი, ქიტო ქალღალღში ეწერა აზნაუ-
რიოო, მაგრამ მისი აზნაურობა თვი-
თონაც დაეიწყებულა ჰქონდა და სხვა-
საც. გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა. კა-
რგი გუთნიდებდა იყო, ურმისა და სხვა
იარაღის მკეთებელი, მამულ-დედული
ბევრი არ ჰქონდა, მაგრამ გამრჩე კაცი
იყო და ტკბილი ლუქმა არ აკლდა.

ქიტო ცნობილი მოღვაწის — გიგო
ყიფშიძის მოყვარე იყო (ცოლის ძმა):
ზაფხულში ქიტოს ხშირად ესტუმრე-
ბოდა ხოლმე თავის შვილებით (ვასო
ყიფშიძე, შემდეგ უნივერსიტეტის დო-
ცენტი, ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონის-
პირელი, მარჯანიშვილის სახელობის

თეატრის მსახიობი); როცა ჩვენს სოფელში იყვნენ, წარმოდგენებაც მართავდნენ.

ჭიტოს ცხენი არ ჰყავდა, მაგრამ ჯორი ჰყავდა ფეხ-მაგარი, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ შეკავშავდა და გასწევდა სალოლაშენისაკენ, სადაც 15-16 აგვისტოს იცოდა დიდი დღეობა, მარიამობა, ანუ ღვთისობლობა. იქ ორ-სამ დღეს დარჩებოდა და ისევ მიაშურებდა სახლს. მეუღლე დარდიან არ იყო: „ან ერთი ლიახვე წაიღებს, ან მეორეო“. მაშინ პატარა ლიახვეზე ხიდი არსად იყო, დიდ ლიახვეზე კი — მხოლოდ ცხინვალში იყო — და იქით მოვლავშორებოდა. ჩვენი ჭიტო გადასჭრიდა შინდისის პირდაპირ დიდ ლიახვეს, დასველებოდა, მაგრამ სანამ სალოლაშენში ჩაეიდოდა, გაშრებოდა კიდევ, აგვისტო იყო, ცხელიდა.

კვიმატი გონების კაცი იყო, სიტყვა-პასუხიანი. ოთხმოცდაათიან წლებში ცოფიანმა ძალმა დაგლიჯა. სოფლის თავაკებმა ითავეს, ფული შეაგროვეს, გულზე დიდი ქალაღი დაჰკიდეს, რომელზედაც ქართულად და რუსულად ეწერა: „მივდივარ ოდესაში, ცოფის შრატის სადგურზე, მითხარით საით წავიდე“?. ჩამოიყვანეს გორში, ჩასვეს მატარებელში და გაამგზავრეს ფოთისაკენ. იმავე დღეს ჩავსვით გემში. ვიღაც ღვთისნიერ კაცს გემიდან წაყვანა ცოფის სადგურზე და ნამკურნალევი დაბრუნდა სოფელში. გულზე ქალაღი აღარ დაეკიდა. გავაგნებო, ეთქვა და გამოაგნო კიდევ.

ურმული იცოდა შესანიშნავად, რომ წამოვიზარდე, მე და ის, ჩვენი ოჯახის მეკალოები ვიყავით. ჭიტო ჩემთან ნაცვალგარდა იყო (მერე მე უნდა მეშველა იმდენივე დღე, რამდენსაც ის იმუშავებდა), ყანები სოფლის თავსა და სოფლის ბოლოს გვექონდა. 3-4 კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი. სადაც ბევრი იყო ნათესი, კალოც იქ უნდა გაკეთებულიყო, ხან კუბანაურში, ხან კარბულეებში, ძნას და ბულულს მეორე

მინდერიდან კალოზე ვეზიდებოდით. სანამ ირიყრაყებდა, ძნა მანამ უნდა ჩამოგვეტანა, თუ წინასწარ არ იყო ჩამოტანილი და მთაქცეულად დადგმული; კალოს პირზე მთაქცეულის დადგმასაც ვერიდებოდით, ქარს უშლიდა ნალექის განიავების დროს, კალოში 3-4 ურემი ბულული თუ ძნა უნდა ჩაგვეშალა. ამიტომ ძნის ზიდვას ნაშუალამევს ვიწყებდით, ბულულს მე ვუდებდით, თითქოს კი მე უნდა მიმეწოდებინა, რადგან ჭიტოზე მაღალი ვიყავი. მაგრამ ჭიტომ არა ქნა, „შენ კარგად უდებ და ურემზე შენ იყავიო“. მე ეს შემაყებოდა კიდევ. ერთხელ კარბულეებიდან კუბანაურში მიგვაქვს პირველი ურემი, ურმის თავზე ჭიტო ზის და აღიღინებს ურმულს; მე ბევრი კარგი ურმული გამოვიყავი სოფელში — სანდრო ჩუტკერაშვილისა, მიხა პაპიაშვილისა, გორელი მეურმისა თუ სხვისა, თბილისში სანდრო კაცსაძისა, ჯოყოლა სამკუჯაშვილისა და მრავალი სხვისა, მაგრამ იმისთანა ლირიკული, გულში ჩამწვდომი ურმული, არავისგან მომისმენია.

აი, გავიარეთ ჩვენი სოფლის ლამაზი გოგოების უბანი, და გავედით წყალზე, წყლის პირას თბილისელი ვეჭილის ილია ნატროშვილის სახლ-კარია (ერთ-ერთი ერისთავის სახლ-კარი და მამული იყიდა და აქ ჩასახლდა), ოთხი შვილი ჰყავდა. ორი ვაჟი სტუდენტი იყო. ხშირად ამოდიოდნენ ზაფხულობით, მაგრამ თავს არაეის უყადრებდნენ. მათი მამა თბილისში პოპულარული ვეჭილი იყო და ფული არ აკლდათ.

მიღის ჩვენი ურემი და მღერის ჭიტო, კი არ მღერის, კალოებს და ლოოფუნებს. უცბად წინ სამი ნახევრადშიშველი ახალგაზრდა აგვეტუზა. გეგონებათ ქალის. ეშმაკებიო, ისე უელავდათ თვალები. საყვერის ხარები კარგები გვება და კინალამ დაგვიფრთხეს. ჭიტომ სიმღერა შეწყვიტა.

— შენ გენაცვალე, ისევ იმღერე, იმღერე რა? — იხვეწება ერთი.

— ვიმდგომო რა, მე შენ გითხრა, ქრულ სუფრას გაშლი! კი არ ვიმდგომოდ, ვილინებდი, — დაუმატა.

— ჰოდა კიდევ, შენ გენაცვალე, კიდევ...

— მაშ მომეცალეთ, — და გააკრა შოლტი საყვერის ხარებს. დაიწყო და რა დაიწყო, გვეგონებათ აბრეშუმის ძაფი ამოახვიდაო. სამივე გვერდით მოგვდევდა. ერთი მათგანი შედგა და წამოიწყო ურმული. „უუუუერე ერთი, რა სიმღერა სცოდნია და მე მატანდა ძალასო“ — ამომძახხა ქიტომ. მიირყეოდა ურემი და წყრიალებდა უცხო მოყმის ურმული, მაღლა ცაში, იქ, სადღაც ვარსკვლავებში იკარგებოდა.

ზევით რომ სიმღერა შეწყდა, ახლა ქიტომ ამოიღო ხმა, შემოსძახხა და რა შემოსძახხა! იქნებ ეს იყო მისი ასეთი ომახიანი ურმული პირველიც და უკანასკნელიც.

შემდეგ ერთ-ერთი მკვლევარის წიგნში წავეითებე, ვანო სარაჯიშვილის ბიოგრაფია, ასეთ შემთხვევაზე წერდა.

არ ვიცი, მე და ქიტოს შემთხვევაზე ლაპარაკობდა თუ სხვაზე; მაგრამ მე და ქიტოს კი ეს გადაგვხდა.

მიყვარდა ამ წყნარ, კეთილ კაცთან მუშაობაც და საუბარიც. 7-8 კომლი იყო მისი მოგვარე სოფელში, მაგრამ ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი თავმდაბლობით და ენამახვილობით.

— აღზევანში ხომ არ იყავით, სადა ხართ აქამდე, — შემოგვიტევედა დიმიტრი.

— ეხლა კი იდიდისიტყვა ჩვენმა გაუციხარმა ხელმწიფემ, — წამჩურჩულა ქიტომ. ხმამაღლა არ იტყოდა, არ იწყინოსო. გესაყვედურობდა და კავშირს ცხენს გარსაკრავს უჭერდა. ცხენს ფიჭლის მოგრძო ნამტერევეებით მოკობილ კევრში ვაბამდიოთ. კევრი არ იშლებოდა, ორივე ფიცარი შეკრული იყო; ხარების კევრს სხვა კობი უნდა, ნესტოინანი კლდე, ხშირად ტუფი.

ხარებს ახურმავს! არ ეუკეთებდით. პირიქით, სანამ შევაბამდნო, მიგვეუკეთებდით კალოზე, რომ ეკამათ. სვანეთში კი მინახავს. „ჩანს კამა ქონებაზე ჰკილიაო“, ასე მითხრა ეს რომ ქიტოს ეუამბე.

იმის კალოს რომ ვლევდით, ერთი კალოს ნალეწიდან თითქმის არა დადგარა. „ქვენა ქარმა აასწრაფა, აიოდა, ქარებულზე მეტესა, იქ ხომ იცი ქალა არაა, რომ ამოჰფარებოდა იმ სატილოსო“.

— ეგ არაფერი, ზოგჯერ ისე აოდავს ხოლმე, რომ დედალ-მამალი წყდება, ზოგჯერ სეტყვა ჩარეგავს, ხეხილსაც და ვენახსაც, თავს უგლის ხოლმე და ვრჩებით ცარიელზე.

კალოზე რომ ჩამოვიდოდო, ჯიბიდან ხან კიტრს ამოიღებდა, ხან ატამს და ვაშლს და გამოგვიწოდებდა, „პირი გაისველეთ თორემ ამ გაგანია დღეს ამოშრებითო“ — თან დაატანდა.

უბრალოდ ხმას არ აუწევდა. თუ ყანას ან სიმიდს ვინმე წაუხდენდა, წყნარად ეტყოდა:

— წამო, თედო, ზევისკაცებმა გადაწყვიტონ ჩვენი ავკარგი; სოფელში ფეხს წინ არ წადგამდა. ყველა პატივს სცემდა. აუგს არავინ ეტყოდა.

• • •

ჩვენს სოფელში ოდიანთ უბანი იყო, ჩემს ბავშვობაში რვა-ცხრა კომლი ცხოვრობდა.

ოდიანთ ქიტე და ნიკო ობლები იყვნენ. მამა, ალექსი, უბნის მენახირე, რომელსაც ზედმეტს სახელად „ოტორინეს“ ეძახდნენ, აღრე-მოუკვდათ. ობლებს, ორ ძმასა და ერთ დას, დედა, ერთი პატარა ქალი, მელო, თავის შავი კაბის კალთით ზრდიდა.

პირველ ხანებში ბიჭები სხვებისაგან არაფრით გამოირჩეოდნენ. ბარავდნენ, თოხნიდნენ, მკილდნენ. ნიკომ აუარებე-

1 ახურმაგი — თოფრა არის დაწეულა (ხართა პირთა ამოსდებენ კალოთა, რათა მნა ვერკამოს და ამოიკობნოს (საბა), ახურმაგი სვანეთში დღემდე გვხვდებოდა.

ლი ლექსი იცოდა და თუ რამე ვისწავ-
ლუ (ჩემი ხნისა იყო), მისგან ვისწავლუ.
კარგადვე მღეროდა, ის რომ „ცანგალა
და გოგონას“ იტყოდა, ქვემო უბანში
ესმოდათ.

ერთ მშვენიერ დღეს ქიტემ ურმის
თვლის კეთება დაიწყო. ერთ კვირაში
ისეთი კოპწია საბარო ურემი შეკრა,
სოფელი სანახავად მოდიოდა, უკვირ-
დათ დღემდე რატომ არ ჩანდაო. წისქ-
ვილი მოეშალათ, ორ კვირაში წისქვი-
ლი შეკრა და დაატრიალა, შემდეგ მთე-
ლი ღიახვის ხეობის (ორივესი) წისქვი-
ლებს მას აკეთებინებდნენ ხოლმე.

ოცდღობრიანი ყახა ითიბებოდა. თე-
ლაანთ ტატე და ქიტე ეჯობებოდა
ერთმანეთს. „როგორ შეებდა დევივით
კაცსაო“. — ვთქვით. ყანაში გაქრილი
დათა ძალუმად იქნევს მკლავებს, მაგ-
რამ ნაღვარევი ნაწვერალი ჩანს. ქიტე
კი ღინჯად მისდევს, ერთხელ არ აჩ-
ქარდება. მისი ცელის ნაღვარევის ფეხს
ვერ გადააწვდენ. თავიდან ბოლომდე
თანაბარია, არ ვიცი, რითი გათავდებო-
და ეს საქმე, ყანის პატრონს რომ არ
შეეწყვიტა. თითო ჯამი ღვინო დაალე-
ვინა. ვერხვისკენ უჩვენა — წადით, და-
ისვენეთო. „ეინ გაიმარჯვა, ვინა? —
იძახდნენ სხვა მცელაეები. „აჩქარებითა
სოფელი არავის მოუქამიაო“, — უპა-
სუხა ქვეინა ხალხმა.

არც ქიტე და არც ნიკა არ ცდილობ-
დნენ გამორჩეულიყვნენ სხვებში. დე-
დას ერთი ის აწუხებდა, რომ ცოლს არ
ირთავდნენ.

— მიწურში ხომ არ მოვიყვანო?

— მამა-პაპა ამ მიწურში ცხოვრობდა
და თქვენ რა მამაზე ერისთაეები ხართ?
— შეუტევდა დედა.

მალე ქვითყირის სახლი წამოჭიმეს,
მაგრამ მელო ველარ მოესწრო მათ
ბედნიერებას. ნავენახარში დადგეს ორი
ერთნაირი კოპწია, ორსართულიანი
სახლი: ამის შემდეგ ისე გაიყარნენ,
თავკაცები არ დასჭირებიათ; როცა ეს
საქმე მოათავეს, ხევისკაცებსა და ერთ-
ორ თავკაცს დაუძახეს, თავის ამბავი

უთხრეს, ახლა ორ კომლად გვიგულე-
თო. კარგი სუფრა გაუშალეს. დღესასწა-
ლისთავი რომ გადაიხადეს, ცოლზე მამა-
შინ იფიქრეს. ქიტემ მეზობელ სოფლი-
დან მოიყვანა მეუღლე.

— კარგი მეოჯახე იყოს, სახლყარისა
იცოდეს, ყბედი და მძინარა არ იყოსო,
— ასეთი დავალება მისცა შუამავალს,
— თორემ ნათქვამიაო:

ღმერთო ნუ მისცემ ვაყვაცსა,
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,
ის მოკლავს, ის დააწვდებს,
ის მისცემს წყალსა მძინარსაო.

მართლაც გამრჯე და პატროსანი მე-
უღლე შეხვდა.

ნიკომ კი ჩვენ ხევისკაცების მეთა-
ურს, პეპას მოსტაცა ქალთაშუე ანიკო.
ატყდა ყყანი. დედამ მუჭლუგუნე
წამკრა: გადადი შენს მეგობარს სიტყვა
შეაწიეო.

პეპამ რომ დამინახა, კოპი შეიკრა.

— შენ კაიკაცობისათვის არ იქნები
მოსული!

— სწორედ კაიკაცობისთვის, პეპა,
კაიკაცობისთვის.

— შენც მართალი ხარ, — წამოსც-
და. მეც გამეღიმა და იმასაც.

გავცალკევდით, ვილაპარაკეთ.

— დაიცა, ჩოხას მაინც ჩავიცვამ, —
მითხრა და ავიდა სახლში. მალე გამო-
ვიდა ახალი ჩოხა-ახალუხით. მესია მოვ-
ნა. ეს კაი ნიშანი იყო. მარანში ჩავიდა
და მალე ხელში დიდი საღვინით ამო-
ვიდა.

— მეტი რა გზაა, ჩემო მინდია, წავი-
დეთ.

შევალეთ ქიშკარი და შევეუძეხი ეზო-
ში. ნიკა ქუდმოხდილი ჩამოგვეგება,
ქიტე აივანზე დარჩა, გადმომხედა, თვა-
ლები დახუტა, გაიღიმა და თავი და-
მიქნია:

„ყოჩაღ! ბიჭო“ — ამას ამბობდა მი-
სი ღიმილიც, თავის დაქნევაც.

„თუ ეგრე იყო, რატომ სწორი გზით
არ წაიყვანე, პა? — ნიკა თავდახრილი
იღგა.

— გამომართვი, საღვინე და გამი-

ძეს! — უთხრა შეტევით, მაგრამ სრული შერიგებით.

— მძახალს გაუმარჯოს, — გაუწოდა ხელი ქიტეს პეპამ.

— ღმერთმა ხო იცის, ჩემო პეპა, რომა შენი მძახლობა სასახელოა, კეთილი იყოს შენი ფეხი ამ ახალ ოჯახში.

— შეილო, ანიკო, გამოიხედე, რაც არის, არის, გაშალე სუფრა, რო დაგლოცოთ მაინც, ქორწილი მერე იყოს...

ანიკო მოკრძალებით გამოვიდა, მამას რიღით შეხედა, ამ დევევით ვაყკაცს თვალზე კრემლი მოერია, დაიხარა და აკოცა.

— შენი სახლიდან გაშვება არ მინდოდა, ჩემო ქედანავ, თორემ ისე რა მეთქმის?... არჩევანი კაი გცოდნია.

შალე გაიშალა სახელდახელო სუფრა, ვასოც მოვიდა, ანიკოს ბიძა, სახლიაკი შაქრო და იცოცხლე, მოილხინეს.

ქიტეც და ნიკაც ისეთი გლეხები იყვნენ, რომელთაც საქართველო გრძელ გზაზე გამოატარეს. მათ ვენახში შეხვიდოდნენ, გული გაგიხალვათდებოდა. პატარძალივით მორთულ ვაზებზე ღვიოდა მწვანისა და ჩინურის, შავკაბიტოსა და ბუდეშურის მტევნები. ბოსტანი? — ერთ სარეველა ბალახს ვერ ნახავდით.

კიტრს ყველაზე ადრე კრეფდნენ, მწვანე ლობიოს მათზე ადრე ქვაბქოთანში ვერაგინ ჩაყრიდა. ედგათ ადრეულა ბალიც და ხომანდულიც, გოზა მსხალიცა და გულაბიც, თურაშაულიცა და აბილაურიც. მათ ბაღში იდგა უზარმაზარი თეთრი კალვილიც — ვერობული ჭიშის ვაშლი. მათ პაპას მოეტანა კარალეთიდან.

ფეხი მოიმარჯრეს, ქონება შეიძინეს და კოლექტივიზაციასაც გულლიად შეხვდნენ.

დღეს აღარც ერთია და არც მეორე. ძალიან ვწუხვარ. ბიჭები არ დარჩათ, ისინიც, იმათ დაემსგავსებოდნენ.

* * *

როგორი მწარე ბალოობა ჰქონდათ ნიკასა და ქიტეს, საერთოდ მათ თაო-

ბას, ერთ ამბავს მოვიგონებ კიდევ.

სოფელში ხმა დაირბა, დღედაღესეში (ტუაფსე) რკინიგზას ქრინ-დუ-ფლუფ იშოვებო. სოფლის ქოჩორა ბიჭები ერთ მშვენიერ დღეს დაიკრიფნენ და გაუდგნენ გზას. სამი-ოთხი თვის შემდეგ დაბრუნდნენ. ზოგმა უღელი მოზვერი მოიყვანა, ზოგმა უღელი კამეჩიც კი, გორისთავში, წმინდა წყალზე, ნაყიდი. ტუაფსიდან დაბრუნებულებს გორის თავში რომ ამოევლოთ, ეფიქრათ: „უღლი რაღას შევიწახოთო“, და სახლში მუშა საქონლით დაბრუნდნენ. თარაქამული ხარები სახელკანთქმული იყო მაშინ ჩვენში და მის საყიდლად თვითონ ყაზახშიც მიდიოდნენ ხოლმე. ეს ხარი (ზროხა) გავრცელებული იყო დღევანდელ აზერბაიჯანში, საქართველოს საზღვრიდან განჯამდე. ჩვენი გლეხკაცი ჩაიცვამდა სუფთად, ხანჯალს მხარამარცხნივ დაიკიდებდა ხმალივით, აიღებდა შეინდის ჯოხს, შეიამხანაგებდა ორ-სამ მეზობელს და გაუდგებოდა შორეულ გზას. ხშირად ყაზახამდე ფენით ჩადიოდნენ, ერთი-ორი მინეისი დაგვეზოგებო, ან არა და თბილისამდე — მატარებლით, შემდეგ — ფეხით, ღამეს ცისქვეშ ათენებდნენ. შიშით არ ეშინოდათ. თუკი მამა-პაპა აღზევანს მარილზე დადიოდა, ყაზახამდე რისა შეეშინდებოდათ? მითუმეტეს ხანჯალიც ეყიდათ. კარში გასული კაცი ქვაზე მაგარიო, ნათქვამია, ვერც თათრები უბედავდნენ რამეს. უღელი მოზვერი ხუთი-ექვსი თემანი ღირდა. იყიდდნენ ოთხ-ხუთ უღელს და გამოეშურებოდნენ შინისკენ, რომ მივიდოდნენ, ყველას უხაროდა მათი მშვიდობით დაბრუნება. „კაცნი ვართ, მინც ურჯულთებში იყავით, ვინ იცის, რა დაგემართებოდათო“. უეჭველად იმართებოდა პატარა, მაგრამ მაინც დროს ტარება, დალოცვა ხატისა, ვისმა „ძლიერებამაც შინ მშვიდობით მოგიყვანაო“.

ბორჩალო-ყაზახისკენ წასვლა ჩვენმა გლეხმა მკის დროს იცოდა კიდევ. იენისის შუა რიცხვებამდე გაღესავდნენ ნამგალს, დაახვედნენ ზედ ძველი მა-

ზარის ნაჭრებს, შეაბამდნენ თოქს ან თასმას, გადიდებდნენ მხარზე და გაკრავდნენ ქვემოთკენ. ერთად მიდიოდნენ, ათი და ოცი, არა ნაკლები ხუთისა, ამ დროს კარგი საცქერი იყო ცხინვალგორის გზა. დაუსრულებლივ მიდიოდა მომელო, მკის მუშა... გეგონებოდათ ერეკლემ ომში დაუძახა ქულზე კაცსაო. მკის მუშა, იმ დროს. დღეში, ჩვენში თუ სამი აბაზი (60 კაპ.) ღირდა, ბორჩალო-ყაზახ-აღსტაფაში ორი მანეთი მაინც იყო, ნარდში სამ მანეთზეც გამოდიოდნენ.

— ერთი უქნარა ხალხია, თვითონ კრილოსანი უჭირავთ. მარცვლიან და თავზე გვადგანან, ზოგჯერ თუ იტყვიან: „იახში, იახშიო“, სხედან ხის ჩრდილში და თვლებენ. ჩვენ ნარიკრაქევი არ იყო, მკის ვიწყებდით, მზე რომ საშუადღეოზე წამოვიდოდა, მაშინ შევისვენებდით ჩრდილში, ვისაუბმებდით (ეს კია. სამხარო ცული არ იცოდნენ, მაგრამ ღვინოს არ მოგვიტანდნენ) და წაიძინებდით. მზე რომ გადაიხრებოდა და ჩრდილი წაგრძელებოდა, წამოვიშლებოდით და ისევ შევუტევდით. მთელი საქართველო იქ იყო (ე. ი. მისი სოფლის ახლო-მახლო სოფლებიდან) და ოციოდე დღეში მთელ მინდვრებს „მოვპარსავდით“ ხოლმე.

სხვა გარე სამუშაოზე არ დადიოდნენ. როდესაც ხილი წამოიზრდებოდა, თბილისელი ვაჭრები (ბაყლები) მოსავალს ნარდად ყიდულობდნენ, ხშირად სამი-ხუთი წლით. ბაღში თავის კაცებს, „ბაყლის ბიჭებს“ აყენებდნენ, რომ ბაღის პატრონმა ან ხილი არ დაკრიფოს, ან ძირ-წყარი არ წაილოსო. ბაყლის ბიჭებად ჰყავდა გლდანელები, ხაშმელები ან საგარეჯოელები. ადგილობრივი ბიჭები აყანყდნენ: „ჩვენ ბაღებში ჩვენ უნდა ვიყვეთო“ და თავისიც გაიტანეს.

ხილის ასეთი გაყიდვა იყო გლეხის, და, საერთოდ, მეურნის, გაფცქვნა. მეორენაირი გაყიდვაც იცოდნენ, ბაყალი ორი-სამი წლით ყიდულობდა მოსავალს, ფუთს 50-60 კაპიკად. მაშინ, რო-

დესაც ფუთი მანეთნახევარი-ორი მანეთი ღირდა. მაგრამ გლეხს ფული უჭირდა და ბაყალიც ფეხს აჭერდა. გლეხს კი ფული როდის არ უჭირდა? აქვე იყო ცხინვალი და იქაური ებრაელები, განსაკუთრებით მოშე დავარაშვილი. ფულს არ დაუჭერდა, მამასისხლად აძლევდა, წლის თავზე სარგებელი თავნის ოდენი იყო. გადაუტანდნენ. ფულს არ იღებდა.

გქონდეს, რა გეჩქარებო, — მოთაფლული ენით ელაქუცებოდა.

ზოგი ბრიყვდებოდა და ორი წლის თავზე მისი ასი მანეთი უკვე ოთხასი ღებოდა, აი, აქ იწყებოდა ჩაფარ-მამასახლისის სიარული, სახლის აწერა, მოსავალზე ყადაღის დადება და მოვალისათვის ტყავის გაძრობა.

ამ მაგალითის დამნახველნი გულისყურში მაინც ვერ ვარდებოდნენ, რომ გაუჭირდებოდათ, ისევ დავარაშვილთან გარბოდნენ.

შხოლდე 1915 წელს დააარსეს ჩვენებურებმა ამხანაგობა „პატარა ლიახვი“: უნდა ითქვას, რომ ამხანაგობაში ყველა შევიდა, შეჭლებულიც და ლარიბიც. მაგრამ ჯერ ომმა და შემდეგ საერთო არეულობამ ფრთა ვერ გააშლევინა.

სოფელს ძალიან აწუხებდა სხვადასხვა ვადასახადი. განსაკუთრებით ჩამრჩა მახსოვრობაში „ფოსტის ფული“. იქნება იმიტომ, რომ არ შესმოდა, რასა ნიშნავდა, მაგრამ კარგად ვხედავდი, რაც იყო, ფოსტის ფულის აკრეფაზე დადიოდა მამასახლისი, გზირი, ორი-სამი ჩაფარი.

ჭიტეს და ნიკოს ეზოში ვიყავ (პატარაობისას), როდესაც კარს მამასახლისი მოადგა, ბუთხუზი იყო გვარად, სხვა სოფლელი, არჩეული კი არა, დანიშნული იყო (რეაქციის დროს მამასახლისს მზარის უფროსი ნიშნავდა).

მელოს (ჩემი მეგობრების დედას) ფოსტის ფული მოსთხოვეს. დაახლოებით ექვსი აბაზი (120 კაპ.), მახსოვს ტირილნარევი ხმა მელოსი:

— სად მაქვავია, მე უბედურსა, მაგოდენა ფული?

— აბა, შედიო, ქვაბი, ფარდაგი... — უბრძანა ჩაფრებს ბუთხუზმა.

მელო გაწიწმარდა, ხელი ჰკრეს, კედელს მიაწყვიტეს. ჭიტემ სახრეს წამოავლო ხელი, ბუთხუზმა მათრახი შემართა.

— რა, გვერდების აპრელემა მოგინდა?

ჩაფრებმა გამოიტანეს ორი ჩალხანა ქვაბი და ძველი ფარდაგი. მეტიც არ ჰქონდათ რა.

მელომ წიოკობა ატეხა. ნიკამ ცრემლები გადმოაყარა. გაეჩქეცი სახლში.

— მამი, შენი ჭირიმე, მომეცი ფული; ნიკოს ქვაბები მოსტაცეს...

მამაჩემმა თავი გადააქნ-გადმოაქნია, მომაწოდა ვერცხლის მანეთიანი და აბაზი.

გზაში დაეხვდი. მამასახლისს მივაწოდე.

— რა არის?

— აი, მელოს ქვაბებში... — ძლივს წარმოვთქვი.

— შენც კი ვინმე იზრდები! მიეცით...

— აი, შენ კი გაეზარდე დედაშენს, შენ კი დაგადგა ქვეყნის ნათელი.. მოპყვა დალოცვას მელო.

ჩაპყვა მამასახლისი უბანს და მის კვალზე წყევლა-კრულვა, ქვაბების ჩხარახხური ისმოდა.

და ასე ყოველ წლივ.

• • •

რაკი მამასახლისი ვახსენე, ბარემ ვთქვათ, ვინ იყო საერთოდ იგი და რა იყო.

სოფელში მამასახლისი მთავარი პიროვნება იყო. მას სოფელი, უფრო სწორად სამამასახლისო, 3-5 სოფელი ირჩევდა. ჩვენი სოფლის სამამასახლისოში ხუთი თუ ექვსი სოფელი შედიოდა (ტყვიავი, მარანა, ფლავი, ფლავის-მანი, სათემო ქიწნისი). გორის მაზრა დაყოფილი იყო ცხინვალის, მეჯვრის-სევის, გორის, კასპის, ხაშურის, ბორჯომის საბოქაულოებად. ჩვენი სოფელი და სამამასახლისო მეჯვრისხევე იყო მიწერილი. მამასახლისს სამ წელი-

წადში ერთხელ ირჩევდნენ, რეაქციის დროს კი (1908-1909 წლებში) მამასახლისის მაზრის უფროსი ნიშნავდნენ მამასახლისის ორ არჩევნებს დავესწარ.

საოცარია, არჩევნებამდე მამასახლისი ცხვარივით კაცი რომ ყოფილიყო, საკმარისი იყო ჩამოეკიდა ყელზე ჯაჭვი, მამასახლისობის ნიშანი, და გამოიცილებოდა, მათრახს შემართავდა.

მგონი, 1909 წელი იყო (ხუტად არ მახსოვს). ფლავისმანელი გიუნაშვილი აირჩიეს მამასახლისად. შეიყარა ხალხი კანცელარიის წინ. არის ყაყანი და გნია-სი. „აბა, ვინ გინდათ მამასახლისად?“ — ეკითხება ბოქაული ხალხს. გვერდით გიუნაშვილი უდგას.

— გიუნაშვილი, გიუნაშვილი! — იღრიალა ერთმა ნახევარმა.

— არა, რაზმაძე, რაზმაძე! — ყვიროდნენ ჩვენებურები.

— არა, გიუნაშვილი, გიუნაშვილი!

ეს უფრო მაგრად ისმოდა. ბოქაულმა გამოაცხადა გიუნაშვილია არჩეულიო. აირჩიეს თანაშემწეც („პომოშნიკი“), გზირები — ყოველ სოფელში თითო. გიუნაშვილი ერთი ლეთისნიერი და თვინიერი კაცი იყო, არავის აწყენინებდა უბრალოდ.

გავიდა სამი წელი. ტყვიავში დიდი მითქმა-მოთქმაა. არჩევნების წინ ახალმა კანდიდატმა ორი ხარი დაკლა, ლეინო მეჯვრისხევიდან გადმოიტანა, მაშინ იქაურ ლეინოს აქებდნენ. ორი დღე აქეიფა ჩვენებურები, მარანელები და ქიწნელები. „მაგრა დაიძახეთო“, ეგონებ, არჩევნების დღესაც ახუბინა, მაშინ მეც ხალხში ვტრიალებდი ტოლებთან. გამოვიდა ბოქაული კანცელარიის აივანზე (კანცელარია კანდიდატის სახლში იყო).

— აბა, ვინ გინდათ მამასახლისადო.

სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ჩვენებურებმა იყვირეს:

— ვასო, ვასო, რაზმაძეო...

ფლაველებმა და ფლავისმანელებმა დაიგვიანეს, ტყვიაველები უფრო ძლიე-

რად ყვიროდნენ და გიუნაშვილმაც ჭაჭვი გადააბარა ვასო რაზმაძეს.

ეს აქამდე მშვენიერი კაცი, უცხად გაიფხორა, გეგონებოდათ, სამი წლის მამალი ინდაურიაო.

გულიანად მოეკიდა ფოსტის ფულის აკრეფას, ხალხის ბეგარაზე გამოყვანას.

„ნუ იბერები, თორემ აღარ გინდა არჩევო?“ — გააგებინეს, მაგრამ აინუნში არ ავლდებდა.

ბოქალუი და მამასახლისი სქელკისერა ბიჭებს ემტერებოდნენ:

— არა მუშაობთ და კისერი იმიტომ ვაქვთ ეგეთიო.

საქმე ის იყო, რომ „სქელკისერა ბიჭები, ჭანიანი, ღონიერი ბიჭები იყვნენ, თავზე მამალ ბუხს არ ისევამდნენ და მამასახლისს თავს არ უყადრებდნენ.

• • •

ჩვენი სოფელი რევოლუციურ სოფლად ითვლებოდა. ჭერ იყო და ორმოციან წლებში აქედან წაიყვანეს „შავი კარტი“ ხალხოსანი რომან ფავლენიშვილი, მერე — მღვდელმა სამადაშვილმა არალეგალური სტამბა მოაწყო.

ეს ხმები არ მიწყნარებულყო, რომ ტყვიანში გაჩნდა კეცხოველიანთ ბუდე და ლადომ, ვანომ, და სანდრომ საგონებელში ჩააგდეს ეანდარმერია, განსაკუთრებით ლადომ.

მოსშირდა სოფლის აწიოკება, კახაკებისა და ეანდარმების თარეში.

რასაკვირველია გლეხობაში ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენილა, პროფესიონალ რევოლუციონერებს შეგობობდნენ. ყველა ამათში გამოიჩინებოდნენ „გიჟი გაბო“, გაბო ჩიქლაძე („გიჟ-გაბოს“ იმიტომ ეძახდნენ, რომ მოუსვენარი იყო, პირში მთქმელი) და პათე გიგაუაშვილი.

გაბო არცერთ აზნაურს თუ თავადს სიტყვას არ შეარჩენდა. მკაში მხარში ვერავინ ამოუღებოდა, წინ ვარბოდა. ჩქარობდა. მე მინახავს მისი და ფლავის-შანელი რაყდენა თენაძის მკა, მიდიოდა თენაძე და მიჰქონდა თავის ნაზბრევი, ზელურს დადებდა, ძნა შეიყვროდა, მის

გავილ ნაწვერალში თავთავს ვერ ანოვიდო.

წმინდათა

მიდიოდა, მიჰქოდა ჩიქლაძე, მუშაობდა რად ორი საბლით წინ იყო, მაგრამ რა გამოვიდა, მის უკან მრავალი თავთავი ფეხზე იდგა, ხელეუბრიდანაც ებნეოდა: „მაშ როგორა გგონიათ? ღეთის გაჩენილებს საზრდო არ უნდათ? (გულისხმობდა ყველა სულიერს — ფრინველს, თავგს). ზოგი იმათა, ზოგი ჩვენაო, საბლში თუ რამ გაუჩნდებოდა, არ დააყენებდა. მოხდიდა ჭვევრს და ორ-სამ დღეში დააცარიელებდა. მარტო კარის მეზობელს კი არა, სოფელს დაივლიდა, ვიზეც გული შეეარდნილი ჰქონდა, წამოიყვანდა და გაჩაღდებოდა გულიანი სმეულება.

— არა უშავს რა, დედაკაციო! დღეს ჩვენა და ხვალ სხვამ.

— ე სხვას ხვალა რა არა აქვს?

— არც მაგას უშავს რა.

და, აი ეს გაბო პირველი იყო, რომელმაც 1905 წელს მოღალეებს ღალის მიცემა აუკრძალა, მღვდლისათვის — დრამისა, გვერდში პათე ედგა, აბეზარა აზნაურებს „კარი შეუკრა“ (ბოიკოტი), არც მეზობელი მიდიოდა კარმეკრულთან, არც სოფელში გამოესვლებოდათ. სამაგიეროდ, ყაზახთა და ეანდარმთა რაზმი რომ ამოვიდოდა გორიდან, პირველი მათრახი ამ ორ კაცს ხვდებოდა. ციხეშიც ამწყვედევდნენ, მაგრამ გამოვიდოდნენ და იგივენი იყვნენ, განსაკუთრებით გაბრიელი, თითქოს ცოლის მშასთან ყოფილიყოს საქეიფოდ წასული. მთელი გულით გაიხარა, 1917 წლის რევოლუცია რომ მოხდა. 1921 წელს მიწკომად აირჩიეს; — „მენ უნდა იყო ჩემი მწერალიო“, — მითხრა. დავთანხმდი, სადაც ხევის კაცობა, იქაც გაბოს მწერლობა-მეთქი, — ვიფიქრებოდა ისედაც მიყვარდა. დავთანხმდი და პირველად ჩემს ეზოს ჩამოაქრა ერთი მხარი, დათას (მეზობელს) ძალიან ვიწრო ეზო აქვსო. გამეცინა — „მაშა, მაგალითი მიცეთო“.

წერა-კითხვა არ იცოდა და ოქმებს მე ვუწერდი. უბით დაჰქონდა. ვერ დავა-

ყერე შეენახა, „არა, ვინმე მომპარავსო“ და მართლაც ჰპარავენენ, ლოთი არ იყო, მაგრამ ღვინო უყვარდა, ნაღვინევი იქვე წამოწვებოდა და წაიძინებდა. აი, ამ დროს ეკარგებოდა ეს ქალაქდები.

ზამთარში ერთი ასეთი ძილის შემდეგ გაცივდა და ხელიდან გამოგვეცალა. პათე გულდინჯი კაცი იყო, დარბაისელი, სიტყვას ტყუილად არ დახარჯავდა, მაგრამ რასაც იტყოდა, წყალი არ გაუვიდოდა.

კარგი და გულდამჯდარი მუშა იყო. მაგრამ მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესაო, ვერც მან დასდო ოჯახს ბარაქა. ღრმა მოხუცებული კი გარდაიცვალა.

...

ლექსო წიქარიძე შუა უბანში ცხოვრობდა. თანასოფლელებისაგან განსხვავებით, კვირა-უქმე ჩოხა-ახალუხით, ყალმუხის ქუდითა და წულა-მესტიით დადიოდა, სანადაგოდ კი ახალუხი ეცვა, ფეხზე — ჩუსტი, ქალამანს არ იცვამდა.

ლექსო ყოველთვის სუფთად დადიოდა. შეკრებილი, წაბლი ფერი წვერულვაში უმშვენებდა სახეს. იცოდა ღინჯი საუბარი, სახეზე საამო ღიმი დასთამაშებდა. სასოფლო, სასარგებლო საქმეში პირველი იყო, სხვებსაც აიყოლიებდა ხოლმე, კარგი ბალი გააშენა და კარგადაც უვლიდა (მაპათქვენს ბევრს ეკითხებოდა, „ბოსტან-ვენახიც კარგი ჰქონდა, უღელი ხარი და ორიოდე ძროხა ჰყავდა. ღორს თუ გაასუქებდა ჯიშინს ხანდახან, ხნავდა, თესავდა და თავის სამყოფი პურ-ღვინო და სიმინდ-ლობიო, სახლში ჰქონდა. უქმად ვერ ნახავდიო. წერა-კითხვა იცოდა და გახეთიც მოსდიოდა. კარში გასული ყოფილა ცოტა ხნით, მზარეულობა უსწავლია, დიდ ქორწილში თუ ქელეხში მას უძახდნენ ხოლმე და ისიც ფესტამალაფერებული ტრიალებდა ცეცხლთან.

ვალს არ დაიდებდა, მაგრამ სოფლის

საქმეს არ ჩამორჩებოდა. 1912 წელს დააარსეს საადგილმამულური საზოგადოებები: პირველი ის ჩაეწერა 1914 წელს სკოლის დამაარსებელთა შორისაც პირველი ის იყო.

ქვიტიკირის ორსართულიანი სახლი ერთმა პირველთაგანმა აიშენა. შეიღსაც უმადლესი სასწავლებელი ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრებინა, მაშინ ეს დიდი ვაჟაკობა იყო გლეხიკაცისათვის.

ეს იყო ისეთი კაცი, რომელსაც ძველად სოფლის დედოს უწოდებდნენ ხოლმე.

ჯიშებაი

სოფელში ათასნაირი ხასიათის ხალხი ცხოვრობდა, ზოგი არც ერეოდა სოფლის საქმეებში. ჩაკეტილი იყო თავის კარმიდამოში და რას ფიქრობდა, არავინ იცოდა. ან, საერთოდ, ფიქრობდა თუ არა რამეს, არც ეს იცოდა ვინმემ. გულს იოლად არავის უხსნიდნენ. დილით ადგებოდნენ, იმუშავებდნენ, ქამდნენ ხმელა პურს, დაიძინებდნენ, გათენდებოდა და ისევ ასე. ერში არ გაეროდნენ. ასეთი იყო ოდიანთ მათეც.

მათეს ჯიქს ეძახდნენ. ჯიქი სინონიმი იყო თავისნათქვამა კაცისა, სოფლის საქმეებში არ ერეოდა. ქამრად ტრიფის დაგრებილი ტოტი ერტყა მახარაზე. სანამ არ გახმებოდა და არ გატყდებოდა, მეორეს არ დაგრებდა და არ შემოიკრავდა. ჩვეულებრივ, მარტო მუშაობდა. არც რიგრიგაში გაერეოდა და არც სხვა მამითაღში. როგორც ჩანს, ვერ შეგუებოდა ბარს. მაგათ ხომ მთიულთან უწოდებდნენ, მთიულეთიდან ჩამოსულებს. ერთხელ ერისთავს შეუტია, როდესაც ამ უკანასკნელმა მათრახი შემართა, რატომ კელუხი (ვენახის დალა) დროზე არ ჩააბარეთო, მან წნელის ქამარში გარკობილი ცული გაიძრო და „კნიახო, შეხე, როგორი გალესილიაო!“

ერისთავი გაბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით სახლს მიაშურა. მათე კი დიდხანს

უმზერდა ცულის პირს და მერე თავი გადააქნ-გადმოაქნია.

მათე ხელოსანის იყო, მაგრამ ყველაფერს გაიხორციელს აკეთებდა. ცული-სა და ხელეჩოს მეტს არას ხმარობდა. რევოლუცია გულგრილად მიიღო. მაზარა და ეძახარი აო ძეიცვალა.

ჩვენს ხსოვნაში სულ მიწური სახლი ჰქონდათ, სოფელში ერთი-ორი კომლი-ლა იყო მიწურ სახლში. „არა, თავს ვერ დავანებებ მამა-პაპის ნაანდერძევსო“ — იტყოდა, როცა უფროსი ვაჟი, ვასო კვიციანი წამოიწყებდა ლაპარაკს.

ახლა მისი შვილიშვილები და შვილ-თაშვილები ორსართულიან სახლებში ცხოვრობენ, უღვათ როიალი, ტელე-ვიზორი, წიგნებით საესე კარადები. ვგონებ, უკვე მისი შვილიშვილთა შვი-ლები ამთავრებენ უმაღლეს სასწავლე-ბელს და რომელიღაცას პაპის ზედმეტი სახელი აქვს შერჩენილი.

დამიტრი თენაძე ანუ „ტუტი“, რო-გორც მას ეძახდნენ, ფლავისმანელი იყო, მაგრამ სიცოცხლის მეორე ნახევარი, 25 წელზე მეტი, ჩვენს სოფელში გაატარა. ლამაზი და ღვთისნიერი ცოლი ჰყავდა თურმე; მოუყვდა. ორმოცი რომ გადაუ-ხადა მოსჭიდა თავის რვა წლის გოგის ხელი, გადმოვიდა ჩვენს სოფელში და დადგა მოჭამაგირედ: დიდი მუშა კაცი იყო, მაშინ კარგი მოჭამაგირის ფასი იყო წელიწადში ას ოცი მანეთი (თორ-მეტი თუმანი), ორი პერანგი, შარვალი და ერთი სალდათის მაზარა. ამ ფასად უნდა ემუშავა დიდიდან საღამომდე და ტუტიც მუშაობდა, ხშირად ღამესაც მიაყოლებდა ხოლმე.

ქილობგადაფარებულ ფიკრებზე იძი-ნებდა. მაზარას არც გაიხდიდა პერანგს რომ გამოიკვლიდა, ხშირად მხოლოდ საყელოსა და მაჯებს მოიპარობდა, დანა-რჩენი ზედ შემოადნებოდა.

ლაპარაკი არ უყვარდა, ფლავისმანში აღარ გადადიოდა. სახლი გამოკეტილი ჰქონდა. ვენახი სანახევროდ ჰქონდა მი-ცემული. რთველს არც მიხვდავდა. „შენ თვითონ დაკრივე და რაც მერგება, ის მომიწყეო“. — ეტყოდა, ვისაც ებარა.

როდესაც შეატყობინებდნენ, დაღვინ-დაო, გადავიდოდა, პურს გამოიკვლი-ნებდა, დაკლავდა ცხვარს და გაიტანდა საფლავზე. იქ დაჰპარტყებდა მეზობ-ლებს, მეუღლის მოსახსენებლად პანა-შვიდს გადაიხდიდა და დაბრუნდებოდა ისევ ჩვენს სოფელში. საფლავის ქვაც კარგი დაადო.

მეუღლეზე არ ლაპარაკობდა. ზოგჯერ გოგის რომ შეხვდავდა, იტყოდა:

— ნეტავ, კიდევ ეცოცხლა იმ საწ-ყალს, რომ ეს ბიჭი გამოეზარდაო, — და ამოიოხრებდა.

კალოზბაა, პაპანაქებაა, სიცხეა ღი-ლი, მზე კისერში ას სადგისად გვაქერს... ტოტობა ნელაღა დიდინებს:

ოროველ მოდი კალოსა, არაკინ მოგპაროსა,
არაკინ შეგწვას, შეგჭამოს, არაკინ
წავიყვანოსა.

ხანდახან ქიტო გამოეხმაურება:
ოროველა და გოგია, მოხან და პური მოგივა...

მაგრამ სიცხე ამით არ კლებულობს. მზე გადაიხარა, სიცხის ბული კი ისე გ-ტრიალებს. გავლევით ერთი კალო, შევ-ხვეტეთ, შევავაროვეთ, მაგრამ ნიაიცი არ დაიძრა. დიდხანს ვუცადეთ ქარი არ ამოვარდა. ქიტომ ბევრი უმღერა:

ამოქროლი ქვეა ქარო, ხვავი უნდა
ვახვარებარო,
გამოვაცხო თბალი პური და მავშვები
გავახარო.

მაგრამ არა გამოვიდა რა.

მივწეკით კალოს პირას და მივიძი-ნეთ. გათენდა დილა, ნალექი შევავაკო-ლავეთ და გარშემო სალექი შემოვუ-ყარეთ. საღამოს იგივე განმეორდა. ქარი არ ამოვარდა.

რომ გათენდა, კალოს დიდი ნაწილი ნალექს ეჭირა. კალო უნდა გაცდენი-ლიყო.

აილო მიტრომ არნადი და გასანიავე-ბელი ხვავის კალოს პირზე გატანას შე-უდგა. ჩვენც წამოვავლეთ ხელი ფიწ-ლებს და მალე ნახევარი ხვავი კალოს ნაპირზე იყო გატანილი. ნახევარი შუა-გულში ავაკოკოლავეთ. გავლევით, ღი-

ლას ნაპირზე გატანილი ისევ შემოვიტანეთ, მაგრამ ჰაერი გაქვევდა, არა და არ დაიბრა ნიავი.

მე და ჭიტო შინ წამოვედით. ხეირიანად მაინც დავიძინებთო.

გულის ძილში რომ ვარ, ვილაციის შემოძახილი მალევიძებს, გვახილევთვალი, ახალი ნარიყრავევია.

— ჩამოდი, პური ჩაეიტანოთ! — მეძახის მიტრო.

ჩვენი წამოსვლის შემდეგ ქარი ამოსულა. დამოგარა მიტრო და სამი კალს ნალეწი, და მერე როგორი ნალეწი, თორმეტი ურემი ძნა, მარტოს გაუნიავებია; წმინდა ხვავის გამოინიბვა რომ დაუწყია, ჭიტო მაშინ ჩასულა.

კვირა დღესაც არ ისვენებდა. რამე სამუშაოს უეჭველად გამოიჩენდა. ზამთარში ძეძვის ამოყრაზე მუშაობდა, ხან ვის გაურიგდებოდა ნარდად და ხან ვის.

საქმე ის არის, რომ ქართლის ვაკეზე ბევრი იყო მუხიანი, ზოგი დიდი ხნის წინათ გაეჩებათ, ამოეძარკვათ და ნატყევაზრზე ძეძვი მძლავრობდა. ძეძვქვეშ მიწა ნოყიერი იყო, რადგან ძეძვში ამოსული ბალახი და ფოთოლი შიგა ლებობდა. ძეძვს ჯალჯალ იყენებდნენ, მიწაში რჩებოდა ფესვი, რომელიც წლითიწლობით მსხვილდებოდა და ღრმად მიდიოდა მიწაში. სწორედ ამიტომ ქირდა მისი ამოყრა. მიტრო შუალამემდე თავს არ დაანებებდა. და მერე რა ძნელია ძეძვის ამოძირკვა. რაკი ნაძეძვარი ყველაზე მსუქანი მიწა იყო, პირველ წელს კარტოფილს რგავდნენ.

არავინ იცოდა, სად ინახავდა ჯამაგირს.

გოგია რომ წამოიზარდა, მოუსვენრობა დაეტყო. ჯარში არ წაიყვანეს, დედისერთა იყო. ფლავისმანში სიარულსაც მოუხშირა. ერთ კვირა დღეს მამა-შვილი გორში წავიდა.

გოგია ახალ ტანისამოსში გამოწყობილი გამოგვეცხადა, ყარაჩოლული ჩოხა-ახალუხი და შარვალ-წულა ეყიდნათ.

ერთი კვირით ფლავში წავიდნენ (გიორგობის თვე იყო). ხუთი დღის შემ-

დეგ ჩვენს სოფელში „მობრძანდის, კაცი“ გადმოვიდა, გოგია ქორწინება გვიწვევდა. შევნიღა ნეფე-დედოფალს გვირგვინი. სამი დღე ეღვა გვირგვინი და ამ სამ დღეს ყველა „ნეფეს“ უწოდებდა. ეს იყო იმ დროს გლეხიკაცის ნათელი დღე. „მეფე“ ერქვა. პატარძალი კარგი ჩანდა. ძვალმსხვილი, ოჯახს გაუძღვებოდა. გულით ვილხინეთ. მიტროს წარბი არ გაუხსნია, მესამე დღეს შვილი და მყარიონი სასაფლაომდე მიიყვანა; აქ გოგიამ საფლავს ჩასძახა: „დედი, წამოიხედე, შინისკენ გაიხედე, ცეცხლი ანთიაო“. სასაფლაოზე მიტრო კიდევ გაუმასპინძლდა ხალხს, ახალი ცხვარი დაეკლა. მეოთხე დღეს გოგიას ათი-თორმეტი წლის ნაგროვები ფული, დედის თევშალში გახვეული, გადასცა.

— აი, შვილო, ესლა შემრჩა დედაშენისაგან, გაუფრთხილდი, ფული როგორც გინდა, გამოიყენე.

გოგია დატრიალდა, იყიდა უღელი კარგი ლეკური (ბელაქნური) კამენი, თარაქამული ხარები, თავისას ერთორი დლიური მიუმატა, ქვეშელი ერისთავისაგან იყიდა კარგი სახნავი მიწა. გუთანი და ურემი გამართა, ვენახი ფეხზე წამოაყენა. სხვის ხელში, რაც არ უნდა კარგად უვლიდნენ, ვაზი მაინც იჩაგრება.

დომიტრი წამოვიდა. უკან აღარ მიუხედავს. ისევ ძეძვებსა ჰყრიდა, ხან მოჯამაგირებოდა. უკიათმა შრომამ ლომივით ვაეკაცი გატეხა და დაუძღურა.

სხვის კარზე მოკვდა. გოგიამ კარგად გააპატრონა მიცვალებული. თვითონაც რალაცნაირად მამას დაემსგავსა. სულ კომებშეკრული დადიოდა. კოლექტივისაციას კარგად წელგამართული შეხვდა, მაგრამ კოლმეურნეობაში შესვლა ვერ გააბედინეს. მთელი სოფელი გაერთიანდა, ის კი ცალკე იყო. გუთნიდელობას თავი დაანება, გამართა ურემი, გაყიდა ხარები; მარტო კამეჩები დაიტოვა, კარგად უვლიდა; დაიწყო ქირის ზიდვა გორიდან ცხინვალში.

ეს ამბავი რომ გავიგე, ავედი მის სოფელში, ვეწვიე; ბედად შინ იყო, გაიხა-

რა. ველაპარაყე, ნუ ჭიუტობ, კოლმე-
ურნობაში შედი-შეთქი, კაპები შეიკ-
რა: „არა, ჩემი საქმე არ არისო“.

ზამთარში ვაციებულიყო; ურემზე
დასძინებოდა და კამეჩებმა სახლის კარს
მიაყენეს თურმე სიცხის აღმურით თი-
თქმის დამწვარი კაცი.

ორიოდე დღედა იცოცხლა, შეეძლო
კი საუკეთესო კოლმეურნე ყოფილიყო.

იმხანად ასეთი ჭიუტი კაცი უკვე ძნე-
ლი საპოვნელი იყო.

დოდე

ჩემს ბავშვობაში ქართლში ერთი
სახელგანთქმული მესტერი იყო, დო-
დეს ეძახდნენ. დოდე გოგიაშვილი ჯა-
რიაშენელი იყო. მეზობელს, ლექსო
ოდიშვილს, ცოლად ჯარიაშენელი ქა-
ლი ჰყავდა, ტასა გოგიაშვილი; დოდე
მესტერი ხშირად დადიოდა მათთან.
კუტი იყო, ჯოხზე დაყრდნობილს რამ-
დენიმე ნაბიჯის გადადგმა თუ შეეძლო,
მაგრამ პატარა, მაგარი ორთვალა ჰქონ-
და, შიგ ვირი ება; ამ ურემზე ეწიძვით
„დაეგდებოდა“ დოდე და „დადიოდა“
სოფლიდან სოფელში.

რადგან ოდიშვილებს ბოსელი არ
ჰქონდათ, დოდე ჩვენს ბოსელში აბამდა
თავის ვირს, თვითონაც იქვე მოუჭდე-
ბოდა ბუხარს და აღუღუნებდა სტერს.

ლექსები იცოდა აუარებელი, იმპრო-
ვიზაციაც ეხერხებოდა. ერთი და იგივე
ხალხური ლექსი მისგან ათასნაირად გა-
მიგია. რასაკვირველია, ბოსელში შეკ-
რებილათთვის სხვა რეპერტუარი ჰქონ-
და; რეპერტუარის მთავარი გმირები იყ-
ვნენ მღვდლები, დიაკვნები, მათი ცო-
ლები, სოფლის ბობოლები. მათი გამა-
სხარავება ახალგაზრდებს ძალიან მოს-
წონდათ, იდგა ერთი ხორხოცი და სი-
ცილი.

— დოდე, დოდე, აბა ერთი ტერტე-
რასი და ფოფოდიას ლექსი თქვი, თუ
ღმერთი გწამს.

— ჰა, ვთქვაა?

— ჰო ჰო, ძია დოდე, თქვი!

და იწყებოდა ახალი წარმოდგენა.

ბევრი იცოდა რძალ-დედამთილის
ლექსი, ამავე დროს ისე გადაეცემოდა,
რომ მინიშნებული იყო ესა თუ ის პა-
ტარძალი ან დედამთილი. კარში, ერში-
როცა იყო, რეპერტუარს ცვლიდა, აქ
უფრო მოკრძალებული ლექსები ითქ-
მოდა, დამრიგებლური, დიდაქტიკური
რძალ-დედამთილის ლექსიც სწორედ
ამას ემსახურებოდა.

პატარას ძალიან მიყვარდა ჭუჭულე-
ბისა და ვარიების ლექსი... როდესაც
იტყოდა:

მეცამეტე აღარ არის, წაუღია მელასაო.

შეგვკვავლებდი: „ნუ პაპა, ნუ წაუღია,
რასა!“ ისიც თვალს ჩამიკრავდა, კეთი-
ლად გამიღიმებდა და ლექსს თავიდან
დაიწყებდა. როდესაც მივიდოდა „მე-
ცამეტემდე“, მკითხავდა:

— წავალბინო მელასა?

— არა, პაპა დოდე!...

— კარგი, „მეცამეტე სადღა არის,
ენაცვალოს ყველასაო“, მაშინ არ ვი-
ცოდი „ენაცვალოს“ რა იყო და მიხა-
როდა, რომ მელამ არ წაიღო.

ტასა გოგიაშვილის დედამთილი,
ოდიანთ კატო, ცოტა კაპასი ქალი იყო.
მზიან დღეს, როდესაც დოდე ჩვენი
იფნის ძირას იჯდა თავის გუდასტე-
რით, მის ირგვლივ მთელი უბანი იკრი-
ბებოდა. ხალხში თუ კატოს დაინახავ-
და, ხალხს შეეკითხებოდა:

— ვთქვა თუ არა ტასასა და კატოს
ლექსი?

— თქვი, თქვი, დოდე!

— „ვთქვა და აბა როგორა ვთქვა, ავი
პატარძალი ხარო“.

— აი, შე მიიმასო, როდისა ვთქვი? —
გამოეჭრებოდა ნახევრად ხუმრობით
კატო.

როცა ვხივარ, კუტი ხარო, ავღებო და
სარი ხარო,

როცა დავალ, ცეტი ხარო, დავცდები და
ზანტი ხარო.

არასა ვჰამ, უჰმელი ხარ, შევჰამ რამეს,
სევაი ხარო,

კარგს ვიტყვი და არც ეს სჯერა, მამამაღლის
ქალი ხარო.

— როდის გაიგონე, აბა, როდის? — ეკამათებოდა კატო.

— მე რად გამაგებინებ, რა?...
იყო სიცილი და მხიარულება.

შაბათსა და კვირა საღამოს რიგი ლხინში იყო და ცეკვავდა, რიგი დოდეს ჰყავდა გარს შემოოტყუმელი და ისმენდა მის ლექსებს:

— დოდე, ტერტერისა, ტერტერისა..

— ეგ ზამთრის ლექსია, ბოსელში, ბუხრის წინ ითქმება.

მისგან ბევრი ლექსი მაქვს ნასწავლი, ბევრი მათგანი დღესაც მასსოვის. განსაკუთრებით ლექსები აზნაურთა შესახებ.

აქამდე აზნაურები უწრფუფუნებდნენ ქორებსა, ეხლა იმით ცოლები უკან დასდევენ ღორებსა. აზნაურობა მიყვარდა, გვერდზე დახურვა ქედისა.

გავლა-გამოვლა სოფელში, გადავიდება

ჩხუბისა,

ეღდაბიკია აზნაური ჩამოივლის ვარძანსა,

წიოკობას აუყვანებს ქათმისა და ვარძასა.

ერთი-ორი აზნაური თუ ერია ერში. შეღრუნდნენ ხოლმე, მაგრამ აღმაცერად რომ გადახედავდნენ იფნისსახრიან ბიჭებს, ზუმრობაშილა გაატარებდნენ.

— თორემ, შენ უარს იტყობდი ქათამზე, მაიმახო?! — წაკვესავდა თედო მელიშვილი.

— აბა, კაცის წყენინება არ იყოს! — უმალ გაისმოდა ქოჩორა ბიჭებში რომელიმეს ხმა.

— მაშ რა, ფეხმართალია? — არ იშლიდა თევდორე.

— ფეხმართალია თუ მაიმახი, ეგა ჯობიან ბევრ ფეხმართალსა, მაგრამ ხელმარუდსა.

— რომელ ხელმარუდსა? — და ხელს დაიდებდა ხანჯალზე.

— აბა, აბა! — და მიწას ნელინელ სცილდებოდა იფნისა და რცხილის სახრის ბოლოები.

1. მაიმახი — ფეხმარუდა (საბა); თანამედროვე ქართულში ორივე ფეხით კოჭლი. მაიმხი.

— დაიცათ, ბიჭებო, თედორე, აი, ერთსაც გეტყვით...
გეგლეჩიქოთქა

წავა-წამოვა ღრებელი, თავ-თავქვე

დავიკვება.

რაც კაცი თავისთვის უხამს, მტერი არ

მოვიკვება.

— რაც მართალია, მართალია, — გაირბენდა სიტყვა და ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგებოდა.

— წნელი მოუჭირეთ თავზე, რჩოლი, თორემ გაეჭყევა, — არ იშლიდა თევდორე.

— კარგი, კაცო!

— მაშ, რა კენჭებს ისერის ჩემს ბოსტანში?

თუ შეამჩნევდა დოდე, მსმენელებში გოგოები არ იყვნენ, მაშინ ტერტერის ლექსაც იტყოდა და მღვდელს და ფოფოდიასაც მიაცილებდა.

დოდემ კარგად იცოდა ჩვენი მხარის აკარგი, გლეხი თუ აზნაური, თავადი თუ მღვდელი, მამასახლისი თუ ჩაფარი და ყველას გამოიყვანდა ხოლმე თავის ლექსში. ეხლა, რადესაც მისი ლექსაობა მაგონდება, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, მას მომზადებული ჰქონდა რამდენიმე შაბლონი და, საუბროების მიხედვით, ამ შაბლონში ჩასვამდა ხოლმე რაიმე მომხდარ ამბავს, ან ვისმეს აკვაცობას და ლექსიც გაუჭირვებლად მზად იყო.

სააშკარაოდ ვერას უბედევდნენ, მაგრამ მაინც უმტრეს, ერთ საღამოს, როდესაც თავის ძმისწულთან, ტასასთან, იყო „ბედაური“ მოპარეს. ცამ უყო პირი თუ მიწამ ვეღარ გაიგეს.

ერთი კვირის შემდეგ წნელზე წასულმა ბიჭებმა ტეტუნანთ კალაში იპოვეს დოდეს ვირის ჩონჩხი. ვილაცას წაეყვანა, მუხაზე მიება და მგლებს შეეკამათ.

ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ ეს თევდორეს ან მის მავგართა საქმე იყო. ისინი ზომ ტასანთ კარის მეზობლები იყვნენ.

ძალიან შეწუხდა ყველა. ფული შეაგ-

როგეს და, მიუხედავად გული ზამთრისა, ერთი-ორი ბიჭი ს. ღირბში (ქართლში იმ დროს ვირი იშვიათი იყო, ღირბში კი ჰყავდათ თურმე) წაეიდა და ოთხ თუ ხუთმანეთიანი ვირი გამოჰგვარეს. დიდად გაიხარა დოდემაც და ხალხმაც. დიდთოვლობა სადაც მოუსწრებდა, იქ რჩებოდა. ზამთარი რომ გატყდებოდა. მაშინ კი „აიღვამდა ფეხს“. ბევრს არ გაიხლებოდათ, დღეში ერთი იჭრა ყოფნიდა, მოდი და ნუ იმყოფინებდა, სხვის კარად მავალი, თუმც ყველა გულიანად იღებდა. დოდე მანც გზამ მოკლა. ერთ დღეს ხელთუბნიდან წამოსულა, ზამთარი ჯერ არ იყო გამტყდარი; ვირი რუში გადასულიყო, ურემი ვეღარ ამოეტანა; დოდეს სძინებოდა და ვეღარც გაიღვიძა თურმე. წასვლის წინ კი ეთქვა: „მხარი საწყყენს შეუბნებო“, მაგრამ მანც წასულიყო.

ფაბიანი

სოფელში სიმღერისა და ლექსის ტრფიალი სხვაც იყო. აი, თუნდაც გიო (ფშატია), ჩვენი კარის მეზობელი, მალაღლი, წერილკისერა, პირს ღიმილი არ შორდებოდა. იცოდა სიმღერა და მღეროდა კიდევ. ისე კი არა, დარბაისელმა ხალხმა რომ იცოდა სიმღერა მკაში, გუთანზე, ან ჭონაზე — არა, პატარა მიზეზი იყო საკმარისი, რომ ლექსი ჩამოემარცვლა. მამულში მანცდამანც ოფლს არ ღვრიდა. ცოლი ცაცია (მართა) და შვილები: მიხა (ფშატია ბიჭი) და მარო ჰყავდა. ოჯახის საქმეებს უმცროსი მშა ვანო (სიდაბლისათვის „ხონჩად“ წოდებული) განაგებდა, ხარ-კამეჩი, ხვნა და თესვა მას ევალებოდა. ვენახს ფშატია უვლიდა. ორი მწვევარი ჰყავდა, ხე ჩამოჰყრიდა თუ არა ფოთოლს, თავის მწვევრებით სოფლის გარეთ იყო და გაპკიოდა: „აბა, აგურა, აბა, მერცხალა, ტატა...“ დღეგამოშვებით მოიტანდა ერთ კურდღელს და ორი დღე მის სახლში ვარხალალო“ ისმოდა. ან, ხშირად, ერთ-ერთ ერისთავთან ნადირობდა. ამ ერისთავს ნადირობა უყვარდა და ოთხ-ხუთ

მონადირე გლეხკაცს გაიყოლებდა ხოლმე. ბევრჯერ მინახავს ათწლეულები კურდღელი კეტებზე დაკიდებული რომ მოჰქონდათ მონადირეებს.

ხშირად ბუხარ წინ იქდა და კენესოდა — წელი მტკივაო, მაგრამ, აი გაიგონებდა მაყრულს, — პატარძალი მოჰყავთო, — წამოხტებოდა.

— ცაცია, არიქა, ჩქარა, ჩემი ჩოხა! წამოავლებდა გრძელ ჭოხს ხელს და გავარდებოდა კარში. აი, ღვინია ხარებმებმული ურემიც, ნეფე-პატარძალი მუთაქებზე სხედან, ქორჩორა ბიჭი მეურმეა. მაყრები ფეხით მოდიან, ხმა ჩახლეჩიათ, მაგრამ მანც მღერიან. სოფელში არიან და ასე უნდა, ხომ უნდა გაავებინონ ხალხს, რომ პატარძალი მიჰყავთ.

სწრაფად ამოუდგებოდა გვერდში, უმაღვე ჩამოართმევდა პირველს და გამკივანი ხმით იტყოდა მაყრულს (კარგი სიმღერა იცოდა), მის ხმას მეორე სოფელში გაიგონებდი, არც ლექსი შემოაკლდებოდა, არც ღიმილი და თვალებში სითბო, პირველს ამით დაიწყებდა:

ნეფე, ღმერთმა ავაშენოს, როგორც შიოს მარანია,
 შვიდი ვაფიშვილი მოცეს, პირზე ესხათ ბალანია,
 ავიყვანოს ცათამინა, დანატროდნენ ყველანია.

შემდეგ პატარძალს გადახედავდა და არ დააყოვნებდა:

ასრე უნდა პატარძალი ირზეოდეს ვერხვითა,
 მამამთილსა ემსახუროს, დედამთილსაც ღმერთითა.

მაყრებს უხარიათ: ახალი კაცი შეგვემართაო, ნეფეს ეღიმიება, თუმცა არ ეცნობს, მაგრამ ხედავს — კაი კაცია და უხარია. ფშატია მისდევს მეორე სოფელში და იქ, ქორწილში ერთ-ორ დღეს რჩება.

შეიძლება იქიდანაც რომელიმე მექორწილეებს გაჰყვეს, ასე შვიდი-რვა დღე ხშირად დაქარგულა, ცაცია კი

იკლავს თავს, ქმრის გასაკეთებელს ის აკეთებს, მაგრამ სად ქალის მარჯვენა და სად ვაჟკაცისა. ცაციაკს უნდა ეთქვა.

ვაი რა ძნელი ყოფილა
მონადირისა ცოლობა...

სახლში დოვლათი არ ჰქონდა, მაგრამ გულლია იყო. ხან ვის მიიყვანდა შინ და ხან ვისა.

— აბა, ცაცია, შენი ჩადებული წიწკის წნილი!

წნილსა და პურს რომ მიუტანდა...

— შენ, ვიცო, ერთი ბოთლი არაყიც გექნება...

და მეტიც არა უნდოდა რა.

ამის გამო იყო, რომ ფშატიყვაგილობას¹ მის ოჯახში ხშირად ვარცლი კანკალებდა, ე. ი. სიმინდიც გამოეღო და ხორბალიც. ამის შემდეგ შესტკეროდა ცას, მზეს ღრებული არ გადაეფაროს, ყანას სხივი არ მოაკლდეს, მალე შემოვიდესო.

ნახევარ დღიურ (2500 კვადრატულ მეტრს) ჭეჭრელს² დათესავდა, მას ერთი ორი კვირით ადრე მკიდნენ თითქმის ოდოშლერში³ გაღწევენ და მარცხვალს მზეზე ახმობდნენ.

მაგრამ ფშატი მინც ბედს არ ემდუროდა... ცხოვრებისაგან ბევრს არ

1. ფშატიყვაგილობა — დაახლოებით მინის შუა რაიკვები. ამ დროისათვის გლეხაკს შემოაკლდებოდა ხოლმე და ავარელი კანკალებდა — ვარცლი ფშელს მოითხოვდა, სახლში კი ფშელი აღარ იყო.

2. ჭეჭრელი — ერთად დათესილი ჭერი და დოლის პური, დაახლოებით ნახევარი ჭერი და ნახევარი ხორბალი. ჭერ-ღაჯა ერთად დათესილი, ისევე სანახევროდ. ასე თესავდა უმთავრესად ღარიბი ხალხი, ნახევარ დღიურს (2500 კვადრატული მეტრი) ადრე მკიდნენ, მზეზე ახმობდნენ და ღწევენ. ჩვეულებრივ, სანამ მკა დაიწეებოდა, 2—3 კვირით უსწრებდა და ხალხს იოლას ვაძიოდა.

3. ოდოშო—წუშთა, ნიგოზა და ვევეითართა, ცერცეთა, სიმინდთა და ვევეითართა დაუქამებელსა და სიმავრეწალებსა ოდოშას უწოდენ, ხოლო ყანათასა — ეტერსა (საბა).

ამჟამად ოდოში ეწოდება ხორბლეულთა შემოთსულელ მარცვალს, ისეთს, რუსულად რომ „ცილის სიმწიფეს“ უწოდებენ.

მოითხოვდა, მღეროდა და სხვადაც ამღერებდა:

წუთია წუთის ჭვეანა, წუთის წუთობით
იწეება,
ზოგი ლხინსა, თამაშას, ზოგი უცეცხლოდ
იწეება.

დღეობები

მართალია, დღეობაში სიარულით არც თუ განებივრებული ვიყავი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეობები ძალიან მიყვარდა. მიყვარდა ჭიდაობა, ლხინი, სხვადასხვა შეჯიბრი, ხალხი — მორთული და მხიარული.

— ჯერ ერთი, თვითონ ჩვენს სოფელში იცოდა დიდი დღეობა „ამალღება“. „მარიამობა“ (აღდგომის მეორე დღეს) სოფელს მობმულ სოფლებში, კარბში — „სამეობა“, ფლავეში — „ნათლი-მცემლობა“ და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, სოფელი მეორე სოფელს ვალში არ რჩებოდა. სამი დღე მაინც იყო მხიარულება, მოვიდოდნენ გათხოვილი ქალები ქმარ-შვილით, ნათესავეები, მეგობრები, სამეგობრო ხალხი. ამ დღისათვის ყველა ემზადებოდა. ჯერ კიდევ წინა დღეებში ერთი ამბავი ჰქონდათ გასათხოვარ გოგოებს. გვიდნენ, რწყავდნენ, ასუფთავებდნენ ეზო-გარემოს. სოფელს ნათელი ჰქონდა გადაფენილი, ისეთი ნათელი, რომელსაც შხიან დღესაც კი ვერ ნახავდი. ამ დღისათვის ყველა საუკეთესო ტანისამოსს იცვამდა, საუკეთესო პურს და ლავაშს, ნაზუქსა და ქადას აცობდა; უქველად საკლავი ჰყავდა მომარაგებული — უსხი, უედლია, ხბო, ბურვაცი ან ინდაური, ერთი სიტყვით, კაცი რის შემძლეც იყო, ამ დღისათვის არას დაიმურებდა. ყოველი სახლიდან ისმოდა გრძელი მრავალკამიერი თუ მაყრული.

საუზმის შემდეგ ყველა ეკლესიის ეზოსაკენ მიიჩქაროდა, სადაც გაჩაღებული იყო ლხინი. ბიჭები, რასაკვირველია, ჭიდაობისკენ გაგრბოდით, აქ უკვე ტრიალებდნენ სახრებით პაპია-

ანთ შაქარა და გიგუანთ წყალობა. „განი, განიო“ ზურნის ხმა კი ცასა სწვდებოდა. საქორწილო ბიჭები ლხინს ეტანებოდნენ. გრძელქოჩრიან თავებზე ჩიტის ბუდისოდენა ქუდები ეხურათ.

— პეპა, წადი, გამოირეკე, თორემ აქ მოქიდავეები არა გყავს, გვაჯობებენ... — ეხვეწებოდნენ პეპას სარისტის მიმცემი ბიჭები. პეპაც დაუზარებლივ ართქვეს სახრეს და მირბის ლხინის წრისაკენ. მალე სიცილითა და ბურტყუნით ბიჭებიც მორბიან საჭიდაოსკენ: გელახის ბიჭი, ყურთულაანთ სანდრა, დალაქიანთ გიგო, ვიუგაანთ ზურა, ფმატიას ბიჭი და ვინ იცის, კიდევ რამდენი. ჩვენებურები ჩემ დროს კაი მოქიდავეები იყვნენ, სხვა სოფლებს ესახელებოდა, თუ აქ იქიდავებდნენ და გაიძარცვებდნენ. ამავე დროს, ისიც იცოდნენ, რომ აქ ჩხუბის ატეხა აზნაურების ხეირს არ მისცემდა.

აი, გავიდა წრეში დალაქიანთ გიგა, მის განიერ მკერდს თითქოს დასასრული არა აქვსო. გამოიყვანეს ქვემო სოფელი, დიდხანს არ მონდომიან ძალის სინჯვას, ქვემო სოფელში დაიჩოქა და უნდოდა კისრულზე წამოეღო, მაგრამ ვერ მოხარა და მიწაზე პირქვე დაემხო. გიგამ ხელი წააშველა და წამოაყენა, ხალხში მოწონების შექაბილები გაისმა. ახლა გიგამ სტაცა ქამარში ხელი, ხალხს გაუხარდა. ზურანა იტაქება. „ქიდაობას რა უნდა, წამოვიდება უნდა“... გიგამ შემოატარა წრე, მოწინააღმდეგეც აყვავა, გიგამ კი უცხად, მოულოდნელად, მოიგდო თეძოზე და წამოაპირქვევა. „აი, შენ კი გენაცვალე“... — წამოიტახა წრემ. წამოქცეული კი წამოდგა, ხელი გაუწოდა და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ჩვენებურები ზეიმობდნენ.

აი, წრეში გამოვიდა მაღალი, ხეხელა კაბუკი.

— ჩიტოა, ზემო ქართლელი, წვერელი.

— არა, კაცო, ის კი არა, დიდი მოქიდავე რომ იყო, იმის შვილია, თუ შვილიშვილი... — ატყდა ხალხში ჩურჩული.

— ფარდი, ფარდი... — ისევე შედარებული. ამ დროს წრეში გადმოხტა ფმადიტას ბიჭი, გადმოხტა და ეძგერა, თეძოსკენ გაიწოდა ხელი, კალატოზიშვილმა კი ისე მოიცილა, გეგონებათ, ბალღის ფუნჩულა ხელიაო. ზურანამ აუწია. მიხა გახტა უკან და ახლა ჩოხის საყულოსაკენ გაიწია, მოწინააღმდეგემ მიუშვა და უცხად შეაკაურით ასწია, ასწია კიდევ და მიხამ ზურგიც დაჰკრა. „არის“, „არ არის“ ზედმეტი იყო. კალატოზიშვილი იღგა და უცდიდა, მიხა წამოდგა, შეხედა, და გავიდა წრიდან.

— ხელის ჩამორთმევა დაგავიწყდა, გლახო! გამოსძახეს აზნაურების მხრიდან...

— კიდევ ვინა ხართ? — გაისმა ისევ იქიდანვე.

— ჩვენა ვართ! — და გადმოდგა ნაბიჯი გელახის ბიჭმა. ქოჩორა იყო, შავგვრემანი, მკერდგანიერი, ჯმუხი, ღიმილმადლიანი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი ლექსო კაპანაძე იყო, სინოს ბიჭი. მის მამას „გელახს“ ეძახდნენ, იგი ხშირად დადიოდა პურის სამკელად, სიტყვა „გელახი“ ყაზახიდან მოიტანა. შეარქვეს „გელახი“ და მისი ბიჭი კი უკვე „გელახის ბიჭი“ იყო.

ღინჯად მივიდა, ხელი ჩამოართვა. ხალხი გაიტრუნა. გელახის ბიჭმა მოასწრო და წასწვდა ჩოხის საყულოს, წასწვდა და შეტრიალდა, შეტრიალდა და მის უზარმაზარ ბეჭებს გადაეყვლო ეს კოპწია და მაღალი ვაჟკაცი, მაგრამ მალევე წამოხტა. გელახის ბიჭი იმავე ადგილს დახვდა. მოწინააღმდეგემ სცადა შეაკაური გაეჯეთებინა, მაგრამ გელახის ბიჭმა დაასწრო და თეძოზე წამოიღო, გაშალა მწვანე მოლზე. ხალხი ერთმანეთს მიაწყდა; აი, უცხად წრეში მათრახამართული არჩილი გაჩნდა, მაგრამ თვალისდახამამებაზე ჩვენებურს გვერდში ამოუდგნენ გიგუანთ ლექსო და სამიოდე სხვა, ღობის მარგილებით შემართული. არჩილს ფერი ეცვალა; ეს არჩილი მეჭვრისხეველი თუ აძველი აზნაური იყო, ყველა დღეობის სტუმარი, უჩხუბრად დღეობას არ დატოვებდა.

ჩადგენენ შუაში თავკაცები. არჩილი წრიდან გაიყვანეს. კილაობა გაგრძელდა, მაგრამ არჩილი არ ისვენებდა, ლექსოს კეტი თვალში ეჩხირებოდა. აი, უცბად ხანჯალმოღებელი გაქანდა მისკენ, მაგრამ წრის თადარიგის მიმცემმა შექრომ ჯოხი ხელზე დაჭრა და ხანჯალი გააგდებინა. ამის შემდეგ ატყდა კეტების ქაბაჭუხი, ერთი ჩოხიანი (აზნარი) არ გაუშვეს კეტლაურტყმელი.

— სადაც ვაგსელიათ — ხო, მაგრამ აქ არ ვაგვიათო...

ძლიერდებოდათ გაყარეს ერთმანეთს მოჩხუბრები, კაცი არ მოუკლავთ, მაგრამ თავგატეხილი ბევრი იყო.

ეცადნენ კილაობის აღდგენას, მაგრამ ემზი დაკარგული იყო.

— შენა? არა კილაობდი?

— ხშირად არა, მაგრამ ერთი-ორჯერ კი.

— რაც გულში ჩაგჩნა, ის გვიამბე...

— ჩააცივდნენ ბიჭები.

— დღეობებში არ ვკილაობდი, მაგრამ ძალღვანის სახელი კი მქონდა, ათფუთიანი ტომარა თორმეტ საფხურთან კიბეზე ადვილად ჩამქონდა. 7—8 საცალო¹ ზედიზედ.

ერთ დღეს მკის მუშამ ისამხრა და უზარმაზარი ვერხვის ძირში თავისებური ლხინი გამართა, ფშატის ბიჭი გამოქანდა და მეცა. „აბა, განი განი!“ — გაისმა ხმა და თან საკილაოც დაამღერეს. უცბად მომავონდა კალატოზიანთ ჩიტოს შუაკაური და არც დავაყოვნე. მიხამ ქვევიდან შემომაჭყიტა თვალი. დაპკრეს ყოყინა. ზოგმა დაიძახა: „ჯერი არ არისო“. არ ვიცი, თავისი ფალავნის წაქცევა იწყინეს, თუ ახალი ფალავანი უნდოდათ კიდევ ენახათ. ასე იყო თუ ისე, კიდევ დამპიდეს, ელვასავით მეცა და სცადა წამოვეყიდე, მაგრამ მზად დავხვდი. გავშალე წელში და კვლავ შუაკაურით მოვიქციე ქვეშ.

დღეობაში არ მიწახავს ისეთი შეძახილები, მაგრამ, რად გინდოდა დღეობა, აქაც ლეინით კარგად იყვნენ შეხუ-

რებულნი, ის იყო და ის, გამიყარდა მოკიდავის სახელი. ფშატის ბიჭის წაქცევა ხუმრობა საქმე არ იყო.

კვირაცხოვლობა აღდგომის სწორი იყო. ორშაბათს კი სწავლა იწყებოდა. სოფელში ვიყავ, ჩავაბარგეთ ურემი, დედამ გვითხრა: კარალეთში დავასვენოთ საქონელი, დღეობაც ვნახოთ და (კარალეთში, ნაჭარმაგვეის² თავში, კვირაცხოვლობა იცოდა) საქონელსაც იქ ვაქამოთო.

კარალეთში რომ ჩავედით, დღეობა გახურებული იყო. საკიდაოს წრიდან ისმოდა ცამდე ასული წამოძახილები, ქება.

დედამ, ის-ის იყო, სუფრა გაშალა და მოგვადგნენ ჩვენი სოფლის თავკაცები: პება და ორი თუ სამი სხვა.

— მინდია, თუ გვიშველი, შენ გვიშველი, სანდრაც წაქციეს, ვანაც, შაქრაც. სხვები კი აქ არ არიან, უნდა იპოვო.

— რას ამბობთ, რა დროს მაგის კილაობაა! — შეუტია დედაჩემმა.

— მაშ, ჩვენებურები ეგრე პირმურობები წავიდეთ?

წამოვდექი, დედამ შემომიტია, მაგრამ ჩვენებურებისათვის პირი ხომ უნდა ჩამომებანა?

მაღე წრეში ვიდექი საკილაო ჩოხაში გამოწყობილი. მეორე მხრიდან ერთი დაბალი და თხელი ბიჭი გამოხტა.

— კაცო, მეტი ველარავინ ნახეთ? — ვუსაყვედურე პებას.

შუა წრეში შევხვდით ერთმანეთს. ხელის ჩამორთმევისა და მისალმების შემდეგ ქამარში ხელი წავავლე, მოვსინჯე, მსუბუქი მეჩვენა, „რაბან ეგრეა, წრეს შემოგატარებ და ქალების ჯგუფთან დავდებ“, — ფიქრობ ჩემთვის. მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, რომ თვალები ძირიდან შემოვანათე. ის დალოცვილისშვილი, როგორც

სოფ. კარალეთის დასავლეთით მდებარე მინდვრებს, ლიხესა და სოფელს შუა ნაჭარმაგვეი ეწოდება; ჩრდილოეთის საზღვარი — გოთიციხევის შარავნა.

1 საცალო — ფარდავის დიდი ტომარა.

ჩანს, მიხვდა, რომ მე რაღაცაზე ვფიქრობდი, დაიხოქა და წამომიღო კისრულზე, ქართული ჭიდაობაც ესაა სწორედ.

არა მწყენია წამოვხტი, გადავკონცე და გავერიდე წრეს. «აგრე გინდაო, — დედაჩემმა, — როცა არ იცი, მეცამეტე გოჭივით ნუ ვახტები ხოლმეო».

გარდა საეკლესიო დღეობებისა, საჯარო ჭიდაობა იმართებოდა აღდგომის კვირას და ყველიერში.

ყველიერი დიდი დღესასწაული იყო სოფელში. ყველიერში იცოდნენ ჭონაც, ყეენობაც, ჭიდაობაც, ჩალიჩიც, დამკარიც და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვა. ყველიერი რაღაც თავისებური მხიარულებით გამოირჩეოდა. არცერთ სხვა დღეობაში არ იცოდნენ იმდენი ხმაურობა, რამდენიც ყველიერში.

ყველიერის წინა ღამეს ჩამოივლიდნენ მეჭონეები, ყველას კარს მიადგებოდნენ. იმღერებდნენ, ზოგთან თითო ჭიქა არაყს ან ღვინოს გადაჰკრავდნენ და აგროვებდნენ ფულს, ხორცს, მახსოვს, უკანასკნელი ჭონის ხალხი ყველა ჭიქა კაცი იყო: გიო (ფშატია) კოშუაშვილი, ნიკა პაპიაშვილი, ლექსო პაპიაშვილი, ცაკა რაზმაძე, გიორგი ხაბაზაშვილი. ახლა რომ ცოცხლები იყვნენ, საუკეთესო სახელმწიფოებელი მომღერალთა გუნდი იქნებოდა. მოდგებოდნენ კარს და იტყოდნენ ჭონას. იტყოდნენ და რას იტყოდნენ? ნიკა პაპიაშვილი რომ დაიწყებდა, გეგონება, აბრეშუმის ძაფი ამოახვია და მისი ბოლო ცაში ვარსკვლავს უჭირავსო; წმინდა, ხვერდოვანი ხმა ჭქონდა. ცაკა რაზმაძე მეორეს ეუბნებოდა და წმინდა სანთელივით დნებოდა, დანარჩენები ღუღუნებდნენ და, როცა საჭირო იყო, გუგუნებდნენ.

მასპინძელი კარში გამოვიდოდა, ქუდმობილი უჯდებდა ყურს, სანამ არ მოათავებდნენ, ხმას ვერ გასცემდა. დამთავრებდნენ და ეტყოდა:

— აი, ავაშენოთ ღმერთმა. მობრძანდით, ბუხართან, ცოტა შეთბით.

— შენ ავაშენოს და დაგამშენოს,

მტერი დაგიმარცხოს, მოყვარე გავიღლიეროს. შემოსვლით ვერ შემოვალთა გვიანაა, ჯერ შუა უბანში მარცხვეთა ფილვართ...

მიიღებდნენ, კვერცი იქნებოდა თუ სხვა რამ შესაწევარი და გადაინაცლებდნენ სხვაგან; ბოლოს, როცა დაიღლებოდნენ, ერთერთის შეპატივებაზე (წინასწარ დათქმულთან) შევიდოდნენ, მიუსხდებოდნენ ბუხარს და იქ იტყოდნენ ჭონასაც, სოლომონ ბრძენსაც, თერთო ბატოსაც, შაშვს და კაკაბსაც, ჩაუვხტეთ ბარათაშვილსაც, ზამთარიოსაც, მაყრულსაც, ერთი სიტყვით, ყველას, რაც იცოდნენ და სიმღერა მათ არ შემოაკლდებოდათ. სად წავიდა სოფლიდან ეს სიმღერა?

— ფილარმონიაში დაამწყვდიეს, — წაიხუმრა ვახტანგმა, — და ხალხში აღარ უშვებენ.

— მეორე დღეს იწყებოდა დღეობა. — გააგრძელა გიორგიმ, — ჯერ ერთი, ჭონის ხალხი საერთო სადილს მართავდა, რომელსაც მთელი სოფლის თავკაცობა ესწრებოდა; დღეობაში თუ ყველა ოჯახი თავისთვის ქეიფობდა, ყველიერში ქეიფი საერთო იყო, სახალხო. ხალხი შეხურდებოდა და მაშინ იტყოდნენ — ყენი ჩამოვატაროთო. ვინმე ყენად მორთულს უკუღმა შესვამდნენ ვირზე, თუ ვირი არ იყო, ჭოხზე (ბავშვებმა რომ ცხენაობა იციან), გვქონდა ბალღობას ერთი აურზაური, წაიყვანდით ამ მორთულ ყენს და წყალში გადავაგლებდით. თებერვალი იყო, წყალს ზოგჯერ თოში და ენთელი მოსდევდა და ამიტომ ყენს ვუფრთხილდებოდით (ის ხომ მართალი ყენი არ იყო), ფეხს დაისველებდა და გაიქცეოდა სახლში ტანისამოსის გამოსაცვლელად.

აი, ამის შემდეგ მივბრბოდით სოფლის მოედანზე ცეკვა-თამაშით, სულ ასკი-კუჟუს¹ ვბუქნაობდით. იყო ერთი

1. ასკი-კუჟუ — ცეკვა იყო ერთგვარი, ხშირი ჩამუხვლა უნდოდა. იგი ეხმაურება გურიამი აღდგენილ ფარსა-კუჟუს. ღუგს ქართლ-კახეთში დარჩენილია მხოლოდ სიტყვის მასა-

მზიარულება, ჟივილ-ხივილი. ყველიერი ძირითადად ვაეკაცობის დღეობა იყო. იმართებოდა სავაეკაცო თამაშობანი, ქალარაშერთულები სხვებზე ნაკლებ არ ჩალიჩობდნენ. მართლა ჩალიჩიც¹ იმართებოდა. ცოლშვილიანები და უცოლშვილოები ჯიბრობდნენ, ან ზემოუბნელები და ქვემოუბნელები. ჩალიჩად დახვეულ ტილოს ხმარობდნენ, ან სელის ტომარას სივრძეზე სჭრიდნენ და ჩალიჩს მისგან აკეთებდნენ, მოჩალიჩენი ფეხზე ტოლალს იხვევდნენ, ზედა პაიკებს ან საცვეთებსაც იცეამდნენ, მაგრამ ძლიერი ვაეკაცისაგან დარტყმული ჩალიჩი მაინც თავისას აკეთებდა, მოჩალიჩეებს წვივები სულ დაღურჯებული ჰქონდათ, ვაეკაცური სპორტი თუ გინდოდათ, ეს იყო.

მეორე საერთო თამაშობა იყო დამიკარი, აქვე ეგდო დიდი ქვა, ხოლო მას „საჩილდოვო“ ქვას ეძახდნენ და არა „საჩილდაოს“.

მესამე ადგილას ფერხული ჩაებათ და წრეს უვლიდნენ, ლამაზი იყო შავ-ჩოხიანების ფერხული მუქეაბანივით რომ დელავდა მათი ბიჭები, ფერხულის ცეკვაში ქალები არ იღებდნენ მონაწილეობას, პატარძლებსა და გასათხოვარ გოგოებს ლხინი ცალკე გაეჩა-

ლად, მუჭარად: „შენ, იცა, კევიანად იყავ. თორემ სულ ასკი-კუქუს ვაეკვევბო“ (ქართლი). „სულ ბარცა-კუქუს ვათამაშებო“ (კახ.)

¹ ჩალიჩი — შემოიხზებოდა წრე, რომლის დიამეტრი 2—3 მეტრი იყო. არადანის მიხედვით 10—12 ვათელიდნენ. ხუთი (ექვსი) ერთ მხარეს იყო. ამდენივე — მეორეს. კენჭის ყრით ერთი ჯგუფი დგებოდა წრეში, ჩალიჩს (ლატებს) წრეში სდებდნენ, ისე, რომ ჩალიჩს თავი წრის ზახზე სდებოდა. გარეთებს ჩალიჩი უნდა მოეტაცნათ ისე, რომ წრეში მდგომს არ ჩაეჭრა, ფეხი არ მოეხედრებინა მუხლამდე, გარეთ მოთამაშე რომ ჩალიჩს (ლატს) მოივდებდა ხელში, ამის შემდეგ იყო ფეხზე ცემა. თუ უველა ჩალიჩი გარეთების ხელში იყო, შიგნითანი ზარალობდნენ, მაგრამ გარეთანი ბოლოს ჩაიჭრებოდნენ და ახლა ისინი დგებოდნენ წრეში; სანამ დაილღებოდნენ, თამაში გრძელდებოდა.

ღებინათ, სალამურისა თუ „ბუზიკის“ ხმა ცასა სწვდებოდა.

პატარა გოგოებს კი „ბუნჯა-ჭოტუჭო“ ლხინი ჰქონდათ.

ჩალიჩით რომ დაილღებოდნენ, ქილაობა გაიმართებოდა. ყველას სიამის ღიმი დასთამაშებდა სახეზე.

ასეთ დღეობებში ჩხუბი არ იქმნებოდა. წვრილფეხა აზნაურები აქაც არ ისვენებდნენ, მაგრამ იცოდნენ: საერთო ლხინის ადგილის ახლო, რომელიც ეზოში, რამდენიმე მარგილი იყო მიყუდებული და აშაკარად ვერაფერს ბედავდნენ.

ამგვარად, ძველმა სოფელმა შესანიშნავად იცოდა წელიწადში რამდენიმეჯერ დარდის ჩამობერტყვა და დროს ტარება.

მელიშვილება

როგორც აღვნიშნე, ჩვენს სოფელში აზნაურების ერთი თხუთმეტი კომლი მაინც იყო, უმრავლესობა ხელმოკლე, მცირემაჟულიანები. გლეხებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ კვირა-უქმეს ჩოხას იცეამდნენ და ხანჯალს შემოიკრავდნენ. საერთოდ მშვიდი ხალხი იყო, მაგრამ მათში თავის აეკაცობით გამოირჩეოდა. მელიშვილების ორი ოჯახი — თევდორე მელიშვილისა და გიო მელიშვილისა. თევდორეს სამი ვაჟი ჰყავდა: გენო, ალექსი და ექვთიმე, გიოს — ხუთი: დემეტრე, სანო, გივა, სოსო, კოლა. ამ ორ ოჯახს შორის სისხლი დატრიალდა. თევდორეს მამას გიოს მამა მოეკლა ბარით, მიჯნაზე წაჩხუბებულიყვენ.

ერთი მტკაველი ჩემსკენ გადმოვიწვევინაო, — ედავებოდნენ ერთიმეორეს და საბოლოოდ ერთი მათგანი ბარით თავგაჩხილი მიწაზე დაეცა, დაეცა და ვეღარც ადგა. ის იყო და ის, სისხლი ვეღარ გაიბანა ამ ორ ოჯახს შორის.

— არიქა, მელიანი ჩხუბობენ, — გავარდებოდა ხმა და მთელი ზემო უბანი გავრბოდით მათ კარმიდამოსკენ. იყო კეტების ტრიალი. გაავშველებდით, დასისხლიანებულთ თავბირს მოგებანდით. ვამშვიდებდით.

— აი, ნახავ, თუ მაგათ ერთმანეთი არ ამოწყვიტონს!.. — იძახოდა ხალხი.

თედორე და მისი ბიჭები თუ კიდევ ვეროდნენ ხალხში, დღეობაში თუ სოფლის საქმიანობაში, გიოს ბიჭები თავის ეზო-მამულს არ სცილდებოდნენ. გუთნეულიც კი საკუთარი ჰყავდათ. სანო იყო მათი გუთნისდედა და „გარეშე საქმეთა მინისტრი“, მას ჰქონდა ურთიერთობა სოფელთან. დემეტრე, გიგა და სოსო დიდიდან საღამომდე თავაუღებელივ მუშაობდნენ. კოლა, როგორც ჩანს, ბავშვობაში პოლიომიელიტით ყოფილა ავად და მარჯვენა მხარი დადამბლავებოდა; ვერ იტანდნენ ძმები, რომ არ მუშაობდა, პურს კი ჰამდა. ხშირად ეტებით სცემდნენ ძმები ხეზე დაბმულს, ისმოდა მისი ბლავილი, როცა წამოვიზარდ, გადაეუხტებოდი და გავაშველებდი. „შენი საქმე არ არისო“, — შემოიბრუნდნენ, მაგრამ თანაც ერიდებოდნენ, რადგან დავემუქრე — მაზრის უფროსთან ჩავალ და ვეტყვი ყველაფერს-მეთქი. კოლა ასეთი ქვეყის მერე აიღებდა თავს და ზემო ქართლში, ნათესავებთან მიდიოდა. სამიოდე კვირის შემდეგ დაბრუნდებოდა. დაც ჰყავდათ, მაყვალა, ისე გაათხოვეს, სოფელს არც კი გაუგია, მას შემდეგ აღარც სოფელში უნახავთ მუშა ხალხი იყო. ყოველთვის კარგი საქონელი ჰყავდათ. იმათი შაქარა კამეჩი სპილოსა ჰყავდა, ლამაზი, რქადაგრებილი, დიდთვალება, ტანოვანი, ღონიერი, გამწყვი.

ხელმრუდეებიც იყვნენ, მაშინ, თუ სათანადო პირობებში მოექცეოდნენ.

— ლიახვმა ცხინვალელი ვაჭარის ურემი მოიტაცა. ფართლის ცალები წყალმა წაიღო, — სოფელში ასეთი ხმა დაიბნა. „ფართლის ცალები მელიანთ ბიჭებმა წამოიღესო“, — ამბობდნენ, მაგრამ საბუთი არავის ჰქონდა. ერთხელ კარბულეებში ბიჭებს მუხიანში საქონელი გვეყარა, ჩვენ კი მორევში ვბანაობდით. უცბათ წყალში დგაფანი მოადინა ვილაკამ. წყლიდან რომ წამოიმართა, მელიანთ სანო იყო. ჰრელი ჩითის ნიფხავი ეცვა. ყველამ ჩითის ნიფხავს და-

ვუწყეთ ცქერა. სანომ შემოგვიღონა და გვიფრინა. ამის შემდეგ სოფელშიც საბოლოოდ დაიჭერა, რომ ფინანსისტების ტაცებული ფართალი მათი წაღებული იყო.

ერთ დღით სოფელში ხმა დაიბნა: სოსეს ნაკეთები ბალი გაუჩხვიათო. ითხი წლის ჩაყრილი ბალი იყო, ორი ჰექტარი, პირწმინდად აეჩხვათ. სოფელმა იმ დღესვე თქვა: „მაგათი საქმეაო“. საქმე ისაა, რომ სოსეს საბაღე მიწა მათ მიწებს შორის იყო ჩახიხრული. სთხოვდნენ — გავცივალეთ ჩვენს მიწებს გავუერთიანებთო, ვერ მორიგდნენ, მელიანთი შესაფერ ფარდას! არ იძლეოდნენ. „მამ, კარგო“, — ეთქვათ და ეს მუქარა ხუთი წლის შემდეგ შეუსრულეს. სოფელი კი ამბობდა, მაგრამ დამტკიცება არ გინდოდა? მეჯვრისხევიდან გადმოვიდა ბოქაული ჩაფრებით, ორი დღე იტრიალა, სადილ-ვახშამიც არ აკლდა. ვერაფერი აღმოაჩინა, ამოვიდა ეპისკოპოსი, იქადაგა, დასწყევლა ამის ჩამდენი და 5 თუ 6 წლის შემდეგ სოფელში ამბობდნენ: „წყევლამ უწიაო“.

ძმები ძმურად ცხოვრობდნენ, სანამდე სანო ცოლს ითხოვდა. ეს უკვე 1917 წელს იყო. მეზობელი სოფლიდან მოვიყვანეთ პატარძალი, ნაქვრივალი. რაკი ნაქვრივალი იყო, ქორწილი არ გადაუხდიათ. ერთი ორი კაცი იყო სუფრაზე. მეჯვარეობა მთხოვა, უარი ვერ ვუთხარი და გავყევე პატარძლის მოსაყვანად.

ერთი თუ ორი წლის შემდეგ დატრიალდა ცოდო-ბრალი. ახლა სანო აიძულეს ოჯახში. მისი აღარაფერი უნდოდათ, იყო ჩხუბი. გიგამ და სოსომ ცოლები მოიყვანეს, დემეტრე კი უცოლშვილო დარჩა, ამბობდნენ: სანო უნდა ამოიქამოს და მისი ცოლი დაისაკუთროსო.

მეორე მელიანთი ნიშნისმოგებით გასცქეროდნენ თავის სახლიკაცებს, რადგან

ფარდი — ისეთი, რომელიც ღირებულებით შემდეგულის დარი იქნებოდა. ფარდი — მისი ტოლი (საბა).

ახლა ძმათა შორისაც ხშირი იყო კეტების ტრიალი.

ერთ საღამოს დემეტრემ და გიგამ შეაბეს ურმები და გასწიეს გორისკენ, ზე-ტყე უნდა ეყიდათ — ახალი სახლების შენებას ეპირებოდნენ. ღამე წავიდნენ, რათა სივრცეზე ევლოთ.

დილაადრიან სოფელში ჩოჩქოლი ატყდა, ჩავიბრინე, წყალგაღმელი სიკა ფერწასული უამბობდა: „ადრე წამოვედით გორიდან, რაჯაბას ვერხვთან მელიანთ ურმები ხნულში გადასულან, გადავედით და რასა ვხედავთ; დემეტრე პირქვევა დამხობოლი ურემზე, მძინარისთვის ზურგში დაუხლიათ თოფი, გიგა ხნულში გლია, როგორც ჩანს, გაქცეულა, მაგრამ დასწევთან და ისიც მოუკლავთ“.

„რადას უცდით, ხალხო! მაინც ღვთის შვილები არიან, არ მივხედოთო!“ — დაიძახა „გიგი ვაბომ“ და გავეშურეთ რაჯაბას ვერხვისაკენ, რომელიც ჩვენი სოფლიდან 3 კილომეტრზე იდგა. ჩავედით, ხარ-კამეჩი საწყალობლად იცოხნებოდა. დავასვენეთ ურემზე დემეტრე და გიგა და ამოვიტანეთ. წმინდაგიორგში დავასაფლავეთ, საგვარეულო სასაფლაოზე.

დასაფლავებიდან ესლა დამამახსოვრდა: მათი ძმა კოლა იდგა და გაიძახოდა — „ჩემი მოკვლა უნდოდათ, თვითონ კი დაიხოცნენო“.

რაჯაბას ვერხვისაკენ დახოცილების წამოსასვენებლად რომ მივდიოდით, ხალხი ტუტუნებდა: „სანომ დაახოცინა თვედორეს ბიჭებსაო“, მაგრამ ამის არც მნახველი იყო ვინმე, არც გამგონი.

დარჩნენ სანო და სოსო. ერთი-ორი წლის შემდეგ გავარდა ხმა: „ხალხო, მელიანთ ჩხუბიაო“. გავეშურეთ, სანო და ვიდაც მეორე თითქოს ძიძგილაობენ. უცბათ ეს მეორე მოსცილდა და დაეშვა კიბეზე, ხელში მალა აწეული ხანჯალი უჭირავს, სანო შეტრილდა, რაღაცას დასწვდა და გამოჰყვა, შუა ეზოში წამოეწია, ამართა ცული, რომ გიგას ცოლის ძმისთვის, რომელიც იმ დღეს სტუმრად მისულა — დაერტყა.

გადაუხტი წინ, ცულა გავადგინებინე. ახალგაზრდა ვიყავ და მრცხივადი რა საფრთხეში ვიგდებდი თავს! ვასისხლიანებული სანო სახლში შევიყვანეთ, ხანჯლიანი კი სხვებმა განაიარაღეს. ექიმში მოვიყვანეთ, შეუხვია, მაგრამ, რომ გამოვიდა, მითხრა: „ორი-სამი საათი თუ იცოცხლა, ეგეც კარგიაო, მთელი მუცელი ჭრილობებადაა ქცეულიო“.

ღიაგნოზი სწორი გამოდგა. იმ ზამთარს კოლაც საღაც კარში დარჩენილიყო და ისიც მომკვდარიყო. ოჯახიდან დარჩა მხოლოდ სოსო და სანოს ერთი ვაჟი; ეს თბლობაში გაიზარდა და სასარგებლო კაცი დადგა, აგრონომია, კარგი მუშაჲი. სოსოს შვილები კი მასწავლებლობენ.

თუ გიო და მისი შვილები სულ მამულის შეძენაზე ზრუნავდნენ, თვედორეს მამული ფეხებზე ეკიდა. ქეიფი რომ მოუნდებოდა, ხან ერთ ნაკვეთს ჰყიდოდა, ხან მეორეს. ზოგსაც მეტი არა უნდოდა რა, ჩალის ფასად ყიდულობდნენ, სხვისი გამოწაცვალი ჩოხით მიდიოდა დღეობაში, კარგად იქეიფებდა და შემდეგ ჰადზე და წინილზეც კარგად გრძობდა თავს. უფროსი ვაჟიც მამის კვალს გაჰყვა. მწვერებით ნადირობა (ყურდლელზე) და სმა უყვარდა. ბოლოს, იქამდე მივიდა, რომ ერთადერთი მწვეარი „მერცხალა“ ხუთ მანეთად გაყიდა და იმავე დღეს დუქანში დახარჯა. მუშაობაში სხვას ტოლს არ დაუდებდა. კარგი თოხი და ბარი იცოდა. უმცროსები ხნავდნენ, თესავდნენ, მაგრამ ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ. თადე სამოცდაათი წლის იქნებოდა, როდესაც უმცროსმა, მისმა მომდევნომ, ხანჯლით დაჭრა, მაგრამ გადაარჩა. „არა, კაცო, მავათში, სისხლის ცოდო ტრიალებს, — ამბობდნენ მოხუცები, — ეგრე ადვილად ვერ დაიდულდესო“.

იყვნენ ასეთებიც. ესენი საბოლოოდ არც ქვეყნისათვის ვარგოდნენ და არც თავისთავისთვის, როგორც ყანაში სარეველა ბალახი, ისე გამოერეოდნენ ხალხში, ჩრდილს დასცემდნენ ხალხის საერთო ნათელ იერს, მაგრამ ეს ჩრდილი ისევ მალე გადაიკრფებოდა ხოლმე.

გეოგრაფიული მახასიათებლები

მწელი არის სწერო ქება
იმ დიადი მთა და ველის,
სად შიირი დაიბადა
ღვთაებრივი რუსთაველის;
სადაც, ორ ზღვას შუა, მკვიდრად
დაესახლა ქართველთ ტომი,
სად ცხოვრობდნენ ძმები ძმურად,
მომხდურ მტრებთან ჰქონდათ ომი,
სად ქართველი ამყობდა
შრომით, მხედრულ წარმატებით,
სადაც დედა-სამშობლოსთვის
თავს წირავდნენ წარმართებიც;
სად არმაზის კერპი იდგა
ნაქანდაკი ბაჯალლოთი,
სადაც წარსულ დიდებაზე
კვლავ ღაღადებს ქვა და ლოდი;
სად მეოთხე საუკუნეს
აღვიძებდა ქრისტეს ზარი,
სადაც მზილეველს აჯადოებს
ხელოვნება ოპიზარის...
მწელი არის, მაგრამ გემართებს
არ ვერიდოთ საქმეს მწელსა,
ჩვენც შეფრთხინვით ვადიდებდეთ
მშობლიურ ცას, ზღვას და ხმელსა.

...

რა ოცნება დახატავდა
აყვავებულ ზურმუხტ მიწას,
თვით განგებამ რომ დახატა
და საჩუქრად ქართველს მისცა?



მისი პური, ღვინო, ვარდი
 ჰგავს ქვნილებას უცხო ძალთა,
 თქმულებაა, — ღვთისმშობელმაც
 აქ დაბერტყა თურმე კალთა;
 აქ მთა და ველს ახურია
 ცა კრიალა საფირონის,
 თვალს იტაცებს სიკაშკაშე
 აისის და დაფიონის.
 საქართველოს ბევრი ჰყავდა
 გმირთაგმირი მოამაგე,
 ბევრი ციხე, ბევრი ხიდი
 და ტაძრებიც ბევრი აგეს.
 მტრებიც გვყავდა: სპარსი, თურქი,
 მონღოლები, თუ ხაზარი...
 იყო ბრძოლა სისხლის მღვრელი
 და წვდებოდა ცას ხანძარი.
 ვიდრე მეფე ერეკლემდე,
 მცხეთელ ფარნავაზის დროდან,
 საქართველოს მიწაწყალზე
 ჭარაშოტი რისხვით ჰქროდა,
 მაგრამ გულად ჭართველს მუდამ
 მტკიცედ ეპყრა ძლევის ხმალი;
 გადაფურჩით ეამთ სიავეს
 მტრულ ურდოთა გაჰქრა კვალი,

• • •

გაიმარჯვა სიმართლის ხმამ,
 ხალხის ნებამ, ხალხის ძალამ;
 სიხარულმა ფრთა გაშალა
 მზე ანათებს ძლევის ალამს.
 თავგანწირვით მებრძოლ გმირებს
 დაუფასდათ ღვაწლი დიდი,
 ითრგუნება, შერცხვენილი,
 ყველა ცრუ და ყველა ფლიდი.
 გმირულ შრომის და სიმღერის
 დრო დაუდგა ჩვენს ქვეყანას,
 ხალხი თვითონ მართავს მზარეს,
 ბრძნულად უელის ბაღს და ყანას.
 სასახელო ხუთწლეუდების
 როს გაგზედავთ განვლილ მანძილს,
 გვწამს, რომ მეცხრე ხუთწლედიც კვლავ
 გეასახელებს ახალ განძით.
 გმირი ენთუზიასტების
 რა არ ძალუძთ გამრჯე ხელებს?

მემინდვრეს და მევენახეს,
მეჩაიეს, მეცხოველეს;
რა არ ძალუძთ დაუდალავ
ინდუსტრიის გოლიათებს,
არნახული შემართებით
მომავლის გზებს რომ გვინათებს,
ჭაბუკი და ქალიშვილი
ყველა შრომობს მთელი ძალით
და გაისმის: ჩვენი არის
აწმყოცა და მომავალიც.



3650 ჩნიკვაძე

ქუჩაში გოლის ოგის ჭრილობა

საშა თელიაშვილს

გვიახლოვდება
 ქუაფენილით
 ფეხის კაკუნი —
 სამგლოვიარო
 მელოდია
 წასულ თაობის.
 ის მოდის ტვირთით
 იძულებით
 დრომ რომ არგუნა —
 ნაღმის ნამსხვრევით
 და შემულილი სასაფლაოთი.
 — კაგალერია!
 მაგრამ ძმაო,
 სად არის იგი,
 ხალხი კი არა
 ფოთოლცვენის
 ჩურჩული მოგდევს.
 წითელ ხავერდზე
 ორდენების
 ბრწყინვალეებს რიგი,

მაგრამ ვერ ვხედავ
 სიცოცხლეზე
 უკუთეს ორდენს.
 გიყურებ შენ და
 დაკბენილი
 თითებით გხატავ:
 ნახევარკაცის
 უხაშველოდ
 გაზრდილი ლანდით
 გვიახლოვდები
 და იცინი,
 იცინი, რადგან
 იმ ერთი ფეხით
 ახლა
 მთელი
 ქვეყანა
 დადის.

ღაბრუნება ოთხი წლით უკან

ეს როდის იყო,
 როდის იყო,
 მითხარი ჩქარა.
 დღე და საათი —
 გაქცეული დროს მონაკვეთი.

როცა სარკმელთან
 ფითრდებოდა ტოტებზე ქარი
 და მე ვისმენდი
 სიყვარულის ახალ გაკვეთილს.



განთიადამდე
ტრიალებდა შავი ფირფიტა,
განთიადამდე
იმსხვრეოდა ჭიქები ბროლის.
და მეხებოდა
მელოდია კინოფილმიდან,
როგორც ხელები
უმწეობით დაღლილი ცოლის.

ეს როდის იყო:
რა გვინდოდა არავინ გვეითხა,
წუხდნენ დღეები
უძილო და თვალგახელილი.
და გულგრილობის მავთულხლართზე
გვიდა დიდხანს

ალუბლის ტოტი
მიძინებულ ბავშვის ხელივით. ერეკნულნი
ეს როდის იყო,
როდის იყო,
მითხარი მალე.
დღე და საათი.
ვინ მესროდა ხორკლიდან გუნდებს.
მივჩერებივარ
დაფურცლული კალენდრის თვალებს,
თითქოს

საკუთარ
სხეულიდან
გაქცევა
მსურდეს.

• • •

გაზაფხულის მწვანე თორი,
კისარტყელას შუბი.
ორი წელი —
ოქროს რგოლი,
ორი ოქროს ბუკი.

ორი — ლუწი,
სამი — კენტი.
კიდევ ლუწი,
კიდევ კენტი.
რძეწამდგარი მინდვრის ძუძუ
შენც აგავსებს სიამეთი.

შეაჩვიე ეკალს ტერფი,
ხელისგულებს წყლულები.
წავლენ წლები —
თეთრი დები —
ნაზი გაზაფხულები.

მაგრამ ვიდრე მწვანე თორი
ლაქვარდს ფერხითი უცია,
ვიდრე კისარტყელას ზოლი
ანგელოზის შუბია,

ვიდრე საჩეხს გაუხედნი
კვიცი ამტვრევს ტორებით.
დაამშვენე მხარი მხედრის
წლებით —
ოქროს რგოლებით.

ორი — ლუწი,
სამი — კენტი.
კიდევ — ლუწი,
კიდევ კენტი...
შეაგებე ბროლის ტუჩი,
მთქრიალებს მზოლოდ შენთვის,
ყაყაჩოთა უცხო შუქი —
საქართველოს ძუძუს კერტი.

• • •

სიცხე.
თერმომეტრით გაზომილი სიცხე.
ვშრები, როგორც თიხის ტურქული
და ვყვირი:
— ჩქარა,
ბავშვი იწვის!

ბავშვი, რომელიც
შეეთვისა ჩემს არსებობას.
ჩქარა,
თორემ გადატყდება შუბლი ნაოჭით
და დამედვრება უდაბნოში
უკანასკნელი წყლით სავსე სურა.

გათქვარულია
 სხეული წვიმით
 და ერთწლიან ნამყენებში
 ისე დაედღვარ,
 როგორც

ბაგაში
 მომვლელი ქალი
 ცეროდუნა
 საწოლებს,
 შუა.

ღ ი ღ ი ს ი მ უ ო ნ ი ა

თოვლი, პირველი თოვლი
 სატაცურივით ნედლი
 ტყდება და თქვენი თხოვნით
 გარბის სიცოცხლის ეტლი.

ვიხსენებ ფერმკრთალ პროფილს
 და უმოწყალო გლოვას —
 უკვე არავინ მოდის,
 ალბათ არავინ მოვა.

და მოგუგუნე ბგერა
 დარბაზს ვნებისგან ძარცვავს.

ისე ახლოა შველა,
 ისე ახლოა ჯვარცმა....

თოვლმა არ იცის დადლა
 მოღერებული ყელის.
 ორკესტრს აგიყვებს ახლა
 მანქანით თქვენი ხელი.

თოვლი, პირველი თოვლი
 სატაცურივით ნედლი,
 ტყდება და თქვენი თხოვნით
 გარბის სიცოცხლის ეტლი.

ს ა რ კ მ ღ ი ღ ა ნ

„გზაზე ფოთოლი გაწვება“

გ. ლეონიძე

უდაბურება შეღამების
 და მარტოობის.
 ისმის ჩურჩული,
 სველ მიჯნაზე წვება ფოთოლი,

ან შენ სადა ხარ,
 ან წკრიალა ყელის მაქმანი,
 დგახარ უძრავად,
 არც სურვილი,
 არც გასაქანი.

კენწერობებზე
 მუშტებივით შეკრულ ბუდეებს
 ოქროს დღეები
 ერთფეროვან დამეს უთევენ,

დგას ეკლესია
 მორღვეული მხრების კანკალით
 ზეცას შეკბლავის
 გულუბრყვილო, თეთრი ბატკანი.

იყურე, წუთით,
 ახმაურდა წყლისპირ ნარიყი,
 ნომბერს მიჰყავს
 შემოდგომის ჭრელი ფარეხი,


ან შენ სადა ხარ,
 ან წკრიალა ყელის მაქმანი.
 დგახარ უძრავად,
 არც სურვილი,
 არც გასაქანი.

ბ ა რ ღ ა უ ვ ა ლ მ ბ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არის მანდ ვინმე!
— ახლა იმას ვილა იპოვის!
— წელან აქ იყო,
ალბათ ბოლო კარით გავიდა...
ბოლთას სცემს ერთხანს
მკაცრი სახის რეპეტიტორი,
ეწევა, ოხრავს
და ყველაფერს იწყებს თავიდან.

გაგა დრო.
ალბათ დამიწყებენ ძებნას:
— წელან აქ იყო,
აქ გასცვალა სული ყვავილზე...
შეატორტმანებ აფანსცენას —
განწირულ გემბანს
და გააგრძელებ...
გააგრძელებ, როგორც დაიწყე.



საქართველოს საზღვროთმცხველი

მეცხრე ტალღა

„კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელთანაც ომის უმძიმესი გზა გავიარე, კარგად მახსოვს. იგი იყო ნიჭიერი, ნებისყოფიანი და ენერგიული არმიის ხარდელი, სამშობლოს მამაცი და მედგარი ჯარისკაცი, შესანიშნავი ადამიანი, ნიჭიერი ქართველი ზალხის ღირსეული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღწა მტერზე გამარჯვების დიად საქმეს. მის მხედართმთავრულ ნიჭს უნდა უმადლოდნენ ფაშისტ დამპყრობთაგან განთავისუფლებას ჩრდილო კავკასიის ბევრა ქალაქისა და რაიონის მშრომელები, განსაკუთრებით მშრომელები ნოვოროსიისკისა, რომელსაც ახლა მიენიჭა მაღალი სახელმწიფო ჩილდო — „გმირი ქალაქის “სამატიო წოდება“, — ასე წერდა სკვპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივანი დ. ა. ბრევენევი. ნოვოროსიისკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებზე მოგვითხრობს ცნობილი რუსი პოეტისა და დრამატურგის ა. სოფრონოვის პიესა, რომლის ქართულ თარგმანს ქვემოთ ვაქვეყნებთ.

რად.

მოქმედი პირნი:

ბერევენოვი
ბეტროვი
პავლოვი
ლესელიძე
ვლადიმეროვი
მეზღვაური
სიბიაგინი
ნოვოსადი
კონოვალოვი
ზობოტოვი
ნიგარაძე

სარქისოვი
რაპიშოვი
გრიგოროვიჩი
ტარასოვი
ტილევიჩინი
ეთერი
კუზინა
ფენია
გრიგორესკე
მილცე
საბუთა ჯარისკაცები და მეზღვაურები.
გერმანელი ჯარისკაცები.

პირველი ნაწილი

სიბენელეში ისმის შოსტაკოვიჩის რევეიში, მიმდევნილი ნოვოროსიისკის გმირებისადმი. ფარდის წინ აინთება მარადიული ცეცხლი. იქვე დგას მეზღვაური.

მეზღვაური — იღვრა ცხრაასორმოცდასამი წელი! გმირი საბუთა არმია, ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე,

სისხლისმღვრელი ბრძოლებით ანთავისუფლებდა საქულველი მტრისაგან სამშობლოს. ამ ბრძოლებში დაიბადა ათასობით გმირი. ისინი მამაცობის სასწაულებს ახდენდნენ და იმარჯვებდნენ. მათ გულელებში ენთო დაუოკებელი სურ-

ვილი — თავისუფალი ენახათ მშობელი მხარე. დღეს ჩვენი სულის სიმღერა მათ ეძღვნებათ, ვინც იბრძოდა დიდი სამამულო ომის ვეებერთელა ფრონტის მარცხენა ფლანგზე — ჩრდილო კავკასიაში, შავი ზღვის ნაპირებზე. აქ იყვნენ ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის შვილები. ისინი ემსახურებოდნენ ერთ დედა-სამშობლოს, რომელმაც მათ შთაუნერგა სიყვარულისა და ძმობის მაღალი გრძნობა.

ისინი გმირები იყვნენ... მათ შეუდრეკელი სული ჰქონდათ... მათი გმირობა უკვდავია... ისინი მუდამ იცოცხლებენ ჩვენს გულებში!

ფარდაზე ნათდება სიტყვები: „ეძღვნება ჩრდილო კავკასიის განმათავისუფლებელ გმირებს, მცირე მიწის გმირებს“.

პირველი სურათი

უბრალო სახლის ოთახის ფანჯრიდან მოჩანს ხეობა და ტყით შეფენილი მთები.

მთელი კედელი უძირავს ჩრდილო კავკასიის ფრონტის რუკას.

რუკასთან დგას პეტროვი. იქვე სხედან გენერლები პავლოვი და ლესელიძე. აღმირალი ვლადიმეროვი, ბერეჟნოვი, ლიპატოვი, სიპიაგინი, სხვა სამხედრო პირები.

პეტროვი — ასე რომ, ამხანაგებო დგება ფაშისტ ოკუპანტთაგან ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების გადამწყვეტი დღეები. უმალესმა მთავარსარდლობამ დაამტკიცა ნოვოროსიისკის განთავისუფლებისა და „ცისფერი ხაზის“ გარღვევის გეგმა. შემიძლია გითხრათ, რომ, მთელი ოპერაცია თანდათანობით ჩატარდება. პირველი რგოლი ნოვოროსიისკის განთავისუფლებაა. ნოვოროსიისკის განთავისუფლება... ყველა ქვეგანაყოფის მოვალეობაა მაქსიმალურად მოემზადოს ამ არაჩვეულებრივი ბრძოლისათვის... ვფიქრობ, გასაგებია რატომ ვხმარობ სიტყვას — „არაჩვეულებრივი“?

ლესელიძე — გასაგებია, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი — ფრონტის სამხედრო საბჭოს სხდომაზე ჩვენ მოვიწვიეთ იმ

ნაწილთა მეთაურებიც, რომელთაც დააწვებათ ამ ოპერაციის წარმატებით ჩატარების მთელი სიმძიმე. მხედველობაში მაქვს საზღვაო დესანტი. მას დავალებული აქვს გაიჭრეს ცემესის ყურისაკენ და ნავსადგურში გადასხდეს. ამიტომაც დაგიძახეთ თქვენ, პოდპოლკოვნიკო ლიპატოვი! ბრვიადების შექმნა დაამთავრეთ?

ლიპატოვი (წამოდგება) მთავრდება, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი (ლესელიძეს) თქვენ ამაზე პირადად პასუხისმგებელი ხართ, ამხანაგო ლესელიძე!

ლესელიძე — ნუ სწუხართ, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი — მე ვალდებული ვარ, ვწუხდე. როგორ არიან, სიპიაგინ, თქვენი მეკატერეები?

სიპიაგინი — (წამოდგება) მზად არიან, ამხანაგო სარდალო.

პეტროვი (ღმილით) თქვენთან ყველა ყოველთვის მზად არიან. მთავარი საკითხია უზრუნველყოთ ნოვოროსიისკის განთავისუფლება მაქსიმალურად მოკლე დროში. ყველაფერს, რაც ცემესის ყურეში მოხდება, მთელი ოპერაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. იმედია, ეს ყველას ესმის.

ლესელიძე — ყველას.

პეტროვი — სხვების მაგიერ თქვენ ასე ადვილად პასუხობთ...

ლესელიძე — ადვილად ვპასუხობ იმიტომ, რომ, ვიცი რა ძნელიც იყო ამ ოპერაციის მომზადება.

პეტროვი — რა თქმა უნდა, პერიდან და ზღვიდან ადვილი როდია მტრის ცოცხალი ძალისა და არტილერიის რაოდენობის დადგენა, მაგრამ, მიანც, აეროგადაღება ამტიციებს, რომ ნავსადგური ძლიერ გამაგრებულია, მტერი დღისით და ღამით ამაგრებს დაცვის მთავარ ხაზსაც.

პავლოვი — ხაზის სიგანე ხუთიდან შვიდ კილომეტრამდეა...

პეტროვი — დიახ, დიახ ხუთიდან შვიდამდე... დესანტს, რა თქმა უნდა,

გაუჭირდება... (ვლადიმროვს) ასეა, არა ამხანაგო აღმირალო?

ვლადიმროვი — ჩვენთვის მთავარი იქნება ნავსადგურში ფეხის მოკიდება... თუმცა მოულოდნელობის მომენტი, როგორც კი ყურეში შევალთ, უკვე გავლილი იქნება.

პეტროვი — შეტევა მართო ზღვიდან არ იწარმოებს...

ლესელიძე — სახმელეთო ჯგუფები, ამხანაგო სარდალო, გაათრებიტ ემზადებიან...

პეტროვი — როგორ თქვით?

ლესელიძე — დღისით და ღამით, ამხანაგო სარდალო... უფრო ღამით... ყოველ შენაერთში არის განზღუდვისა და დაკავებული ზღუდეების დამაგრების რაზმები.

პეტროვი — რაზმები არის, ეს ცნობილია... მაგრამ როგორია მათი ბრძოლისუნარიანობა?

ლესელიძე — ყველაფერი ერთ მუშტად არის შეკრული. მოიერიშე რაზმები, მენადმეები... შეტევა ქალაქის ძლიერ დანაღმულ ადგილებში წარიმართება... ამას თავისი სპეციფიკა აქვს... გვაქვს საგანგებო ხიდები იმისთვის, სადაც ძლიერი სანაპირო სიმაგრეებია.

პეტროვი — ნოვოროსიისკი ჩვენთვის ყირიმის კარებია. გერმანელებმა ეს ჩვენზე ცუდად არ იციან.

პავლოვი — როდის შევუტევთ „ცისფერ ხაზს“?

პეტროვი — როცა ნოვოროსიისკს ავიღებთ. „ცისფერ ხაზს“ გავარღვევთ. არმიის სარდალმა გრეჩკომ იცის თავისი საქმე... (ვლადიმროვს) თქვენ რას იტყვით?

ვლადიმროვი — შავი ზღვის ფლოტი მზად არის ყველა შესაძლებელი საშუალებით შეასრულოს ეს ამოცანა. დესანტის სარდალია აღმირალი ხოლოსტიაკოვი. იგი მამაცი მეზრძოლია.

პეტროვი (ლიბატოვს) თქვენ იცით სად უნდა გადავსხათ დესანტი?

ლიბატოვი — ვიცით, ამხანაგო სარდალო.

ეკონომის

პეტროვი — გვიჩვენეთ ქრთაქსა...
ლიბატოვი (რუკასთან მიღის) აი აქ. ამ ადგილიდან სიყვარულის კონცხამდე.

ლესელიძე — ვინ იფიქრებდა, რომ სიყვარულის კონცხისთვის სისხლის დაღერა მოგვიხდებოდა?

პეტროვი — თქვენ კიდევ შეგრჩათ უნარი, რომ სამხედრო ობიექტების სახელების შინაარსს ჩასწვდეთ?

ლესელიძე — ყველანი ადამიანები ვართ, ამხანაგო სარდალო, კაცნი ვართ...

პეტროვი — ადამიანები სხვადასხვაგვარნი არიან... (ბერეჟნოვს) ასე არ არის, პოლკოვნიკო?

ბერეჟნოვი — ასეა, ივან ეფიმოვიჩ.

პეტროვი — ერთ-ერთი გადამწყვეტი დარტყმა მცირე მიწიდანაც იქნება. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მიღწეულ იქნას ყველა უბნის სრული ურთიერთმოქმედება.

ბერეჟნოვი — დღეს მინდა სიპიავინთან ერთად მცირე მიწაზე წავიდე. მცირე მიწის პარტორგანიზაციამ თავის რიგებში კიდევ რამდენიმე მეზრძოლი მიიღო. მსურს მათ გადამწყვეტი იერიშის წინ გადაეცე პარტიული ბილეთები.

პეტროვი — ძალიან კარგია. (ლესელიძეს) კიდევ ერთი რამ... ძალიან გვიპირდება მოენეები.

ლესელიძე — მე დავავალე მცირე მიწაზე ხელთ ივლონ გერმანელი მოენე, ანაპაში კი რამდენიმე რუმინელს ჩავიგდებთ ხელთ.

პეტროვი — რამდენიმეს?

ლესელიძე — რამდენიც იქნება. ისინი ახლა ადვილად მოჰყვებიან ხელს...

პეტროვი (ლესელიძეს) — რუმინელები ოცნებობენ თავი დააღწიონ ამ სათავურს. უნდა დავეხმაროთ მათ ადრე დაამთავრონ ომი (ყველას) ამხანა-

გებო, მთავარსარდლობა ელოდება კავკასიის მთლიან განთავისუფლებას. მოემზადეთ. (ყველანი ფეხზე დგებიან). თქვენ ამხანაგო ლესელიძე და თქვენ ამხანაგო ბერეჟნოვ, ვთხოვთ, არ წახვიდეთ. (ყველანი მიდიან. ოთახში რჩებიან პეტროვი, ლესელიძე და ბერეჟნოვი).

ლესელიძე (გზნებით) დიახ, ჩვენ დიდი ისტორიული მოვლენის ზღურბლთან ვდგავართ!

პეტროვი — ასეა, თუ საზეიმო სიტყვებით ვიტყვი. მაგრამ, ამგვარად იმედია, ნათქვამი იქნება უმალესი მთავარსარდლობის ბრძანებაში, როცა ჩვენს ამოცანას შევასრულებთ. (ბერეჟნოვს) მსურდა გამეგო ჯარისკაცებისა და ოფიცრების განწყობილება. თქვენ ეს კარგად იცით. თქვენ რალაცნაირად განსაკუთრებით გენდობიან ადამიანები. ისინი თქვენში დიდ პარტიულ მოღვაწეს ხედავენ. შავ ზღვაზე თქვენ უკვე გასული წლის შემოდგომიდან ხართ. ადამიანებს იცნობთ.

ბერეჟნოვი — მათ ბრძოლა სწყურიათ. ჩაიფუშა პიტლერის იმედი, რომ მას ჩრდილო კავკასიაში მხარს დაუჭერდნენ მთის ხალხები და სწორედ აქ გაიბზარებოდა საბჭოთა ხალხების მეგობრობა...

ლესელიძე — რა ბზარი უნდა ყოფილიყო? აქ ბზარს სწორედ პიტლერის არმია უნდა ელოდეს.

ბერეჟნოვი — მეთვრამეტე არმიის რიგებში იბრძვიან რუსები, უკრაინელები, ქართველები, უზბეკები, აზერბაიჯანელები, სომხები... სწორედ აქ, კავკასიაში, მათი მხარდამხარ ბრძოლა, მე ვიტყვოდი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლესელიძე — მე ქართველი ვარ და ვამაყობ, რომ, თქვენთან ერთად ვიბრძვი ამხანაგო სარდალო, თქვენთან, ამხანაგო ბერეჟნოვ!

ბერეჟნოვი — დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მაღალი შეგნებულობა და

მებრძოლი სულისკვეთება გამარჯვებას მოგვითანს...

პეტროვი — დანარჩენებში გამარჯვების შემდეგ, ბერეჟნოვ, გადაეციეთ მცირე მიწის გმირებს, რომ მათი იმედი გააქვს. აბა, გამარჯვებით!

ლესელიძე — გამარჯვებით! ყველას გამარჯვებას გისურვებთ! სინათლე ქრება.

მეორე სურათი

ლიპატოვის ოთახი. კედელზე აივანოვსკის სურათის „შეცხრე ტალღის“ რეპროდუქცია. მაგიდაზე სველე ტელეფონები. შუშის კარადაში მუსიკალური ინსტრუმენტები. საწოლი გაწყობილია ჯარისკაცული უბეში ლოკინით. ძველი, ვაცრეცილი დივანი. რამდენიმე ვენური სკამი. ფანჯარაში ჩანს ნარინჯისფერ-მოწითალო დაისი. მაგიდაზე ვადაფარებულ რუკას დაკუთრებენ ლიპატოვი და სიპიაგინი.

სიპიაგინი (რუკიდან თავს აწევს) ყოველთვის, როცა დესანტში მიდიხარ, როგორ უნდა გაიგო, რა გელის? მიდი და გაარკვიე სად არის დამალული მტრის საცეცხლე წერტი. საიდან დაგიშენენ ცეცხლს.

ლიპატოვი — მე კი იმათზე ვფიქრობ, ვინც დესანტით უნდა გადავსხათ. ყოველ მათგანზე. რა ფიქრები აქვთ, რა აწუხებთ?

სიპიაგინი — ჩვენ ამას თვითონ უნდა ვხვდებოდეთ.

ლიპატოვი — მიხვედრა ძნელია...

სიპიაგინი — ძნელია, მაგრამ აუცილებელი. (კარებზე კაკუნის ხმა).

ლიპატოვი — შემოდით.

ქენია (შემოდის) შეიძლება ამხანაგო პოდპოლკოვნიკო? მაპატიეთ, არ ვიცოდი თუ არ გეცალათ.

სიპიაგინი — ვმუშაობთ ქენია, ვმუშაობთ...

ქენია — მე ხელი შეგიშალეთ...

სიპიაგინი — ქენია, თქვენ განახელს შეგვიშლით?

ლიპატოვი — (ქენიას, ცივად) რამე ახალა კავშირგაბმულობის კვანძში?

ქენია — არა, არაფერი... მე ისე, უბრალოდ...

ლიპატოვი — არ გვცალია, ქენია... ქენია — ჩაი ავადულო?

ლიპატოვი — მერე, ქენია, მერე! ქენია — კარგი, მე მერე მოვალ (მიდის).

სიპიაგინი (დუმბილის შემდეგ) — რატომ ასე მკაცრად?

ლიპატოვი — არაფერია.

სიპიაგინი — მათ აქ ისედაც ცოტა აქვთ სიხარული.

ლიპატოვი (ამოიოხრებს) — ცოტა.

სიპიაგინი — თვალეში ეტყობა, კარგი გულისა იქნება.

ლიპატოვი — მეტისმეტად კარგის.

სიპიაგინი — თქვენ მან გაგაჯავრათ?

ლიპატოვი — ჩემზეა გაჯავრებული.

სიპიაგინი — თქვენ მას უყვარხართ.

ლიპატოვი (აენტება) — მერე რა? მერე რა მოხდა?

სიპიაგინი — ყოველთვის მის დანახვზე ცოლი წახსენდება, ნინო... ჩემი პატარა გოგონა... რა არ ხდება ომში... იქნებ ვერც მნახოს ჩემმა გოგომ?!...

ლიპატოვი — თქვენ საფიქრებელი მაინც გაყავთ.

სიპიაგინი — თქვენზედაც გამოვიცა, ოჯახი ჰყავსო.

ლიპატოვი — მყავდა. აღარ მყავს.

სიპიაგინი — მე კი მგონია...

ლიპატოვი — მეც მგონია! მოდი სჯობს საქმეს მივხედოთ კაპიტან-ლეიტენანტო!

სიპიაგინი (საათს დახედავს) — თხუთმეტი წუთით უნდა დაგტოვოთ. პოლკოვნიკი ბერეჟნოვი აპირებდა თქვენთან შემოვლას მცირე მიწაზე გამგზავრების წინ. მე რალაციის შემოწმება მინდა. შეიძლება?

ლიპატოვი — წაბრძანდით. (სიპიაგინი მიდის. ლიპატოვი თამბაქოს ეწევა. რუკას დაჰყურებს. კარებზე კაკუნის ხმა). შემოდით.

ქენია (შემოდის და კარებთან ჩერდება) — შემოვედი.

ლიპატოვი — რა მოხდა?

ქენია — არაფერი.

ლიპატოვი — რალაც აღელვებული ჩანხარ.

ქენია — დღედაღამ ვფიქრობ.

ლიპატოვი — არ გინდა, ქენია... ქენია — ვიცი. მესმის. მაგრამ არ შემძლია. თქვენ პირველი ხართ, ვინც შემოიყვარდა. პირველი...

ლიპატოვი — ქენია, რა მოგდის? ქენია — ომის გამო მე ორმაგად რატომ ვიტანჯო?

ლიპატოვი — ახლა ყველა იტანჯება.

ქენია — ყველა, გარდა თქვენი ცოლისა...

ლიპატოვი — ქენია, შენ ყველაფერი იცი... ომის წინ ჩვენ ფაქტიურად დავცილდით ერთმანეთს...

ქენია — ფაქტიურად, ფაქტიურად... რა სიტყვებია...

ლიპატოვი — ის კაცი, ვისზედაც გათხოვებას აპირებდა, ფრონტზე დაიღუპა. ხომ გესმის როგორი მღვდომარეობა შეიქმნა?

ქენია — უფრო პატიოსნური იქნებოდა მიგეწერათ, რომ სხვა გიყვართ.

ლიპატოვი — ახლა ამას ვერ ვიზამ.

ქენია — ნუთუ თქვენ ის ახლაც გიყვართ?

ლიპატოვი — არა, არ მიყვარს. ყველაფერი მორჩა, გათავდა. შენ ეს იცი, ქენია!

ქენია (ქალაღს იღებს ჯიბიდან) — აი, ჩემი პატაკი სხვა ნაწილში გადაყვანაზე... ასე აჯობებს თქვენთვისაც, ჩემთვისაც.

ლიპატოვი (ქალაღს ხევის) — ქენია, მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ! გაიგე. გათავდება ომი და ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერი დალაგდება!

ქენია — დამთავრდება ომი და თქვენ დაუბრუნდებით მეუღლეს.

ლიპატოვი — მე შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ!

ქენია — მაგრამ თქვენ წერთ წერილებს და კოცნას უთვლით თქვენს ცოლს.

ლიპატოვი — რატომ გგონია?

ქენია (იღებს წერილს) — მაშ ეს რა არის? „გოცნი. შენი გრიშა“.

ლიპატოვი (დარცხენით) — მაშ... რა მიეწერო? საიდან გაქვს ეს წერილი?

ქენია — საველე ფოსტიდან... თქვენ ჩააბარეთ, მე კი ავიღე.

ლიპატოვი — სხვისი წერილის კითხვა...

ქენია — მაშ თქვენ ჩემთვის სხვა ხართ, არა? მოდი დაეშორდეთ ერთმანეთს, გრიგორი ივანოვიჩ, შეიძლება ყველაფერი ისევ მოაგვაროთ... არ მინდა თქვენ ოჯახი დაგინგრიოთ... მაგრამ არც ის მინდა, რომ ცხოვრება ამიწეწოთ. დამანებეთ თავი!

ლიპატოვი — რატომ მაწამებ ქენია? ჩვენ სერიოზული ბრძოლა გველის. მე პასუხს ვაგებ ასობით ადამიანის სიცოცხლისათვის. მათ შორის შენი, შენი სიცოცხლისათვისაც!

ქენია — ჩემი სიცოცხლე თქვენ ჩაღადაც არ გიღირთ!

ლიპატოვი — სცდები, შენ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხარ ამ ქვეყნად. გეფიცები, გეფიცები, დამიჯერე ქენია... დამეხმარე! მითხარი, რომ გიყვარვარ... მითხარი, რომ ჩემთან იქნები ყოველთვის!

ქენია — გრიგორი ივანოვიჩ, რატომ მაწამებთ?

ლიპატოვი — მითხარი, რომ გიყვარვარ...

ქენია — ჰო, მიყვარხარ, მიყვარხარ... რა თქმა უნდა, მიყვარხარ! (კაკუნი კარებზე).

ლიპატოვი — დიახ... გთხოვთ. (შემოდის ბერეჟნოვი).

ბერეჟნოვი — გამარჯობათ!

ქენია (ძლივსძლივობით გამოერკვა) — გამარჯობათ, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ბერეჟნოვი (ლიპატოვს) — სად არის სიპიაგინი?

ლიპატოვი (ქენიას) — სერჟანტო, დაუძახეთ კაპიტან-ლეიტენანტს.

ქენია — ახლავე, ამხანაგო პოლკოვნიკო. (მიდის).

ბერეჟნოვი — როგორია განწყობილება, ლიპატოვ?

ლიპატოვი — (მორიდებით) — ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ბერეჟნოვი — სამხედრო საბჭოს სხდომაზე მომეჩვენა, რომ რაღაც გაწუხებთ, ასეა?

ლიპატოვი — არა... ახლა რაიმეზე წუხილი არ შეიძლება. უაღრესად დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს.

ბერეჟნოვი (გამომცდელად უყურებს ლიპატოვს) — ეს მართალია... ძალიან დიდი... რა თქმა უნდა, ადამიანი მაინც ადამიანია... მაგრამ ღვება მომენტი, როცა ყველაფერი უნდა დაივიწყო და მთავარზე იფიქრო... ასეა არა, ლიპატოვ?

ლიპატოვი — დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

ბერეჟნოვი — დავბრუნდები მცირე მოწიდან და თქვენს ბრიგადაში მოვალ. მინდა თქვენს მებრძოლებს გავესაუბრო.

ლიპატოვი — მებრძოლები სხვადასხვაგვარი ხალხია...

ბერეჟნოვი — სხვადასხვაგვარი? ეს ქალიშვილი...

ლიპატოვი — ეგ კავშირგაბმულობის კვანძიდანაა.

ბერეჟნოვი — თქვენთან ქალიშვილებს ხომ არ აწყენინებენ ხოლმე?

ლიპატოვი — არა... რათ უნდა ვაწყენინოთ? (კაკუნი კარებზე) შემოდით. სიპიაგინი (შემოდის) — კატერები მზადაა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

ბერეჟნოვი — კარგი სიპიაგინ. წავიდეთ!

ლიპატოვი — გზა მშვიდობისა...

ბერეჟნოვი — გამარჯვებით, ლიპატოვ!

(მიდიან. ლიპატოვი მიაცილებს)
სიბნელე.

მესამე სურათი

სალამოდება. რკინიგზის ხაზი. ვადალმა ნამ-
სხვრევებით ტოტეზმათლეწილი, სიკვითლეში
შესული ალვის ხე. მოჩანს ბლინდაეში შესას-
ვლელი. რკინიგზასთან ტყვიამფრქვევების ბუ-
დეები. ოდნავ მოშორებით სხედან კონოვალო-
ვი, შაშა კუზინა, ნიჟარაძე, ხობოტოკი, სარქი-
სოვი, სხვა მებრძოლები.

ხობოტოკი — (ბაიანზე უკრავს და
მღერის).

შემოდინ ბერეჟნოვი, ნოვოსადი, რა-
ხიმოვი. ბერეჟნოვი ანიშნებს, რომ მომ-
ღერალს ხელი არ შეუშალონ. ხობო-
ტოკი განაგრძობს სიმღერას, მალე იგი
შეამჩნევს ბერეჟნოვს და სიმღერას
თავს ანებებს. ყველანი წამოიშლებიან.
ბერეჟნოვი — განაგრძეთ, ისხე-
დით ამხანაგებო!

ხობოტოკი — სიმღერა გათავდა,
ამხანაგო პოლკოვნიკო!

ბერეჟნოვი — სამწუხაროა... კარ-
გი სიმღერაა...

ხობოტოკი — სიმღერები ბევრი
გვაქვს, ამხანაგო პოლკოვნიკო!

ნოვოსადი (ბერეჟნოვს) ყველანი
აქ არიან.

ბერეჟნოვი (მებრძოლებს აკვირ-
დება) ყველანი აქ არიან, მაგრამ არც-
ერთი ერთმანეთს არ ჰგავს. ყველანი
სხვადასხვანაირნი არიან, მაგრამ ერთ-
ნაირად მამაცები. (საველე ჩანთიდან
იღებს პარტიბილეთებს) მეთვრამეტე
არმიის პოლიტგანყოფილებამ დამავა-
ლა მცირემიწელებს, რომლებიც კომუ-
ნისტური პარტიის რიგებში არიან მი-
ლებულნი, პარტიული ბილეთები გა-
დაეცე. (მოისმის ქვეშევსის გასროლის
ხმა. ერთს მეორე მოჰყვა. ბერეჟნოვი
ჩერდება. შემდეგ ერთ-ერთ პარტიბი-
ლეთს იღებს). ვასილ ხობოტოკი...

ხობოტოკი — გისმენთ.

ბერეჟნოვი — გაბარებთ პარტიბი-
ლეთს... იმედი...

ხობოტოკი — დარწმუნებული იყა-
ვით, ამხანაგო პოლიტგანყოფილების
უფროსო, მთელი ჩემი სიცოცხლით...

ბერეჟნოვი — როგორ ატყუებენ
ქვაში იმ სიმღერაში? *გინგლინიშენა*

ხობოტოკი (ხმადაბლა მღერის) —
„თუ ვინმემ გითხრათ ჩემი სიკვდილი,
არ დაიჯეროთ“... (ისევ ისმის ქვეშევსის
ხმა და ტყვიამფრქვევის ჯერი).

ბერეჟნოვი — გერმანელები სიმ-
ღერის ნებას არ გვაძლევენ...

ხობოტოკი — ჩვენ მაინც ვიმღე-
რებთ. (მღერის) „ჩვენი სიკვდილი აღ-
რეა ჯერაც“.

ბერეჟნოვი — კარგი ნათქვამია,
ამხანაგო ხობოტოკ. (პარტიბილეთს გა-
დაფურცლავს) გურგენ სარქისოვი.

სარქისოვი (წამოდგება) — მე გახ-
ლავართ!

ბერეჟნოვი — გილოცავთ.

სარქისოვი — ჩემს სიცოცხლეს,
ჩემს სომხეთს ვფიცავ, ნდობას გავამარ-
თლებ.

ბერეჟნოვი — ექვი არ გვებარება,
ამხანაგო სარქისოვი! სომხეთი მშვენი-
ერი ქვეყანაა. ირაკლი ნიჟარაძე.

ნიჟარაძე — მე გახლავართ ამხანა-
გო პოლკოვნიკო!

ბერეჟნოვი — ო, სულმთლად ქა-
ბუკი ყოფილხართ!

ნიჟარაძე (პარტიბილეთს იღებს) —
ქაბუკი ვარ ამხანაგო პოლკოვნიკო, მაგ-
რამ ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ
აქვს, ამისი მტრებს ეშინოდეთ.

ბერეჟნოვი — სწორად გესმით
თქვენი ამოცანა. იბრძოლეთ ისე, რომ
მტრები ძრწოდნენ...

ნიჟარაძე — სხვაგვარად ბრძოლა
ჩვენ არ ვიცით, ამხანაგო პოლკოვნიკო.
ბერეჟნოვი — აბა, გილოცავთ კო-
მუნისტური პარტიის რიგებში შესვლას.
(სამივეს წელს ართმევს).

ნოვოსადი (ბერეჟნოვს) — ეს ბი-
ჭები ნამდვილი არწივებია, ამხანაგო
პოლკოვნიკო! ისინი თავს არ იშურებენ
გამარჯვებისათვის. (მებრძოლებს) საბ-
რძოლო დავალება მოენის მოყვანა...

გასაგებია? დღეისთვის! (ისმის ბრძო-
ლის გუგუნე) მოენეა საჭირო. რაც შე-
იძლება მაღალი ამოარჩიეთ.

ხობოტოკი — შესახედავად?
ნოვოსადი — შესახედაობას არ დავეძებ. მაღალი წოდების იყოს. მოენის მოსაყვანად წავლენ ხობოტოკი და ნიჟარაძე. შეკითხვები ხომ არ არის?

ბერეჟნოვი — აბა, თქვენ იცით. (ყველანი გარდა ბერეჟნოვისა და რახიმოვისა, გადიან).

რახიმოვი — ოქრო ბიჭებია. ერთმანეთისათვის მზად არიან თავი დასდონ. თუ ვინმე სახლიდან საჩუქარს მიიღებს, ძმებივით იყოფენ. ამასწინათ ფერგანიდან ამანათი მივიღე, დიდებული ღვინო გავმართეთ.

ბერეჟნოვი — ეს რა, პოლიტმუშაობის ძირითადი ფორმაა?

რახიმოვი — ძირითადი არა, მაგრამ არსებითი კია. მე როგორც პოლიტხელს მესმის, რომ თუ მებრძოლები ერთმანეთში ძმებივით არიან, პოლიტმუშაობა მაღალ დონეზეა. იქნებ მე არასწორად მესმის ჩემი ამოცანა, ამხანაგო კომისარო?

ბერეჟნოვი — ესე იგი, არავითარი გართულება თქვენთან არ არის?

რახიმოვი — არის ხოლმე... ახლაც კი არის. სიყვარულის ნიშნებია... საშიში ფაქტორია... არ ვიცი როგორ შევებრძოლოთ ამ გადმონაშთს...

ბერეჟნოვი — რა ფაქტორია? რა გადმონაშთზე ლაპარაკობთ?

რახიმოვი — ირაკლი ნიჟარაძეს, ვეფხისტყაოსნის გმირივით მამაც ვაჟკაცს, რომელსაც თქვენ ახლა პარტიზული გადაეცით და ყუბანელი კაზაკის ქალიშვილს მაშა კუზინას, რომელსაც თქვენც იცნობთ, შეიძლება ითქვას, გაგიჟებით უყვართ ერთმანეთი. არ ვიცი, როგორ შევებრძოლო ამ უარყოფით მოვლენას?

ბერეჟნოვი — მერე, ეს განა მათ ბრძოლას ხელს უშლის?

რახიმოვი — არ უშლის, მაგრამ მებრძოლებს სხვანაირი ფიქრის გუნებაზე აყენებს. ყველას უნდა ცოცხალი და ბედნიერი იყოს.

ბერეჟნოვი — ჭეშმარიტი სიყვა-

რული გმირს არასოდეს ხელს, არ უშლის. ჭეშმარიტი სიყვარული მამაცს საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებს და აღამაღლებს. მგონი, ასე ამბობს რუსთაველი, არა?

რახიმოვი — ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ რაღაც მსგავსი კი უნდა იყოს. ესე იგი, შემიძლია არ ვებრძოლო ამ ფაქტორს!

ბერეჟნოვი — ჩვენ, ამხანაგო პოლიტხელო, საბრძოლო სხვაე ბევრი გვაქვს!

რახიმოვი — მართალი ბრძანდებით, ამხანაგო კომისარო, მეც ზუსტად მაგასვე ვფიქრობდი.

(ისმის ტყვიამფრქვევის კაქანი).

სცენა მობრუნდება

კონოვალოვი, სარქისოვი, ნიჟარაძე და ხობოტოკი რკინიგზის ფედრობზე, ტყვიამფრქვევთან წიანა.

კონოვალოვი — გურგენ, ფრიცები მთვრალეებს ჰგვანან...

სარქისოვი (ხელყუმბარას ისვრის. აფეთქება) — ესეც დააყოლონ.

კონოვალოვი — მგონია, ასიაშოვნე.

სარქისოვი — შენ კი გასიამოვნე, იმათ — არა მგონია.

კონოვალოვი — დაწევი. (აფეთქება).

კუზინა (ნიჟარაძესთან მიცოცდება) — არ გწყურია?

ნიჟარაძე — რა გინდა აქ? წადი უკან.

კუზინა — წყალი არ გინდა?

ხობოტოკი — უეაქინოდ არ გეახლებით. მოიტა, მაშა. (კუზინა აძლევს მათარას. ხობოტოკი მას ნიჟარაძეს გადასცემს). დალიე, ირაკლი!

ნიჟარაძე (მოსევას) — ცივ ბორჯომს სჯობია.

(ახლო სკდება ჭურვი. ნიჟარაძე გადაეფარება კუზინას. სიჩუმე).

ხობოტოკი (წამოდგება) კარგი, ირაკლი! გაუშვი მაშა. ჭურვი დიდი ხანია აფეთქდა.

ნოვოსადი — სამშობლოსათვის!
წინ!

(მებრძოლები გადაირბენენ რკინიგზის ხაზს).

სარქისოვი — გამოაგორეთ ტყვი-
ამფრქვევების შეიცვალეთ ადგილი!

ნიჟარაძე (მამას) — გეხვეწები, აქ
დარჩი...

ხოზოტოკი — წამო, ირაკლი.

ნიჟარაძე — მოვდივარ, ვასია, მოვ-
დივარ ძვირფასო.

ნიჟარაძე მირბის ხოზოტოკთან, სარქი-
სოვთან და სხვებთან ერთად, რკინიგზის
შემადლებზე ადის ბერეენოვი და
ბრძოლის ველისკენ იყურება.

კუზინა (ბერეენოვისკენ მიცოცავს)
— ცოტა დაბლა მიანც დაიხარეთ (სრო-
ლა ახლოვდება).

ტელეჟკინი (ბლინდაჟიდან გამო-
დის ბინოკლით ხელში და ბერეენოვს
გადასცემს) — აჰა, ამხანაგო პოლკოვ-
ნიკო.

ბერეენოვი — გერმანელები კონ-
ტრიერიშივ გადმოვიდნენ.

კუზინა — უკან იხევენ... ჩვენები
უკან იხევენ...

ბერეენოვი — მათ შეტევა არც
ჰქონდათ ნაბრძანები.

კუზინა (შეშფოთებით წამოიწევს)—
ხოზოტოკი ჩანს! ხოზოტოკი ჩანს!.. ის
კი სადღაა?

ბერეენოვი — ვის ეძებ, ვინ სად-
ღაა?

კუზინა — ირაკლი არ ჩანს! ირაკლი
სადღაა! (მირბის რკინიგზის ხაზს იქით.
უყინა, ავტომატის ჭერი... გამოჩნდებ-
იან კონოვალოვი, სარქისო-
ვი და რახიმოვი. კოკლობით მო-
დის ხოზოტოკი, მას კუზინა
მოყვება. სროლის ხმა სულ ახლოსაა...
შემორბიან ნოვოსადი და სხვა მებ-
რძოლები. გაჩაღებული სროლაა. ისმის
ჰურეების აფეთქება და „ილ“-ების მო-
ტორების გუგუნე).

ნოვოსადი — ჩვენი თვითმფრინა-
ვები! მიდით ბიჭებო, მიდით ძვირფა-
სებო! აჰა! უკან წავიდნენ! გარბიან მა-

მაძალები? ამხანაგო პოლკოვნიკო,
მოენე ჩავიგდეთ ხელს...
ბერეენოვი — რალაც ვერ ვხედავ
იმ თქვენს მოენეს.

ნოვოსადი (მიუთითებს) — აგერ
იქეთ წევს, ნეიტრალურ ზოლში.

კუზინა (გამწარებით) — იქ, სადაც
ირაკლი წევს.

ბერეენოვი — ძალიან არ ჩავიგ-
დიათ ხელში, თუ იქ წევს?

ნოვოსადი — ხოზოტოკ! ხოზოტოკ!
(ხელს უქნევს).

ხოზოტოკი ბერეენოვთან მიდის.

ბერეენოვი — თქვენ რა, ამხანაგი
მიატოვეთ? რატომ მიატოვეთ ბრძოლის
ველზე ამხანაგი, როგორ არ გრცხვე-
ნიათ?

ნოვოსადი (ხოზოტოკს) — მოენეც
მიატოვე?

ხოზოტოკი — ჩვენ... ჩვენ... (და-
იკვნესებს).

ნოვოსადი — დაჰრილი ხარ!

ხოზოტოკი — ფეხში მომხვდა.

ნოვოსადი — მიდი, მამა, შეუხვიე.
(კუზინა უხვევს ჰრილობას ხოზოტოკს).

ხოზოტოკი (ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყვი-
ბა) — ჩვენ გერმანელს ვწვდით... ცო-
ტა დავარტანეთ... ლეიტენანტია...

უცებ რა ხდება?... თვალთ დამიბნელ-
და... თვალი გავახილე, ვხედავ ირაკლი
არ ჩანს... არ არი ირაკლი! ვიფიქრე

სხვებმა გაიყვანეს-თქო... მერე სროლა
შეწყდა... ირაკლი არ იყო არსად...

(კუზინა ტირის) შენ რა? რას ღრიალებ,
სულელო?

კუზინა (ნოვოსადს) — ამხანაგო
ლეიტენანტო... შეიძლება?

ნოვოსადი (გადაწყვეტით) წადი!

ხოზოტოკი — მეც წავალ...

ნოვოსადი — დარჩი, ხოზოტოკ...
შებინდდება და ჩვენ წამოვიყვანთ. შენ,
მამა, ხევს გაჰყევი, სანგარ-სანგარ...
წყალი მოგაქვს?

ბერეენოვი — ტელეჟკინ, სწრა-
ფად!

(ტელეჟკინი მათართ ხელში გადის).

ნოვოსადი — ყოჩაღი ბიჭია... (ყ-

ზინას) აჰა, „რუზველტის ღიმილიც“ წაიღე (აძლევს კონსერვის ქილას), თუ ცოცხალია, ჭამაც ენდომება. შებინდდება და ორივეს გამოგიყვანთ... და ნუ ღრიალებ...

ტელეჟიანი (შემოდის) — აჰა, საესეა მათარა! (კუზინას ვადასცემს).

ნოვოსადი — ლაბადაც წაიღე. (თვითონ იხდის) მოიხურე, ჯავშნიანი არ არის, მაგრამ, შესანიღბავად გამოდგება.

კუზინა — წავედი.

(ყველანი იქით იყურებიან, საითაც კუზინა წაივდა).

ნოვოსადი (ღუმელის შემდეგ, ხობოტოკს) — ეჰ, ვასია, ვასია, მეგობარი მაინც არ გერქვას!

ხობოტოკი — რომ დამენახა... თვალი მაინც რომ მომეკრა!

ნოვოსადი — ვალდებული იყავი დაგენახა... რამდენი წლით ხარ მასზე უფროსი?

ხობოტოკი — სამი წლით...

ნოვოსადი — მაინც უფროსი ხარ... გამოცდილებით, ესე იგი... (იყურება იქით, საითაც მაშა წაივდა) არა უშავს, მიცოცავს... (ავტომატის ჯერი) ჩაწვა... რა მოუვიდა?

ხობოტოკი — ამხანაგო ლეიტენანტო, ის გერმანელი განზრახ არ იყოს გატრუნული! ჰა?

ნოვოსადი — რატომ უნდა იყოს განზრახ?

ხობოტოკი — ჩვენ ის მხოლოდ დაეარტიანეთ... მათ ხომ შეუძლიათ თავიანთი კაცი გაუგზავნონ დასახმარებლად?

ნოვოსადი — აბა, პანიკას ნუ ასტეხ! გეყოფა, ხობოტოკ. ისინი გაგზავნიან და ჩვენც გაგზავნიან...

ბერეჟნოვისკენ გაცოცდებიან ნახიმოვი და ტელეჟიანი.

ბერეჟნოვი (ნოვოსადს) — ვინმე მიაშველეთ კუზინას.

რახიმოვი — შეიძლება, მე წაეღო?

ნოვოსადი — მიდი, პოლიტხელო.

ტელეჟიანი — მეც წაეღო...

ბერეჟნოვი — აბა, შენც კი ბეჭობ! ნოვოსადი — შენც წაყვევ, სარქისოვსოვ.

სარქისოვი — მიედივარ, ამხანაგო ლეიტენანტო!

(რახიმოვი, სარქისოვი და ტელეჟიანი რკინიგზის მიწაყრილის იქით მიდიან).

სცენა მობრუნდება

ხევი წევს მაშა. მოშორებით — ნიჟარაძე. კიდევ უფრო იქით — მილცე. მაშა ნიჟარაძისკენ მიცოცავს. ავტომატის ჯერი. მაშა მიწას ეჯვრის. ისევ მიცოცავს. მიუახლოვდა დაჭრილს. ავტომატის ჯერი. მაშა გაჩერდა. ისევ მიცოცავს... მივიდა დაჭრილთან, მკერდზე თავი დაადო, გულისცემას უსმენს. ნიჟარაძე კენესის მილცე შეიჩხა. მაშამ პისტოლეტი ამოიღო. გერმანელმა დაიკვნესა და დადგა. მაშა ცდილობს ნიჟარაძეს წვალი დააღვიწოს. ცახცახით უხვევს პტილობას. მილცე თავს წამოწევს, კენესის...

მილცე — ვასსერ... ვასსერ...

მაშა ლაბადას გადააფარებს ნიჟარაძეს, მილცესთან მიხობდება და წყალს ასმევს. მილცე ხარბად სვამს. თვალს ახელს და პისტოლეტის ამოღებას ცდილობს. მაშა ხელიდან გამოგლეჯს პისტოლეტს და ნიჟარაძისკენ მიცოცავს. მილცე მაშას კვალდაკვალ მისდევს.

მილცე — ვასსერ, ვასსერ...

მაშა — არ არის მეტი წყალი... არ არის, არა!

მილცე — ვასსერ, ვასსერ. (ნიჟარაძესთან მიცოცდება).

სცენა მობრუნდება

სიჩუმე. შემდეგ ისმის მუსიკა. მთვარის ცისფერი შუქი. ფარადი რაკეტების ჩინხხლები. პროექტორის შუქზე მიწაყრილზე მოჩანს ბერეჟნოვის, ნოვოსადის, ხობოტოკის სილუეტები. ისინი სიბნელეს გაყურებენ.

ნოვოსადი (შეშფოთებით) — ხელავ რაიმეს, კონოვლოვ?

კონოვლოვი (სიბნელიდან) — მგონი მოცოცავენ... მაგრამ გარკვევით არ ჩანან...

ნოვოსადი — გაურკვეველად? ჩანან მაინც?

კონოვლოვი — თითქოს ციმციმებენ...

ნოვოსადი — შენ თვალები ზომ არ გიჭრელდება?

კონოვალოვი — აგრეა, ამხანაგო ლეიტენანტო!

ნოვოსადი — ზშირად გემათება ასე? (შორიდან ისმის მოხადრავე კატერების ხმა) ომის წინ შექსპირის პიესა ვნახე... იცნობთ თქვენ შექსპირს, ამხანაგო პოლკოვნიკო?

ბერეჟნოვი (სიბნელეს ვაჟყურებს) — დაახლოებით...

ნოვოსადი — რომეო და ჯულიეტა გადიოდა... სიყვარულზეა... იქ ყველაფერი ლამაზია... ბიქს და გოგოს უყვართ ერთმანეთი... ჯვარს კი ვერ იწერენ. მათი მშობლები პლიუშკინები არიან...

ბერეჟნოვი — ეს უკვე გოგოლია, ლეიტენანტო!

ნოვოსადი — დიახ... კლასიკა... ირაკლი რომეოსავით ნაზია... მაშა კი... (აღგა) კატერები მოვიდნენ, ამხანაგო პოლკოვნიკო. ნაღდათ თვითონ სიპიაგინია.

ბერეჟნოვი — როგორ გამოიცანით?

ნოვოსადი — მას განსაკუთრებული კატერი აქვს. რაღაც ნაზი ხმა აქვს... კონოვალოვ!

კონოვალოვი — გისმენთ...

ნოვოსადი — შენ ნუ კი მისმენ, უყურე... რა არის იქ?

კონოვალოვი — ციმციმებს...

ნოვოსადი — შენ ისევე თვალთ გიჭრელდება.

კონოვალოვი — შეიძლება შესახვედრად გავცოცდებ?

ნოვოსადი — მიდი...

(ისმის მოახლოებული კატერების ხმა).
ნოვოსადი (ბერეჟნოვს) — ნება მომეცით მეც წავიდე.

ნოვოსადი სიბნელეში შთაინთქა. ისმის ტალღების ტლაშენი. ნაბიჯებისა და ლითონის ყუთების ქვაზე დაყვამის ხმა. შუქში გამოჩნდება სიპიაგინი.

სიპიაგინი (ბერეჟნოვს პაკეტს გადასცემს) — გამარჯობათ, ამხანაგო

პოლკოვნიკო! ნაბრძანებდი მაქვს პირადად გადმოგცეთ.

ბერეჟნოვი (ხელს ართმევს) — გამარჯობა სიპიაგინ, რა ამბავია დიდ მიწაზე?

სიპიაგინი (ხალისით) — გამოცოცხლებია... დიდი გამოცოცხლებია... (ბერეჟნოვი პაკეტს ხსნის და კითხულობს). ბერეჟნოვი — გმადლობთ, სიპიაგინ, კეთილი ამბისათვის. სიხარული გულს ყოველთვის პოულობს, რა ჯავშნითაც არ უნდა იყოს იგი დაფარული. სიპიაგინი — ვატყობ, ისეა საქმე, რომ მოახლოვდა ქვეწარმავლის აღსასრული! მაპატიეთ...

ბერეჟნოვი — ნუ ბოდიშობთ, სიპიაგინ... სწორედ რომ ქვეწარმავლის აღსასრულია.

ნოვოსადი (შემოდის) — გადმოტვირთვა თავდება...

ბერეჟნოვი — ტელეფონი არ ჩანს...

ნოვოსადი (სიპიაგინს) — ანაპის კატერი მოვიდა?

სიპიაგინი — მოვიდა. როდის აბრუნებთ ანაპაში?

ნოვოსადი — ხვალამ. სარქისოვი, კონოვალოვი, კიდევ ორი მეზღვაური და მაშა კუზინა წავლენ...

ბერეჟნოვი — მაშას გაუფრთხილდით მაინც...

ნოვოსადი — ეგ ძნელი არ იქნება. იქ რუმინელები არიან. (სიპიაგინს) ნახევარ საათს ვერ მოიცდი?

სიპიაგინი — სიბნელეში უნდა გავაღწიოთ. ახლა ღამეები მოკლეა...

ნოვოსადი — ღამეები რა არის, სიცოცხლეა მოკლე...

სიპიაგინი (საათს დახედავს) — დროა, ამხანაგო პოლკოვნიკო!

ნოვოსადი — მოიცა, სიპიაგინ... ცოტაც მოიცადე. (ყურს მიუგდებს. შემორბის რახიმოვი). შენა ხარ?

რახიმოვი (ქლოშინით) — მოვრბოდი... რომ კატერისთვის მომესწრო. მოენეს მოათრევენ... ჭირკვივით მძიმეა ის ობერი.

ბერეჟნოვი — ის მებძოლი, ირაკ-
ლი? როგორ არის?
რახიმოვი — უგრძნობლადაა. იქ-
ნებ არც არის ცოცხალი.
ნოვოსადი — როგორ თუ არ არის
ცოცხალი? (სიბნელეში გარბის).
სიპიაგინი — ამხანაგო პოლკოვნი-
კო, დაყოვნება სიკვდილს უღრის.
ბერეჟნოვი (შკაცრად) — სიკვდი-
ლი მოიცილის. წყნარად!
კუზინა (გამოჩნდება) — აგერ ისი-
ნი! აგერ ისინი!
შემოდინ სარქისოვი, ტელეჟინი და სხე-
ვი. სიპიაგინი და ბერეჟნოვი ფრთხილად ჩა-
მოართმევენ მათ დაჭრილ ნიჟარაძეს. ნოვოსა-
დი ეხმარება კონოვალოვს, რომელიც მოათ-
რებს ზღვებშეკრულ, პირში ჩვარჩაჩრილ
ტავეს.
სარქისოვი — მძიმეა, წყეული
ფრიცი...
ნოვოსადი — ჩვარი გამოუღეთ პი-
რიდან, თორემ ჩაყლაპავს. (სარქისოვი
ჩვარს გამოაცლის) ისუნთქე, წყეულო,
შავი ზღვის ნიაფი...
მილცე — ჰენდე ჰობს!
ნოვოსადი — აბა ბიჭო...
სარქისოვი — დარტყმულია ეს
ფრიცი... ეს ერთი იცის: ჰენდე ჰობს!
მილცე — ჰენდე ჰობს! (ხელებს მაღ-
ლა წევს).
კონოვალოვი — ჩამოუშვი, ჩამო-
უშვი ხელები.
ბერეჟნოვი — წყალი მიეცით.
სიპიაგინი — დროა უკვე, წავი-
დეთ.
კონოვალოვი (მილცეს მათარას
აძღვეს) — დალიე ფრიცი... შნაპსი არ
არის, მაგრამ...
ნოვოსადი — კონოვალოვ, არაყი
დააღეიენ მეგას... დაწვეს და გელენ-
ჯიკამდე იძინოს... ახლა მეგას უნდა მო-
ეუაროთ.
კონოვალოვი — არაყს მისცემ და
დასაყოლებელსაც მოგთხოვს.
ნოვოსადი — ეგეც მიაშავე. არაყი
ისე ძნელი დასალევიია...
კონოვალოვი (პურის ნატეხს აძ-

ღვეს) — დააყოლე ფრიცი, რაჭანე შენ...
ომი უკვე დაამთავრე. ნიკოლოზიძე
მილცე — დანკე შონ. (არაყს გადაკ-
რავს და ხარბად ჰამს).
ნოვოსადი (კუზინას) — დემშვი-
დობე მაშა. შენც გაგვზავნიდი დიდ მი-
წაზე, მაგრამ არ შეიძლება... ხვალ სხვა
დავალეზაც უნდა მოგცეთ. რა მოგივი-
და, ნუ ღრიალებ!
კუზინა — ბევრი სისხლი დაკარგა.
ტყვიამ სხეულში გაუარა...
ნოვოსადი — ნუ იღარდებ, ახალ-
გაზრდაა... დაკარგულ სისხლს მალე
აღიდგენს.
სიპიაგინი (ნოვოსადს) — აიყვა-
ნეთ კატერზე. (მილცეს შეხედავს) ესეც
წამოიყვანეთ (დაჟინებით) დროა, ამხა-
ნაგო პოლკოვნიკო!
ბერეჟნოვი — ახლა კი დროა (ტე-
ლეჟინს) ყოჩაღ, პეტრო!
ტელეჟინი — მუდამ მზადა ვარ,
ამხანაგო პოლკოვნიკო!
სარქისოვი — ყოჩაღი და მამაცი
ბიჭია...
ბერეჟნოვი — ჩვენთან ლაჩრებს
არ ვაჩერებთ... გმადლობთ, ამხანაგებო.
კუზინა (ბერეჟნოვთან მიდის) —
ირაკლის მიხედვით, ამხანაგო პოლკოვ-
ნიკო!
ბერეჟნოვი — ნუ გეშინია, შენს
არწივს ფეხზე დაგაყენებთ. (ყველას)
ნოვოროსიისკში შეხედრამდე!
რახიმოვი — ნახვამდის, ამხანაგო
კომისარო!
კონოვალოვი — გადაეცით რომ
ჩვენ აქ მაგრად ვართ! (სარქისოვს და
კონოვალოვს საკაცით მიბჟავთ ნიჟარა-
ძე).
ნოვოსადი (ხობოტოკს) — შენც
წადი, ხობოტოკ!
ხობოტოკი — მე ვერ წავალ. აქ
საქმეები მაქვს.
ნოვოსადი (ხობოტოკს) — წადი,
საქმეებს ჩვენ მოვუვლით. (ხობოტოკი
გადის).
სიბნელეში ისმის ტალღების ხმაური, კატე-
რების ღმუღილი. რაკეტების შუქი ანათებს სანა-

პიროს. ბიანის ხმა. პროექტორის შუქზე ჩანან ნოვოსადი, რაბიზოვი, კუზინა, კონოვალოვა, სარქისოვი და სხვა მებრძოლები. ისმის სიმღერა.

ზღვის შრიალი. რაკეტებით განათებული ცა.

ფარდა.

მეოთხე სურათი

ფიცრული სახლი. უკან მოჩანს მთები და სივრცითეშეპარული ხეები. ფანჯარაზე აკრულია ეკლანიანი მავთულხლართი. ძველი ყუთები. კუთხეში თივაზე წამოწოლილია მილცე. ფანჯარასთან დგას გრიგორესკუ.

გრიგორესკუ — სამხედრო ტყვეებს კარგად უნდა აჭამონ. რატომ არ მოიტანეს სადილი? (მილცესკენ მობრუნდება) შენ რუსული გესმის?

მილცე — ნაინ...

გრიგორესკუ — შენ იცის რუსული ენა — მე ვნახე შენი თვალები, როცა რუსული ლაპარაკობენ. შენ იცის რუსული!

მილცე — ნაინ.

გრიგორესკუ — ტყუილს ამბობ.

მილცე — ნაინ.

გრიგორესკუ (აჯავრებს) ნაინ, ნაინ... ფაშისტი იდიოტი. (მილცე უცბად წამოხტება. კარს გამოადგებს. ზღურბლთან, ქვაბურებით ხელში დგას გრიგოროვიჩი).

გრიგოროვიჩი — რაო, ფაშისტო არამზადებო, მოგშვიდათ?

გრიგორესკუ — მოშვიდა, ამხანაგო...

გრიგოროვიჩი — ეშმაკი და ქაჯია შენი ამხანაგი...

გრიგორესკუ (ქვაბურებში ჩაიხედავს) — ფაფა? რატომ არ არის მამალიგა?

გრიგოროვიჩი — მჭდარიყავი რუმინეთში და გეჭამა ის შენი მამალიგა! უყურე ერთი! ფაფა უნდა მოართვა, კარაქი ბავშვებს მოაკლო და ამით სალაფავი შეუზავო და იმაზეც ვიფიქრო, ჩემს მხარეში, გომელშიჩინაში რა ხდება ახლა.

გრიგორესკუ — თქვენ არის ბელორუსიდან?

გრიგოროვიჩი (აჯავრებს) — არის, არის... ბანდიტებზე ყველაფერი გადასწვით ჩემს მიწა-წყალზე!

გრიგორესკუ (მილცეზე მიუთითებს) — ამით გადასწვეს თქვენთან ყველაფერი. (გულზე ხელს იდებს) გრიგორესკუ არ იყო თქვენს მიწა-წყალი.

გრიგოროვიჩი — რა თქვი, რა გვარი ხარ?

გრიგორესკუ — გრიგორესკუ.

გრიგოროვიჩი — საოცარია... მე გრიგოროვიჩი ვარ. (ჩიბიდან იდებს ხის კოვზებს და ტყვეებს ურიგებს). რადგან რუმინელებმა ჩვენ ნაკლები ბოროტება მოგვიტანეს, შენ მეტ ფაფას გაძლევ.

გრიგორესკუ — თქვენი გვარი არის გრიგოროვიჩი? სახელი?

გრიგოროვიჩი — პეტრუსი. რუსულად პეტრე...

გრიგორესკუ — მე არის გრიგორი. თითქმის ძმები ვართ.

გრიგოროვიჩი — ეშმაკი იყოს შენი ძმა!

გრიგორესკუ — საბჭოთა ადამიანი მე არ ვესროლე.

გრიგოროვიჩი — არც ერთ თქვენგანს არ უსროლია. მილიონობით ჩვენები კი მიწაში წვანან.

გრიგორესკუ (მილცეზე მიუთითებს) — ეს გერმანელი ფაშისტია. მე ყველაფერი ვიტყვი, რომ წითელი არმია დაევხმარო!

გრიგოროვიჩი — როცა გკითხვენ, მაშინ იტყვი. ქვაბურები და კოვზები ყუთზე დადეთ. წესრიგი და სისუფთავე დაიცავით. დაკითხვაზე მალე დაგვიხებენ.

გრიგორესკუ („სმენაზე“ დგება) — ყველაფერი კარგად იქნება, ამხანაგო!

გრიგოროვიჩი — ეშმაკი იყოს შენი ამხანაგი! (წავიდა).

გრიგორესკუ (ფაფას ხარბად შექცევს, მილცეს) — ყველაფერი თქვე-

ნი ფიურერის ბრალი... თქვენი არამზა-
და ადოლფ ჰიტლერის ბრალი...
მილცე — ხმა ჩაიკმინდე, ტილიანო
ლორი!
გრიგორესკუ — მე იცოდი, თქვენ
ლაპარაკობ რუსული!
მილცე (აწავრებს) — თქვენ ლაპა-
რაკობ რუსული. (კოვზით დარჩენილ
ფაფას მოხვეტავს) მამალია არ მოინ-
დომა ამ რუმინელმა ლორმა?
გრიგორესკუ (მადალი ხმით) —
ფაფისტო, მკვლელი!
მილცე (ქვაბურას ყუთზე დადებს)
— ჰო, მე ფაფისტი არის! მე არის ჰიტ-
ლერის ერთგული ზოლდატი!
გრიგორესკუ (ისტერიულად) —
ჰიტლერ კაპუტი! ჰიტლერ კაპუტი!
მილცე (ბოროტად) — ჰიტლერის
კაპუტი როდის იქნება, მე არ იცი. მე
იცი, რომ ახლა გრიგორესკუს იქნება
კაპუტი.
გრიგორესკუ (ყვირის) — მე არ
მეშინია! არ მეშინია გერმანელი ფა-
ფისტი!
მილცე — ამას ჩვენ ვნახეთ!
გრიგორესკუ (უკან იხევს) —
მე დავუძახებ საბჭოთა სალდათი!
მილცე — საბჭოთა ზოლდატი სანამ
გაიგებს — რუმინელი ტილიანი ლორი
კაპუტი იქნება! (ტომარას წამოაღვებს
ხელს).
გრიგორესკუ — თქვენ არ არის
უფლება. მე თქვენი ტყვე არ არი!
მილცე — დავაგვიანე. რუმინელი
ლორი ადრე უნდა დამეხრჩო. (უახ-
ლოვდება გრიგორესკუს).
გრიგორესკუ (ყარს მუშტებს ურ-
ტყამს) — მიშველეთ! ყარაული!
მილცე (გრიგორესკუს ტომარას
თაზე ჩამოაცვამს) — რუმინიშე შვანი!
შვანი! შვანი!
გრიგორესკუ (ტომარას მოიშო-
რებს თავიდან) — ააა! მიშველეთ!
(მილცე ახლა თაზე სათლს დაამხოვს
და მასზე მუშტებს უბრაზუნებს. გრი-
გორესკუ ეცემა. კარი იღება და შემორ-

ბის გრიგოროვიჩი, იგი ხელის კერით
წააქცევს მილცეს).
გრიგოროვიჩი — ახ, შენ ფაფისტი
გარეწარო! (ანჯლრევს დაწოლილ გრი-
გორესკუს) შენ მთლად მოკვდი თუ
შეგრჩა კიდევ სული?
გრიგორესკუ — (თვალს ახელს
და ძლივს ლულულდება) — მე კიდევ
ცოტა ცოცხალი. ამას უნდოდა მე მო-
ეკალი. უნდოდა მე მოეკალი! (ისტერი-
ულად ტირის, შემოდის ბერეჟნოვი).
ბერეჟნოვი — რა ხდება აქ, ზემ-
დევო?
გრიგოროვიჩი — ამხანაგო პოლ-
კოვნიკო! ეს ხომ ნამდვილი მკვლელია.
აქ უნდოდა ამ რუმინელის დახრჩობა.
ბერეჟნოვი — მოკავშირეებთან
ანგარიშსწორების ახალი მეთოდია.
გრიგოროვიჩი — მოუუტანე ფა-
ფა... თითო ქვაბურა... მივეცი ორივეს...
სააგიტაციო მუშაობაც გავწიე... მერე
წავედი. გერმანელმა კი რუმინელის
დახრჩობა მოინდომა.
გრიგორესკუ (დგება) თავს იკა-
ტუნებდა თითქოს არ იცის რუსული.
მე ამხანაგი ზემდევო უთხარი...
ბერეჟნოვი — ის უკვე თქვენი ამ-
ხანაგია?
გრიგოროვიჩი — ეშმაკი იყოს მა-
გის ამხანაგი.
გრიგორესკუ — გთხოვთ არ და-
საჯოთ ამხანაგი... მან ჩემი სიცოცხლე
იხსნა ამ ცოფიანი ფაფისტი მხეცი. მე
თვითონ ტყვედ წამოვედი... ვიფიქრე,
დიდხანს ვიცოცხლებ... ეს ყაჩაღი კი
უნდოდა მთელი სიცოცხლე მკვდარი
ვიყო, იმიტომ, რომ მზად ვარ ვთქვა,
რაც ნოვოროსისკში ნახე. ყველაფერი,
რაც ნახე!
ბერეჟნოვი (გრიგოროვიჩს) —
გერმანელი კომენდატურაში წაიყვან-
ნეთ.
გრიგოროვიჩი — ახლავე, ამხანა-
გო პოლკოვნიკო (მილცე მიჰყავს).
ბერეჟნოვი (გრიგორესკუს) —
ჩვენ, მოდი მზეზე დავჯდეთ. აქ ცოტა
სინესტია. (ყართან ჯდება).

გრიგორესკუ — ფაშისტი! არამზადა! რუსის პოლკოვნიკი იცის ჩვენი გაჯირვება... ჩვენი მაიმუნი ანტონესკუ ფრონტზე სიკვდილით დასჯა დააწესა. გერმანელი შეეძლო ჩემი დახვეტა. რუსის ყუმბარა შეეძლო ჩემი სიკვდილი მე სიხარულით მოვედი ტყვედ.

ბერეჟნოვი — თამბაქოს ეწვეით? გრიგორესკუ (პაპიროსს ართმევს) — რუსულია?

ბერეჟნოვი — ფაბრიკა „იავას“ ნაწარმია, მოსკოვეური.

გრიგორესკუ (თამბაქოს ყნოსავს) თამბაქო მთლად კარგი ხარ. შეიძლება მთელი კოლოფი?

ბერეჟნოვი — აიღეთ. რა გუნებაზე არიან თქვენი ჯარისკაცები?

გრიგორესკუ — როგორც კუდით თავდაღმადაკიდებული კატები. ჩვენ სულ თავდაღმა ვართ! სულ თავდაღმა! ჩვენები არ უნდათ ბრძოლა! გვძულს ანტონესკუ! გვეზიზღება ჰიტლერი! გვეზიზღება ფაშისტი!

ბერეჟნოვი — ეს უკვე მომწიფებული პოლიტიკური პროგრამაა.

გრიგორესკუ — მე ასე ვფიქრობ! ასე ფიქრობს ყველა რუმინეთის ჯარისკაცი.

ბერეჟნოვი — აკი ვამბობ მთელი პროგრამაა. სხვათა შორის, თქვენ რა გქვიათ?

გრიგორესკუ — გრიგორესკუ. რატომ მკითხეთ?

ბერეჟნოვი — ვინ იცის, შეიძლება ომის შემდეგ სახალხო რუმინეთშიც მომიხდეს ჩამოსვლა.

გრიგორესკუ — სახალხო რუმინეთში? თქვენ არის ღიდი ფანტაზიორი!

ბერეჟნოვი — ვინ იცის? თქვენ სად ცხოვრობთ?

გრიგორესკუ — ბუქარესტში. მშვენიერი ქალაქი. (დაინახა კუზინა. უცებ სწრაფად წამოდგა) ის არის! ის!

ბერეჟნოვი (კუზინას შეამჩნევს) — მაშა!

კუზინა (კართან შეჩერდება) — გამარჯობათ, ამხანაგო პოლკოვნიკო (გრიგორესკუს დაინახავს) მე ეს სადღაც მიინახავს!

გრიგორესკუ (კუზინას) — როცა თქვენი მეზღვაურები ტყვედ წამიყვანეს, ისინი მე მთლიანად ვერ გამიგეს... უნდოდათ ჩემი ხანგრძლივი მოსვენება, თქვენ თხოვეთ მათ ეს არ ექნათ და ამით გავიგე თქვენ, რომ კარგად გამიგეთ.

კუზინა — ეს ანაბიდან არის. მათ დაქრეს ჩვენი პოლიტხელი.

ბერეჟნოვი — რახიმოვი დაქრილია?

კუზინა — აქ წევს, ჰოსპიტალში...

ბერეჟნოვი (კუზინას) — ნახეთ თქვენი ირაკლი?

კუზინა (დაბნეულად) — რას ამბობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო? (გაუბედვად). ხომ არ მეტყვეით, რატომ გამომიძახეს?

ბერეჟნოვი — ხვალ გაიგებ. (გრიგორესკუს) თქვენ აქ იყავით... მოვა ის, როგორც თქვენ ეძახით, ამხანაგი ზემდეგი და გეტყვით რა უნდა ჰქნათ...

გრიგორესკუ — კარებს ურდულს ვინ დაადებს?

ბერეჟნოვი — რა საჭიროა ურდული? გასაქცევი გზა თქვენ უკვე არა გაქვთ. სხვაგან ყველგან უარესად იქნებით. ასე რომ, ეს ფიცრული, დღეს გრიგორი გრიგორესკუსათვის დედამიწაზე ყველაზე უსაფრთხო ადგილია.

(მიღის კუზინასთან ერთად და კარს ღიად ტოვებს. გრიგორესკუ მათ თვალს გაადევნებს, შემდეგ სიხარულითაგან ცეკვას იწყებს).

ფარდა.

მეცხრე ნაწილი

მეხუთე სურათი



მე-18 არმიის შტაბი. ხის სახლი ღია ფანჯრებით. მაგიდა. ტელეფონები. მაგიდის უსხედან ლესელიძე და ბერეჟნოვი. მათ წინ დგას გრიგორესკუ. იქვე, გვერდით — ტელეფონი.

გრიგორესკუ — მე კიდევ უპასუხებ სხვა კითხვები, რომელსაც რუსი სარდლობა ისურვებ.

ლესელიძე — საკმარისია. (ბერეჟნოვს). ცუდი როდი იქნებოდა ტყვეს ყველაფერი დაწერილებით ეამბნა ქვეგანაყოფის მეთაურთათვის, კერძოდ ლიპატოვისა და სიპიაგინისათვის.

ბერეჟნოვი — დიახ, ეს სასარგებლო იქნებოდა.

გრიგორესკუ (მზადყოფნით) — ახლა? ამ წუთში?

ლესელიძე — ახლა არაა საჭირო.

გრიგორესკუ — მე ახლაც შემოდელია.

ლესელიძე — სხვა დროს იყოს.

ბერეჟნოვი (ტელეფონს) — პეტია, მეზადრავე შემოვიდეს.

ტელეფონი — ახლავე, ამხანაგო პოლკოვნიკო. (მიდის).

ლესელიძე — ახლა ჩვენ თქვენს... მოკავშირეს დავეკითხავთ.

გრიგორესკუ — ახლავე კადელთან მიაყენეთ!

ბერეჟნოვი — ტყვეებს ჩვენ არ ვხვრეტთ.

გრიგორესკუ — ჰო, მართალია... ეს რომ ასე იყოს — თქვენ შეცდომით შეგეძლო შეც კადელთან მიგყენებინეთ. (შემოდის გრიგოროვიჩი).

გრიგოროვიჩი — შეიძლება, ამხანაგო გენერალო?

გრიგორესკუ — მობრძანდით, გეთაყვა!

ლესელიძე (გრიგოროვიჩს) — გაიყვანეთ ტყვე.

გრიგოროვიჩი — ახლავე, ამხანაგო გენერალო. (გრიგორესკუს) წავიდეთ.

გრიგორესკუ — სასიამოვნო ძლიერ იყო თქვენთან გაცნობა. (მიყვება გრიგოროვიჩს).

ლესელიძე (ბერეჟნოვს) — როგორ მოგწონთ ეს ვაჟბატონი?

ბერეჟნოვი — მე პირადად მომწონს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მაგისტანებისთვის ომი უცხო ხილია. (მეზადრავეს მილცე შემოჰყავს).

ლესელიძე (მილცეს) — ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ლაპარაკობთ რუსულად.

მილცე — ბისმარკი გვასწავლიდა: ისწავლეთ მტრის ენაო.

ბერეჟნოვი — რატომ გვთვლით თქვენს მტრად? თქვენ მოხვედით ჩვენს მიწაზე და არა ჩვენ თქვენსაზე.

მილცე (სიძულვილით) — მაგრამ თქვენ მოხვალთ ჩვენს მიწაზე, გერმანიაში.

ბერეჟნოვი — ახლა აუცილებლად მოვალთ. ამაში ეჭვი არ შეგუპართო.

მილცე — მე თქვენ მეზიზღებით. მე ფაშისტი ვარ! ფიურერი ჩემი ღმერთია!

ლესელიძე (მილცეს) — მოიწით ახლოს, თქვენ გეუბნებით! (მილცე ნაბიჯს გადმოდგამს) მიდით რუკასთან! (მილცე მიდის მაგიდასთან). ასე... გაჩერდით! თქვენს წინაა ნოვოროსისკის რუკა...

მილცე — მე არაფერს არ გეტყვით.

ლესელიძე — თქვენ ნურაფერს იტყვით გარდა „ჰო“-სა და „არა“-სი.

მილცე — არა.

ლესელიძე — მე გაიძულვებთ, რომ ილაპარაკოთ!

მილცე — არა.

ლესელიძე (აჩვენებს რუკაზე) — აქ არის ნალმატყორცნთა კვანძი?

მილცე — არა!

ლესელიძე — ეს მეზღვაურთა სახლია...

მიღცე — არა!

ლესელიძე — უსარგებლოა ამ ხეპრესთან ლაპარაკი!

ბერეჟნოვი — რატომ ჯიუტობთ? თქვენ ხომ აღამიანურად მოგექცნენ.

მიღცე — შეგიძლიათ დამხვრიტოთ. მე არაფერს ვიტყვი. მე შევფიცე ფიურერს.

ლესელიძე — თქვენ ფიურერს მალე თოკზე ჩამოჰკიდებენ.

მიღცე — მზად ვარ მის გვერდით მეც ჩამოვეცილო.

ლესელიძე — რატომ ახრჩობდით რუმინელს?

მიღცე — მოღალატეთა ადგილი საიქიოშია.

ლესელიძე — ეს ნამდვილი ბანდიტია!

მიღცე — მე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი ვარ. მე მიუხეხნელი ვარ. მე ფაშისტად მოგვედები!

ბერეჟნოვი — რაღაც გინდათ, იმათ მოკვდით. ფიურერს ამითი არაფერი ეშველება. ომი თქვენ უკვე წააგეთ.

მიღცე — ჰიტლერი ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს!

ლესელიძე (მებადრავს) — გაიყვანეთ.

მიღცე — მე თქვენ მძულხართ! ჩვენ ისევ დავბრუნდებით! (მებადრავს გაჰყავს მიღცე).

ლესელიძე — მოსკოვთან ცხვირი წაიმტვრიეს, სტალინგრადთან კბილებში მოხვდათ, კურსკის ბრძოლა წააგეს, კავკასიიდან ვერეკებით! რისი იმედი აქვს ამ არამზადას?

ბერეჟნოვი — დარწმუნებული ვარ, გერმანიის დამარცხების შემდეგაც, ასეთი გარეწრები სადმე თავს შეაფარებენ, ტყვეობის შემდეგ გერმანიაში დაბრუნდებიან და ყველაფრის ახლად დაწყებას მოინდომებენ.

ლესელიძე — ტყვეებს შორის ნორმალური აღამიანებიც გვხვდებიან. ყველანი ხომ ასეთი ფსიქოპათები არ არიან!

ბერეჟნოვი — ორმოცდასამმა წელმა გამოაფხიზლა ისინი, უკანასკნელი იმედებიც გაუტრუველდათ. კავკასიაში დიდი იმედები ჰქონდათ. ნავთობი, ხორბალი, წილისეული სიმდიდრენი... გზა ინდოეთისაკენ. მათ ეგონათ აქ გატეხდნენ წელში საბუკოთა ქვეყანას!

ლესელიძე — თვითონ მათვე გადავუტეხეთ ხერხემალი! მყრალი არივლები! ნეტავ როგორ იცხოვრებენ ომის შემდეგ? ყველანი ერთი ჯვრით, უფრო სწორად ერთი სევასტიკით არიან მონათლულნი.

ბერეჟნოვი — ძნელია მომავლის განჭვრეტა. მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ. საბედნიეროდ, ყველა გერმანელი კომუნისტი ვერ მოსპეს. ტელმანის იდეები ისევ ცოცხლობენ. ახალი ცხოვრების დაწყება, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იქნება გერმანელი ერისთვის. ერთნი მოიშორებენ ფაშისმის შხამს, ახალ ცხოვრებას დაიწყებენ. მეორენი... თავს შეაფარებენ გარკვეულ დრომდე, შემდეგ დაიწყებენ თანამზრახველთა ძიებას... გერმანელებს აქვთ ასეთი ავადმყოფობა — რევანშიზმი ჰქვია. ამ დამთხვეული მიღცეს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საშიში სენია. ჰო, რა უწოდეთ თქვენ მიღცეს?

ლესელიძე — რა უნდა მეწოდებინა? ფსიქოპატი!

ბერეჟნოვი — ეს, თუ გნებავთ, იგივე რევანშიზმია. მაგრამ ჩვენ მათი ამ სენისაგან განკურნვა მაინც მოგვიწევს. ტელეჟკინი (შემოდის) — ამხანაგო არმიის სარდალო, თქვენი ნახვა სურს ვილაყ მანდილოსანს.

ლესელიძე — ვინ მანდილოსანია? ტელეჟკინი — მე მგონი, ქართველია.

ლესელიძე — რაო? ქართველიო? აქ როგორ მოხვდა?

ტელეჟკინი — არ ვიცი, ამხანაგო სარდალო.

ბერეჟნოვი — თუ მან საქართვე-

ლოდან ფრონტამდე მოაღწია, მას აუცილებელი საქმე ჰქონია.

ლესელიძე — რა უნდა აქ ქალს? რა ესაქმება მას აქ?

ბერეჟნოვი — თუ კი ის აქ არის, უნდა ნახოთ.

ლესელიძე — კარგი... შემოვიდეს. (ტელეფონი გადის და შემოჰყავს ეთერი).

ლესელიძე — რაშია საქმე, რა მოხდა, აქ საიდან გაჩნდით, ეს ხომ ფრონტია!

ეთერი — გენერალო, მე აქ შვილთან ჩამოვედი...

ლესელიძე — რომელ შვილთან?

ეთერი — ჩემს შვილთან... ირაკლისთან!

ბერეჟნოვი — რა გვარია თქვენი შვილი?

ეთერი — ნიჟარაძე, ირაკლი ნიჟარაძე.

ლესელიძე — ნიჟარაძე, ნიჟარაძე... სად ვიპოვოთ ახლა თქვენი შვილი? აქ ასობით, ათასობით მეზობელია.

ეთერი — მაგრამ ირაკლი... ირაკლი ნიჟარაძე ერთია. ჩემი ბიჭი ერთია. მითხარით ხომ ცოცხალია? ირაკლი ხომ ცოცხალია?.. სიმართლე მითხარით!

ბერეჟნოვი — დამშვიდდით... დამშვიდდით... ირაკლი ახლა პოსპიტალშია... დაჭრილი იყო. ახლა კარგადაა...

ეთერი (ტირის) — ჩემი ირაკლი...

ლესელიძე — ნუ ტირი, დედილო, რა საჭიროა უბრალოდ ცრემლის ღვრა? ნახეთ თქვენი ირაკლი. თვითონ დარწმუნდებით, რომ არაფერი უჭირს. (შემოდის ტელეფონი).

ტელეფონი — სერჟანტი კუზინა გამოცხადდა.

ბერეჟნოვი (ლესელიძეს) — მაშა კუზინა... გახსოვთ, მე თქვენ გითხარით...

ლესელიძე — შემოვიდეს. (ტელეფონი გადის და შემოჰყავს კუზინა).
კუზინა (ზღურბლთან) — ამხანაგო გენერალო, სერჟანტი კუზინა გამოცხადდა თქვენი ბრძანებისამებრ.

ლესელიძე (კუზინას) — თავისუფლად, სერჟანტო! (ტელეფონს) გააძვირეთ პოსპიტალში. დედას შვილი ახანაგებთ.

ეთერი (კუზინას ათვლიერებს) — ნუთუ ასეთი პატარა გოგონებიც მოობენ?

ლესელიძე — არა თუ მოობენ, დედი, სიმამაცის სასწაულებს ახდენენ.

ეთერი — უყურე შენ! ომი რას არ შეაძლებინებს კაცს! (ტელეფონს) დედაშვილობას, ჩქარა ჩემს ბიჭთან წამიყვანე. (მიდის ტელეფონთან ერთად. ბერეჟნოვი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს წასულთა დასაწევად, მაგრამ შემდეგ ზღურბლთან შეჩერდება).

ლესელიძე — საკვირველია როგორ ჩამოაღწია აქამდე? დედის გული... მხოლოდ ქალს შეუძლია ასეთი რამ. მართალი არ ვარ, სერჟანტო?
კუზინა — ასეა, ამხანაგო გენერალო!

ბერეჟნოვი — მაშა კუზინა თვითონაც მასეთი ხასიათისაა.

ლესელიძე — გესმით, სერჟანტო, როგორ დახასიათებას გაძლევთ პოლიტგანყოფილების უფროსი? აბა, თამამად... ნუ მორცხვობთ. თქვენ დაჯილდოებული ხართ ორდენით... წითელი დროშის ორდენით.

კუზინა (გამოეჭიმება) — ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

ლესელიძე — კარგად ემსახურები. ყოჩაღ, მაშა კუზინა (იღებს ორდენს და სამხედრო ხალათზე უმაგრებს). გილოცავ, სერჟანტო!

ბერეჟნოვი — გილოცავ, მაშა, ბედნიერებას გისურვებ.

ლესელიძე — კარგი საქმროც ვუსურვოთ.

ბერეჟნოვი — საქმრო მას უკვე ჰყავს... კარგი, მამაცი საქმრო, ვინ არის იცით? ირაკლი ნიჟარაძე.

ლესელიძე — ნიჟარაძე? რომელი ნიჟარაძე?

ბერეჟნოვი — ახლა აქ ქალი რომ იყო...

კუზინა (გაოცებით) — ირაკლის დედა?

ბერეჟნოვი — შენ ჯერ არ გინახავს ირაკლი?

კუზინა — მე მიიხრეს ჯერ შტაბში გამოვცხადებულეყავი.

ბერეჟნოვი — ახლა კი წადი... წადი შენს ირაკლისთან.

კუზინა — მაგრამ იქ ხომ დედაა?.. ირაკლის დედა?

ლესელიძე — ფაშისტების არ გეშინია და სადემდამთილოსი გეშინია? მაგისტრის მოგვეციო წითელ დროშის ორდენი!

კუზინა — კარგი... კარგი.. მივლივარ... გმადლობთ (გადის).

ლესელიძე — როგორ არ უნდა ეთაყვანო ასეთ ქალიშვილებს? (ისმის ტელეფონის ზარი. ლესელიძე სწრაფად იღებს ყურმილს) გამარჯობათ ამხანაგო სარდალო! ყველაფერი მზად იქნება. (ყურმილი დადო). დღეს ფონტის სარდალი გვეწვევა. მოუსვენარი კაცია. ნამდვილი მეომარი.

ბერეჟნოვი — მასში არის რაღაც ისეთი, რაც მეომრულზედაც მეტია.

ლესელიძე — რა უნდა იყოს ომის დროს მეომრულზე მეტი?

ბერეჟნოვი — ადამიანური.

ლესელიძე — თქვენში კი, ბერეჟნოვ, რომელია მეტი — მეომრული, თუ ადამიანური? თქვენ როგორ ფიქრობთ, პა?

ბერეჟნოვი — მე ამაზე არ ვფიქრობ, მე პარტიული მუშაკი ვარ.

ლესელიძე — თქვენთვის პარტიას შეეძლო დაევალებია ყველაფერი, მაგრამ იმ ადამიანათთვის, თქვენს ირგვლივ რომ ტრიალებენ, პარტიას არ შეეძლო დაევალებინათ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა. და მაინც, მე ვხედავ როგორი სიყვარულით და პატივისცემით გეპყრობიან თქვენ ჯარისკაცები, მეზღვაურები, ოფიცრები...

ტყვეებიც კი, მშაყმა წაიღოს!
ბერეჟნოვი — თქვენ აქარბებთ, ამხანაგო სარდალო!

ლესელიძე — როცა გენერლები აქარბებენ, ყოველთვის სწამია არა? ბერეჟნოვი — გაანინა როდის და რაში...

ლესელიძე — მე თუ ოდნავ გადავაქარბებ ერთ საკითხში?

ბერეჟნოვი — რომელ საკითხში?

ლესელიძე — მაწუხებს პოდპოლკოვნიკი ლიპატოვის ბედი. მაქვს მონაცემები... ლიპატოვის რაღაც რომანის მსგავსი წამოუწყია.

ბერეჟნოვი — მე ვიცი, რომ ის მამაცი ოფიცერია და ნდობას იმსახურებს.

ლესელიძე — ვიცი რომ მამაცია, მაგრამ ახლა ბრძოლაა საჭირო და არა სიყვარულობის თამაში!

ბერეჟნოვი — მეც გავიგე, რაღაც მაგგვარი... მაგრამ რას იზამ? მაგ გრძობისაგან, ბოლოს და ბოლოს, არავინ დაჯავშნული არ არის. მაგრამ ლიპატოვის მე მჯერა. ორი წელი ცეცხლქვეშ ერთად ყოფნა საკმარისია, რომ გჯეროდეს კაცისა.

ლესელიძე — მაგრამ ის როგორღაც მოეშვა და მოდუნდა, ამის მიზეზი ლამაზი მეკავშირე ქალიშვილის სიყვარულია. მე მინდა იგი ბრიგადის უფროსობიდან გადავაყენო!

ბერეჟნოვი — გვიან ხომ არ იქნება, ეს რომ ახლა, იერიშის წინ გავაკეთოთ? ამით იქნებ დიდი შეურაცხყოფაც მივაყენოთ ადამიანს.

ლესელიძე — შეცდომის გამოსწორება გვიან არასოდეს არ არის!

ბერეჟნოვი — და თუ თქვენ ამით უფრო დიდ შეცდომას ჩაიდენთ? მოდიოთ, შევეთანხმდეთ, ეს საკითხი ერთად გადავწყვიტოთ. ლიპატოვი კომუნისტია.

ლესელიძე — კარგი. ერთად გადავწყვიტოთ, მაგრამ გადავწყვიტოთ!

ფარდა

მეექვსე სურათი

ნათელი, მზიანი დღეა. ლობის იქით მოჩანს ლურჯი ზღვა. პოსპიტლის მახლობლად, გრძელ სკამზე სხედან დავრილი მეომრები: ვასილ

ხობოტოკი, გაფურ რახიმოვი, ირაკლი ნიქარაძე, ხობოტოკს გვერდით ყავარჯნები უწვავია. ხელში აკორდონი უჭირავს, უკრავსა და მღერის.

რახიმოვი — შენ შენს მიწა-წყალს უმღერო, მე კი ჩემი მაგონდება. ფერგანის ველი... ერთი დამთავრდეს ომი და... ჩემთან დაგბატიყებ, ვასილ... ახლა იქ ნესვეები მწიფს... ხილია... წამოხვალ? ხობოტოკი — რატომაც არა, გაფურ! წავიდეთ... ირაკლი წამოხვალ? ნიქარაძე — ჯერ საქართველოში წავიდეთ. ხილი ჩვენთანაც ბევრია. ყურძენი, ატამი... მწვადს შევწვავთ... ბროწეულის წვენი... საცივი...

ხობოტოკი — ეს საცივი რაღაა? ნიქარაძე — საჭმელია ასეთი. აღწერა ძნელია. თვითონ უნდა გასინჯო... (ხობოტოკი უკრავს და მღერის. შემოდის ეთერი. შეჩერდება და მებრძოლებს შეჰყურებს. იცნობს თავის შვილს, მაგრამ თითქოს ეშინია, მოჩვენება არსად გამეჭვდესო. გაუნძრევლად დგას სცენის კუთხეში).

ნიქარაძე (დედას დაინახავს და ყვირის) — დედაჩემი! დედა! დედიკო! ეთერი (ცდილობს ირაკლისკენ გაიქცეს) — შვილო, გენაცვალოს დედაშენი! (მიწაზე ეცემა).

ნიქარაძე (მიიბრუნეს დედასთან) — დედა, დედა.. რა მოგივიდა? რახიმოვი (მიდის ეთერისთან) — აბრძანდით, დედა. ასე არ შეიძლება, დედა...

(სამივენი წამოაყენებენ დედას). ეთერი — შვილო! შვილო... ნუთუ ჩემი ირაკლი ხარ?... ნიქარაძე — მე ვარ, დედა... მე... (სამივეს მიჰყავთ სკამისკენ დასაჯლომად).

რახიმოვი — დაბრძანდით ძვირფასო, დედა...

ნიქარაძე — როგორ გაჩნდი, დედა, აქ? რამ ჩამოგიყვანა, ამ სიშორეზე?

ეთერი (ეფერება ირაკლის) — არაფერს ვჩივი, რახან ცოცხალი მყავხარ, შვილო....

ხობოტოკი — თქვენი შვილი, დედა, მუდამ ცოცხალი იქნება... ისეთი სიფრთხილია, ტყვია ტანში არ შეჩერდება და მიფრინავს....

ეთერი — რა არ გადამხდა, შვილო, ვინ არ შევაწუხე.. ვეუბნებოდი, ჩემი შვილი იქ არის-მეთქი და იმათაც მოეყავდით... ბათუმი გამოვიარე.. სოხუმი.. ვიარე და ვიარე... სოჭი, ტუაფსე. გელენჯიკი... რამდენიმე ჰოსპიტალი მოვიარე... სად არ გეძებე და, მადლობა ღმერთს, რომ გიპოვე...

ნიქარაძე — ო, დედა... დედა... ეთერი — აცოცხლა ღმერთმა... მათი ოჯახები ააშენა ღმერთმა... ლეიტენანტებიც... ოფიცრებიც... გენერლებიც... როგორც გაიგებდნენ, შვილთან მიდისო, ყველანაირად მეხმარებოდნენ, შვილო... მაგათაც ხომ ჰყავთ დედები... ჰოდა... ის დაწყვეტილი ტყვია სად არის, შენი მოკვლა რომ უნდოდა, შვილო?

ხობოტოკი — ის ტყვია, დედა, მცირე მიწაზე დარჩა, თქვენი შვილი კი დიდ მიწაზე მოხვდა...

ეთერი — წავიდეთ, შვილო... შინ წაგიყვან... ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, დედა...

ნიქარაძე — ჩემი შინ წამოსვლა ადრეა, დედა. ჯერ ომი არ დამთავრებულა...

ეთერი — მაშინ, მეც აქ დავრჩები, შვილო... შენთან ერთად ვიბრძოლებ, ხელში ღონე კიდევ შემრჩა, შვილო... რახიმოვი — დედა... ნება მომეცით მაგ ხელზე გაკოცოთ...

ეთერი — რას ამბობ, შვილო... რას ამბობ!...

რახიმოვი (დედას ხელზე კოცნის) — თქვენი ხელი ყველა ჩემი დედის ხელია...

(შემოდის კუზინა. ხელში რაღაც გამოკრული უჭირავს. ნელი ნაბიჯებით მიდის სკამისაკენ).

ხობოტოკი (მაშას დაინახავს) — მაშა! მაშა!

ნიქარაძე — მაშენკა... (მიდის კუზინასთან, ეხვევა და ჰკოცნის).

კუზინა — რას შვრები... რას შვრე-
ბი, ირაკლი?

ხოზოტოკი — მაშა, შეწყვიტე ლა-
პარაკი!

ეთერი (წამოიწვეს) — ირაკლი... ეს...
ეს... ეს...

რახიმოვი (დღდას ამშვიდებს) — ნუ
ღელავთ, ღედა...

ნიჟარაძე — ღედა, ეს მაშა... მა-
შა... გაიციანი, ღედა... მაშა, ეს ჩემი ღე-
და... ჩემი ღედა... გახსოვს? გეუბნებო-

დი... ხშირად გეუბნებოდი. ღედა, ესაა
მაშა... ამან მისხნა სიკვდილისაგან..

გერმანელები ესროდნენ, ეს კი მაინც
ჩემკენ მოდიოდა. ამან გადამარჩინა,
ღედა.

ეთერი — (მიდის კუზინასთან, მუხ-
ლებზე ეხვევა და ხელზე კოცნის). —

ღმერთმა სიკეთე და ბედნიერება გარ-
გუნოს, შვილო. ეს ორდენი, შვილო, გე-

ნერაღმა მამაცობისათვის მოგცა?

ხოზოტოკი — გილოცავ მაშა!

კუზინა (დღდას წამოაყენებს) — რო-
გორ გეკადრებათ, ღედა... რა საჭიროა.

თქვენი შვილი ცოცხალია. ხედავთ?

(ეთერს მოეხვევა. ორივენი ტირიან და
თვალეში შეჰყურებენ ერთმანეთს).

რახიმოვი — ბედი ჰქონია ირაკლის,
ღედა ცოცხალი ჰყავს. საცოლე —

ავერ აქვია. ოჯახში ახლა ორდენიც
აქვთ (მიუყურადებს) მგონი, ჩვენ გვე-

ძახიან.

ეთერი — წადით, წადით შვილებო...
(დაპირილები მიდიან. ეთერი მაშასთან

ერთად ჩამოჯდება) მე კი აქ დავრჩები.
რა ლამაზი ყოფილხარ, შვილო!

კუზინა — ნუ ამბობთ ღედა!

ეთერი — კი, ლამაზი ხარ, შვილო.
ჩემი შვილი ულამაზოს ვერ შეიყვარებ-

და. შენ რომ ჩვენი ოჯახის ამბავი იცო-
დე...

კუზინა — ვიცი, ირაკლიმ მიამბო...
(ჩერდება).

ეთერი — სამი ბიჭი მყავდა... სამი
ოქროსავითი ბიჭი... ობლობაში დავზარ-

დე... დარბოდნენ, მღეროდნენ... თამა-
შობდნენ. მერე სკოლაში შევიყვანე...
ჯერ ერთი, მერე მეორე, მესამე... სამი-

ვემ დაამთავრა სკოლა. მერე უცბად ეს
ომი დაიწყო. ჯერ ერთი წავიდეთ... მერე

მეორე... მერე მესამე... (დატოვებს) ღედა
და წავიდნენ... და ჯერ ერთი დაიღუპა...

მერე მეორე... (გაჩუმდა, ტირის).

კუზინა — დაწყნარდი, ღედა!

ეთერი — ღედაო... არც ერთ გოგოს
ჩემთვის ჯერ ღედა არ დაუძახია. სამი

ბიჭი მყავდა და არც ერთი გოგო...
ერთი ირაკლილა დამარჩია... ორი წელია

ომია და ჩემი ორი ბიჭი შეიწირა. (გა-
ჩუმდა).

კუზინა — ნუ, ღედა, დამშვიდდით.

ეთერი — არც ის მეგონა, მესამის
ნახვას თუ ვეღირებოდი... ირაკლის

ნახვას თუ მოვესწრებოდი... ვიჯექი და
ფეიქრობდი... დაწყევლილმა ომმა რა

იცის, რომელ ღედას რამდენი შვილი
ჰყავს... გოგოები რომ მყოლოდა, ისი-

ნი მაინც იქნებოდნენ ჩემთან...

კუზინა — ახლა ქალიშვილებიც იბრ-
ძვიან, ღედა...

ეთერი (ექოსავით იმეორებს) — ახლა
ქალიშვილებიც იბრძვიან... მაგრამ

ერთი მაინც დარჩებოდა ღედამისთან...
ყველაზე უმცროსი დარჩებოდა...

კუზინა — მე ღედაჩემის უმცროსი
ქალიშვილი ვარ.

ეთერი — შენ გადამირჩინე ირაკლი...
ასე პატარამ და გამხდარმა.

კუზინა — მე პატარა არა ვარ... კა-
ბას რომ ჩავიცვამ, მაშინ გამხდარი არ

ვჩანვარ.

ეთერი — შვილო, ირაკლი რომ გადა-
არჩინე, იცოდი ხომ, ღედა რომ ჰყავდა?

კუზინა — ვიცოდი.

ეთერი — ჩემთვის გადაარჩინე ხომ?
ჩემთვის, ხომ?

კუზინა — მე ვალდებული ვიყავი...
ეს ჩემი მოვალეობაა...

ეთერი (დაყინებით) — მაგრამ შენ
ხომ ჩემთვის გადაარჩინე?

კუზინა — თქვენთვის, ღედა... თქვენ-
თვის... ყველა, ვინც მე გადაამირჩინია...
თქვენთვის გადავარჩინე.

ეთერი — შენც იქნები ღედა... და
შენთვისაც გადაარჩინენ შენს შვილებს.

ჩემი ირაკლი ხომ გიყვარს, შვილო?

კუზინა — მიყვარს, დედა.

ეთერი — რისთვის შეიყვარე, რამ შეგაყვარა?

კუზინა — არ ვიცი, დედა. მე არ მიფიქრია, რისთვის მიყვარს ირაკლი.

ეთერი — მე კი ვიცი, თუ გინდა, გეტყვი.

კუზინა — კი, დედა... მითხარი...

ეთერი — ირაკლი ხომ ლამაზი ბიჭია?

კუზინა — კი...

ეთერი — გაბედული და მამაცი ვაჟკაცია, არა?

კუზინა — კი, დედა. ძალიან გაბედულია...

ეთერი — შენი სიტყვები გულს მიხარებს. მე დედა ვარ და მემამაცება, რომ ჩემი შვილი ასეთი ვაჟკაცია. გინდა, კიდევ რაღაცას გეტყვი?

კუზინა — მითხარით, დედა.

ეთერი — იგი ალერსიანი ბიჭია... იცი? ჰო, ალერსიანია... ძალიან ალერსიანი! იგი ყოველთვის ალერსიანად ეპყრობოდა დედას. ყოველთვის კეთილი ბიჭი იყო. (თელემა ერევა). თვალეში მებუქებდა. გრძელი გზა გამოვიარე...

კუზინა — დაისვენეთ დედა, იქნებ ჩაგვიძინოთ.

შემოდის ნიჟარაძე

ნიჟარაძე (ხმადაბლა) — მაშა!

კუზინა — ჩუმად... დედას ძინავს.

ნიჟარაძე (მაშას მიუჯდება) — მე არ გელოდი.. სულ არ გელოდი.

კუზინა — მე ნება მომცეს მენახე.

ნიჟარაძე — ეს ძალიან კარგია. მე უკვე კარგად ვარ.

კუზინა — ლეიტენანტმა მითხრა: „მცირე მიწაზე ირაკლისთან ერთად დაბრუნდები. მალე ნოვოროსიისკს ავიღებთ... ჩვენ ახლა მეტყვიამფრქვევეები ძალიან გვჭირდებათ“. ეს ისე, იხუმრა.

ნიჟარაძე — არ უხუმრია. ეს ხუმრობა როდია, მაშა. მალე ნოვოროსიისკის იერიში დაიწყება. მაგრამ მე მცირე მიწაზე არ დავბრუნდები. მე აქ დამტოვებენ.

კუზინა — ჰოსპიტალში?

ნიჟარაძე — არა, მაშა. ახლა მითხარეს, საზღვაო ქვეითი ჯარის ბრიგადაში იქნებიო. ჩვენ ზღვიდან შევეუბნეთ ნოვოროსიისკს.

კუზინა — ზღვიდან?

ნიჟარაძე — ჰო, საკატერო დესანტით, ზღვიდან.

ეთერი, რომელმაც მოისმინა მათი სუბარა, უცებ წამოდგება. მასთან ერთად შემოფოთებთ წამოდგებიან ნიჟარაძე და კუზინა. ეთერი უსიტყვოდ მიიქრავს მათ მკერდზე.

ფარდა

მეშვიდე სურათი

ლიპატოვის ოთახი დასასვენებელ სახლში. მაგიდაზე გაშლილია რუკა. ოთახში არიან ლიპატოვი და ეენია. ისინი მღუმარედ შეჰყურებენ ერთმანეთს. დაბალ ხმაზე ისმის მუსიკა. ავტომობილის მუხრტვის ხრქიალზე ეენია წამოდგება.

შემოდან პეტროვი, ლესელიძე და ბერუენოვი.

პეტროვი — გამარჯობათ, პოდპოლკოვნიკო!

ლიპატოვი — გამარჯობათ, ამხანაგო სარდალო!

ლესელიძე (ეენიას) — გამარჯობათ, სერჟანტო!

ეენია — გამარჯობათ, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე (ბერუენოვს) — ამჩნევთ როგორ ისწავლეს ჩვენმა ქალიშვილებმა უფროსებთან შეხვედრა?

პეტროვი — დრო დადგება და ყველა ქალი ისევ ჩაიცვამს აბრეშუმის კაბას... ასე არ არის, სერჟანტო?

ეენია — ვინც ცოცხალი გადარჩება, ალბათ ჩაიცვამს.

ლესელიძე — ასე რამ გავიტებათ გული?

ეენია — ომში ვართ, ამხანაგო გენერალო!

პეტროვი — და მაინც... მჭტი სიმხნევეა საჭირო (ლიპატოვს) სიძიავენი აქ არის?

ლიპატოვი (ყენიას) — დაუძახეთ კაპიტან-ლეიტენანტს.

ლესელიძე (ლიპატოვს) — ეს ქალიშვილი თქვენი ადიუტანტია?

ლიპატოვი — კავშირგაბმულობის კვანძიდან არის. აქ შემთხვევით აღმოჩნდა.

ლესელიძე — როგორი დამთხვევაა! ლამაზი ქალიშვილი... და აქ შემთხვევით აღმოჩნდა.

ლიპატოვი — მაპატიეთ, ამხანაგო გენერალო, მაგრამ აქ უადგილოა თქვენი ირონია.

ლესელიძე — მე კი მგონია, რომ არ არის უადგილო!

(შემოდის სიპიაგინი).

სიპიაგინი (პეტროვს) — ამხანაგო სარდალო, ნებას მომცემთ აქ ყოფნისა?

პეტროვი — რა თქმა უნდა, სიპიაგინ. აბა, საქმეს შევედგეთ. (რუკასთან მიდის. სიპიაგინს) თქვენ შედარებით უბრალო ამოცანა გაქვთ... სიბნელეს მაქსიმალურად გამოიყენებთ, კატერები გზას გაგიკვლევენ. თქვენ კი დესანტს ზედ ნავსადგურში გადასხამთ (ლიპატოვს). მზად არის თქვენი ბრიგადა ამოცანის შესასრულებლად?

ლიპატოვი (მტკიცედ) — მზად არის, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი — დესანტს ზედ მტრის საცეცხლე წერტებთან გადასხამთ. გასაგებია?

ლიპატოვი — გასაგებია, ამხანაგო გენერალო.

პეტროვი — მგონი, თქვენ სხვა რაღაცაზე ფიქრობთ...

ლიპატოვი — მე ვფიქრობ მხოლოდ იმაზე, რომ უაღრესი სიზუსტით შევასრულო სამხედრო დავალება.

პეტროვი — სწორად იქცევით. თქვენს ბრიგადაში ყველაზე მეტი — მცირემიწელები არიან. მათი ნაწილი კრილოზებს იშუშებს პოსპიტალში... სამწუხაროა, მაგრამ მათი გამოყენებაც მოგვიწევს დარტყმის უმწვავეს უბანზე... (ლესელიძეს) თქვენ ხომ არ გინდათ რაიმეს თქმა, ამხანაგო გენერალო?

ლესელიძე — დიახ, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი — თქვით.

ლესელიძე — თქვენ მიადწიეთ სიპიაგინთან ურთიერთგაგებას?

ლიპატოვი — დიახ.

ლესელიძე — თქვენ როგორ ფიქრობთ, სიპიაგინ?

სიპიაგინი — ყოველდღე ვვარჯიშობთ დესანტის გადასხმაზე.

ლესელიძე — ვარჯიში კარგად მიდის?

სიპიაგინი — კარგად, მაგრამ...

ლესელიძე — რა მაგრამ?

სიპიაგინი — ზოგიერთი წყალში უხალისოდ ხტება...

ბერეჟოვი — წყლის ეშინიათ?

სიპიაგინი — სიკვდილის ეშინიათ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

ლესელიძე — ყველას ეშინია?

სიპიაგინი — ყველას არა, მაგრამ ეშინიათ.

ბერეჟოვი (ლიპატოვს) — რამდენი კომუნისტია თქვენთან?

ლიპატოვი — ალბათ თხუთმეტი პროცენტი. უფრო ზუსტად ეს პოლიტნაწილში იციან.

ბერეჟოვი — ამხანაგო ლიპატოვ, თქვენ როგორც ბრიგადის მეთაურმა და კომუნისტმა, ეს პოლიტმუშაეებზე ნაკლებ როდი უნდა იცოდეთ. უნდა იცოდეთ პირველ რიგში ვის დაეყრდნობთ. თქვენთან როგორ არის საქმე, სიპიაგინ?

სიპიაგინი — ჩვენს მეკატერებს ჯერ არასოდეს შეურცხვენიათ თავი.

ლესელიძე — თქვენთან დღეს ტყვეს მოიყვანენ. ძალიან ენაწყლიანი რუმინელია. სიამოვნებით ჩავგზავრდა ტყვედ.

(უცხად გაიღება კარი და ზღურბლზე ტარასიუკი გამოჩნდება, ბუშლატი გაღებული აქვს, მოუჩანს მეზღვაურის მაისურა. ყველანი მისკენ მიბრუნდებიან).

ლიპატოვი (მრისხანედ) — რა გინდათ?

ტარასიუკი — ამხანაგო უფროსო!



რასა ჰგავს ეს? ხვალ ჩვენ სასიკვდილოდ მივდივართ და...
 ლიპატოვი — ლაბარაკი! ზურგისაკენ!
 ბერეჟნოვი — რა ამბავია, რა მოხდა?
 ტარასიუკი — მეექვსე დღეა ზემდეგი არაყს არ გვაძლევს.
 ბერეჟნოვი (დინჯად) — რად ვინდართ არაყი?
 ტარასიუკი — გვეკუთვნის, ამხანაგო პოლკოვნიკო, და უნდა მოგვცენ.
 ბერეჟნოვი (ლიპატოვს) — ეს მართალია?
 ლიპატოვი — მართალია. მე გავაუქმე ყოველდღიური ულუფა. ბრიგადა ზურგშია, სწავლებაზე...
 ბერეჟნოვი (ტარასიუკს) — გაიგონეთ?
 ტარასიუკი — რომელი ზურგი ეს არის? ხვალ სასიკვდილოდ უნდა წავიდეთ.
 ბერეჟნოვი — ვინ გითხრათ, რომ ხვალ უნდა წახვიდეთ?
 ტარასიუკი — ჩვენ რა, თვალები არა გვაქვს?
 ბერეჟნოვი — და თქვენ გგონიათ, არაყი ვიხსნით სიკვდილისაგან?
 ტარასიუკი — მხიარულ გუნებაზე მაინც მოგვედებით.
 ბერეჟნოვი (მიდის ტარასიუკთან) — აბა, ამოისუნთქეთ!
 ტარასიუკი ((ბერეჟნოვს შორდება) — რა უნდა ამოვისუნთქო? რა ამოვისუნთქო?
 ბერეჟნოვი — მე თქვენ გიბრძანებთ, ამოისუნთქეთ!
 ტარასიუკი „ამოისუნთქავს“
 ბერეჟნოვი — პირდაპირ ამბრის სუნია!..
 ტარასიუკი — ამბრის სუნი კი არა, ჰაჰა...
 ბერეჟნოვი — სად იყო...
 ტარასიუკი — რა სად იყო?
 ბერეჟნოვი — ჰაჰა სად იყო?
 ტარასიუკი — აქ ერთმა ქვრივმა ქალმა...
 ბერეჟნოვი — თქვენ აქ რისთვის ხართ?

ტარასიუკი — სად?
 ბერეჟნოვი — ნოვოროსიისკთან?
 ტარასიუკი — ჰოდა, მეც ვიყავი...
 ბოძო... ჩვენ აქ ვიბრძვით და რაც გვერგება, ის უნდა მოგვცენ; ჰოდა ამაზე...
 ბერეჟნოვი — რა გვარი ხართ?
 ტარასიუკი — ტარასიუკი.
 ბერეჟნოვი — წადით, ტარასიუკ!
 ტარასიუკი — სად წავიდე?
 ბერეჟნოვი — სად და... იმ თქვენს ქვრივთან და უთხარი, რომ დეზერტირი და ლახარი ხართ.
 ტარასიუკი — რატომ უნდა ვუთხრა ასე?
 ბერეჟნოვი — იმ თქვენს ქვრივ ქალს, ალბათ, ქმარი ფრონტზე დაეღუპა?
 ტარასიუკი — კიევის ახლოს...
 ბერეჟნოვი — იგი კიევთან დაიღუპა, თქვენ კი ნოვოროსიისკთან, მის ცოლთან ლოთობთ?
 ტარასიუკი — ის ქალი არა სვამს... მე ვეცოდები...
 ბერეჟნოვი — ჩვენც შეგიცოდებთ. (ლიპატოვს) მიეცი მას ორი კვირის არყის ულუფა.
 ტარასიუკი — აი, მადლობა...
 ბერეჟნოვი — დესანტში კი არ წაიყვანათ.
 ტარასიუკი — როგორ თუ დესანტში არ წამიყვანონ?! მე სევასტოპოლში ვიბრძობდი... როგორ თუ არ წამიყვანონ?
 ბერეჟნოვი — რაში გამოგვადგებით? იქ ლოთი-ფოთი ხალხი არ გვჭირდება... (ლიპატოვს) გახადეთ ბუშლატი და მეზღვაურის მისურა. მერე საითაც უნდა, იქით წავიდეს.
 ტარასიუკი — ამხანაგო პოლკოვნიკო, გთხოვთ მამატიოთ, შევცდი.
 ბერეჟნოვი — შეცდი? უყურეთ ერთი, შეცდა? აქ როგორ შემოხვედით?
 ტარასიუკი — ლობეზე გადმოვძვერი.
 ბერეჟნოვი (ლიპატოვს) — კარგი დაცვა კი გყოლიათ.
 ტარასიუკი — მამატიოთ... დამნაშა-

ვე ვარ... მეტს აღარ ვიზამ... სისხლით ჩამოვირეცხ სირცხვილს...

ბერეჟნოვი — იქნებ არაყით ჩამოირეცხოთ, პა?

ლიპატოვი — მაგის საქმეს ხვალ გავარკვევთ.

ბერეჟნოვი — მე მგონია, უკვე გავარკვევთ.

ტარასიუკი — ამხანაგო გენერალო, თქვენ ხართ ფრონტის სარდალი?

პეტროვი — თქვენ წარმოიდგინეთ, მე ვარ.

ტარასიუკი — ეს რა დამემართა... მე მეგონა ინტენდანტები ჩამოვიდნენ.

ლესელიძე — დიდი მადლობა დაწინაურებისთვის.

ტარასიუკი — ეშმაკმა შემაცდინა... ვაპ ამის... შეიძლება წავიდეთ?

ლიპატოვი (გაზბრახებით) — წადით.

(ტარასიუკი შემობრუნდება და სამწყობრო ნაბიჯით გადის).

ლესელიძე — ეს არის თქვენი მზადყოფნა? სამარცხვინოა!

ლიპატოვი — დამნაშავე ვარ, ამხანაგო გენერალო!

ლესელიძე (ბერეჟნოვს) — მართო ამისთვისაა ვადასაყენებელი ლიპატოვი ბრიგადის მეთაურობიდან.

ლიპატოვი — მე ჭარისკაცი ვარ...

პეტროვი — თქვენ ჭარისკაცი არა ხართ... თქვენ ოფიცერი ხართ, ბრიგადის მეთაური (ბერეჟნოვს) მე მგონია, ლიპატოვი გაითვალისწინებს ამ შემთხვევას.

ბერეჟნოვი — გთხოვთ მერწმუნოთ — მთელი ბრიგადა სანიმუშოდ შეასრულებს თავის საბრძოლო დავალებას. პეტროვი — სიპიაგინ, თქვენი დიდი იმედი გვაქვს.

სიპიაგინი — რუსულ იარაღს არ შევარცხვენთ, ამხანაგო სარდალო!

პეტროვი — მაგრადა ნათქვამი, მაგრამ სწორია. ყველა წვრილმანი დახუტეტ... რა თქმა უნდა, მე არ ვარ ტარასიუკისთანა ადამიანების დამცველი, მაგრამ ბრძოლაში ისინი საიმედონი არიან. ხშირად გამოინიღია მასეთი ხალხი.

აბა, წუთიც არ დაკარგოთ უქმად, ამხანაგებო!

სიპიაგინი — ყველა ღონეს ვხმართ, ამხანაგო სარდალო!

ლიპატოვი — როდის მოიყვანენ რუმინელს?

ლესელიძე — მალე. ის თქვენი... მეკავშირე ქალი კი... მას ნუ წაიყვანთ დესანტში... საწყენი იქნება, რომ დაიღუპოს... ლამაზმა ქალებმა ომის შემდეგაც უნდა იცოცხლონ...

პეტროვი — კარგი, გენერალო, ეყოფა პოდპოლკოვნიკს. მისი ნებაა, ვისაც უნდა წაიყვანს და ვისაც უნდა დატოვებს. წავედით.

ბერეჟნოვი (პეტროვს) — ნება მომეცით ორი წუთით დავრჩე ლიპატოვთან.

პეტროვი — დარჩით. (ლესელიძეს) ჩვენ წავიდეთ. (ლესელიძესთან და სიპიაგინთან ერთად მიდის).

ბერეჟნოვი — ლიპატოვ, ხომ გესმით, რომ ეს შემთხვევა უხერხულ მდგომარეობაში გაყენებთ თქვენცა და ბრიგადასაც?

ლიპატოვი — მესმის. ყველაზე ნაკლებ ასეთ რაიმეს მოველოდი... ადამიანები ღელავენ შეტყვის წინ.

ბერეჟნოვი — თქვენც, რაც შეიძლება თავი უნდა დაიჭიროთ, პირადული ამბები დროებით გადაიფიქრეთ... მე მგონი გასაგებია, რაზეც გეუბნებით.

ლიპატოვი — რა თქმა უნდა, კარგად მესმის. გთხოვთ მერწმუნოთ, რომ არაფერს... და არავის არ ძალუძს ახლა ჩემი ყურადღება ჩამოაცილოს მთავარ საქმეს. არავის და არაფერს! ხომ გამიგეთ? მე ამას დავიმტკიცებთ!

ბერეჟნოვი — მე თქვენი მჭერა-ფრონტის სარდალსაც წარმატებას გისურვებთ, ლიპატოვ. (მიდის. ლიპატოვი დგას შუა ოთახში, შემოდის სიპიაგინი). სიპიაგინი — კარგი, გრიგორი ივანოვიჩ, დამშვიდდი, რა მოხდა ასეთი!

ლიპატოვი — საწყენია... ერთი მყვირალას გულისთვის მთელ ბრიგადაზე ცუდი შთაბეჭდილება უნდა შეექმნათ. თანაც ახლა ველარაფერს უხამ...

სიპიაგინი — არც არის საჭირო... ტარასიუკი ამ აბანოს შემდეგ ვეფხვივით იომებს... რას გეუბნებოდით ბერეფნოვი?

ლიპატოვი — ბერეფნოვი — კაცია. შიგ სულში ჩამხედდა... ამაშია მთელი საქმე. ჩაის ხომ არ დაღვეთ, თუ?... სიპიაგინი — ჩაის დაღვევ. თუს — არა. შეტევის წინ თვითონ ავუქრძალე ჩემს თავს.

ლიპატოვი (ტელეფონით რეკავს) — ენია? ხომ არ გძინავს, აბა, ერთი შენებურად ჩაი გაგვიწყე... არა, არა... ჩაი, ჩვეულებრივი ჩაი... (დაკიდებს ყურმილს) ესეც ჩემი სადარდებელია.. ძალიან ვშიშობ არადერი მოუვიდეს.

სიპიაგინი — თქვენც აქ, კავშირგაბმულობის კვანძში დატოვეთ. ეპ, ცეზარი მახსენდება...

ლიპატოვი — ცეზარი? სიპიაგინი — პო, ცეზარ კუნძოვი... ის მეთაურობდა მცირე მიწაზე დესანტს. ნახევარი წელი გავიდა მას შემდეგ და უკვე ლეგენდად იქცა... აქა და მარხული, გელენჯიკში. თქვენ საფლავზე არ ყოფილხართ?

ლიპატოვი — არა. სიპიაგინი — კუნძოვი ჩემი მეგობარი იყო. მახსოვს ერთხელ თავის ცოლს უთხრა: ჩემი ბიჭი ბრძოლას და სიძნელეებს არ მობრძოდა, გახსოვდეს რომ კომუნისტური აღზრდის საფუძველი სწორედ ბრძოლაა. ჩვენი შვილები იმის მეთავედსაც ვერ გაიგებენ, რასაც ჩვენ აქ ვხედავთ. ისე კი ძალიან გამოადგებოდით ცხოვრებაში, ძალიან!

ლიპატოვი (ამოიხიზრებს) — არა, მაინც სჯობს, რომ ასეთი სიძნელეები მათ არ ნახონ.

სიპიაგინი — აი, რას მწერდა კუნძოვი (უბნის წიგნი ამოიღო და კითხულობს): „მე ჩემს თავს გმირს ვერ ვუწოდებ და კარგად არც ვიცი რა არის ეს. გუშანით ვხვდები, ეს ისეთი საქმეა, რომლის გაკეთებაც ყველას შეუძლია. მთავარია შენი მთელი ძალები მოიკრიბო“. ხომ კარგადაა ნათქვამი?

ლიპატოვი — კარგად.

სიპიაგინი — აქ, ჩემთან ერთი ფრონტელი პოეტი იყო. სამხედრო კვლევების ინსტიტუტის რესპონდენტი. კარგი მეგობრებშიც იყავს დღით. ლექსები დამიტოვა.. გინდათ მოისმინოთ?

ლიპატოვი — წაიკითხეთ. (შემოდის ენია ჩაიდნით ხელში).

ლიპატოვი — დაჭეკი ენია, ლექსი მოვისმინოთ.

სიპიაგინი — მაინცდამაინც კარგი მკითხველი ვერა ვარ. (კითხულობს).

სიკვილ-სიკვილის ჩამოღვა ეამი, ომმა ვამალა შავი აფრები, ყოველი წუთი, ყოველი წამი ვებრძვით მოსულ მტერს გამაფრებით.

ველებზე დაძრწის სიკვილის ცელი, მაგრამ ვერ გენახოს ჩვენ ფერმიხდილი, ჩვენ გამარჯვების სიხარულს ველით, ჩანდაბას იქით იყოს სიკვილი!

(გაჩუმდება) სწორეთ, სწორეთ რომ ჩანდაბას იქით იყოს სიკვილი! განვაგრძო?

ენია — წაიკითხეთ. სიპიაგინი (კითხულობს).

გაივლის წლები, გამარჯვებულნი მშობლიურ სახლ-კარს დავებრუნდებით, და მეომარნი, მუდამ ქებულნი, ომის პირ-ვარამ თქმას მოვეუნდებით. როდესაც სტუმრად მოვა მამაკაცო, შევეგებები მეგობარ მხედარს, ისიც მოვისმენს, შენაც დააციო თხრობას ვარდასულ ცეცხლოვან დღეთა.

გაცოცხლებდიან ხსოვნაში კვლავაც შეტევა, ცეცხლი და სიკაბუჯე, — ძმათა, რომლებიც ველზე ვწინან, ძმათა, რომლებიც ველარ დაბრუნდნენ. ათას სიკვილის და მტრის ჭინაზე ჩვენთან მოვიყვანათ ნანატრ სიხარულს, ჩვენ შევიწახვით ნამდვილ სინაზეს, ჩვენ შევიწახვით ნამდვილ სიყვარულს.

(გაჩუმდა) როგორია? ლიპატოვი — შთავგონებითაა დაწერილი.

სიპიაგინი — თქვენ რას იტყვით ეენია?

ეენია — როცა ომი დამთავრდება, გამოჩნდება.

სიპიაგინი — რა გამოჩნდება?

ეენია — ვინ ვისთან მივა...

ლიპატოვი — კარგი, ეენია, არ გინდა!

ეენია (ჩაის ასხამს) — თქვენ, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, გსურთ თქვენს ირგვლივ ყველანი ილიმებოდნენ, არა? სიპიაგინი — კი არ ილიმებოდნენ, ეენია, გამარჯვებისა სწამდეთ. როცა ადამიანები მოღუშული არიან, ძნელია მიალწიო გამარჯვებას!

ეენია — ხედავთ, რა დღეში ვართ ნიკოლაი ივანოვიჩ? — მე გრიშა მიყვარს... და მაინც... ეს დაფარული უნდა იყოს... არავინ უნდა გაიგოს... რატომ?

სიპიაგინი — სიყვარული დასამალი არ არის! მომეცით თქვენი ხელი.

ეენია — თქვენ რა, მარჩიელობას აპირებთ?

სიპიაგინი — თვალეებში მიყურეთ. აი ასე. თქვენ ზომ კარგი ქალი ხართ, ეენია. სიყვარულს უნდა გაუფრთხილდეთ. ადამიანი უსიყვარულოდ იგივეა, რაც ჩიტი უფრთოდ. კაცი უსიყვარულოდ — კუთხეში მიგდებულ ცარიელ ტომარას ჰგავს.

ეენია — ნიკოლაი ივანოვიჩ... ჩაი მიირთვით, თორემ გაკიდდება.

(კარზე აკაკუნებენ)

ლიპატოვი — შემოდით...

(შემოდის გრიგოროვიჩი და გრიგორესკუ)

გრიგოროვიჩი — ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ტყვე მოვიყვანე.

ლიპატოვი — თარჯიმანი სადღაა?

გრიგორესკუ — მე ვიცი რუსულის ლაპარაკი. მე მიყვარს რუსის ლიტერატურა და რუსის მიუზიკა.

ლიპატოვი (გრიგოროვიჩს) — გარეთ დაიცადეთ. (გრიგოროვიჩი მიდის) (გრიგორესკუს) — დაჯექით.

გრიგორესკუ — თქვენ ჩაი დალია? მე შემეშალა?

ლიპატოვი — საიდან იცით რუსული?

გრიგორესკუ — ჩვენს ცხოვრობდი რუს ოფიცერ. თეთრი გვარდია. მე მის ქალიშვილი ვასწავლიდი მიუზიკა. იგი მასწავლიდა რუსული ლაპარაკი. იგი ისწავლა ვიოლინოზე დაკვრა. მე ვისწავლე რუსული დაკვრა. ლიპატოვი (ლიმილით) — ჩაი გინდათ?

გრიგორესკუ — მინდა, შაქარი არის?

ლიპატოვი (აწვდის ქალაღის პარკს) — შაქარი არის.

გრიგორესკუ — ამერიკულია?

ლიპატოვი — არ ვიცი.

სიპიაგინი — ანაპაში ჩამოსვლამდე დიდხანს იყავით ნოვოროსიისკში?

გრიგორესკუ — სამი თვე.

სიპიაგინი — სად იყო განლაგებული თქვენი ნაწილი?

გრიგორესკუ — ის იყო სულ სხვადასხვა ადგილებში.

სიპიაგინი — თქვენ სად იყავით?

გრიგორესკუ — მე ვიყავი?

სიპიაგინი — ჰო, თქვენ, პირადად.

გრიგორესკუ — მე ნავსადგურში იყავი.

სიპიაგინი — თქვენ იცით საცეცხლე წერტილების განლაგება?

გრიგორესკუ — ო, რასაკვირველია! მე ყველა დავიმასხვორე.

სიპიაგინი — რად გინდოდათ?

გრიგორესკუ — მე იცოდი, თქვენ აიღებთ ნოვოროსიისკი. მე მინდოდა დავხმარებოდი საბჭოთა არმიას, მე ძალიან ვემზადებოდი თქვენთან ტყვედ ყოფნა.

სიპიაგინი — შეგიძლიათ გვაჩვენოთ საცეცხლე წერტილების განლაგება რუკაზე?

გრიგორესკუ — რა თქმა უნდა!

სიპიაგინი (რუკას შლის) — მხოლოდ რაც შეიძლება ზუსტად.

გრიგორესკუ — მე მინდა ორფეროვანი ფანქარი.

ლიპატოვი — როგორი?

გრიგორესკუ — ლურჯი და წითელი. თქვენთვის ასე ჯობია, წითელი ფანქარი მოხაზავს არტილერიას, ლურჯი — ტყვიამფრქვევებს. წითელი წრით — ბეტონი... მე ყველაფერი ისწავლე... ლიპატოვი — თქვენ სიმართლეს ამბობთ?

გრიგორესკუ — თუ მოგატყუებთ, — თქვენ დამხვრეტთ. მე კი ორი პატარა ბავშვი მყავს, ჩემი მამამ, ჩემი ბებია.

სიპიაგინი — ენია, გვაქვს ფანქრები?

ენია — გვაქვს. (ლიპატოვს აძლევს ფანქრებს).

გრიგორესკუ — მე ძალიან მღელვარება. მე მინდა ცოტა კარგად ვნახორუკა. შეიძლება ფეხზე ვიდგე?

ლიპატოვი — როგორც გირჩევენიათ.

გრიგორესკუ (ათვლიერებს რუკას) — თქვენ საიდან გადასხდებით?

ლიპატოვი — აბა, აჩვენეთ!

სიპიაგინი (რუკაზე აჩვენებს) — დავუშვით ამ ადგილას.

გრიგორესკუ — აქ ბეტონის სიმაგრეები. გვაქვთ ის, რითაც ამ სიმაგრეებს აფეთქებენ?

სიპიაგინი — გვაქვს. შემდეგ...

გრიგორესკუ — შემდეგ... შემდეგ... თქვენ ააფეთქეთ... თქვენი კრეისერები და ჯავშნოსნები...

სიპიაგინი — თავი დაანებეთ საზღვაო ნაწილებს. სხვა აღნიშნეთ, რაც გახსოვთ.

გრიგორესკუ — აქ არტილერიაა, აქ ტყვიამფრქვევები... აქ ისევ რკინაბეტონი.

ლიპატოვი — როგორ, მთელი ნავსადგური გაბმული ცეცხლის ზღუდე?

გრიგორესკუ — ჰო, ისინი ძალიან შიშობენ.

ლიპატოვი — თქვენ?

გრიგორესკუ — მე უკვე არა. მე უკვე ტყვედ ვარ.

სიპიაგინი — აქ რა არის, საწყობებთან?

გრიგორესკუ — აქ ტყვიამფრქვევების და ნაღმსატყორცების კვანძია.

არ ვიცი რამდენია, მაგრამ გვერდით თქვენ ზღვიდან უნდა შეუტიოთ ცეცხლი საშიშია. მე ყველაფერი დახატე. (ფანქრებს ათვლიერებს). ეს ამერაკულია? ლიპატოვი — საბჭოთა ფანქრებია. დალიეთ ჩაი...

გრიგორესკუ (აუჩქარებლად სვამს) — ჩაი ინდოეთისაა?

ლიპატოვი — ქართულია.

გრიგორესკუ — შესანიშნავი ჩაი. ადრე რა იყო ამ სახლში, კონსერვატორია?

ლიპატოვი — დასასვენებელი სახლი იყო.

გრიგორესკუ — მაშინ რატომ აწყვიტა აქ მუსიკალური ინსტრუმენტები?

ლიპატოვი — მშვიდობიანი დროიდან დარჩა.

გრიგორესკუ — ოჰ, რამდენი ხანი, არ დამიკრავს... (კარადასთან მიდის) შეიძლება?

ლიპატოვი — ინებეთ. ენია...

ენია (კარადას ალებს) — ვიოლინო გინდათ?

გრიგორესკუ — დიახ, თუ შეიძლება. (იღებს ვიოლინოს). შეიძლება?

ლიპატოვი — ხომ ვითხარით, დაუკარით.

გრიგორესკუ — ეს ისეთი სასიამოვნოა. (ხმით სინჯავს და უკრავს). ეს რუმინული ჰანგია.

ოთახი სასიამოვნო, წკრიალა მელოდიით ივსება. ლიპატოვი და სიპიაგინი გვერდით გაუნძრევლად დგანან. მელოდია დამთავრდა. გრიგორესკუმ ვიოლინო მაგრძაზე დაღო.

გრიგორესკუ — გმადლობთ, ალბათ დროა, რომ წავიდე?

ლიპატოვი — კი, შეგიძლიათ წახვიდეთ.

სიპიაგინი — ნახვამდის, ამხანაგო!

გრიგორესკუ — თქვენ მე ამხანაგი მიწოდეთ?

სიპიაგინი — ჩვენ გვინდა, რომ თქვენ მუდამ ჩვენი ამხანაგები იყოთ.

გრიგორესკუ — ო, მე ყველაფერს ვილონებ, რომ ეს ასე იყოს! წარმატებას გისურვებთ... ამხანაგებო (გაღის).

სიპიაგინი (რუკას ჩაფიქრებით ათვალისწინებს) — ძალიან ხომ არ გადააქარბა მუსიკოსმა მტრის საცეცხლე ანსამბლის ძლიერება?

ლიპატოვი — თუ შემოგზავნილი არაა...

ქენია (ღარწმუნებით) — არა, ის მტერი არ არის!

სიპიაგინი (რუკას დაყურებს) — არტილერია... ტყვიამფრქვევები... ცეცხლმფრქვევები. მე წავედი. კატერების მეთაურებს უნდა შევხვდე. (მიდის).

ლიპატოვი — ქენია!

ქენია — კი?

ლიპატოვი — შენ დესანტში არ წამოხვალ.

ქენია — ეს შეუძლებელია. მე შენს გვერდით უნდა ვიყო.

ლიპატოვი — ხომ უყურებ რუკას? ხომ გაიგე რა თქვა იმ ტყვემ? ჩვენი უბანია აი აქედან სიყვარულის კონცხამდე.

ქენია — სიყვარულის კონცხამდე? მით უმეტეს... მით უმეტეს!

ლიპატოვი — მე ვერ წაგიყვან დესანტში!

ქენია — წამიყვან, წამიყვან გრიშა.

ლიპატოვი — მე შენ მიყვარხარ, გესმის, მიყვარხარ!

ქენია — შენ თუ არ წამიყვან, მე მაინც, იცოდე, ბრძანებას არ დავემორჩილები და ერთ-ერთ კატერზე შევადწე. მე შენთან უნდა ვიყო (ლიპატოვს მხრებზე ხელებს აწყობს). მე შენთან ვიქნები! ბოლომდე! სულ ბოლომდე!

ფარდა

მერვე სურათი

ზღვის გუბუნი. სიბნელეში ძლიერად ისმის სატორპედო და სადარჩაო კატერების მოტორთა ხმა. ერთმანეთს მიყოლებული რამდენიმე აფეთქება სიბნელეს ნარინჯისფერი ალით ანათებს. მკრთალი მწვანე შუქი ეცემა ფარდას, რომელზედაც როგორც ნისლეში, ციმციმებს დაღწილი ნოვოროსისკის კონტურები.

ტყვიამფრქვევის ჭეხა.

ხშირი, თითქოს უროს ურტყამენო, ქვეშეხების სროლის ხმა.

უშუბარების და ჰურეების ჰელი. და უხედა ჩამოწოლილი სიბნელეში პარავეტორის შუქით ვანათებულ ხეგანზე დგას მუზღავური.

მეზღავური — ჯერ კიდევ გუშინ ეს ბუშლატიანი და ჰრელმაისურიანი ადამიანები ფიქრობდნენ ახლობლებზე, ბარათებს წერდნენ და ხუმრობდნენ კიდევ... ახლა ყოველივე ეს უკან დარჩა, როგორც შავი ზღვის ეს მცირე მონაკვეთი გელენჯიკიდან ცემესის ყურემდე.

მესამე დღეა გრძელდებოდა პრძოლა ნოვოროსისკისათვის და არც ერთმა მათგანმა, ვინც შეტევაზე ცემესის ყურეში გადავიდა, ვინც გერმანელების გამაგრებას მცირე მიწიდან უტევდა, ვინც ცემენტის ქარხნებთან იბრძოდა, არ იცოდა შეხედებოდა თუ არა ზვალინდელ დღეს, ისევე ნახავდა თუ არა ამომავალ მზეს.

უეტრად მოისმის ხმამაღლი „ვაშა“! ავტომატებით ხელში შემორბიან მეზღავურები. ძახილით „სამშობლოსათვის!“ ისინი ეცემიან და ისევ დგებიან. ვიღაც მიეცემა... რკინაბეტონის საფრიდან, რომელიც მთელ სიყვანას გასდევს, ისეა გერმანელთა ტყვიამფრქვევები. შედესანტები მათ ზოხვით უახლოვდებიან. ხელუშუბარებს ესერიან. მარჯვნივ, სხვა მემორბეზთან ერთად, მოხანს ნიჟარაძე. იგი თავისი ტყვიამფრქვევით ბორცვს ამოხეფარება. ნიჟარაძის გვერდით ხობოტოკია.

ხობოტოკი — ირაკლი, მთავარია, აქ როგორმე ფეხი მოვიკიდოთ!

ნიჟარაძე — მოვახერხებთ, ვასია, ძმაო, მოვახერხებთ.

ხობოტოკი — ძალიან შვილები! თავიდან ფეხამდე ჯავშანში ჩამჯდარან.

ნიჟარაძე — ვასია, მარცხნივ მიიხედე, მარცხნივ.

მარცხნიდან მოძვრება ორი ხელუშუბარიანი გერმანელი. ერთი წამოიწევს ხელუშუბარის სასროლად, მაგრამ ამდროს გაისმის ნიჟარაძის ავტომატის ხმა. გერმანელები ეცემიან. გამოჩნდება მედესანტეთა კიდევ ერთი ჯგუფი. მათ შორის არიან ლიპატოვი, რაზიმოვი, სიპიაგინი, ტარასიუკი და ქენია).

სიპიაგინი — წარმატებას გისურვებთ, ამხანაგებო!

ლიპატოვი — სამშობლოსათვის!
წი-ი-ნი! ვა-შა-ა-ა!

მებრძოლები სიმაგრეებისაყენ შირბიან. მათ შესახვედრად ვერმანელები წამოცვივდებიან. ჩაღდება სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. შორიდან ისმის ქვეშევხების ხმა, და „ვაშას“ ძახილი. გერმანელები უკან იხევენ.

ლიპატოვი ნანგრევების იქით იკარგება. ეშინია რჩება ნანგრევებთან და ტელეფონის ვორგოლაჟს ხსნის. გრძელდება ხელჩართული ბრძოლა, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა ტარასიუკი, რომელიც გერმანელებს აქეთ-იქით ყრის. მის გვერდითაა რახიმოვი.

ტარასიუკი — ო, თქვენი სინსილა გაწყდეს!

რახიმოვი (გერმანელს ზურგსუკან გადაისერის) — სალაში გადაეცი ალაჰს.

ტარასიუკი — ვანისვენე წმინდათა თანა!

რახიმოვი (უბიდან იღებს გაკეცილ დროშას და სიმაგრის თავზე აღმართავს) — გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს! (რახიმოვი ეცემა. დროშაც დაბლა ვარდება. ავტომატის ჭერმა გადასჭრა დროშის ტარი).

ტარასიუკი (დროშას ხელს დაავლებს) — ოჰ, თქვე ეშმაკის კერძებო! ძმაკაცი მომიკლეს! გაფურ! გაფურ!

რახიმოვი (წამოიწევეს და ისევ ეცემა) — წინ! ბიჭებო, წინ!

ტარასიუკი (უკან მოიხედავს) — ჰეი, ძმებო, რახიმოვი მოკლეს გველის წიწილებმა. (ყვირის) წინ! (ყენიას დაინახავს) მიდი გოგონა, მიდი გოგო...

ყენია — რომელი შენი გოგო მე ვარ?

ტარასიუკი — ჰო, სერჟანტო... რა დროს დავაა! გაჭაჩე, გაჭაჩე, კავშირგაბმულობის ხაზი... (ცხმარება მავთულის გაბმაში და ყენიასთან ერთად ნანგრევებს იქით იმალება). ბრძოლის ხმა წყდება. შემოდინა სარქისოვი, ნიჟარაძე, ხობოტოკი და კონოვალოვი.

ნიჟარაძე — სად არიან ჩვენი მცირემიწელები, სად არის მაშა?

კონოვალოვი — შენ მაშას გარდა არაფერს გახსოვს?

ნიჟარაძე — ეეჰ, შენც ერთი...

სარქისოვი — ირაკლი-ჯან, მაშა სადღაც აქაა. სულ ახლოს.

ნიჟარაძე — ნოვოროსიისკში უნდა შევხვედროდით. მესამე დღეა, აქვე ვერც ვერსად შევხვდი. მეშინია არაფერი მომქვნიოს.

კონოვალოვი — შენ, შენს თავს მიხედე.

ნიჟარაძე — მე ჩემი თავი არ შედარდება, სიფრიფანა ვარ, ტყვია ისე გაძვრება სხეულში, თითქოს არაფერია.

ხობოტოკი — ძვალს არ წამოედოს, თორემ ჩარჩება ის წყეული.

კონოვალოვი — შენ, ირაკლი, ლამაზი ბიჭი ხარ, მაგრამ მგონია ცოტას ურევ. ქალები კატებივით გამძლე არიან. ეს ჩვენ, მამაკაცებს, გვლევავს ომი, როგორც ქარიშხალი ხეებს.

ტარასიუკი (გამოჩნდება სიმაგრის ზღურბლზე) — ძმებო, ნაბრძანებია წინ გადავინაცვლოთ. კონოვალოვი აქ დარჩება, ტყვიამფრქვევითან.

კონოვალოვი — მარტო მე?

ტარასიუკი — მარტო. დროშა დიაცავი... ძალები ფლანგებიდან მოძვრებიან. წავედით, ძმებო!

ნიჟარაძე — ტარასიუკი, იქ შენ ქალიშვილი ხომ არ შეგხვედრია?

ტარასიუკი — შემხვდა... ყველანი შემხვდნენ...

ნიჟარაძე — შენ ხომ არ იცი ვისზეც გეკითხები...

ტარასიუკი — მე ყველაფერი ვიცი ამ ქვეყანაზე... წავედით, ძმებო, დროშას გაუფრთხილდი, კონოვალოვი!

მებრძოლები ზღუდვზე ცოცხით გადადიან და იმალებიან. კონოვალოვი წამოიწევეს და სივრცეში იუღრება. მარცხნიდან მოკლე გაღარბენებით ზღუდვსთან შირბიან ნოვოსადი და კუნია.

ნოვოსადი (კონოვალოვს დაინახავს) — ეი, მეტყვიამფრქვევე!

კონოვალოვი (მობრუნდება) — ამხანაგო ლეიტენანტო!

ნოვოსადი — აქ რას აკეთებ, კონოვალოვ?

კონოვალოვი — ნაბრძანები მაქვს.

კუნია — ირაკლი არ გინახავს?

კონოვალოვი — აქ არის. შენზე ფიქრს გადაყავა კაცი.

კუზინა — კარგი, ახლა... მოეშვით ძია!

კონოვალოვი — მე კი მოვეშვები, ის არ მოგეშვება.

კუზინა — დაპირილი ხომ არ არის? კონოვალოვი — ოცი წუთის წინ სალად იყო.

ნოვოსადი (კუზინას) წაეიდეთ (ნოვოსადი და კუზინა მიდიან).

კონოვალოვი — შეყვარებულები ნამდვილად შეშლილები არიან...

დაწვება. წინ იუარება. ზურგიდან მოცოცავს ორი გერმანელი ჯარისკაცი. დაწოილ კონოვალოვს რომ შეამჩნევენ, გაიტრუნებთან. ერთ-ერთი გერმანელი ნიშანს იძლევა და ისინი ცოცხალი უახლოვდებიან კონოვალოვს, რომელიც სროლის ხმაურში მათ ვერ ამჩნევს. ამ დროს გამოჩნდება ეენია. თავი შეხვეული აქვს. მობარბაცებს, ორიოდე ნაბიჯს გაივლის და ეცემა. გერმანელი ჯარისკაცები კონოვალოვთან სულ ახლოს არიან, კონოვალოვი შემობრუნდება და დაინახავს გერმანელებს.

განმის ავტომატის მოყვარული. კონოვალოვი ეცემა. ერთ-ერთი გერმანელი მიცოცდება მასთან და ტყვიამტრქვევს მიუჭდება. მეორე დროშის ნაშთს ეცემა. ეენია თითქოს გამოეხიზნა, უცებ ამოიღებს პისტოლეტს. რამდენჯერმე ისწორის. გერმანელი ჯარისკაცები ერთმანეთის მიყოლებით გულაღმა ეცევიან. ეენია გაჭირვებით მიფორთხდება გერმანელ ჯარისკაცთან და ზელოდან გამოვლავს დროშას.

გამოჩნდება გერმანელი ჯარისკაცი. ეენია იხსნის ზაღას და დროშას უბემი მალავს.

გერმანელი ჯარისკაცი — ჰენდე ჰოხ! ჰენდე ჰოხ! (ისერის).

ეენია ზელს სტაცებს ავტომატს, მაგრამ ტყვიით განვმირული დაეცემა კონოვალოვის ჯვრდით. ზღუდის გაღმიდან გამოჩნდება კუზინა. დაინახავს კონოვალოვს და ეენიას, ცდილობს მიაღწიოს მათთან. მას უთვალთვალავს გერმანელი ჯარისკაცი. მასვე დაინახა თუ არა გერმანელი, ბუდიდან პისტოლეტი ამოიღო. გერმანელი ჯარისკაცი ავტომატს შემართავს, მაგრამ იქვე დაეცემა, განვმირული ტარასიუკის ტყვიით.

ტარასიუკი — ახ, ველარ მოვუსწარი (მიიბრუნეს ეენიასთან და კონოვალოვთან. შემოდის სარქისოვი).

ტარასიუკი — ხედავ, გურგენ, ხედავ? სულს ლაფავენ და მანინც იბრძვი-

ან ძალები! (კუზინასთან ერთად იჩოქებს, რახიმოვის, კონოვალოვს და ეენიას წინ. ქუდს იხდის) მზლირთხეა სარქისოვი (იჩოქებს) — დამთავრდა. აღარ არიან... ამათთვის ყველაფერი დამთავრდა. ჰე, საწყალო გოგო! (ისმის ქუხილისებური „ვაშა“, შემახილები: „გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ!“ კანტი-კუნტი სროლა. ზღუდის შემადლებულ ადგილზე გამოჩნდებიან ხობოტოკი და ნიქარაძე).

ხობოტოკი (ყვირის) — კონოვალოვ, გესმის, კონოვალოვ, გავიმარჯვეთ! ნიქარაძე (დაინახავს წაქეულ კონოვალოვსა და ეენიას) — რა არის ეს, რა მოხდა... კონოვალოვ? ეენია! ეენია! ხობოტოკი (ქუდს მოივლავს) — ეხ, ძმებო!

ზღუდის შემადლებულ ადგილზე გამოჩნდებიან ლიატოვი, შემდეგ ნოვოსადი. ლიატოვი უსიტყვოდ მიდის ეენიასაკენ. ჩერდება, გაოგნებული შეკურებს ყველას. მუხლებზე ეცემა. ლიატოვი — ეს რა არის ეენია? რომ გავიმარჯვეთ, გავიმარჯვეთ! ეს როგორ! (ქვითინებს)

ტარასიუკი — ვერ მოვუსწარით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

ისმის მოახლოებული ავტომანქანის ხმა. ნამსხვრევებს შორის ზღუდესთან გამოჩნდება „ვილისი“. მასში პეტროვი და ლესელიძე. მანქანა გაჩერდება. პეტროვი და ლესელიძე გადმოდიან.

ლესელიძე (დაინახავს ლიატოვს) — ამხანაგო ლიატოვ!... (დაინახავს ეენიას. მიდის ლიატოვთან და ადგომაში ეხმარება) მესმის თქვენი, ამხანაგო ლიატოვ, მესმის... უნდა გამაგრდეთ!

პეტროვი (ყველას) — ნოვოროსისკი განთავისუფლებულია. ფრონტის სარდლობის სახელით გილოცავთ გამარჯვებას.

ნოვოსადი — ვემსახურებით საბჭოთა სამშობლოს!

პეტროვი — მაღლა ასწიეთ თქვენი ბრიგადის დროშა!

ნოვოსადი — არის, ავწიოთ ბრიგა-

დის დროშა! (მიმართავს მებრძოლებს)
ამხანაგებო ასწიეთ დროშა!

(ტარასიუცი, ხობოტოკი და სხვები
უმწეოდ იხედებიან აქეთ-იქით).

ტარასიუცი — ამხანაგო პოდპოლ-
კოვნიკო, დროშა რახიმოვს ჰქონდა ჩა-
ბარებული, შემდეგ კონოვალოვს, მაგ-
რამ ისინი მოკლეს.

ლიპატოვი — მაგრამ დროშას ვერ
მოკლავდნენ!

ტარასიუცი (მებრძოლებს) — ძმე-
ბო, სად არის დროშა? სად არის ბრი-
გადის დროშა? (მაყურებელთა დარბა-
ზის სიღრმეში გამოჩნდებიან ბერეენო-
ვი, სიპიაგინი, ტელეჟინი და ეთერი).
ეთერი — (ყვირის). ირაკლი, ირაკლი,
შვილო! (უცებ ეენიას დაინახავს და
მასთან მიდის).

ეთერი — შვილო, საწყალო გოგო.
ნუთუ შენც სასიკვდილოთ გაგიმტებს...
ვინ გესროლა იმ დაწყველილმა...

ნიჟარაძე — კარგი, დედა... დაჩუმ-
დი...

ეთერი — დამაცა, შვილო, უნდა გა-
მოვეთხოვო... ერთი ცრემლი მაინც და-
ეცეს უბედურს გულზე.

დაბლა იხრება და ეენიას კოცნის. დაინახავს
დროშის კიდეს. ნელ-ნელა ამოაქვს ხალათიდან.
ბერეენოვთან მიდის და დროშას ჩააბარებს.
ბერეენოვი დროშას ლიპატოვს აძლევს.

ლიპატოვი — აღმართეთ დროშა!
(ნოვოსადი დროშას ტარსეუ ვამეგრებს)

ბერეენოვი — დიდება საბრძოლო
წითელ დროშას!

დროშა ნელ-ნელა მაღლა მიიწევს. ისმის
მძლავრი „ეაშა!“ ქუხს ქვეშეთა ხალხები. სა-
ხეიმო მუსიკა.

ანთია მარადიული ცეცხლი. იქვე დგანან ბე-
რეენოვი, სიპიაგინი, პეტროვი, ლესელიძე, პაე-
ლოვი, ვლადიმეროვი, ლიპატოვი, ენია, კონო-
ვლოვი, კუზინა, ნოვოსადი, ტარასიუცი, ხობო-
ტოკი, გრიგოროვიჩი, ეთერი, ნიჟარაძე, სარქი-
სოვი, რახიმოვი და კიდევ უცნობი მებრძოლე-
ბი.

ბერეენოვი — ამ ადამიანებს რკი-
ნისებური ნებისყოფა ჰქონდათ. ისინი
გმირები იყვნენ. ისინი ახლაც ჩვენთან
არიან იმავე ტანსაცმლით და იმ იარა-
ღით, რომლითაც თავიანთ სამშობლოს,
ჩვენს წმიდათაწმიდა მიწას იცავდნენ.
ისინი დგანან, ვით ცოცხალნი ცოცხალ-
თა შორის. მათი ხსოვნა არასოდეს გაპ-
ჭრება. სამარადისო დიდება მათ სახე-
ლებს!

უფრო მძლავრად ისმის მუსიკა.

ფარდა

თარგმანი ნოდარ გურაშვილისა



ქალმესანდრე ეპანოიძე

ორი თვე სოფლად ანუ იმერული ქორწილი

რომანი

13.

ამბობენ, ოცნება ადამიანის განუყრელი თვისებააო. მართლაც რა სჯობია იმას, წამოწვე მწვანე მოლზე, დახუჭოთვლები და წარმოიდგინო, რომ დგახარ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნაზე და წარმოთქვამ მგზნებარე სიტყვას... ან კიდევ, ვითომ თავზე ხელაღებული ვინმე ხარ და, როგორც კი დამთავრდა პრემიერა ფილმისა „იმ ჭალს კარგად ვიცნობდი“, პირდაპირ კინოდარბაზიდან მოიტაცე სტეფანია სანდრელლი და ახლა მიაჭროლებ ღია ავტომანქანით... არის ერთი სროლა, ყიყინა... ან კიდევ, ხარ სახელგანთქმული სპორტსმენი და აგერ მიგიწვიეს რომის (სან-ფრანცისკოს, მეხიკოს) საპატიო კვარცხლბეკზე, რათა პირველი პრიზი გადმოგცენ... ან კიდევ, პლანეტა მარსზე ხარ, ხელში ბარი გიჭირავს და რვავე მიწიდან წაღებულ ვაშლის ნერგებს. რალა ბევრი გავაგრძელო, ადამიანს უყვარს ოცნება... რალაზე არ ოცნებობს იგი: კეთილმოწყო-

ბილ ბინაზე, ლატარიის იღბლიან ბილეთზე, ღირებულების და მინისტრის პორტფელზე, უმაღლესში მისაღები გამოცდის ჩაბარებაზე, მდიდარ მემკვიდრეობაზე, ავტომობილზე, აგარაკზე, გემრიელ სმა-ჭამაზე, მყუდროებაზე, სიყვარულზე, ტელეფონზე, თბილ პალატოზე, მაგნიტოფონზე, სამხრეთში, ჩრდილოეთში, ან აღმოსავლეთში მოგზაურობაზე, გათხოვებაზე, საყვარელი გუნდის, მაგალითად, თბილისის „დინამოს“ გამარჯვებაზე და ა. შ. ნუ გაგიკვირდებათ, არიან სიკვდილზე მეოცნებენიც კი... ფარული ენებებით და მანკიერი ჩვევებით შეპყრობილ ადამიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჯანსაღ მეოცნებეთა რიცხვიც იმდენად დიდია, რომ მათი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. მაგრამ მეოცნებეთა მთელი ეს აურაცხელი მასა შეიძლება დავყოთ რალაც ჭგუფებად, თავისებურ პროფესიულ კავშირებად. ასე, მაგალითად, შეიძლება ცალკ-ცალკე გამოვყოთ კარიერისტების, შემდეგ, პროექტიორებს (ფუტ მეოცნებეების), ფანტასტების და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ყოფითი მეოცნებეების“ პროფეკავშირები. მე

ამ უკანასკნელ გავრთიანებაში ჩავეწყ-
რებოდით, ვინაიდან ვოცნებობ სახელოს-
ნოზე, ე. ი. ოცდაათ კვადრატულ მეტრ
კარგად განათებულ ოთახზე. ხოლო ის
ოთახი, რომელიც თბილისში ბუხუტიმ
მომაქირავა, არამც და არამც სახელოს-
ნო არ არის. დაე, ბუხუტის ეს ნუ ეწ-
ყინება და, ამ ოთახის მცირე ზომების
გამო მე იძულებული ვარ შევიცვალო
ქანრი, ვქერწო მცირე ზომის კომპოზი-
ციები. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ ჩემში
უსახელოდ კვდება მონუმენტალისტი...
ახ, მე რომ სახელოსნო მქონოდა...

მაგრამ სჯობია ამაზე ლაპარაკს თავი
დავანებოთ, ვინაიდან აქ საქმე ეხება
არა იმ სახელოსნოს, რომელიც მე არა
მაქვს, არამედ იმას, რომელსაც ვაწ-
ყობდი სოფლად... მთელი თვის მან-
ძილზე... აქ საქმე ეხება იმ დალოცვილ
ქერს, რომელმაც შეიფარა მოქანდაკე
და მისი მენატრე ქალიშვილი. საქმე
ეხება ბოსელს.

ბოსელი რომ ვახსენე, ალბათ რაღაც
ბინძური რამ წარმოგიდგათ თვალწინ.
არა, ის სუფთა იყო, როგორც ვეტუნ-
ქტი, და პირქუში, როგორც სევანური
კოშკი. ალაგ-ალაგ, მარტივად ნაგებ
კედლებზე, ქვებსა და ქვებს შუა ამოიზ-
რდებოდა ზოლმე ბალახი, მაგრამ ბე-
ბიას თხა რას გაჩერდებოდა, მაშინვე
მოსძოვდა იმ ბალახს; ის კი ისევ ამო-
დიოდა. ბოსელს სახურავი კრამიტისა
ჰქონდა და ისიც ამწვანებული და ხავ-
სიანი იყო. აქ ყველაფერს, ქვასა და
ბალახსაც რაღაც პირველყოფილი გამ-
ძლეობა ეტყობოდა. იმ ნაგებობებიდან,
მე რომ მინახავს, არცერთი არ იყო ასე
სადა და მტკიცე. ამავე დროს, ეს ფა-
რებიც იყო, საბძელიც და საქათმეც.

იმ ხანად ამ ბოსელში ბინადრობდა
კუპრივით შავი თხა, უტიფარი, ყვითე-
ლი თვლები ჰქონდა და ვეება ჯიქანი,
მის ფეხებს შორის ძლივს რომ ეტე-
ოდა. ბებიათ თურმე ჩემს ჩასვლამდე
გაყიდა ჰოლანდიური ჯიშის ვეებერთე-
ლა ძროხა, სახელად ირას რომ ეძახდა.
და ეს თხა შეიძინა.

ბოსლის მდგმური იმ ხანად იყო სწო-
რედ ეს საკმაოდ ველური და უკარება
არსება; მასთან, იგი მეტისმეტად თავ-
ხელი და მოურიდებელი გახლდათ. ბე-
ბიას დასტურით, მე იგი ბოსლიდან გა-
ვაძევე, თუმცა დავუტოვე უფლება
წვიმიან დარში შემოსულიყო და თავი
შეეფარებინა. მაინც არაფერმა გასჭრა:
სახელოსნოს გამართვა-მოწყობას რომ
შევუდექი, წამდაუწუმ დამადგებოდა
თავზე და თავისი ქარვისფერი ურცხვი
თვლებით დაეინებით შემომცქეროდა.
მოგვიდებდი რქებში ხელს და გავაგ-
დებდი ვარეთ.

მისი უტიფრობა ჰეშმარიტად ყო-
ველგვარ საზღვრებს სცილდებოდა.
წარმოიდგინეთ, ეს წყევული, თავისი
ზნითა და ქცევით, გამოხედვით, ვეება
რქებით და ბელზებელის გარეგნობით
თავზარს სცემდა პირუტყვებს, რომლე-
ბიც მასზე ორჯერ და სამჯერ უფრო
დიდები იყვნენ. ჩემი თვლით ვნახე,
ოვგორ დააფრთხო მან ოთხი წლის ფა-
შატი — წითური სიმონის ცხენი... ის
საცოდავი ისეთი ჰენებით გარბოდა,
თითქოს მთელი სამგლეთი აყრილა და
მისკენ წამოსულაო. თითონ კი მღვლო-
ზე იდგა, შავი, როგორც ჯოჯობეთის
მოციქული და თავჩალუნული აყოლებ-
და თვალს გაქცეულ ცხენს. მის მზერა-
ში არ იყო არც მუქარა, არც შეშფო-
თება, არც გაბრაზება... იყო მხოლოდ
ოდნავი ზიზღი ამ ლაჩრისადმი, რომე-
ლიც ეშმაკმა უწყის რამ დააფრთხო და
გადარია ქკუაზე.

სოფლის ნაგახები, აქაურობის გუ-
შაგებად, რომ მოჰქონდათ თავი, ისინიც
კი მოწინებით გვერდზე უვლიდნენ
წვერციანცარას.

მე თავიდანვე თვალში არ მოუვედი
ბოსლის ამ ბინადარს, რაც საგსებით
ბუნებრივად მეჩვენა. თუ თქვენ ამხანა-
გის ბინაში ვიცხოვრიათ, გაიხსენეთ,
რა გუნებაზე დგებოდით, როცა ბინის
პატრონი მოულოდნელად შინ დაბრუნ-
დებოდა. მე ეხვდებოდი, რომ დაახლო-
ებით ამასვე განიცდიდა ბოსლიდან გან-

დევნილი თხა. ამიტომ იყო, რომ ყველგან უკან დამდევდა, ორი ნაბიჯის დაშორებით შეჩერდებოდა და დაეინებით შემომსკვებოდა. ამ დროს მის თვალებში არ ჩანდა არც მუქარა, არც შემფოთება, არც გაბრაზება... მასში იყო მხოლოდ ოდნავი ზიზღი, შეზავებული საყვედურთან — აქო და, რას სჩადიხარ, როგორ იქცევიო.

მე კი მოთმინება აღარ მყოფნიდა, ეჩქარობდი, მუშაობა მეწადა და ამ მოუთმენლობამ და აზარტმა გულქვა და უღმობელი გამხადა. აღარ მივაქციე ყურადღება საცოდავი ბეკეას ჩაცივებულ მშერას და ჩლიქების ბაკუნს, პროტესტს, და შევეუდექი ბოსლის სახელდახელოდ გადაკეთებას: დაეშალე, დეარდღვი სქელი ფიცრებისაგან შეკრული ჭერი და სახურავზე აეცოციდი ხავსმოდებული კრამიტის ასაყრელად — სარკმელი უნდა გამეჭრა ჩემს ზემოთ. ეს იქნებოდა ნამდვილი სინათლე მალლიდან. საღამომდე ვიმუშავე. მეორე დილას ბებიაშ შაბიამნის ხსნარით სავსე სასხური ამკიდა ზურგზე და ვენახში ჩამგზავნა. ვენახი, მოგესხენებათ, ქართველი კაცისათვის ჩვეულებრივი ხეხილის ბაღი არ არის, რაღაც უფრო ახლობელია, მშობლიური, მარჩენალი, შვილი და ღვიძლი ძმა; დაუყოვნებლივ გავეშხადე მის საშველად: სასხურმოკიდებული, მუშა კაცის დინჯი ნაბიჯით მარნიდან ვენახისაკენ გავეშურე. ჩემს მომავალ ქანდაკებაზე ვფიქრობდი და ვაზების მწკრივებს შორის ღიღინით მიმოვდიოდი, შეუჩერებლად ვაქნევდი სასხური აპარატის სახელურს. პატარა მოძრავი მილიდან შიშინით იფრქვეოდა მოღურჯო ხსნარი. ფოთლები ცისფერი ჭავლით იფარებოდა, იწინწყლებოდა.

ამ საქმით რომ ვიყავი გართული, მოულოდნელად, ზემოდან ბებიას ძახილი მომესმა.

— ჰუ, — გავეხმაურე, ისე რომ ღიღინი არ შემიწყვეტია. ზევით ავიხედე და სიხარულმა ამიტანა: მალაბოძებშეყენებული ჩვენი სახლი, მზის ამ

თვალისმომკრელ სინათლესე, ქართთ ამოძრავებული ხეებისაყვედურმაყვედამავალი ღრუბლების შეტანსე, მგაგდა რაღაც პაეროვან ხომალდს, შორეულ სივრცეებში რომ მიცურავდა. საოცარი სანახაობა იყო.

— ლაღო, ჩქარა, ჩქარა ამოდი! — ზმანებიდან გამომადფიზლა ბებიას ხმამ.

— რა მოხდა, გვეწვია ვინმე?

— ჰო, ჰო, გვეწვია... მალე მოდი!

თუმცა ბებია შემფოთებული ჩანდა, მე მაინც არ აეჩქარებულვარ, და როცა სასხური აპარატი დავაცარიელე და ზევით ავედი, დაეინახე, რომ ბებია შეშინებული წრიალებს აქეთ-იქით, ბოსლისაკენ ზელს იშვერს და მეუბნება:

— რად დაიგვიანე? მოდი ჩქარა, თორემ სახურავს ჩაანგრევეს.

— ვინ ჩაანგრევეს, რა მოხდა, ბებია?

— სახურავს აღარ დავექმებ, თვითონ დაიმტვრევა. ადი, სახურავზე, ჩამოათრიე, როგორმე... ღვთის გულისათვის...

გაოცებულმა მოვიხსენი მხრიდან სასხური აპარატი და სწრაფად ბოსლისაკენ გავქანდი.

ჩემს თვალწინ დიდებული სურათი გადაიშალა: შუადღის მზის ქვეშ, ხავსმოკიდებული კრამიტის სახურავზე გადამქდარიყო წელამდე შიშველი, მკერდბანჯგვლიანი, შავწვერებიანი მოხუცი. კი არ იჭდა, გადამქდარიყო, თითქოს მთელი ბოსელი, როგორც ჭიშინი ზორბა ცხენი, ვეება ბარძაყებში ჩაეჭირა.

— ბაბუა კასიანე! — სიხარულით ატანილმა შევძახე ქვემოდან.

— გამარჯობა, შვილო, გამარჯობა! — დაიგუგუნა პასუხად.

— რისთვის ასულხარ, სახურავზე. ბაბუა კასიანე? შეხედე, რა შეშინებულია ბებიაჩემი — ჩაანგრევეს და თვითონაც დაიმტვრევაო.

— ნუ ჯავრობ, არ ჩავანგრევე, არც ისე მძიმე ვარ, როგორც ჰგონიათ.

სულ მთლიანად ცისფერი, როგორც ყინწვისის ანგელოზი, ვიდექი პატარა მწვანე მდელიოზე და ვუმზერდი, რო-

გორ მოცოცავდა სახურაეიდან ბაბუა კასიანე.

— ლაღო, ეშმაკის ფეხო, ლაღო... ამდენხანს რად დაიგვიანე, რატომ არ ჩამოხვედი ქალაქიდან. მომენტარე, ბიჭო, ღმერთია მოწამე, ძალიან მომენტარე, — ამ სიტყვებით მოხუცი მიწაზე ჩამოხდა, გადამხვდია და თავის ვეება მკერდზე მიმიკრა. მე ვაკოცე წვერზე, სველ ტუჩებში, მერე განზე გავდექი და ვუთხარი:

— არ მომეკარო, დაგსვრი, შაბიამნის ხსნარით ვარ შეღებილი.

— ეგ არაფერი...

— ეს რა გიქნია, ბაბუა კასიანე, სახურაეზე რომ ახოხებულხარ... ბავშვებს ნათლავ, მიცვალებულებს წესს უგებ და თანაც სახლის სახურაეზე მიძვრები. რომ დაგინახოს ვინმემ, ხომ მოგეპირა თავი!

— ეპ, ვისღა ვნათლავ ახლა? უკანასკნელად მარგალიტა მოვნათლე, ავქსენტის ცოლი. როდის მოხდა ეს, არც მახსოვს, დიდი დრო გავიდა მას მერე. ტიტველი მექირა ხელში, ისე ამოგავლე ემბაზში. ახლა რომ დაგინახავ, ო-ო-ხ, რა ცუდი ფიქრი გამიბრუნეს ზოლმე — ნეტავი ახლა მომანათელინამეთქი.

— რას ამბობ, მამაო, განა ეგ ეკადრება თქვენს უწმინდესობას?

კასიანე ტანზე უზარმაზარ შავ ხალატს იცვამს, მკლავები სახელოებში ძლივს ეტევა: ამ წვალებას რომ მორჩა, დაიგუტუნა:

— აღარ ვარ სასულიერო წოდების, შვილო ჩემო, ხელი ავიდე. კასიანე ახლა ვისთვის ბაბუაა და ვისთვის ბიძა. ახლა ხურო ვარ და არა მღვდელი. შადლობა უფალს, ჩემი გადადგომა რომ მიიღო, არ გამიწყრა... როგორც ხედავ, ჯანზე საღად ვარ და სული ჩემი სიამით ღებულობს ღვინოსაც და ნაირ-ნაირ საჭმელსაც.

მე დაბნეული შევეყურებ.

— მოგხსნეს მღვდლობიდან, თუ...

— მოგხსნესო? მამა რომ დავმარხე, იმ დღიდან ჩემი ბატონი და უფროსი

ალარავინ არის. რას ჰქვია მომხსნეს, თვითონ მივატოვე... ლაღო, შენ ეშმაკის ფეხო, ხომ მუდამ გასწავლიდი... მეტი ლაპარაკი ნუ იცი-მეთქი. კასიანემ ცალი ხელი მომხვია და მეორე ლოყაზე მომიტათუნა — სიმონმა დამავალა შეიარე ინაშვილებთან, სახელოსნოს მართავენ და დაეხმარეო. რომელ ინაშვილებთან, ის ბიჭი ხომ არ ჩამოსულამეთქი, — ვეკითხები, — ჰო ლაღოსთან, ლაღო ინაშვილთან მიდიო... ახ, შეცუღლუტო, შე ეშმაკის ფეხო, როგორ გამეხარდა, ბოლოს და ბოლოს რომ გვავლირსე შენი სახის დანახვა. რა გინდა გააკეთო?

— ისეთი არაფერი, უბრალო რამ არის.

— ჰოდა, მეც გამოვიქციე. ვხედავ, სახურაეი ავიხდია, საშენი მასალა დაგვიყრია. ავხოხდი მალა, მინდოდა გამეგო, რა წამოიწყე, ჩარჩოს გაგიკეთებ. მე ხელოსანი ვარ, შენ არც კი იცი, რა ოსტატი ვარ!

— კარგი, ბატონო, კასიანე. ამისთვის მერე მოვიცილოთ. ახლა კი ჩაიციებულ ღვინოს შევექცეთ, ძალიან ცხელა, არა? შენ რას იტყვი?

— დავლიოთ, ჩემო კარგო, დავლიოთ! ღვინოს მე სიცხეშიც ვსვამ და სიცხეშიც, ასე რომ, შენ გასამართლებელ მიზნებს ნუ ეძებ!

ბებიას უკვე მოესწრო საუზმის მომზადება. სუფრაზე ელაგა ქორჯა მწვანელი, პამიდორი, კიტრი, ცხელციხელი ქაღები და ჰყინტი ყველი, მწვანე ლობიო, კვერცხით შეკაზმული და გარეცხილი ბოლოკი. იქვე იდგა მოზრდილი დოქი, ღვინით სავსე. ბებიანემი ალერსიანად იღიმებოდა და სტუმარს თავდახრით ებატყებოდა.

— მობრძანდით, მამაო, მობრძანდით!

— ვერ იქნა და ვერ გადაეჩვიე, თებრონე... აღარა ვარ, მამაო!

— განზრახ გეუბნები, იქნებ, არ დამამადლო და პანაშვიდი გადამიხადო, როცა მოვეკვდები... ხუცესი ახლა ძნელი საშოვნელია!

— მოეშვი ამ ლაპარაკს! იცოცხლე და იმხიარულე, რატომ უნდა მოკვდე, რა გაკლია?

— ამ დედამიწას ვინ შერჩენია, კასიანე, ყველა იქ წავალთ.

— ესეც მართალია. იცი რა, ოღონდ შენ ასეთი სუფრა ხშირ-ხშირად გაშალე და, გინდა სიონში გადაგიხდი პანაშვილს, კათალიკოსის თანდასწრებით, — კასიანემ გაიცინა. ჩემს ოთახში შემოსვლისას კი ისევე სერიოზული სახე მიიღო და პირქუშად დაიგუგუნა: მშვიდობა სახლსა ამასა შინა.

იმ დღეს გვარიანად მოველხინეთ, კარგა ბლომად დავლიეთ.

მე ვუჩქეტი სუფრას მთლად ცისფერი, როგორც ყინწვისის ანგელოზი. ხელიც კი არ დამიბანია. ბაბუა კასიანე წამდა-უწუმ ღიმილით შემომცქეროდა და თან მეუბნებოდა:

— გადარეული ხარ ბიჭო, გადარეული. დაგებანა, შე კაცო, ხელბირი, გიყურებ და ვერ გამირჩევია შენ ხარ, თუ არა!

— მე ვარ, მე, ბაბუა კასიანე, — ლადო ლევანის ძე ინაშვილი!... შენ რატომ არ გაიპარე წვერი, თუ მართლა ერისკაცი გახდი?

— მეშინია! — გაიცინა კასიანემ და ხელი ჩაიქნია, — ვინ იცის როგორი სიფათი მაქვს. გავიპარსო და უცებ, რომ დამესიოს ხალხი საყურებლად, მერე სად მიღიხარ?

— არ გცბელა მინც? ამ პაპანაქებაში ამხელა ჭაგარი...

— არაფერია. მიჩვეული ვარ... შენ ის მითხარი, რას აპირებ, რა გადაგიწყვეტია შენ და სიმონს?

— ქანდაკება გვინდა გვაკეთოთ.

— აჰა, მასეა საქმე? იცი რა? — გაუბრწყინდა თვალები კასიანეს, თუ გინდა, მე დაგიდგები მენატურედ. დრო თავზე საყრელი მაქვს. ოღონდ ღვინით სავეს დოქი ჩამოვდგი. ვახსოვს, რა დროს ვატარებდით, წინათ რომ ჩამოხვიდოდით ხოლმე?

— კარგ დროს ვატარებდით ბაბუა

კასიანე, მართლაც საამოა მოსაგონებლად.

— დიხაც... მე ვხივარ, გიყვებო ავსა და კარგს, ტყუილს და მართალს, შენ კი ალბომში გადაგაქვს ხან ჩემი წვერები, ხან ხელის თითები... სასიამოვნო და თავშესაქცევი იყო. დღემდე ვინახავ იმ შენ ნახატებს, ერთი მათგანი ანეტამ გამომტყუა, ის სურათი, სადაც შენ სასაცილოდ დახატული გყავარ.

კარგა ხანს ასე ტკბილად ვსაუბრობდით.

ნასაუბრევეს ვენახში ჩავედი, რომ დამემთავრებია დაწყებული სამუშაოები. ბაბუა კასიანემ კი ბოსელს მიამურა.

ბუბია მაშინვე თან გამომყვა, მუდარა დამიწყო:

— გეხვეწები, არ გაუშვა სახურავზე, ჩანგრევს ეგ ტყუილი! ჩამოვარდება, მოიტეხს რამეს და მაგისი ცოდვა ჩვენ დაგვედება.

— არ ჩამოვარდება!

— ჩამოვარდება, გელაპარაკები მთერალია.

მაშინ მე მოხუცს ხმამალა გავძახე:

— ბაბუა კასიანე!

— ჰოუ! ჰოუ!

— როგორაა საქმე? უკვე სახურავზე ხარ?

— სახურავზე ვარ, შეილო ჩემო, სახურავზე...

— ფრთხილად, ბაბუა კასიანე, ფრთხილად...

— ნუ გეშინია, შეილო, ჩემო...

ასე გავძახოდით ერთი-მეორეს, ალბათ მთელ სოფელში ისმოდა ჩემი დრამატული ტენორისა და მისი დათუერი ბანის ღუეტი.

ტ ე ნ ო რ ი: ეჰე-ჰე-ჰეი!

ბ ა ნ ი: ოჰო-ჰოუ!

— ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, ცოცხალი!

— ფრთხილად, არ ჩამოვარდე!

— ჭავრი ნუ გაქვს, შეილო ჩემო!

მოდლილი მზე მთის იქით გადაცოცდა. მე უქანასკნელად ავედი მარანში,



ამოვქაჩე ხსნარის ნარჩენები, შევასხურე შაბიამნის სითხე თალარს ჩემს თავს ზემოთ და გავწიე ბაბუა კასიანეს ნამუშევრის სანახავად.

მოხუცი აკაციის ჩრდილში იჯდა, მის წინ თავდაბრით იდგა ჩვენი ბეკეკა. ბაბუა კასიანემ პირქუშად შემომხედა და მითხრა:

— შენ კაცი არ იქნები, თუ ამის მწვადის გემოს არ გამასინჯებ...

— ამინ, აგრე იყოს! — ვუპასუხე მე. სამუშაო კასიანეს ჩინებულად შეესრულებინა. საჭირო ადგილას კრამიტი ახადა და წესიერად დაეწყო კედელთან. ახილი ჭერი უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა — თითქოს ჩვენი ბოსელი მაგრად დაუბოძებოთ.

— სარკმლისათვის ჩარჩოს შეგიკრავ და მინებსაც ჩავსვამ! — მითხრა კასიანემ, როცა სახურავახილ ჭერს შეხედა, — თუ ეს არ გავაკეთებ, წვიმის წყალი მთელ ბოსელს აავსებს.

— კარგი იქნება, — ვუპასუხე მე, — მაგრამ სად ვიშოვო ამდენი მინა.

— სიმონი მოგვეკვს. შენ ოღონდ ზომები ჩაიწერე.

სახლში ავედი დასაკეცი მეტრსაზომის წამოსაღებად.

— ხელპირი მაინც დაგებანა, ბიჭო, — დამინახა თუ არა, მაშინვე მომაძახა ბებიამ, — წყალი უკვე გაათბე.

— ახლავე, ცოტა დამიცადე. მე და კასიანემ ყველაფერი გულდასმით გავზომეთ.

მერე ხელპირი დავიბანე. ტანსაცმელი გამოვიცვალე და კასიანესთან ერთად შევედექი სახელოსნოსთვის ავეჯის შერჩევას. ბებია გოაცებული და შემინებული ისმენდა, როცა ბაბუა კასიანე სერიოზული სახით მეკითხებოდა:

- ბუფეტი არ დაგჭირდება?
- ალბათ დამჭირდება.
- ეს საწოლი?
- ესეც!
- სავარძელი?

— რას ამბობ, უსავარძლოდ როგორ იქნება!

— მაშ კარგი-ი...

ასე, ნელნელა, ყოფილ ბოსელში გადავთრით დაწვრილებული ტახტი, პატარა სოფლური ტაბლა, ორი ტაბურეტი, აგრეთვე დასაკეცი სკამი, კიდევ რალაც ხარახურა, და ის იყო დალაგებული და დაგვეწყო, როცა კარებში ცამეტიოდე წლის ბიჭი გამოჩნდა. წითურ სიმონს გამოგვზავნა და დაპირებული ულუფა გამოეტანებინა. სწორედ რომ სულზე მოგვისწრო. ის იყო ტაბლას შემოვუსხედით, რომ წვერცანცარაც შემობაკუნდა, მე შემომაჩერდა. პირდაპირ თვალეში მიყურებდა, თითქო ჩემგან რალაცას ელოდა. მე ღვინით სავსე ჭიქა ავიღე, ოდნავ თავი დავეუკარი და დაბალი ხმით, შემპარავი კილოთი ვუთხარი:

— თქვენი სადღეგრძელო იყოს, მადამ!

— ოჰ, ეს სატანა ისევ დაგვადგათავს, — დაიქუხა ბაბუა კასიანემ, — თუმცა საძაგელი იქნება ამის მწვადი, მაგრამ მაინც უნდა შეიწვას.

14.

მთელი კვირა ვამზადებდით მე და კასიანე სახელოსნოს. ვმინავდით ჭერს, ვაკეთებდით დაზგას და მისადგმელ კიბეს, ვდგამდით კარკასს. ჩინებული სახელოსნო გამოვიდა.

მეშვიდე დღეს ჩვენს ეზოსთან გაისმა შორიდან მოღწეული ურმის ჭრიალი და მეურმე ელფეთერის გამყვიანი შემახილები: ხიო, ხიო, ცისკარა, დადექ, შე მგლის კერძო... ასე, აქეთ, ასე, ასე... — ბოლოს ყველაფერი მიყუჩდა.

სახელოსნოდან გავიხედე. მდგლოზე მაღალი ურემი დავინახე, რომელზეც თიხით სავსე ორი დიდი კასრი იდგათიხას ზემოდან გვიმრის შტოები ჰქონდა წაფარებული.

— წინ წამოსწიე, ბიძია ელფეთერ. კართან უფრო ახლო დააყენე ურემი,

თორემ კასრების ზიდვით წელი მოგვეწყდება.

— არა, აქ ჩრდილია. ხარები ძალიან გაიოფლნენ. დაე, ცოტა სული მოითქვან, — მიპასუხა ელფეთერმა, ხარებს თავზე ხელი გადაუსვა და განზე მშერა დაიწყო.

ჩვენ ბაბუა კასიანე შემოგვეერთდა და, როგორც იქნა, ხენეშითა და ჯახირით კასრები სახელოსნოში შევათრიეთ.

— დაუსხი ამ კაცს ღვინო! — ვუთხარი კასიანეს, — მე წყაროზე ჩავიზბენ და ცივ წყალს ამოვიტან.

როცა დავბრუნდი, ურემი მდელოზე აღარ იდგა.

— წავიდა?

— ჰო.

— ოხერი! გადავეყვი ამ თიხის არჩევას. მაგის გულისათვის სამჯერ მივედი აგურის ქარხანაში. მეტი გვიმრა ვერ მოაყარა? ზომ გამოიფიტებოდა...

— არაფერია, ლადო, ჯერ ისე არ ცხელა.

— ჩვენი იღბალი, რომ არ ცხელა!

მე ძალაყინი დავარტყი თიხას, მერე ხელით მოვსინჯე, რბილი იყო, არც თითებს ეწებებოდა. საესებით გამოსადეგი იყო, რომ მუშაობას შევდგომოდი.

— კარგადაა საქმე, მალე დავიწყებ მუშაობას, ბაბუა კასიანე!

— აბა, დავლიოთ მაგის აღსანიშნავად. დილიდანვე შენი გამარჯვებისა იყოს.

მე ხელი მოკვიდე მოწოდებულ ქიქას და გულუბრყვილოდ გავიფიქრე: იქნებ ამ ქიქაში იყოს მოთავსებული სული მომავალი ჩემი ქანდაკებისამეთქი.

მერე კვლავ დავურთე და დავურთე ძალაყინი თიხას. ჩემი მასწავლებელი მეტყობდა ხოლმე, თიხას ნახად ნუ მოეპყრობი, მტრულად მოექეცი და მეგობრად გაგიხდებო, კარგი ნამუშევარი გამოგივარო.

— დიდი ეშმაკი ვინმე ყოფილა, ეგ

შენი მასწავლებელი! ალბათ მისთვის ცოტა ურტყამთ, — მიუხრუკე კასიანემ.

— ნუ იტყვი! კარგად გეხარა მოხვედრაია.

— რისთვის?

— ვინ მოსთელის რამდენჯერ და რისთვის! თავისი ცხოვრების ნახევარი მშვიერ-მწყურვალს გაუტარებია. ისე, ნიჭიერი კაცი ვიპ!

— დახე!... ახლა თუ მაინც არის მამლარი?

— ახლა, მადლობა ღმერთს, გაძლა, მოიკეთა, მოლონიერდა, არც ღვინოზე ამბობს უარს.

— ალბათ ფიქრობს, რაც წინათ მაკლდა, უნდა ავინაზლაუროო. ალბათ ამიტომ ეხარბება ჰამა-სმას.

— ალალი იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

ვეგრძნობდი, რომ რაღაც მალიზიანებდა, ხელს მიშლიდა, ვერ გამეგო, მარტო დარჩენა მინდოდა, თუ პირიქით, მეშინოდა მარტო ყოფნისა. კასიანემ ადვილად გადაწყვიტა ეს საკითხი: ღვინო დაისხა, წამოდგა და თქვა, მივდივარ, რამდენი ხანია ანეტა მეხვეწება წისქვილიდან ფქვილი ამომიტანეო.

— ძალიან ცხელა. სად უნდა წახვიდე ამ გაგანია სიცხეში. ჩვენთან ისადილე, — დაბნეულად შევთავაზე მე.

— არა, უნდა წავიდე. შენი სადღეგრძელო იყოს, შეილო, ჯანმრთელად მეყოლე!

— სალამოს ხომ შემოგვივლი?

— არ ვიცი, შეიძლება ადრე დავიძინო.

— შენი ამბავი რომ ვიცი, სამ დღეს და სამ ღამეს გადააბამ ძილს. არ დამივიწყო, კასიანე ბაბუა, ხომ იცი, უშენოდ ღვინო დამიძმარდება.

— დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ გინახულე.

ნ უ ს ა

წავიდა ჩემი მოხუცი.

დავრჩი მარტოდმარტო განათებულ, შემინულ ბოსელში. მივიხედ-მოვიხე-

დე და „ღროა საქმეს შევედგე“-მეთქი, გავიფიქრე.

ყველაფერი მზად არის, ღროა დავიწყო, მაგრამ ვერძნობ, რომ რალაც შემართება! რა არის ეს, ძალღონის გამოღევა, თუ შიში? დიახ, ნამდვილი შიში, რომლისგანაც გული მერევა, გონება მიბნელებდა. ველოდი, მოუთმენლად ველოდი ამ წუთებს და ახლა, როცა თიხას ვხედავ, არ ვიცი რა შემართება. მინდა თავი ვინუგეშო: «ეს მუდამ ასე იყო და ახლაც ასეა, ლაღო!» ყოველთვის, როცა თიხის წინ დავდგებოდი, მეგონა, რომ ყველაფერი დამავიწყდა, რომ არაფერი ვიცი და არაფერი შემიძლია. ახლაც ასე შემართება. არ მყოფნის ძალა ვირწმუნო, რომ გაიღიმებს ბედი და მომივლენს ციურ მადლს; ახლა ჩემი დაბნეულობა ახალწვეული ჯარისკაცის დაბნეულობას ჰგავს, უცებ რომ გადის ბრძოლის წინა ხაზზე.

• • •

პირველ სეანსზე ნუცას თან თავისი ძმა — ჩიკო მოჰყვა.

შემოდგა ფეხი თუ არა, ჩიკო გაოცებული მიაშტერდა შემინულ ჰერს, მერე ჩემსკენ შემობრუნდა და აღტაცებული კილოთი მითხრა:

— კარგად მოწყობილხარ, გერბო, ხომ არაფერს უჩივი?

— არაფერს. კაცს თავისუფლად შეუძლია იმუშაოს აქ.

— მაგრამ ერთ წუთს არ მოგასვენებენ, თვალთვალს დაგიწყებენ.

— ვინ უნდა მითვალთვალოს?

— ვისაც აინტერესებს, რას ჩაღიწობთ აქ, მარტოდმარტო დარჩენილნი.

— ყველამ იცის, რასაც ვაკეთებ.

— ნუ იტყვი მაგას! კაცს ასჯერ გაგონილს ერთხელ დანახული ურჩევნია.

ჩიკო თიხით შემოვლებული კარკასის წინ შეჩერდა, მერე გარშემო შემოუარა, მისი დაიკო ჩუმიად იდგა სახელოსნოს შუაგულში.

— რა ვქნათ ახლა, ნუცა, — შეებრუნდი მისკენ, — არ დავიწყოთ?

— როგორც გნებავთ, — მხრები აიჩეჩა და გაიცინა, — მე მზად ვარაღმად

— ჩიკო, — ეუთხარი ყმაწვილს, — შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. დაჰკარფეხი, მიდი ახლავე მამაშენთან და გადაეცი ჩემი სალაპი!

— რაო? — ვერ გამიგო ჩიკომ.

— თუ გინდა მართლა დამეხმარო, წადი და ოთხი საათის მერე დაბრუნდი. ისე შეგხვდები, როგორც ნანატრ სტუმარს. ახლა კი, ბოდიშს ვიხდი...

ენამკვევრობამ ვერ მიშველა, ჩიკოს მაინც ეწყინა.

— კარგი, წავალ, — თქვა მან და თვალი ისე მოჰქუტა, როგორც მონადირემ ნიშანში დამიზნებისას. — კარგი! — გაიმეორა ჩიკომ და ჩაიცინა.

— გული ნუ დავწყდება, ჩიკო! — მხარზე ხელი მოკუთათუნე. — გაწყენინე, განა?

ის იყო, ჩიკო წავიდა, რომ სახელოსნოში ბებია შემობრძანდა, ნუცასთან მივიდა, ორივე ხელი თავზე მოჰხვია, შუბლზე აკოცა და წყნარი ხმით ჩაილაპარაკა:

— მოხვედი, შვილო? რა კაი ჰქენი, რომ მოხვედი. მადლობა ღმერთს, რომ აქა გხედავ, ძალიან მოხარული ვარ, ძალიან... — რას მიყურებ? — მკაცრად მკითხა ბებიამ, როცა თვალეში გაკვირვება შემამჩნია, — გამიხარდა ამის მოსვლა და მინდა მოვეფერო. ბოდიშს ვიხდი, ყმაწვილო, უნებართვოდ რომ მოვედი!

— ბებია, მე უკვე ვიწყებ მუშაობას.

— დაიწყე, ვინ გიშლის! იქნებ, წასვლას მიბრძანებ! აღბათ შენ გააგდე ამის ძმაც, არა? მითხარი, შენ გააგდე?

— მე არაფერს გამიგდია, ის კი ეუთხარი, უფრო მოგვიანებით შემოიარემეთქი. შენც ამასვე გთხოვ, ბებია!

— ვიცი, ვიცი, რაცა ხარ! როგორც კი თიხის ზელას დაიწყებ, ჰკუას ჰკარგავ. შენ მაგას უფრო მკაცრად მოეკიდე, ნუცა, ეს ინაშვილები ისეთი თავენ-

ბა და ახირებული ხალხია, რომ თუ თავის ნებაზე მიუშვია...

ბებია, როგორც იქნა, სახელოსნოდან გაევაბრძანე, ნუცას დასაკეცი სკამი ახლოს მიუვწიე, თვითონაც დაეკეჭი და მოვემზადე. მოვემზადე, მაგრამ მოულოდნელად კარზე დააკაკუნა ცამეტი წლის ყმაწვილმა, კანტორიდან გამოგზავნილმა ბიჭმა, რომელმაც კალათით ჩემი ყოველდღიური ულუფა მოიტანა. მადლობა ღმერთს, მას ჩვენთვის თავი არ მოუბეზრებია, მხოლოდ ორ-სამ წუთს იჭდა, სული მოითქვა, მერე გამოგვემშვიდობა და ზრდილობიანადვე დაგვეშორდა.

წავიდა და მე, კარისკენ თავის გაქნევით ჩუმად ვეითხე ნუცას:

— ვინ არის? რატომ არ ვიცნობ?

— ეს პავლიაა, ახალი აგრონომის შვილი. ძველ კანტორაში ცხოვრობენ, დაბლა.

— მერე, აგრონომს კანტორაში რამ მიაყვანიდა ბიჭი, ასეთი ჭანსალი ყმაწვილი?

— საქმეც ის არის, რომ ჭანსალი არ გახლავთ. თავში რაღაც...

ნუცამ თითი შუბლზე მიიკაკუნა.

— მართლა? საცოდავი!

— ყოველთვის ტიტველი ბანაობს, მაშინაც კი, როცა ირგვლივ ხალხია.

— ეგ კიდეც არაფერი... — გაუბედავად ვუთხარი ნუცას.

— ეგ ბიჭი ერთ ჩემი სკოლის ამხანაგს უყვარს. ისიც იმას ამბობს, პავლია გადარეული კი არა, ძალიან ჰქვიანიო.

— პავლიამ იცის?

— რა?

— რომ შენს მეგობარ გოგოს უყვარს.

— იცის. მთელმა სოფელმა იცის.

— შენ? შენ ვინ გიყვარს? — ვკითხე მე — და ესეც იცის მთელმა სოფელმა?

ნუცა აენტო. ღიმილი ისე მოსცილდა მის სახეს, თითქოს ჩამობანესო. ის იყო მოვემზადე ამ ინციდენტის მისაჩქმალავად და ჩემი დანაშაულის გამოსას-

ყიდლად, რომ მოულოდნელად კახიანებმა საოხუნჯო სიმღერის მოტრეფე დააგუგუნა:

— ლულუნებენ, ლულუნებენ, სიყვარულზე ლულუნებენ მტრედები... ლადო, ლადო... ნუციკო, სადა ხართ? სტუმრად მოგივიდათ კასიანე ბაბუა, თავისი ფეხით მოვიდა... მე ვუთხარი, წადით, ფეხებო, საითაც გინდათ-მეთქი და იმით კი თქვენთან მომიყვანეს. ხოშ არ გამაგდებთ? დავჯდები აქ სადმე ჩრდილში, ჩუმად და მშვიდად... თქვენ კი ილულუნეთ, ხმას არ ამოვიღებ, ილულუნეთ და ილულუნეთ! რას იბუტები, თუ იცი? შენ გეუბნები, ლადო! თუ ეგ სამუშაო არ გეხალისება, სხვა საქმეს მოჰკიდე ხელი. საქმის მეტი რა არის! კასიანე მთელი თავისი სიცოცხლე საცეცხლურს იქნევდა და ემბაზში ხაშხარსავე და...

ჩემს სტუმრებს შორის კასიანე ყველაზე ენაწყლიანი მოლაპარაკე იყო, მაგრამ სახელოსნოში მისი ყოფნა არა მწყინდა, მიხაროდა და მამშვიდებდა კიდეც.

კასიანე მიუჯდა პატარა ტაბლას და თუმცა აღმოთქვა ჩუმად ვიქნებოო, პირველი ჰიქის დაღვეისთანავე მოჰყვა თავის გაუთავებელ არაკებს.

მუშაობას შევუდექი. ოცდაათი წუთიც არ გასულა, რომ სამუშაო იარალი მოვიმარჯვე. სიამოვნებით ვსუნთქავდი გრილი, ნედლი თიხის სუნს და ყურს ვუგდებდი კასიანეს ხმას, როგორც უსმენენ ზოლმე ტყის გუგუნს ქარიან ამინდში; უცებ შეწყდა მისი ხმის გუგუნი და ძალაუნებურად უკან მოვიხედე. კასიანეს წვერი მალა აეშვირა, ჰერს უყურებდა და მოკუმშული მუშტით ვილაყას ემუქრებოდა. მეც ავიხედე მალა და ჩარჩოს კიდეზე, თითქმის ჩემს ზემოთ, ჩიკოს მომცინარე სიფათი დავინახე. ჩვენს გასაჯავრებლად ენა გამოეყო და ცხვირბირით მინას მიწებებოდა.

— ჩამოდი ძირს! — შევეუყვირე და

ხელი დავუქნიე, — ჩამოდი და ახლავე ჩემთან მობრძანდი.

როცა ჩიკო ქვევით ჩამოსრიალდა და უმაღლვე გაუჩინარდა, მე ნუცასკენ შემოვტრიალდი და ვუთხარი: — გმადლობთ, ნინუცა. დღეს საკმაოდ ვიმუშავეთ, ხვალამდე შევისვენოთ.

ასე თუ ისე, ავად თუ კარგად, საქმე დაიძრა ადგილიდან.

• • •

მასალის დაძლევა არავის ისე ჯახითა და წვალებით არ უხდებდა, როგორც მოქანდაკეს. ელეფთერმა ათ ფუთზე მეტი თიხა მოზიდა. ეს თიხა მე ქალიშვილად უნდა მექცია. ეს ახალი ამბავი არ არის, თვით ადამ და ევადანვეა ცნობილი. პირველად ასეთი რამ თვით უფალმა ღმერთმა სცადა, მაგრამ ღმერთის ქმნილებებს მეტად საშწუხარო ნაკლი აღმოაჩნდათ — დღემოკლები გამოდგნენ, ყველანი სიკვდილის ბრწყალებში მოექცნენ, მათ შორის ფარაონ ექნატონის სატროფოც — უმშვენიერესი ნეფერტიტი. ვერცერთმა ეგვიპტურმა ღვთაებამ ვერ იხსნა ნეფერტიტი სიკვდილისაგან. ეს მხოლოდ მოქანდაკემ შეძლო. მისი სახე, უნაზესი, წინ წამოწეული დაწვები, სიყვარულის აღდაკრული ასულის დაბნეული, მომხიბლავი, ქალური ღიმილი მან გადასცა უკვდავებას და დღესაც ისეთივე მშვენიერია, როგორც სამნახევარი ათასეულის წლის წინათ.

— სალამი და გამარჯვება! მომესალმა ნუცა დილაადრიანად.

მას ისეთი ღიმილი ჰქონდა, თითქოს რაღაც სასაცილო გამოცანა ჩაეთქვა და უცდიდა, გამოვიცნობდი თუ ვერა.

— როგორ არის საქმე, ნინუცა? რა არის ახალი? შენ ჩემთვის ვაზუთიცა ხარ და რადიოც.

— გუშინ, ის იყო თქვენგან რომ დაებრუნდი, ვახტანგმა ცოლი მანქანაში ჩასვა და ზესტაფონისკენ გააქანა!

— კოო, სამშობიარო სახლში წაიყვანა?

— არა, ჯერ არ არის მაგის დრო. ისევე პატარაძალმა მშობლების ნახვა მოისურვა.

— თორნივე არ ჩამოსულა?

— ნულარ მკითხავთ, მის ლოდინში გული გადაგველია. დედა და მამა ძალიან შეწუხებული არიან. შიშობენ, გზაში ზომ არაფერი დაემართათ.

ოჯახის ახალი ამბებიდან ნუცა სოფლის ამბებზე გადავიდა.

— ლადო, ამ დილაადრიანად წივილ-კივილი არ გაგიგონია?

— ნუცა, ნუ მაშინებ, გენაცვალე, რა წივილ-კივილი? რა მოხდა?

— ავარია. ელეფთერს ფერმის ახლოს ურემი გადაუბრუნდა. ტყემალი მიჰქონდა დასამზადებელ პუნქტში. იქვე ახლოს ღორები ჩიჩქნიდნენ მიწას.

— ვაი ჩვენს ელეფთერს!

ახალ ამბებს რომ მოვრჩებოდით, მუშაობას ვიწყებდით.

— აბა, შევუდგეთ, ნუციკო!

ნუცა ტახტიდან დგებოდა, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა და ქვეითად ახტებოდა არც თუ ისე დაბალ ფიცარნაგზე. მის ზნესა და ქცევაში იყო რაღაც ბიჭური, თითქოს ელენე ფაღავას — ხუთი ვაყის დედას, ქალიშვილისათვისაც გამოეყოლებინოს თავზეხელაღებული წინაპრების ნირი.

ჩვენი სახელოსნოს კუთხეები და კედლები სენანების დროს ჩაბნელებული რჩებოდა, მხოლოდ შუაში შემინული სახურავიდან იღვრებოდა მზის სინათლე. იღვრებოდა კი არა, უძრავად იდგა გამჟვირვალე სვეტად. მზის სინათლეზე ვერცხლისფერი მტკერი და მწერები ირეოდნენ, რადგან სახელოსნოდ გარდაქმნილ ბოსელს მაინც არ გამოეღია ბოსლის სუნი. მზის სინათლე ტახტის კუთხესაც ხვდებოდა, კრელნოსსაც, სამფეხა ტაბურეტსაც, დაზგასაც, თიხის ფიგურასაც, მაგრამ ყველაზე მეტად ნუცას ამკობდა. ნუცა კოხტად იდგა კასიანეს გაკეთებულ მაღალ ფიცარნაგზე, და მთელი სხეულით მზის სინათლეში ბანაობდა, მხრები და მკლა-

ვები ოქროსფრად უბზინავდა, დაწვები ვარდისფრად უღვიოდა.

თქმა არ უნდა, რომ მენატურის არჩევაში ბედმა გამოიღმა. სხვა ვინმე ჩემს ადგილზე სულისმოუთქმელად შეიყვარებდა და საქმეც ამით გათავდებოდა. მაგრამ ასეთი როდი გახლდათ ლადო ინაშვილი! ო, არა. ჯერ ერთი, როცა სიყვარულზე სიტყვას გადამიკრავენ, მწარე ღიმილი გადამიბრუნებს ხოლმე ტუჩებზე, მეორეც, ნუცას ბავშვობიდანვე ვიცნობდი.

მუშაობისას ხშირად წარსულის ამბებს ვიხსენებდი.

მაინც რას ვიხსენებდი?

მაგალითად, აი რას: კრიკინობლისაგან გაყრუებული შუადღეა. აექსენტის ცოლი, მარგალიტა, ბესო ნიორაძის სახლისკენ მიათრევს თავის ნაცემ შვილს და მთელი სოფლის გასაგონად იფოფრება: — ხელი გაუხმეს, შავმა კირმა წაიღოს ეგ სასიკვდილე! გაანებებერეს, გაასულელეს. განა მაგ ახტაჯანას გოგო ეთქმის? ძმები ყველა ხულიგნები ჰყავს, თვითონაც ხულიგანია. რაეა გამოილახა აი კრავივით ბიჭი მაგ სამიწემ! რატომ თვალეები არ დასთხარე, შვილო!

მესერში თავი გამოუყვია თმაბურძგვილ ჩიკოს და მარგალიტას გასძახის: — ასე მოუხდება მაგ თავკომბალას! დამაცა, მეც წაუთავაზებე მაგ გლახას! „რაიო? რა სთქვი? — ყვირის აღშფოთებისაგან გარეტიანებული მარგალიტა, — მეზობლებო, ეს რა ამბავია, ბავშვები არიან, თუ თათრების შემოსევაა?“ მესერს იქით, ნიორაძეების ეზოში ვილაც წყალს ისხურებს ხელისგულზე. ფეხის ცერებზე შემდგარი ვიყურები მესერს გადაღმა და ვხედავ, მაყვალევით შავტუხა გოგონა რა მხიარული, შიშნარევი, მბრწყინავი თვალეებით შესცქერის ჩიკოს და ხტუნავს მის ახლოს. ეს ნუცაა!

აი კიდევ რა მაგონდება: ბაბუა ეზოში ზის, ცხელა. — ნუციკო, ერთი ჭიქა ცივი წყალი მომიბრენინე, შენ გაზრდას... ჩიტმა შენზე მითხრა, ლამაზი, მზეთუნახავი ქალი გაიზრდებაო.

ნუცამ მაშინვე გადაღო სამუშაო, მინისკენ წაუტუნებდა, ისე, რთმ მღერა არ შეუწყვეტია. მღეროდნენ, მღეროდნენ სიტყვებს სცვლიდა: მომიტანე ცივი წყალი, წყაროს წყალი, ნუციკო, გაიზრდები კაი ქალი, მზეთუნახავიო. შინ რომ შევიდა, იქიდანაც მოისმოდა მისი წკრიალა ხმა, მაგრამ ძნელი იყო სიტყვების გარჩევა. მალე გამოჩნდა ლამაჯზე დადგმული წყლიანი ჭიქით. სანამ ბაბუა წყალს სევამდა, ნუცა გაბრწყინებულ თვალეებს არ აშორებდა მის ტუჩებს და მოძრავ ყელის ძარღვეებს წყლის სმის დროს; მოხუცის გამომეტყველება ზუსტად ირეკლებოდა ნუცას ბავშვურ სახეზე.

მე ბევრი რამ გავიხსენე. მოგონებები იმ დღიდან იწყებოდა, რაც მოჩუქურთმებულ აკვანში ჩაკრული, მაგრად შეხვეული ვარდისფერი პირისახე დავინახე. იგი რიტმულად ირწეოდა მოჩუქურთმებულ აკვანში, ფშვინავდა და პაწია ცხვირს იკმუნხნდა.

ეს მოგონებები როგორღაც საამოდ აძგერებდნენ გულს და ისეთი გრძნობა მეძალებოდა, თითქოს ნუცას მეხუთე ძმა ვიყავი. აქ, ჩემს სოფელში, მამა-პაპისეული სახლის ახლოს, ნუცასთან კვლავ ახლოს ყოფნისას, დამებადა მოთხოვნილება გაეწმენდილიყავი ყველაფერი ცუდისაგან, რაც გროვდებოდა და შრეებად ილექებოდა ჩემს სულში უკანასკნელი წლების მანძილზე.

ის, ახლანდელი ნუცა, რომელიც ყოველდღე ხუთ-ხუთ საათს იღვა ჩემს წინ სახელსნოში, ნაკლებად ჰგავდა ჩემი მოგონებების ანც, დაუდგარ ყაჩაღანა სოფლის გოგოს. ახლა იგი მეთვრამეტე წელში იყო გადამდგარი... პირველ ხანებში ნუცას მფარველისა და შემწყნარებლის კილოზე ველაპარაკებოდი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სოფლის ავან-ჩავანს ვეკითხებოდი. და მასაც ეს ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან გულის სიღრმეში იგი რიღსა და კრძალვას გრძნობდა ჩემს წინაშე; თავისუფლად რომ ეგრძნო თავი, სეირნობის დროს ნუცას სასაცილო ამბებს ვუყვებოდი

ჩვენს ბავშვურ ოინებზე. თითქმის უხალისოდ ვუყვებოდი, კარგი მთხრობელი არ ვიყავი. ჩემი ნაამბობი აინტერესებდა და მოსწონდა ნუცას. მას ჩემი რიდი მხოლოდ სახელოსნოში ჰქონდა, სხვაგან კი, პირველი დღეებიდანვე, თავის თავს ადგილისა და გარემოების ბატონ-პატრონად გრძნობდა.

სანამ მუშაობამ მთლიანად არ ჩამითრია, ჩვენ ხშირად გავდიოდით სახელოსნოდან და სოფლის შარავზეებზე ვხეტიალობდით.

გაცხარებული აგვისტო იდგა. იგი სოფელს უხვ მოსავალს ჰპირდებოდა. სამემოდგომო ალოობის მოახლოებასთან ერთად სოფელში ხალხმა იმატა, კოლმეურნეებმა ყანებსა და ვენახებში საქმე მოითავეს, ახლა კი დინჯად და აუჩქარებლად ამზადდებდნენ ნალიებს, რეცხავდნენ ქვევრებს. ზერებში მზე თანდათან უფრო აქერდა.

სეირნობისას ნუცა ახლაც მაყვალს კრეფდა, მე კი მსხალს უფრო ვეტანებოდი. სხვის ბაღებსა და ეზოებში მოკრეფილ ნაყოფს ერთმანეთს დამძურად ვუნაწილებდით. ნუცა ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა. იფნის ჩრდილში, გზისპირად ლოლზე ჩამომჯდარი არხეინად აწკლავუნებდა პირს და ილოკავდა ქარდაკრულ ტუჩებს, თან მხიარულად შემომხურობდა.

— რად გეცინება!

— სხვა თქვენს ადგილზე ათჯერ მაინც გაებმებოდა მახეში. თქვენ კი ბედო გწყალობთ.

— ასე იღბლიანი დავბადებულვარ.

— არა, სტუმარი ხარ და არ უნდათ დაგიკვირონ. სტუმარს ჯოხით ხომ ვერ გამოეკიდებიან!

— ვინ არის სტუმარი, ნუცა? მე ვარ სტუმარი?

— ვითომც და არა?

— ოჰ, შე ენატიტინავ!

ჩვენი სოფლის ბოლოში მოხუცი ექიმბაში-ქალი ცხოვრობდა. მინადორა ერქვა. (სწორედ ის მინადორა, ოცდათორმეტი წლის წინათ, ნუცას ბებიაშ კესარიამ უშვილობაში ეპკემიტანილი

თავისი რძალი, ახალგაზრდა ლამაზი ელენე რომ მიუყვანა). რაც დრო გავლიდა, მინადორას მდგომარეობა უკარგესად დებოდა. მთელი სიმდიდრიდან ზეხილის ბაღილა შერჩა. სიბერემ მოხუცს ხასიათი წაუხდინა და იგი, ხუმრობით კი არა, სერიოზულად იტყოდა ხოლმე, რათ მინდა ძაღლი, მე ძაღლზე უკეთესად ვუყარაულებ ჩემს ჭონებსაო. სოფლის ბიჭებს არ უყვარდათ მინადორა და ყოველთვის ამაყობდნენ, მის ბაღში ხილს რომ იპარავდნენ. მსხალს უქებდნენ და მეც მინადორას ბაღს მივაშურე. ნუცა გზის პირად დაეტოვებდა და თვითონ ხეზე აეცოდი, მაღლიდან ყველაფერი უკეთ ჩანდა. ვხედავ, გზაზე, ბაღის ახლოს მინადორა მოაბიჯებს. მოდის და ხელს იქნევს, სალამს აძლევს ნუცას და გზას განაგრძობს. გადავრჩი-მეთქი, ვფიქრობ გუნებაში, მაგრამ უცებ მომესმის:

— მინადორა ბებია, მინადორა ბებია, შენს ბაღში საათი ხომ არ გიპოვნია?

— რა საათი?

— მრგვალი მაჯის საათი, შევთასმინა.

ვერც კი მოვასწარი მომესაზრებინა, თუ რას ნიშნავდა ეს, რომ მინადორა ბაღში შემოვიდა. ნუცაც შემოჰყვა.

— აქ თუ დაგივარდა, სად წავა? აქ უჩემოდ ჩიტიც ვერ შემოფრინდება!

მე ხეზე ვიყავი, დაბლა კი ორივემ დაიწყო ვითომ დაკარგული საათის ძებნა, აქეთ-იქით სწევდნენ მაღალ ბალახებს.

— ოქროს საათია, თუ უბრალო?

— ოქროსია, ოქროსი.

— მოგკლავს მამაშენი, თუ ვერ იპოვნე!

— მირჩევნია სულ გადავიკარგო, აღარ მივიდე სახლში.

— შენ ეს მითხარი, რამ მოგიყვანა ჩემს ბაღში?

— ამ დილით ჩვენი შვინდა მოზვერი შემოვარდა აქ. არ ვიცო, შეიძლება აქ არც კი დამეარდნია, თუმცა, კარგად

მასსოვს, სანამ აქ მოვიდოდი, საათი მაჯაზე მქონდა.

მე პირდაღებული ვუსმენდი. კინალამ დავიჯერე, რომ ნუცამ მართლა დაკარგა საათი, მაგრამ აგერ ის ეშმაკის ფეხი უკან ჩამორჩა დედაბერს, მაღლა ამოიხედა და სიცილი წასკდა.

დაახლოებით თხუთმეტი წუთი მამყოფეს ტოტებს შორის გაჩხირული. ბოლოს ნუცამ თქვა:

— გვეყოფა ძებნა, მინადორა ბებია, ეტყობა აქ არ დამკარგია.

— არა, არა. ძებნე, გოგო, მერე გვიან იქნება. ხვალ აშოტა ბალახის გათიბვას აპირებს და საათს ველარ ვიპოვით. უბრალო საათი ხომ არ არის, ოქროსია.

— რა ეძებნო, თუ აქ არ დამიკარგავს?

— მოძებნე, შვილო, ბებია შემოგვევლოს!

— ბებია, — უთხრა მოულოდნელად ნუცამ, — თქვენი მსხალი უკვე შემოვიდა?

როგორც კი ნუცამ მსხალი ახსენა, დედაბერმა თითქოს დაკარგა სმენაო, ბალახებში ჩარგო თავი.

— მერე რა კარგი მოსაეალია წლებულს! ტოტები ძლივს იკავებენ ნაყოფს.

მოხუცი კრინტს არ ძრავს.

— გემრიელი მსხალი კია თქვენი მსხალი, ჩვენ მსხალზე უკეთესია.

და ამ სიტყვებზე ნუცამ ისევ ამომხედა. საშინლად მინდა გადავიხარხარო, თან ბრაზიც მახრჩობს. ნუცას თითოთ დავემუქრე, და ეტყობა ამ დროს რტოც შევარხიე. მოგეხსენებათ, მსხლის ხე სათუთია, ნაყოფი მგრძნობიარეა. ორმა მსხალმა ორი წვეთივით მოადინა ტყაპანი მიწაზე. მინადორამ ჯერ ყურები ცქეიტა, ბალახიდან თავი ამოსწია, მერე ნელ-ნელა გაიმართა. წარმოგიდგინათ ჩემი მდგომარეობა? შტოებში გაჩხირულს მწარედ შეცივება, ხიდან დაბნეული ვიყურები, თავს ვუკრავ, გამარჯობათ-მეთქი — ვეუბნები. ნუცა სიცილით იგუდება, მინადორა კი ხე-

ლით თვალმოჩრდილული ქვევიდან მათვალაიერებს.

— ეს რაღა ჩიტი მოფრენილა? ზუღდე ძალიან დაბლა გაგიკეთებია, შევარდენო! აბა, ჩამოცოცდი, ოლონდ ხე არ შეარხიო და არც იჩქარო, კინკრის დაგლეჯა დამაცადე!

რა ვქნა, მოვხობავ დაბლა. მოვეყრცხლო? ეს ჩემს ასაკში ძალზე უხერხულია, პირდაპირ მივიღივარ მოხუცი ქალისკენ, ორივე ხელს მისკენ ვიშვერ და კლემბტომანის ავადმყოფური ღიმილით ვიღიმები.

— გამარჯობათ, მინადორა ბებია, როგორ გიკითხოთ, ჯანზე როგორ ბრძანდებით. მე აქ, თქვენს ბაღის ახლო მივდიოდი და...

მინადორა კი დანაოკებული სახით მიყურებს, ციყვის თვალებით მაკვირდება.

— ჩემს სიცოცხლეში ასეთი ზრდილობიანი ყაჩაღი არ მინახავს, — და უცებ ნუცასკენ შებრუნებული, დაბნეულად ამბობს: — ღმერთო ჩემო, ეს ხომ ჩვენი ლევანის ყმაწვილია!

— ჰო, ის არის, ბებია! — კვერს უკრავს ნუცა, — ინაშილია, ლადო.

მოხუცს სახეზე ნაოკები გაუორკეცდა, ხმა მთლად დათაფლული გაუხდა.

— ოი, მპაპტიე, თვალებდავსებულს, შვილო, ვერ გიცანი. სიმართლე გითხრა, არც მოგელოდი, თუ ხეზე ასულს დაგინახავდი, ეს რა მომივიდა, კინკრით დასუსხვას გემუქრებოდი.

— არაფერია, მინადორა ბებია, შეიძლება ყველაფერი მოხდეს ცხოვრებაში.

— ო, არა, შვილო, მასე ნუ მელაპარაკები. ჩვენი სოფლის ბიჭებს დღე და ღამ იმიტომ ვეჩხუბები, რომ არამზადები არიან. მომიკედეს თავი, ვერ გავარჩიე, ვინ იყო ხეზე. განა თქვენთვის მსხალი დამენანება? თქვენ ნუცასთან ერთად სეირნობთ ხოლმე, შორიდან შემოგხარით, გესიყვარულებით, აი ახლახანს ჩემს მეზობელს დომნას ვეუბნებოდი — ერთი შეხედე, რა ლამაზე-

ბი არიან, რა ახალგაზრდები, რა ერთ-მანეთის შესაფერისნი-მეთქი, დაამშვენეს ჩვენი სოფელი და ჩვენი ცხოვრება-მეთქი, მაგონდება, რა გაკვირვება იყო, საწყალი დომნა ჩვენს ანდროზე რომ გამოთხოვდა. თქვენ მაშინ პატარები იყავით და არ გახსოვთ. არაფერი არ ებადათ საწყლებს, მთელი მათი ავლა-დიდება კურდღელს აეკიდებოდა. თვითონ დომნა შეუხედავია, უთვალადო გოგო იყო. ახალგაზრდებს სილამაზე ყველაფერს ურჩევნიათ. ალბათ ამიტომ მითხრა დომნამ თქვენზე, რაც ღმერთმა ჩვენ დაგვაკლო, ყველაფერი მაგათ მისცაო.

ამ სიტყვებით მინადორა ბებია მსხალი აკრიფა და გამომიწოდა:

— ჰა, შეილო, ლადო, მიირთვი!

მერე უჩაითი მზერით ჭიბები გამიჩხრიკა და დასძინა:

— ვხედავ, უკვე მოგისწრია, ბლომად მოგიკრეფია. არაფერია, მინადორა ხარბი როდია. მართალია, ძუნწს შეძახიან, მაგრამ არ დაიჭერო, მსხალი მოგესურვებთ? მოზრძანდით, თქვენთვის არაფერი დამენანება.

ჩვენ, მისი სიტყვებით შეცბუნებულვებმა, მადლობა გადავუხადეთ და, ის იყო, ბალიდან უნდა გამოვსულიყავით, რომ მოხუცმა ქალმა უცებ წამოიძახა:

— ნუცა, საათი?

— მინადორა ბებია, არავითარი საათი არ დამიკარგავს!

— ჰო! — დედაბერი ოდნავ დაფიქრდა, გაიცინა, — შეხედე, ბალში შემომიტყუა... რას ვიფიქრებდი! შენ არ იცი, ლადო, რა ცუდლუბი მელაკუდაა ეს გოგო. მაგაზე თვალი სულ ფხიზლად უნდა გეპიროს, ოთხი თვალი უნდა გამოიბა!

ნუცამ ამით დაამტკიცა, რომ ჩვენს დავაში ორივენი მართალნი ვიყავით. ჩანდა, რომ მე ისე მეკიდებოდნენ, როგორც სტუმარს. სხვის ბაღებში რომ ვიპარებოდი, ეს ჩემში ბავშვური ჩვეულების გაღვიძების, აზარტული გატაცების ბრალი იყო, თორემ შეპარვა რად

მინდოდა, ჩემთვის ვის რა ენანებოდა. სადაც თვითონ მინადორა გეზობდა, არაფერს იშურებდა და საკუთარს სხვალით მოკრეფილი მსხლით გავვიმასპინძლდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გულუხვად გვიმასპინძლებოდნენ სხვა მეზობლები. იმ ზაფხულს ეს რაღაც მხიარულ გართობა-თამაშობად, ერთგვარ შეჯიბრებად გადაიქცა:

„ლადო, ნუცა, შემოგვიარეთ, ბალი ჯერ კიდევ არ გამოლულა“, „მერე ჩვენთან მოზრძანდით ქლიავზე“, „ნუცა, ჩვენთან შემოუქმეხი მხატვარს, ატმები დაგვიმწიფდა“, „აბა, დაიკირე ეს ნესვი, ლადო, უფ! მარტო სუნით დათვრები“.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შარავზე მსხალით, სულ ქალებსა და მინდვრებში დაეხეტებოდით.

• • •

ასე ვერთობოდით პირველ დღეებში. მაგრამ გართობამ დიდხანს არ გასტანა. მუშაობა ვერ დავასრულეთ და ჩვენ სულ უფრო იშვიათად ვტოვებდით სახელოსნოს. ნუცა უფრო და უფრო ნაკლებად იქცევდა ჩემს ყურადღებას და მის ადგილს მისი სკულპტურული გამოსახულება იჭერდა.

სეანსების შემდეგ ნუცა შინ ბრუნდებოდა. მე არ ვაჩერებდი, არაფერი მქონდა მასთან სათქმელი და გასაზიარებელი. და ეს ყოველივე იმის გამო, რომ ელეფთერისაგან მოტანილი თიხა თიხადვე რჩებოდა, ჩემს ხელებს არ ძალუძდათ მისი გაცოცხლება. ახლა მე არც ნუცას ბავშვობას ვიხსენებდი, აღარც მის ოინებს. თვით მისი შავგვრემანი სილამაზეც დროებით მოკვდა ჩემთვის, ალბათ იმიტომ, რომ ქანდაკებაში აღმდგარიყო.

სალამობით ბებიასთან ერთად თხის რძეს ვსვამდი.

— არაფერია, თებრონე, იმედს ნუ დაპკარგავ, ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული.

— შეილო, ლადო, ჩემო ბიჭო! გული მიკედება, შენ რომ გიყურებ. გახდი,

ლოყები ჩაგიცივებდა, რაც აქ ჩამოხვე-
დი. ბესარიონის გოგოც გატანჯე, და-
ნაღვლიანე ის ყაჩაღანა. სულ გაფითრ-
და შეგვგრემანი გოგო! მრცხვენია, დე-
დამისისთვის თვალებში ვერ შემიხე-
დავს.

— ხომ გაგიგონია, ბებიაჩემო, ჯერ
მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ
გემოვნებასო.

— ჰო, ასეა, შვილო, კიდევ კარგი,
თუ ფული რიგიანად მინც გადაგიხა-
და. რამდენზე შეუთანხმდი სიმონს?

— ფული, ბებიაჩემო, ჩვენი მდინა-
რესავით არის: თუ წვიმაა, ადიდდება,
თუ გვალვა — დაიწროება, სამაგი-
ეროდ, უფრო წმინდა და ანკარა ხდება.

— ქუყას ძალას ნუ ატან, ლადო.
ფული მინც მთავარია.

— მთავარი ის არის, ბებია, კაცი სუ-
ლით არ დაეცეს!

„სულით არ დაეცე“, — სულ ვიმე-
ორებდი გულში, მაგრამ სულის სიმ-
ტოცე, გამხნევება მინც ვერ შევქელი.

სიანსებზე ბევრს ვლაპარაკობდი, ახ-
ლა კი ერთბაშად ენაბრგვილობა დამ-
ჩემდა.

ერთი დღე...

მეორე...

მესამე...

ერთბაშად უფრო და უფრო იძაბე-
ბოდა, მე რაღაცას ვბურტყუნებდი,
ვლულულულებდი, ვბურდლუნებდი, ჰო-
ტივით ვკიოდი. სიტყვებს და სიტყვებს
შორის ვჩერდებოდი. ერთხელ, ასეთი
პაუზის დროს სამუშაო ჯოხი თიხაში
ჩავარქე. დაკმუქენილი პაპიროსი გა-
დავავადე და სახელსნოდან გავედი.

მდელი ბოსლის წინ მზისგან გადამ-
წვარიყო. ღობის ძირში თხა იწვა.
სიცხე მასაც სულს უხუთავდა.

ჩემს კვალზე სახელსნოდან ნუცა
გამოვიდა.

— ლადო! — ხელით ბეჭებზე შემე-
ხო.

— რა იყო?

— ვისზე ხარ ასე გაბრაზებული?

მე ხელი ჩავიქნიე.

— პაპიროსი მომიტანე, ავერ ტახ-
ტზე დევს.

ნუცამ პაპიროსი მომიტანა, მოსრინა,
მუნღშტუკით კბილებში ჩამიღო და ასა-
ნთის ანთებული ღერო მომაწოდა. გარ-
ეთ თურმე რა საშინელი სიცხე ყო-
ფილა. გამაზმორა, მსუბუქი შეციება
ვიგრძენი მოჭარბებული სიცხისაგან და
სიამოვნებით შევეისუნთქე თამბაქოს
კვამლი.

— უკვე მეორე კვირაა, ასეთი გვალ-
ვებია.

— მაპატიე, რომ ასე გაგანია სიცხე-
ში საპატიმროში მყაფხარ ჩამწყვდეული
და გაწამებული.

— არაფერია.

— ჰო, თითქოს არაფერია, მაგრამ
ზაფხული უკვე ილევა. და შეიძლება,
მოგბეზრდა ამ ბოსელში ყოფნა!

ნუცამ თავი გაიქნია:

— არა, არ მომბეზრებია.

— მაშა? მაშა რას ამბობს?

— რას უნდა ამბობდეს? მან ხომ
დამართო ნება!

— მერე რა, რომ ნება დაგართო. ად-
გება და გადაიფიქრებს!

ღობესთან მივედი, თხა ავეშვი, თო-
კის ბოლო ზურგზე მოვარტყი და ბო-
სელში შევაგდე.

ძალზე მოჭარბებული სინათლეა. ნუ-
ცა მდელიზე გავიდა და შუაგულში
დადგა. მე შევამჩნიე, რომ მზის შუქი
ატანდა მის ტანსაცმელს, გახუნებული
ჩითის კბიდან მუქად მოუჩანდა ლა-
მაზი სხეული.

სახელსნოში შევედი, მოწყვეტით
დავეარდი ტახტზე. ლამის ფერდები არ
ამოვაციოლე, ისე ღრმად ამოვიხორე.

— ნუ ბრაზობ, ლადო. ნეტა ვისზე
ბრაზობ! — ნუცა თავზე დამადგა. მხო-
ლოდ ახლა შევამჩნიე, ნუცა „შენ“-
ობით რომ მელაპარაკებოდა.

— არავისზე არ ვბრაზობ...

— კასიანე ბაბუა მინც მოსულიყო...

— ის ახლა იშვიათად მოდის ჩემთან.

ნუცამ მზერა დაზგაზე და თიხის ფი-

გურაზე გადაიტანა და ამოიხსრა. ამით თანაგრძნობა გამოხატა.

— როგორც ჩანს, ადელი არ ყოფილა ქანდაკების გაკეთება.

მე, უნებურად, უკმაყოფილო სახით შევხედე. ნუცა ისე ახლო იდგა, რომ, თუ ხელს გავიშვებდი, შემექლო შევხებოდი მაყვლისაგან დაკაწრულ მის მუხლებს.

— ერთი მითხარი, თბილისში მართლა არის ქალის ქანდაკება და ხელში თასი უქირავს? მართალია, რომ ამბობენ, იმ თასში ხუთი ფუთი ღვინო ეტევია?

ეშმაკმა დალაზეროს ბესო ნიორაძე და მისი ამქრები... მათს გარდა ვის მოუვიდოდა თავში ეს ახირებული აზრი?!

— ჰო, მართალია, თბილისში მართლა არის ასეთი ქანდაკება, თასში მართლა ეტევა ხუთი ფუთი ღვინო. ყოველ საათში ეს ქალი მგრგვინავი ხმით ამბობს სადღეგრძელოს და ერთიმეორეზე სცლის ვეებერთელა თასს. დიახ, ასეა. არის თბილისში ასეთი ქანდაკება, ოღონდ ეს მინდა გავიგო, რატომ დღევანდეს ასე ბესარიონი, ის ქალი მის ღვინოს ხომ არა სვამს?

მე ტახტზე ჩამოვჯექი და გავიციენე. გაოცებული ნუცა მომცინარი თვალებით შემომყურებდა.

— ასეა, ჩემო კარგო, შესვენება დამთავრებულია. ახლა მიდი და დაიკავე შენი ადგილი.

ჩვენ სამი საათი კიდევ ვიმუშავეთ. ბოლოს შემებრალა ნუცა და სენასი შევწყვიტე.

თვითონ მე დაღლილობას არ ვგრძნობდი. მხოლოდ ერთი შეგრძნება მქონდა: თითქოს ელექტრობატარია ვიყავი უნათუროდ. დენი ბევრი იყო, მაგრამ ჩემთვის სახეირო არა იყარა რა!

ნუცამ სახელოსნო დაასუფთავა და ახლა ქანდაკებაზე სველ ტილოს ასწორებდა. რაკი თიხის ფიგურას ბეჭებამდე ვერ ასწვდა, კიბზევ ასვლა დააპირა.

— აბა, სად მიძვრები? — თითქმის

გულისწყრომით შევაჩერე, — ჩაპრდი, მე თვითონ გავასწორებ... *ერთი ნუცა* და როცა ქალიშვილი სოფლანაურ გულ მოხტა, ვკითხე:

- დღეს არ გეჩქარება?
- უკვე მივდივარ.
- მოიცა, მოდი ერთად დავლიოთ.
- ეს რა ახალი ამბავია? მნახე რა, დამღვეი!

— იქნებ არ მოგწონს, რომ ასეთ პანაქებაში ღვინოს ეტანები?

— სწორედ რომ არ მომწონს.

მე დოქი მოვიყუდე და როცა ტუჩები მოვაშორე, მწარედ დავიღრიჯე.

- ძალიან მაკვირვებს...
- ვინ? ვინ ან რა გაკვირვებს?
- მამაშენი, შენც...

გავჩუმდი და ჩაფიქრების შემდეგ დავუმატე:

- რატომ?
- ნუცამ თვალები შემომანათა და იდაყვით მუხლზე კულული მოიცილა.
- ისე.

ქალი გაჩუმდა. თვალს არ მავსწორებდა. ბოლოს კარისკენ ნაბიჯი გადადგა და წყნარად თქვა:

- მივდივარ, ლაღო!
- მოიცა, მოიცა, ნუ მიდიხარ, ასეთ წუთებში კაცის მიტოვება რა საკადრისია. ეს არ არის კეთილშობილური საქციელი. არ წახვიდე! აი რა აზრი მომივიდა. მოდი, წინანდებურად სახეტიალოდ გავსწიოთ. ჰა, რას იტყვი? მე მსხლებს დაგიკრფავ, შენ კიდევ შენებურად მაყვალს შეაგროვებ და ეიქნებით კარგები, ჭკვიანები და ერთმანეთის გამგონი. მივდივართ, არა?

შარაგზაზე გავედით.

მე ნუცას გვერდით მივაბიჯებდი და, როცა ერთმანეთთან გადაბმულ ჩვენს ლანდებს დავცქეროდი, ნუცას გულში ჩამწვდომი ხმით ვეუბნებოდი:

- ნუცა, საუცხოო გოგო ხარ, ბედის წყალობაა, შენ რომ შეგხვდი — ასეთ ძვირფას მენატურეს. მე კი ვერ გამოვდექი...

რა გავწყობა... ქანდაკება — თიხაა.

ყველაფერს აიტანს. სინდისი არა აქვს, უნამუსოა, არ იტანჯება, არაფრის დარდი არა აქვს, მისთვის სულ ერთია ყველაფერი. აი, რა მინდა გითხრა: შეგიძლია მეხუთე ძმად ჩამთვალო. ლადო ინაშვილი შენი ძმია, ნუცა, ეს კარგად დაიხსოვმე!

ნუცა იშვიათად თუ შემომხედავდა. ის ბალახის ღეროს ღეჭავდა, მე კი სულ ვლაპარაკობდი, შეუჩერებლივ ვლაპარაკობდი. ვწვავლობდი, გული მოუსვენრად მიძვრდა.

სეირნობის დასასრულს ფეხბურთის მოედანზე გავედით, საძოვრების ახლოს. ბიჭები ბურთს აქეთ-იქით ისროდნენ. მე მათთან საოცარი მატჩი გავითამაშე — ერთი გამოვედი ყველას წინააღმდეგ.

უკან დავბრუნდით. ჩემად მივდიოდით. ნუცამ არ მომცა დალაპარაკების საბაბი.

მე მიმოვიხედე. დაბინდებულ იყო, სინათლე გამკრთალებულიყო, ამას იმდენად შეეცვალა ნუცას სახე და გარეგნობა, რომ ვერ ვიცანი. ჩემს წინ უცნობი ახალგაზრდა ქალი იდგა. თმის შავ ღრუბელს გამოეყო მისი სახე სიბნელისაგან. ღამესავით შავი თვალები ჭიქურ იმზირებოდნენ და თითქოს რაღაცას მოელოდნენ. პირი ნახევრად გაღებული ჰქონდა და ტუჩსა და ტუჩს შუა კბილები უქათათებდა. ამ ქალს ნუცასთან საერთო არა ჰქონდა-რა.

ჭარბა თუთის ხე ააშრიალა, თითქოს მთელ მის სხეულს ყრყოლამ დაუარა... აჩურჩულდნენ ბუჩქები, აკაციის, ტყემლის ხეები. აშარიშურდნენ ფუტკრებისაგან მიტოვებული ცაცხვები. ჩქამი გამოსცა ვენახმა, ბაღმა და შორეულმა ტყემ. მოახლოებულმა ღამემ იღუმალებით ამოისუნთქა. საწყაროს ნელნელა ეუფლებოდა ღამის სიბნელე.

მე ძირს დავიხარე.

— რა მოხდა? — ნუცას ხმით შემეკითხა ახალგაზრდა შავთვალა ქალი.

— ხვალამდე კარგად მენახე, ნუცა!

— კარგად ბრძანდებოდეთ, — მიპასუხა ნუცას ხმად.

ქალი ნელა დაეშვა ქვევით მომავალ გზაზე. მეც მზისუშირასავით მისკენ შევტრიალდი, დავძლიე რაღაც წინააღმდეგობა და ხმამაღლა დავეძახე:

— ხვალაც ცხრაზე გამოცხადდი, არ დაიგვიანო!

შინ რომ შევედი, ჩემს ოთახში გავედდი და საწოლზე დავვარდი. საათნახევარში ბებიამ გამაღვიძა. ტანსაცმელი გავიხადე და საბანქვეშ შევწეკი.

• • •

ჩიკომ წინასწარ გამაფრთხილა, შემიწული ჰქერის გამო შეიძლება უხერხულობა შეგხედესო. ის მართალი აღმოჩნდა — თითქოს ყოველდღე ჩვენს ზევით კრამიტი ტყაცუნობდა და მინის იქით ბავშვების შიშისგან დამრგვალებული თვალები მოჩანდა. როგორც კი თავს მალდა ავეწედი, ბავშვები უჩინარდებოდნენ. მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ მე მათთვის უწყინარი ვიყავი, აღარ ეშინოდათ, ჩემს შეხედვაზე მხოლოდ ეშმაკურად და პირფერულად ილიმებოდნენ.

ჩიკო მართალი აღმოჩნდა, ადრე რომ გვითხრა, ბავშვები თვალთვალს დავიწყებენო. ისინი მართლაც გვიცქერდნენ მე და ნუცას. მაგრამ ჩვენს კვალს სხვაც აღევნებდა თვალს ყოველდღიურად. ეს ჯმუხი, ბულდოზურივით მძიმე გლეხი ბიჭი იყო, რომელიც პირველად ამ ორი კვირის წინათ, ეპიდემიის წყაროსთან შევამჩნიე.

ბიჭი სწორედ იმ დღიას დავინახე, როცა ჩიკომ თავისი დაიკო მოიყვანა პირველ სეანსზე. იმ დღიდან დაწყებული მას მუდამ ვამჩნევდი, როცა კი სახელოსნოდან გამოვიხედავდი. ჩემი ფიქრით, ის წინასწარი განზრახვით, კვალდაკვალ დავგდევდა და მოსვენებას არ გვაძლევდა. ეჭვები რომ გამეფანტა, მეზობლის პატარა ბიჭებს შევეკითხე, კომბინეზონიანი ძია რომ არის, ჩვენზე ხომ არაფერს გეკითხებათ-მეთქი. ბავშვები გამოტყდნენ, ძალიან ხშირად

ვეკითხება თქვენს ამბებსო, ორჯერ სახურავზე ამოხიხდა კიდევ და ჩვენს ზურგს ამოფარებული მალულად იკვირებოდაო.

ეს რომ შევიტყუე, იმ ბიჭს გადახე:

— შენ ეი! ლატარიაში ხომ არ მრგებიხარ, რას ჩამციებინარ?

ხმა არ გამოცა, თითქოს ჩემი შეყვირება არც კი გაეგონოს.

— მოგვწორდი აქედან — დავუყვირე და ხელის მოქნევით დავემუქრე, — არ გესმის? ჩქარა მოუსენი!

შეკრთა, შეტოვდა.

— მე მიყვიროდი?

— ჰო, შენ... გასწი, არ გნახოს ჩემმა თვალებმა აქ! გესმის?

— რას მერჩი? რას ვშევიბი ისეთს? ხელს გიშლი?

— ჰო, მიშლი.

შეტრიალდა და მორჩილად წაჩანჩალდა თავისი გზით.

„სახეებზე იყრი გულისჩაერს? — ვუთხარი ჩემს თავს — ეპ, ლადო, ლადო!“

საქმე ვერ აეწყო, ვერ ჩადგა კალაპოტში. შესაძლოა, ქანდაკების ჩანაფიქრი დაძველდა, დაკარგა აზრი და მე ჯახირით ვამუშავებდი დეტალებს იმ იმედით, რომ მათი სრულყოფით ავინაზღაურებდი დანაკლისს. ქანდაკება არ გამოდიოდა. თორმეტი ფუთი თიხა შემოქმედის ქმნილებად უნდა ქცეულიყო, მაგრამ როგორ? როგორც მგზავრი ნისლში, ისე მივარდევდი გზას მისკენ. აღარ მახსოვს, თუ რა კმაყოფილებით ამავსებდა ხოლმე ადრე ყოველი ჩემი დამთავრებული ნამუშევარი. მაშინ ჩემი შრომა შრომა კი არ იყო, არამედ სიხარული და თამაში... ახლა კი არაფერი არ მახსოვდა, ჩემს წინ ვხედავდი კარკასს, ორი ცენტნერი თიხით შემოსილს და ნუცას, რომელიც უკვე აღარ იყო ჩემი შთამავლობელი.

ასე გადიოდა აგვისტოს უკანასკნელი დღეები.

ვერ ვიტყვი, რომ ამ ხანებში ყურადღებიანი ვიყავი ჩემი მენატურის მი-
7. „მნათობი“, № 6.

მართ, მაგრამ მაინც მასაც შევამჩნიე ცვლილება. ნუცა რაღაც უფრო წყნარი, დაღვრემილი, ჩაფიქრებული გასდა.

დილაობით უკვე აღარ ვეკითხებოდი: „რა არის, ნუცა, ახალი?“ იმიტომ, რომ ის ამ კითხვაზე დაბნეულად იღიმებოდა და მხრებს იჩქინდა: „არ ვიცი, ლადო, რა გითხრა, რა არის ახალი? მგონი, არაფერი, არ ვიცი“... და მისი ხმა, ნედლი ლერწმიდან გამოთლილი სტერიოს ბგერას რომ მაგონებდა, წყნარად და ნაღვლიანად ეღერდა. მე მეჩვენებოდა, რომ ნუცა დადარდიანდა ჩემი მიზეზით, რომ მას ჩემი განწყობილება გადაედო. მაგრამ მისი გართობა, გახალისება არ შემეძლო, საამისოდ ძალა არ მყოფნიდა.

აგვისტო მიიწურა, დადგა სექტემბერი. არც ჩემთვის და არც ნუცასათვის არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ბიჭებმა სახურავზე ახოხებას თავი დაანებეს.

სექტემბრის ერთ-ერთი სუანსი ისეთი მოვლენით აღინიშნა, რომ მასზე აუცილებლად უნდა შევჩერდე.

იმ დღეს, დილით წყაროზე არ წავსულვარ. როგორც კი თვალი გავახილე, გულმა სახელოსნოსაკენ, ქანდაკებისაკენ გამიწია.

დღიდანვე შევეუდექი საქმეს. დაახლოებით ორი საათის მუშაობის შემდეგ მომეჩვენა, რომ ბურუსი გაიბნა, რომ ნისლს თავი დავალწიე, მიზანს მივეუახლოვდი. ეს მდგომარეობა ხომალდის ეკიპაჟის აღზუნებას ჰგავდა, როცა მეზღვაური სიზარულთი ყვირის: „მიწა, მიწა, გამოჩნდა!“.

ამ ფიქრებში რომ ვიყავი, ნუცაც შემოვიდა. ჯერ სილუეტად ციმციმებდა კარებში, მერე ჩემს წინ გაჩერდა, მთლიანად კაშკაშა სინათლით გარემოცული. მაგიდაზე ვაშლი ავილე, ხალათის კალთით გავწმინდე და ნუცას ვესროლე.

— აბა, დაიქი!
მერე მეორე ვაშლი ავილე, ნახევარი

მოკვბიხე და ქანდაკებაზე თვალმიპყრობილმა წავიდუღუნე:

— გინდა, თბილისში წაგიყვანო?

რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ნუცა უმაღლე მიმიხვდა ყველაფერს.

— თბილისში?! როდის?

— თუ გინდა დღესვე.

ნუცას შეეშინდა, ყურები ცქიტა.

— როგორ თუ დღესვე? — გაიმეორა ჩემი სიტყვები, — არავინ გავაფრთხილოთ?

— არავინ!

ნუცა დასაკეც სკამზე დაესვი, თვითონ დაზგას დავუბრუნდი, განვავრძე მუშაობა და თან თბილისის ამბებს ვუყვებოდი.

ვილაპარაკე უხეზრდილიან, მიწყნარებულ სოლოლაკზე, მის მემორიალურ დაფებზე და დიდებულ სადარბაზო შესასვლელებზე; ვილაპარაკე მდიდარი სამშენებლო კოორპერატივების ჯადოსნური ძალით გარდაქმნილ-გადასხვაფერებულ, ფეშენებელურ ვაკის რაიონზე, ახალ დიდებულ საბურთალოზე და მის ღვიძლ ძმაზე — დიდუბეზე, ვილაპარაკე აგრეთვე ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებზე, სადაც ქუჩის სხვადასხვა მხარეზე მდგარი სახლების აივნებიდან შეიძლება აღამიანები ხელის ჩამორთმევით მიესალმონ ერთიმეორეს და დალიონ ბრუდერშაფტი, მერე ავეუწერე ნუცას ჩუღურეთი და ფეთხაინი, ისანი და ხარფუხი... ველაპარაკებოდი და თან თითქოს თვალით ვხედავდი ესოდენ ნაცნობსა და შეჩვეულ გარემოს.

მერე ვუამბე ნუცას თბილისელ პიკონებზე, წინასწარ ვუთხარი, ისინი სულ სხვადასხვანაირები არიან-შეთქი — ერთნი დასავლურ მოდას არიან აყოლილნი, მეორენი — ვითომ პატრიარქალურ წესებს მისდევენ, მესამენი — ხან პირველებისაყენ იხრებიან, ხან მეორეებისაყენ. გავაცანი თვითიული მათგანის თავისებური მანერა, — როგორ ლაპარაკობენ, როგორ იცვამენ, როგორ სწევენ სიგარეტს, როგორ სხდებიან ავტომობილში, როგორ სვამენ კო-

ნიას პატარა კიჭებითაც და ჩაის კიჭებითაც; ამის მერე თვითონ წაიღებულ ჩამოფუგდე სიტყვა. ალურსიან და გულმოწყალეა ჩვენი დედაქალაქი. ამიტომაც მიყვარს იგი...

ვუყვებოდი ნუცას ამ ამბავს, ისე ლაღად და სტვენით ვუყვებოდი, რომ თვითონაც მივივრდა, ისე მოსდევდა ერთიმეორეს სულ ახალი და ახალი ამბები, თითქოს ჩემში, სადღაც შიგნით, რადიომიმღები ან მაგნიტოფონი ყოფილიყოს დამონტაჟებული.

და აი, როცა ჩემმა თხრობამ კულმინაციას მიაღწია და დაბლა დაეშვა, შევაძმინე, რომ ქანდაკება არ გამომდიოდა, რადგან ფიგურა სწორად არ დამეყენებინა, საჭირო იყო პოზა შემეცვალა და მაშინ ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგებოდა. ვთხოვე ნუცას დაეკავებინა თავისი ადგილი ფიცარანაზე.

— ცოტა უფრო მარჯვნივ, ნუცა, და წინ წამოიწიე. მასე არა! უფრო მარჯვნივ და წინ! არა, ქალო, მასე არა!

...პაპიროსი გადავავდე, მივედი, წელზე ხელი მოვხვიე, თითქოს ელდა ეცაო, ნუცა შეტოვდა. მაშინ კი, როცა მუხლს ქვემოთ ხელი მოვკიდე, რომ ოდნავ მომეღუნა, სილა გამაწნა:

— ეს რა ჰქენი? შეიშალე? — შევძახე გამწარებულმა.

— გასწიე ხელი! — დაიყვირა ნუცამ.

— რას ყვირი? გაგიჟდი?

— არ მომეკარო!

— არავინ არ გეკარება. დადექი, როგორც საჭიროა და არავინ გავეკარება!

— თუ ერთხელ კიდევ მოგიკიდიხა ხელი, ყველაფერს ვეტყვი მამას!

— ყვირილს თავი დაანებე, სულელო, ეინმე გაიკონებს!

ჩვენი ალიაქოთი ჯერ არ დამცხრალიყო, რომ ზოსელში ბებია შემოვიდა. კი არ შემოვიდა, შემოვარდა:

— რა ამბავია, რა მოხდა?

— წყნარად, თებრონე, წყნარად!

— მე შენ გიჩვენებ სიწყნარეს... ეს რა ყვირილი ისმოდა, მითხარი ჩქარა!

— არაფერი, ისეთი არაფერი მომხდარა, ბებია... მე ვთხოვე და ნუცამაც მიჩვენა, როგორ ეჩხუბება ზოლზე დედამისი ანეტა მაშიდას.

— რას მივლებ-მოვლები. წყალი რომ გადაახსა, ელენეს ანეტასაგან ვერ დააშორებ. მაგათი ჩხუბი ვის გაუგია! ნინუცა, შეილო, შენ მაინც მითხარი, რა მოხდა? იქნებ, რამე უკადრისი ჩაიდინა...

საბრალო ბებია... არასოდეს მინახავს ასე შეშინებული. ხელები უცახცახებდა, ტუჩები უთრთოდა, ხმაც უწყდებოდა. ნუცას პირმოთნედ შეჰყურებდა თვალეში. ის მაშინ ყველაფერს გაიმეტებდა, რაც კი გააჩნდა, ოღონდ ნუცას დაედარებინა ჩემი სიტყვების სიმართლე. მაგრამ ნუცა ხმას არ იღებდა.

— ბებია, ბებია... დაუფიქრდი, რას ლაპარაკობ!

— შენა, შენ, ბეკეკე, დამუნჯდი? ამოიღე ხმა.

ბებია მოვლვარე თვალეები ჩუმად და მრისხანედ შემომანათა. ამ დროს ის ისე ძალიან დაემსგავსა დედა არწივს, რომ მე გავქვევდი ალტაცებისაგან.

— ლადომ სიმართლე გითხრა, თებრონე ბებია! — დაამშვიდა ბებია ნუცამ.

— რა სიმართლე?

— მე ანეტა მაშიდას ვბაძავდი...

— ამიტომ წიოდი და კიოდი? — ბებია თავისი რისხვა ახლა ნუცაზე გადაიტანა.

— ჰო...

ნუცამ თავი დაიქნია და თვალეები დახარა, — უნდა აწონ-დაწონო, ვის დასაცინი. ვთქვათ, ვინმე ყოფილიყო ახლომასლო და მოესმინა ყველაფერი! ეტყოდა მამაშენს და, გგონია გავასწრებდით აქედან?

— მეტს აღარ ვიხამ!

ნუცამ ქურდულად შემომხედა და ვერ გავიგე, ვერ მოვასწარი მისხედრა, შეკითხებოდა შემდეგში როგორ მოვიქცეოთ თუ პატიებას ითხოვდა.

— მეტს აღარ ვიხამს, — გავიმორე მეც, — შენ კი, ბებია, აჯობებდა ამ წიოკობისათვის თავი დაგენებებინე და სადილის კეთებას შედგომოდი. ისე გვშია მეც და ნუცასაც...

— მართლა? — უცბათ მოღბა, სული მოითქვა ბებია — აქამდე გეთქვა, შე დალოცვილო, სადილი მზადა მაქვს. ამ წუთში გავაცხელებ. ტარობსაც მოგიხარშავთ.

მივებრძანე თუ არა ბებია, დავბრუნდი სახელოსნოში შეურაცხყოფილი. ლოყაზე ხელისგული მოვისვი და ნუცას მკაცრად ვუთხარი:

— აი, რა ნუცა! მოდი შევთანხმდეთ, ხელებს თავის ნებაზე ნუ მიუშვებ...

ეს რომ ვუთხარი, გოგომ თავი დახარა:

— მეტს აღარ ვიხამ...

მაგრამ მე მის თვალეში გაბრწყინებულ ღმილს წავასწარი. მიწა გამოსკდეს და თან ჩამიტანოს, თუ ამ ღმილში სიამაყე და კმაყოფილება არ გამოსკვიოდა!

— გესმით? მეტს აღარ ვიხამს, — აფეთქდი მე, — აბა სცადე! ისე შეგახურო, რომ მთელმა შენმა ნათესავებმაც ვერ გიშველონ, სულ ერთად რომ მოიყარონ თავი!

— მაპატიე, ლადო, თვითონაც ვერ მივმხედარვარ, როგორ მომივიდა.

ნუცამ თავი მალლა ასწია და გულლიად შემომხედა.

— მაგრამ შენც დამნაშავე ხარ.

— მეც ვარ დამნაშავე? კარგი, კარგი, რაც იყო, იყო! ახლა წავიდეთ და ვისადილოთ.

ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო ყოფილიყოს ჩემთვის ის სილა, მაგრამ ნუცას საქციელი მაინც მომეწონა. წყენამ მალე გამიარა.

ნასადილევს სახელოსნოში შევიარე. ამ სამი კვირის განმავლობაში ჩემმა ქანდაკებამ პირველად გამახარა.

ამის მერე ორიოდ დღე გავიდა და გამოირკვა, რომ ჩემი სიხარული ნაადრევი იყო. ძალა გამომეღია. დაღლი-

ლობამ ხელი დამრია. შევწყვიტე მო-
რიგი სენსი და ამოვიხენე.

— მოდი, ცოტა შევიხეწოთ, ნუცა!
რას იტყვი?

— როგორც გნებავთ.

— თავისუფალი ხარ, ძვირფასო, ან-
ტრატს ვაცხადებ, — მე უგუნებოდ
გავიღიე, — დაგიძახებ, როცა საჭირო
იქნება.

ნახევარ საათს ვიჭეკი ტახტზე, წელ-
ში გაწყვეტილი, ყოველი საქმისათვის
გამოუსადეგარი, საფიტულდაც კი
უფარგისი. მერე ქანდაკებას ტილო შე-
მოვახვიე, სხვენზე ავედი და ძველი ან-
კესები მოვძებნე.

ამის მერე მთელი დღე მდინარის ნა-
პირზე გავატარე. ჩემს საყვარელ გზას
დავადექი, ჯერ სათავეებისაკენ გავწიე,
თითქმის დღეს ნაკვალავის კიდემდე
მივედი, იქიდან მოყოლებული ქვემოთ,
მდინარის გასწვრივ, უფრეებსა და ცის-
ფერ ჩქერებში დავეშვი. ეპქებიც გავი-
ფანტე და თევზებიც დავიჭირე — ხუ-
თიოდე კალმახი და თორმეტამდე წვე-
რა.

უკან დაბრუნებისას ნიორაძეებთან
შევეხვიე.

ბესარიონი შინ არ დამხედა. მთელი
ჩემი ნანადირევი — ტირიფის ჯოხზე
აცმული ჩვიდმეტი თევზი მის მეუღლეს
ელენეს გავუწოდე.

— გმადლობთ, ლადო, გმადლობთ,
შემოდით, ამ თქვენს კალმახებს ნიგე-
ზის ფოთლებში შევახვევ და ისე შეე-
წვევ, ხომ გიყვართ ნიგეზის ფოთლებში
შემწვეარი კალმახი?

მე მადლობა გადაუხადე და გამო-
ვეშვიდობე. პირდაპირ გადავკვეთე ვე-
ნახი და პამიდორის მწკრივებში შე-
ვუხვიე, ბებია ანეტას ეზოში. მისალმე-
ბისთანავე ვკითხე, ამ დღეებში ხომ არ
გინახავს ბაბუა კასიანე-მეთქი.

— საწყალს მთელი დღე ეკლესიაში
სძინავს, — მწუხარედ გაიქნია თავი
ანეტა ბებია, — სიცხემ გატანჯა, მუ-
დამდღე ნამთვრალეკია.

— უთხარით, ლადო იყო ჩემთან და

გახოვია, თუ დრო გექნეს, შემომა-
რეთოქო.

ნაკრესული

— კარგი, შეილო, რეგულარულად
რუნდება, მაშინვე შენთან გამოვგზავნი,
საქმე მაინც არაფერი აქვს.

მე შინ ავედი, წავიხეძე და, ის იყო,
კასიანესთან ეკლესიაში მისვლა გადაე-
წყვიტე, რომ თვითონ მოვიდა ჩემთან.
ძლივს შემოეტია სახელოსნოს კარებში,
დამნაშავესავით ჩამოჯდა ტახტზე და
წარბშეკრულმა, ქვეშევეშად მომზი-
რაღმა, მკითხა:

— რას შვრები, ლადო, შე ეშმაკის
ფეხო, სულ ძერწავ და ძერწავ, პა!

— შენ გეტბედი, — ვუთხარი მე.

— ვიცი, მითხრეს.

— სულ უჩემოდ უნდა სვამდე და
ქეიფობდე?

კასიანე ბაბუამ მწუხარედ გაიქნია
თავი, ხელი პერანგის გაღეღილ საყე-
ლოში შეიყო და ბანჯგვლიანი მკერდი
მოიქექა.

— რას გაჩუმებულხარ, რატომ არ
მკითხავ, სად იყავი-თქო.

— რა კითხვა გინდა, ვხედავ, რომ
კარგ ადგილას ყოფილხარ.

— ჰო, ასეა, მაგრამ არა მშურს ნათ-
ლიაშენის ბედი, არა, არა მშურს.

— ვისი? ლაზარესი?

— ჰო, ლაზარესი!

— რავა, რა დაემართა? — შეეშფოთ-
დი მე.

— მაყვალას ისევ გოგო ეყოლა. საწყ-
ალი ლაზარე დარდისაგან აღარ არის,
ჯავრიან გულზე საშინლად დათვრა, რა
მეშველებათ, რა გზას ვეწიო, ბაბუა
კასიანეო, შემომჩვილა, მასწავლე რამე,
დღემდე ვერაფერს გავხდიო, დაწყვე-
ლილი ჯიშისაა ჩემი ქალი, ერთი ბიჭი
არ მაღირსაო.

— მაყვალა უკვე შინ არის?

— არა, ჯერ ისევ სამშობიაროშია.
თურმე ისიც თავს იკლავს, შინ ვერ
დავბრუნდებო.

— პირდაპირ უბედურება ტრიალებს
მათ თავზე! — ვუთხარი მე.

— უბედურება, უბედურება! — ჩა-
მომართვა სიტყვა კასიანემ, — შეკრიბა

იმ საბრალო ლაზარემ ხალხი, ვინც ახლო-მახლო შეხვდა, არც ერთი დაღამებამდე შინ არ გაუშვია. წუწუნებდა, ბედს უჩიოდა, შემოგვეტიროდა. ვერ გაარჩევდი, დაბადების დღე იყო ეს, თუ ჭირის სუფრა.

— მაშასადამე, ისე გამოდის, რომ შენ უჩემოდ სმას გადაყევი, არა? — გავუმეორე საყვედური, — მე სულ დამივიწყე, ხომ?

— არა, ლადო, როგორ გეკადრება! თავისთავად ასე მოხდა, — კასიანემ ისეე უხერხულობა იგრძნო, შებრუნდა. ლაზარემ ათჯერ მაინც სცადა შენთან მოსვლა, რომ რჩევა ეკითხა, მაგრამ არ გამოვეუშვი, არა სცალია-მეთქი ვუთხარი, ჯადოს უკეთებს თიხას, მაგრამ არ გამოუდის, რაც უნდა და ხელს ნუ შეუშლი-მეთქი. ლაზარეც არ გაჯიუტებულა.

— იღბალი არ ჰქონია მაგ საბრალოს!

— ნულარ იტყვი! ამდენ გოგოებს გათხოვება არ უნდა?... ლაზარეც ზომ ბავშვი აღარ არის, ალბათ უკვე ორმოცდაათს იქნება მიღწეული. შენი ნინუცა სადღაა?

— კაი ხანია, შინ გავგზავნე. მეც მოვასწარი მდინარის ნაპირებზე გასეირნება. დღეს შენ დაგიგვიანდა!

— ვისევენბდი, — თქვა კასიანემ და დაამტყნარა, — წავედი ეკლესიაში და გვარაიანად გამოვიძინე სიგრილეში... ნინუცაზე გუშინ რაღაც-რაღაცეებს ჰორაობდნენ, ზოგი ვერ გაიგონე, ზოგიც ვერ დაეხსოვებ ნასვამმა. ამბობენ, ათხოვებენო, შენ არაფერი გაეგია?

— ვისზე ათხოვებენო?

— არ უთქვამთ. ის კი ვიცი, რომ ბესარიონი ვიდაც ვიგინდარას ქალს არ გაატანს. მერე, რა გოგოა! გულზე ხელი დაიდგე და სიმართლე მითხარი, არ გეწყინება, რომ გათხოვდეს?

— რატომ უნდა მეწყინოს, გათხოვდეს! — მოვიღუშე მე, — ამით რა დამაკლდება ან რა მომემატება?

— ვითომ ასეა? დავიჯერო?

მერე სიტყვა სხვაზე გადაიტანა.
— ღვინო სულ გადაყლდა, რა უნდა დავიკრძა რამე?

მე ტახტის ქვეშიდან ჩუმად ამოვაძვრინე პატარა კასრულა, ამოვაგდე ხის საცობი, წვრილი რეზინის მილით ღვინო დოქში გადავასხი და შევეუდეით სმას.

— ანეტამ მითხრა შენზე, იმიტომ არ მოდის, რომ არ უნდა ხელი შეგიშალოსო.

— მართალი უთქვამს და უნდა დაუჯერო.

— თუ დროს იშოვი, მოდი, მე ყოველთვის მიხარია შენი მოსვლა.

— მოვალ, მოვალ, შეილო. აბა ვისთან უნდა მივიდე, შენთან თუ არ მოვალ. ნეტავ თუ მიდის წინ შენი საქმე? თუ ისევე ერთსა და იმავე ადგილს ტყეპნი?

— კასიანე ბაბუა, ერთი მითხარი, ვინ არის ის ყმაწვილი, ლურჯი კომბინიზონი რომ აცვია, აქ რომ დახებტება?

— ზორბა ახალგაზრდა რომ არის? მხარზე არღანი რომ გადაუქიდა?

— ჰო, სწორედ ის!

— აა, — გააგრძელა ბაბუა კასიანემ და ღვინო მოსვა — შარშან გამოზაფხულზე სიმონმა ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ შეიძინა და სათადარიგო ნაწილებთან ერთად ეს არღანიც გამოგვიგზავნეს... არ ვიცი, კომბინირია, თუ მგონი, მექანიკოსი... რატომ მეკითხები?

— ისე... იქნებ ნუცა მასზე თხოვდებო?

— აბა, ეგ შეარდნე რა ნუცას ღირსია! — ზიზღით ჩაიქნია ხელი კასიანემ. — ერთხელ მან უკვე სცადა ნიორამის სიძეობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაგის მიგზავნილი მაქანკლები ბესარიონმა სამზარეულოში მიიღო. სამ-სამი ჰიქა მომმარებული ღვინო და ალუეინა და გაისტუმრა. ამ ხანებში ანეტა ძიან დაუმეგობრდა ელენეს. ასე რომ, ამ საქმისა მე ყველაფერი ვიცი. არა, ის ნუცას საქმრო არ არის, არამც

და არამც არ არის! აფსუსიც იქნება ასეთი გოგო მაგის ხელში ჩავარდეს!

სალამოვდებოდა, როცა მოხუცმა წასვლა დააპირა.

ქვენა ქარს ზღვიდან მოჰქონდა სინესტე და სიგრილე, აშრილებდა ხეთა კენწეროებს. ცა კრიალა იყო, მოწმენდილი. მთები მწუხრის ბინდ-ბუნდში ჩაძირულიყო. კასიანე ბაბუას თავი მაღლა აეშვირა და ხარბად სუნთქავდა გრილ ჰაერს. ცას მეც ავებდე:

— ალბათ წვიმა მოვა!

— ჭექა-ქუხილი იქნება? შხაპუნა წვიმა მოვა?

— არა, შეიძლება მთელი კვირა იწვიოს.

— ისე გამახარე, მეტი არ შეიძლება! წვიმა დასწყევლოს ღმერთმა!

— თუ ჭერიდან წყალი ჩამოგვიდეს, კარგად შეაკეთე, თებრონეს სთხოვე საგონავი დავიშალოს.

— კარგი, მაგრამ არ მგონია განვაგრძო მუშაობა.

— რატომ?

— წვიმაში ვერ ვმუშაობ.

კასიანემ აღმაცერად შემომხედა.

— შენ აქაურობისა არაფერი ვაგეგება, ვენახებს სულაც არ სჭირდება ახლა წვიმა, ახლა სითბო უფროა საჭირო: ალბათ შეგვეწვევა ღმერთი და დიდხანს არ იწვიმებს. — კასიანემ ისევ გახედა ცას და თავი გაიქნია.

— შესაძლოა, — დავეთანხმე მე.

• • •

ღამით გაავდრდა. ოთხი დღე-ღამე არ შეწყვეტილა წვიმა, ცოტა ხნით თუ გადაიღებდა. ჩვენი ლურჯი მდინარე აყალოსფრად იქცა. გარშემო ყველაფერი გამუქდა, დაღონდა, დანალღლიანდა.

როცა გამომეღვიძა, ისევ წვიმდა. ფანჯრებს ჭვემოთ, ლარებქვეშ დადგმულ კასრში წვიმის წვეთები ხმაშეწყობილ ბგერებს გამოსცემდნენ. თავამდე სავსე კასრები კი დახშული ბგერით ეხმარებოდნენ, თითქოს შიგტყვია ცვიოდა წვეთებად.

წვიმს. ფანჯრიდან სველი, მოწყენი-

ლი, თავჩაქინდრული ხეები მოჩანს, ჭერზე სველი ლაქა გადაღვნილია. ცივა. საბანი ნიკაპამდე აწვიე. წვიმა ასველებს ძველ ოდა სახლს. წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ, — ისმის ხმაური. მე ვწვევარ და ყურს ვუგდებ წვიმის შხაპუნს.

წვიმდა, როცა ეპიფანეს წყაროს უგუნებოდ მივაკითხე და იქიდან გაღუმეული, მხარზე ჩაფშვდგმული დაებრუნდი. წვიმდა, როცა ტანისამოსს ვიცვლიდი და ვსაუზნობდი. მერე ფეხშიშველა, თავზე მუშაბზაგადაფარებული სახელოსნოში მივბრბოდი და შემინულ სახურავზე ჭუჭრუტანებს და ნახერტებს ვგმანავდი.

წვიმდა, როცა სახელოსნოში ტახტზე ვიწექი და პაპიროსს ვაბოლებდი. მერე, პაპიროსის წვეთი გული რომ ვიჭერე, დაზგასთან მივედი, რომ ფიგურისთვის სველი ტილო შემომხეცია; იქვე, „მორბენალი ქალიშვილის“ ფეხებთან უცნაური საგანი — ჩიტის ბუდის მსგავსი წნული კალათი შევამჩნიე. ჭერ გავიფიქრე, ბებიამ ალბათ ქათმებს საკენკი გადაუყარა და ცარიელი კალათა ჩემს სახელოსნოში დარჩა-მეთქი, მაგრამ როცა დავიკუთხე, კალათაში მყავალი დაინახე. მსხვილი, ხორციანი მყავალი იყო. ასეთი მწიფდება მიუვალ ადგილებში. ნუთუ ნუცამ ასე ადრე მოასწრო სახელოსნოში მოსვლა და უკან დაბრუნება? საოცარია, რატომ არ დამიციდა, რატომ გაბრუნდა უკან? ასეთ წვიმაში ალბათ თავით ფეხებამდე გაიღუმებებოდა. ერთიც ვნახოთ და გაცივდა! აგე მაშინ პასუხი! მაგრამ რატომ?... ჰმ, რატომ წავიდა, არ დამიციდა, ალბათ, გამაპამპულა. დიდებული რამ არის, თავი არ მომიკვდება! სად მოკრიფა ასეთი მყავალი? ალბათ, იმ ეშმაკის ფეხს სულ დაკაწრული აქვს ხელები და მუხლები!

გვიან შევამჩნიე, რომ დაზგასთან ვდგევარ, ხელში კალათა მიჭირავს, პირში ზედიზედ ვიყრი მყავალს და ვიღიმები. ვის ვეღიმები, რას ვეღიმები? არ ვიცი... სინესტეა, ცივა. ირგვლივ წვიმა

არ გავმზდარვარ... მაყვალ გემრიელი იყო, თუ წვიმამ გააუგებურა?

— ჩემს სიცოცხლეში არ მიქამია ამაზე გემრიელი!

— ნუ დგახარ ასე! მცივა, რომ გიყურებ, ავიდეთ სახლში, ტანისამოსს გამოიცილო, გაშრები.

— გავიჭყევი, ლადო, სანამ ჩვენებს არ გაღვიძებიათ.

— ო, არა, არ გაგიშვებ.

ნუცას ჩემს ოთახში შევეუძები და სპორტული შარვალი მივეცი. ჭრელი სვიტრი გადაიკეა და საერთო ოთახში გამოვიდა. ჩემი მზერა შეამჩნია, გამიღიმა.

— დედაო ღვთისავ, ამას რას ვხედავ! ქალი და შარვალი? — შეიცხადა ბებიამ — უხდება კი ჰა, რას იტყვი, ლადო?

ბებიამ სამზარეულოში დაგესხა, მკვირცხლად დადგა ცეცხლზე ჩაიდანია. შეშა ბუხარში ბრაზიანად შიშინებდა და დორბლებს ყრიდა.

გარეთ გადაულეבלად წვიმდა. ამ დროს თბილ სამზარეულოში ყოფნა საამო იყო.

— შენ რის მურაბა გიყვარს, გოგო?

— მაყვლისა, — ვუპასუხე ნუცას მაგიერ, — ჩაი მაგარი დაყენე და, რაც შეიძლება ცხელი, ბებიო! ხომ ხედავ ვერ იქნა და ვერ გათბა ადამიანი!

— ჰო, ვხედავ, მე თვალზედავსებული! იქნება ცოტა ქაჭა დაგელია, შვილო? — ბებიამ ეშმაკურად მოკუტა თვალი და ორი მოკაკული თითით გვიჩვენა, ასე ცოტას დავასხამო.

— არ მინდა, არა მცივა.

ბებიამ ყურადღება მიამჩნია ჩემს სვიტრს და ალტაცებულმა შესძახა:

— ნუციკო, ჩემო სიხარულო! ძაან გიხდება ეს კოფთა, ნუ დაუბრუნებ ლადოს.

— არ დაუბრუნებ... მარა წამართმევს, — ნუცამ შემომხედა და გაუბედავად, თითქოს პირმოთენედ, გამიღიმა.

— იი, შენც იტყვი! — ხელის მოჭენვით უთხრა ბებიამ, — ჩემი ლადო ასე-

თი არ არის, გულკეთილია, მერანგს გაიხდის უცნობი, გაპირებულ... დამიანისთვის. ინაშვილებს ყველა სახეობი არიან.

უეცრად ჩვენს მყუდროებას, სულიერ სიმშვიდეს რაღაც შეშფოთებამ, მოუსვენრობამ გადაუტროლა. ბებიამ შემამჩნია გუნების შეცვლა, თავი დაანება ნუცას გამასპინძლებას და მკითხა:

— ლადო, რატომ არაფერს ქამ?

— არ მინდა, ბებია.

— გინდა, სხვა მურაბა მოგიტანო?

— არა!

— არ გინდა და ნუ გინდა... შეგეძლო უფრო ზრდილობიანად გეპასუხნა. ნუციკო, ჩემო კარგო, გოგო, ბაბუაშენი ედიშერი წაყიდა, თუ იცი? მინდოდა შემომეველო, მესაუბრა. პატივსაცემი, დარბაისელი მოხუცია.

მე ფრთხილად ავდექი სუფრიდან, სკამიც არ გამიწვია, სიტყვის უთქმელად გავწიე სახელოსნოსაკენ. წვიმამ იმატა, მაგრამ ძალიან ნელა მივდიოდი, ისე ნელა, თითქოს ხელთ პირამდე სავსე დოქი მჭეროდეს.

აგერ ბოსელიც... ქანდაკებამ გამაყვირვა: ის არც ისე ცუდი იყო, როგორც მეჩვენებოდა, მშვრამ ყველა მისი ნაკლი ახლა თვალში ისე მეცემოდა, თითქოს იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი არ მენახა, ვილაცას განზრახ გაეზვიადებინა, გაეუარესებინა. როგორ მოხდა, რომ დღემდე ვერ ვამჩნევდი, ფეხების სიტლანქეს, ხელების მოუხეშავ აქნევას? კი არ მირბოდა ქანდაკება, ერთ ადგილას იყო გარინდებული, თითქოს, ეს-ეს არის წაიბორძიკაო. მხოლოდ ახალგაზრდული სახე გამოხატავდა სიხარულს. ამ განწყობილების ბოლომდე გამოვლინება იყო საჭირო.

განვაახლე მუშაობა, საქმე კარგად წაყიდა. მე ეს ერთბაშად შევამჩნიე. ისე სწრაფად და კარგად ვმუშაობდი, თითქოს ფხვიერ მიწაში ხელის ფაქურით გამზადებულ ქანდაკებას მივაგენი და მხოლოდ მისი ამოთხრალა იყო საჭირო.

ოლონდ ისე, რომ არ დაზიანებულყო. წვიმა, მე კი ვმუშაობდი. ჩემს სიცოცხლეში, მგონი პირველად ვმუშაობდი წვიმაში და ეს გულს არ მიმძიმებდა, მძიმე ტვირთად არ მაწვა მხრებზე, პირობით, სიამეს მგვრიდა.

სახელოსნოში ბებია და ნუცა შემოვიდნენ. მათ სახეებზე, როგორც დუეტის მომღერალ მეგობარ ქალთა სახეებზე, გამოხატული იყო სრული შეთანხმებულობა და კეთილგანწყობილება.

— რათ გაიპარე კატასავით? — მკითხა ბებიაში.

— თებრონე ბებია, აქ ძაან სინესტვა — წავიბურტყუნე და მერე ნუცას მივუბრუნდი:

— თავს გაუფრთხილდი, რევმატიზმი არ დაგეშართოს, შენც არ გაცივდე, დღეს შემიძლია უშენოდაც ვიმუშაო, წადი შინ.

— გიფრთხილდება, შეილო, — უთხრა ბებია ნუცას და კმაყოფილი ღიმილით ჩემკენ გადმოიხედა — არ იფიქრო, ლადო ისეთი უგულო იყოს, როგორიც ერთი შეხედვით გგონია.

— მე ლადო არ მეჩვენება უგულო კაცად, — უპასუხა ნუცამ.

გაკვირვებისაგან აღმაცერად შეეხედე ორივეს.

წვიმიან ამინდში ადრე ჩამობნელდა. მუშაობა შეუძლებელი გახდა. მე კასიანესთან შევირბინე, და ჩვენ ორივემ ერთ საათში ვავანათეთ სახელოსნო. კიდევ კარგი, რომ ელექტროსახი იქვე გვერდით გადიოდა.

— ლადო, გამოგიტყდები, არ მიყვარს ელექტრონთან ჩალიჩი, სჯობს ათიოდე კრაჩი აანთო, ვინემ დენთან გქონდეს საქმე. — ბუზღუნებდა კასიანე. — მხოლოდ შენი გულისათვის ვიგდებ თავს საფრთხეში. დაიხსოვე მაინც, შე მამაძაღლო, კეთილად მომიგონებდე...

მე შუალამემდე ვმუშაობდი. სინათლეზე ქინკლები და პეპლები შემოფრინდნენ. ისინი ფარფატით უვლიდნენ გარს აკაშკაშებულ ნათურას. ასევე

მსუბუქად და უთავბოლოდ ფარფატებდნენ ჩემი ფიქრებიც. ხან მავლნდებოდა, როგორ დაეურეკე ავტობუსის კანტორიდან სახელგანთქმულ გამარეკელს, ხან ყურს ვუგდებდი წვიმის ხმაურს, და ვფიქრობდი, წლეულს სულ დაილუპება ვენახები, თუ ცამ არ გადაკარა-მეთქი, ხანაც იმას ეჯარობდი, რომ იძულებული ვიყავი ნუცა ტანსაცმლით გამომექანდაკებინა. მე ხომ ვერ ვიტან საბურავს, რომელიც შიშველსხეულსა მალავს. ახლახან ბაბუა კასიანემ მკითხა, არ დაგწყდება გული, ნუცა რომ სხვაზე გათხოვდესო? დამწყდება, რა თქმა უნდა, დამწყდება გული, მაგრამ რას ვიხამ! მთავარი მაინც ის არის, რომ ისეთი ქანდაკება გავაქეთო, რომ არ შემრცხვეს, მას „ჩემი საყვარელი იმერეთი“ ვუწოდო. ახლგაზრდა კაცს, რომელიც თავის სოფელში ნასესხები ათი მანეთით ჩამოვიდა, ამაზე მეტი არ მოეთხოვება.

სამაგიეროდ, დილით ადრე, როცა ბოსლის კართან მიჩუმდა საწვიმარი ქოლგის შრიალი და ზღურბლზე ნუცას შევკვრემანმა ფეხებმა გადმოაბიჯა, მე უცებ წამომცდა:

— როდის გავმართოთ ქორწილი, ლამაზო?

არ ვიცი, რა მოსაზრებით ვკითხე ნუცას ეს. ვფიქრობ ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩემს გულში ექვიანობამ გაიღვიძა.

ნუცას სახეზე დაბნეულობა და შიში გამოეხატა. ჩუმად დაჭდა ტახტზე, მუხლებზე კაბა გაისწორა, მერე წამოდგა და მკაცრი ღედის საამაყო ქალიშვილის, მორცხვი, მოკრძალებული შეათეკლასელის ტონით მუწყა:

— ყოველთვის მავიწყდება, ლადო, გითხრათ, რომ მამა გთხოვთ ჩემთან შემოიაროსო.

— მე მთხოვს? — გავიციინე, გადაეცი, შემოგივლის-თქო — და ქანდაკებას ხელი შევახე, — როგორც კი ამას დავამთავრებ, შემოგივლი-თქო. — არა უშავს, ცოტა დამიცადოს, თუ არავინა

ჰყავს ისეთი, ვისთანაც სიამოვნებით გადაჰყრავს.

წვიმა არ წყდებოდა და მეც წვიმაში ხალისით ვმუშაობდი. განსაკუთრებით ის მახარებდა, რომ ჩვენთან ერთად წვიმისაგან ჩვენი წვერცანცარაც იფარავდა თავს. მე არ ვაბამდი მას ბოსლის კუთხეში და ისიც დაეხეტებოდა მთელს სახელოსნოში, თავისი ურცხვი თვალებით ხან ქანდაკებას შეჰყურებდა, ხან ნუცას და ზოგჯერ მეც შემომხედავდა.

— რას იტყვი, მოგწონს თუ არა? — ვეკითხებოდი, როცა წვერცანცარა დიდხანს აშტერდებოდა ხოლმე ქანდაკებას. თხა ჩემკენ შემობრუნდებოდა და ისე სულელურად იცქირებოდა, რომ მე და ნუცა სიცილით ვიხოცებოდით. კრიტიკოსიც ასეთი უნდა!

ბოლოს, როგორც იქნა, წვიმაც დაილა, ამოიშრიტა. მზემ გამოიჰყიტა. მეც ახლა მხოლოდ მზიანი ამინდი მენატრებოდა. ნაყოფიერად ვმუშაობდი, საქმე წინ მიიწევდა. მიხაროდა, მართლაც რაღაც კარგს ვაკეთებდი და თავს უფრო და უფრო ხალისიანად და ბედნიერად ვგრძნობდი. ყველა სულიერი არსება მიყვარდა. დღეში რამდენჯერმე მომქონდა თხისთვის ახალი ქორცა ფოთლები, ვაშლსაც კი ვაჰმევედი. ბებიას, როცა სახელოსნოში შემოვიდოდა, ყოველთვის ვკოცნიდი. მას მობეზრდა კიდევაც ჩემი კოცნა.

— სულ გასულელდი, ლადო, მე კი არა, აგერ იმას აკოცე, — მეტყოდა ხოლმე და თავს ნუცასკენ იქნევდა, — აბა რა სასიამოვნოა დაჩაჩანაკებული დედაბრის კოცნა.

— იმასაც, ბებია, იმასაც! — ვეტყოდი ხოლმე.

როგორც კი მიწა გაშრა, ჩვენთან ბესარიონ ნიორაძე მობრძანდა, უღვაშებით გადაიგრიბა, შემინული ჰერო მოიწონა, ქანდაკებას მიატკერდა, გაკვირვებისაგან პირი დააღო და მხარზე მოწიწების ნიშნად ხელი მსუბუქად დამარტყა:

— ესეც ასე, ლადო! თურმე ყოჩაღი ყოფილხარ, მე კი არაფერი ვიციოდი...

ბესოს მეც მოვეუთათუნე ბუკუნე ხელი:

— ასეა, საქმე, ჩემო ძვირფასო! მსმკა! — თქმა არ უნდა, კარგი ოსტატი გამოდგე, მაგრამ რას მივაწერო რომ ამდენი ხანია ჩვენთან ფეხი არ დაგიდგამს? როგორ გავიგოთ ეს?

— დამაცადე, ბესო ბიძია, ცოტა მადროვე, ბევრ სხვა სიამესაც შეგასწრებთ, მე არსად მივდივარ!

— ეს სწორია, ვერსად ვერ წახვალ. ერთ დღეს წითური სიმონაც მობრძანდა. ჩუმად შეათვალიერა ქანდაკება, მკითხა, კიდევ ხომ არაფერი გვირდებათო, „არაფერი არ გვირდება, ალბათ ამ დღეებში დავამთავრებ-მეთქი“, ვუპასუხე.

— თუ ამას თიხისაგან გაკეთებულს დავდგამთ, მაშინ მის გადასახურად ჩარდახის აგება დაგვირდება, წვიმაში რომ არ დასველდეს — მითხრა მან.

— არა, თიხა ღროებიითია, მალე ქვაში გადავიტან, — განვუმარტე მე.

სიმონმა წითური თავი უცებ ასწია, დიდხანს მიყურა, მაგრამ ხმა არ ამოუღია... მზე ისევ აცხუნებდა, თითქოს უნდოდა ვენახების წინაშე დანაშაული გამოეცხიდა. ქარები სადღაც გადაიკარგნენ, არცერთი მხრიდან არ ქროდნენ, რომელიღაც გზაკვალდაბნეულ ღრუბელს შეეძლო ცაზე ისე ყოფილიყო დაკიდებული, რომ არც ადგილიდან დაძრულიყო და არც მოხაზულობა შეეცვალა. ასეთი ამინდი იდგა, როცა შევძახე:

— ამინ!

შერე ერთხელ კიდევ შევათვალიერე ქანდაკება.

— შაბაშ! კმარა! — ვთქვი, დაზგას მოვშორდი და ერთბაშად სკამზე დავვეშვი, ამრიგად, ქანდაკება დავასრულე, გულმოდგინედ შემოვახვიე სველი ტილო და სახელოსნოდან მხიარულ გუნებაზე მყოფი გამოვედი, რათა წაესულიყავი და მეჭეიფა კასიანე ბაბუასთან და ყველასთან, ვისაც არ ეთაკილებოდა

ჩემთან დროსტარება. ასეთები კი ძალიან ბლომად იყვნენ.

...მეხუთე თუ მეექვსე დღეს ჩემს სახელოსნოში მაგარ ტახტზე გამომეღვიძა, ტანსაცმელგაუხდელი ვიწეკი და მსუბუქი საბანი მებსურა.

აღრიანი დილა იყო. უმაღლესი წამოვდექი, მერე დაზვას კიბე მივადგი და ქანდაკებას სამოსის გახდა დავეუწყე. გამოჩნდა თავი, მხრები, მკლავები, ფეხები... მთელი ტანი. გადმოვხტი კიბიდან და ქანდაკებას დაეცილდი. ვუცქეროდი მას და არ მჯეროდა, რომ ეს ჩემი გაკეთებული იყო. ვუყურებდი მას და ვგრძნობდი, თუ როგორ ეკიდებოდა სიზარულის ალი მთელს ჩემს არსებას, მერე გავიციინე და ტახტზე დავეშვი. ვიწეკი და თვალმოუშორებლად სულ მას ვუშვარდი. ტანწერწეტა, მსუბუქი ქალიშვილი მირბოდა ჩემს ახლო, მირბოდა არა როგორც სპორტსმენი, არა როგორც მონადირე ქალღმერთი დიანა, არამედ როგორც ქალიშვილი საყვარელი ქაბუტის დაძახილზე... მე გაგონილი მქონდა, რომ სადღაც, მგონი, ძველ ეგვიპტეში მიცვალებულთა საფლავის ქვებზე წერდნენ თურმე: მავანმა და მავანმა იცოცხლა ამდენი და ამდენი დღე, და აქ აღრიცხული ჰქონდათ მართო უმნიშვნელოვანესი დღეები განსვენებულის ცხოვრებისა... თუ მე ხვალ მოვკვდები და დამმარხავენ ძველ ეგვიპტეში, დაე, ქურუმებმა ჩემს საფლავის ქვას დააწერონ — მართო ერთი დღე იცოცხლა.

რა ვქნა ახლა? წყაროზე წავიდე? არა, ჯერ აღრეა. მთელ სოფელს სძინავს, ნუცასაც... ეხ, ნუცა, ნუცა... შევხედე ქანდაკებას და ვუთხარი ჩემს თავს: „ყოჩაღ, ლაღო!“ მერე კიბით ავედი მასთან და ვაკოცე, როგორც პიგ-

მალიონმა აკოცა გალათეას. წვერცანცარა თხა დაბლა იდგა და შემოგვეურებდა ორივეს. პირველად იყო, რომ მის თვალებში გამოიხატა რაღაც დაინტერესება. — ვერა, ვერ ასცდები შამფურზე ჩამოცმას, — ვუთხარი თხას, ჩამოვხტი კიბიდან და შევეუდეკი სახელოსნოს დალაგებას. „გოგო, შენი თეთრი კაბა შორს მიჰქონდა მდინარესა“, დაბნეული გოგო უნდა ყოფილიყო, რომ ეს დამართნოდა. ვლიღინებდი და თან ვალაგებდი სახელოსნოს. უცბათ კარი აჭრაქუნდა და ბებია შემოვიდა, არც „გამარჯობა“, არც დილა მშვიდობისა“, პირდაპირ მომახალა:

— რა გამღერებს, შე გადარეულო!
— გამარჯობა, ბებია, — ვუთხარი მე,
— რატომ გაქვს ასე დიდი ყურები, ბებია!

— ალბათ, თავი გისკდება გუშინდელი ლოთობისაგან! ახლაც იქით მიიქაჩები, იმასვე ღიღინებ.

— გამაგებინე, ბებია თებრონე, როგორ მოეხვდი მე აქ, ამ ტახტზე, ამ ურცხვი რქოსანის გვერდით?

— თვითონ შენ მოისურვე, სხვაგან არსად წავალო. აქ, ამასთან დავიძინებო, ასე მითხარი, — თქვა ბებია და თავი გაიქნია ქანდაკებისაკენ, რომელიც ჩვენს ახლოს მირბოდა.

— ჰო, მაშ ასე იყო საქმე? ახლა ესეც გამაგებინე, რატომ მოგდის გული ჩემზე?

— იმიტომ, რომ ბალღივით იქცევი, დარტყმულივით ხარ. რამდენი დღეა, შენთან ლაპარაკი მინდა და ვერ მოვახერხე. გაგონილა? კარგი, ლაღო, რაც იყო, იყო! გული იჯერე დროსტარებით, იხეტიალე, იქეიფე... ახლა გეყოფა! სინდისიც კარგი საქონელია. აბა, ყური დამიგდე!

მიხეილ ჯვლიძე

ფიქრები

ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: რატომ ვწერ ლექსებს? რა ძალა მადგა, რომ ამ უცნაურ, „ჩიტის ენაზე“ გამოვთქვამ ჩემს ფიქრებს და განცდებს? იქნებ, ლექსის წერა ჩემს ნებაზე არაა დამოკიდებული? იქნებ „პოეტობა“, წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, პროფესია კი არაა, არამედ ხასიათის თვისებაა, ახირებული ჩვეულებაა, ან უფრო სწორედ — ადამიანის გარდაუვალი ხვედრია?!

პოეზია ცოცხალი სინამდვილის გადარჩენის, მისი შენარჩუნებისა და განაწიკლივების ცდაა. „მშვენიერი ხარ, წამო, შეჩერდი!“ — ესაა ხელოვნების ფორმულა.

პირველი ლექსი თორმეტი წლისამ დავწერე. ზაფხული იყო და სოფელში ვისვენებდით. იორზე წავედი სათევზაოდ, იქ შემთხვევით რალაცას შევხედე, მომეწონა, სახელი დავარჩიე და ფრაზას, რომელიც ჩემს სულში იშვა, მეორეც მოჰყვა. ორი სტრიქონი ერთმანეთს გაერთიმა და ამ თამაშმა იმდენად გამიტაცა, რომ ყველაფერი დამავიწყა: ანკესიც, ჭიყუელბიც... ერთი საზრუნავიღა მქონდა: ის, ჩემი გამოგონილი სიტყვები არ დამვიწყებოდა და რაკი ქალადი არ აღმომაჩნდა, რიყის ბრტყელ ქვებზე ამოკაწრე ის სიტყვები და ქვებით დატვირთული შინ

დაებრუნდი. მაშინ მივხვდი, რომ პოეზია მძიმე ტვირთიც ყოფილა...

იმის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ისევ და ისევ ვეკითხები ჩემს თავს: რატომ ვწერ ლექსებს? მართო იმიტომ, რომ მსიამოვნებს? რასაკვირველია არა. მეჩვენება, თითქოს ჩემი დაწერილი არა მართო მე, სხვებსაც სჭირდება. ამ გრძნობას აყოლილმა, ლამის არ დავიჯერო, რომ ზუსტი ცოდნისა და პრაქტიკული გაანგარიშების ეპოქაში, პოეზიას შეუძლია დაიცვას ადამიანი „ტექნიკური გავლურებისაგან“. მართალია, მხატვრული სიტყვის მოჭმედების არე შეზღუდულია, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ დღეს, როგორც არასოდეს, საჭიროა დავენერგოთ ადამიანში სიკეთისა და სილამაზის გრძნობა, შთაეაგონოთ მას ეაეკაცობა და სიმზნევე, კეთილშობილება, აწმყოსა და მომავლის რწქენა, რათა ღირსი გავხდეთ იმ ძალისა და თავისუფლების, რაც ადამიანს თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა მიანიჭა. შეუძლია კი პოეზიას ამდენი? ნამდვილად შეუძლია და ამ დიად მიზანს შეძლებისდაგვარად ემსახურება ჩემი კალამი.

• • •

მწერალი, პირველ ყოვლისა, კარგი მკითხველი უნდა იყოს და აი, მოხდება ხოლმე, გადაშლი წიგნს და

ამოიკითხავს ასეთ სტრიქონებს: „...და უცებ სამი თითი — ცერი, საჩვენებელი და შუათითი აეჭავა. საოცარი ჭკვილი იყო, წილისაც კი წააგავდა — ამ სამი თითით ეჭირა ლუქას კალმისტარი, ამ სამი თითით იღებდნენ სამარილიდან მარილს და საქმელში ჰყრიდნენ და ამ სამი თითით ლუქას წინაპრები პირჯვარსაც იწერდნენ; და ლუქას უცებ ისე მოუნდა შინ, თავის მაგიდასთან და ისე იგრძნო რაღაც საოცარი, წარმოუდგენელი დაუღებული ძალა, რომ ისევ გაიღიმა, და კაცმა, რომელიც მოთმინებიდან გამოიყვანა მისმა უმიზეზო ღიმილმა, ლუქასავე გადაიხარა და შეშინარევი, მკრთალი მუქარით ასე ჰკითხა: — ბოდიში, თქვენ შემთხვევით სულელი ხომ არ ბრძანდებით?“

არა მგონია, შემოქმედებით შურზე უფრო მტანჯველი განცდა არსებობდეს და, ამავე დროს, მასზე უფრო ბუნებრივი და კეთილშობილური არაფერია, რადგან შემოქმედებითი შეჯიბრის გარეშე (არის ასეთი შეჯიბრიც!) წარმოუდგენელი იქნებოდა მწერლის სწრაფვა იმ უჩინარი მწვერვალისაკენ, რომელსაც „ღიადი ვერასოდეს“ ჰქვია. ეს სახელწოდებაც გურამ დონაშვილს დავესესხე, ზემოთმოყვანილი სტრიქონების ავტორს.

მაზოგლები

ნიკო და ვანო მეზობლები იყვნენ. მათ ბინებს საზიარო თბელი კედელი ჰყოფდა; ამიტომ ყველაფერი, რაც ვანოს ოჯახში ხდებოდა, ნიკოს არ გამოეპარებოდა, ხოლო ნიკოს ამბავი შესანიშნავად იცოდნენ ვანოს ოჯახში.

მეზობლებს ჰირივით სძულდათ ერთმანეთი. ამის მიზეზი არც ერთმა არ იცოდა. აბა რა ჰქონდათ შესაშური ან გასაყოფი?! და მაინც, სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე უსიამოვნება მიეყენებინათ ერთმანეთისათვის.

ერთხელ, საღამოს, როცა ვანომ ღარიბული სადილი მოათავა, ცოლს და-

უძახა და ხმამაღლა, ისე რომ ნიკოსაც გაეგონა თავის ოთახში, უთხრა: — თვალი დაუდგეს ჩვენს მტერს! დღეიდან სულ სხვანაირად ვიცხოვრებთ! ჩაი დამისხი, თუ ქალი ხარ, ამ დოშმა გული ამისუყა!

ცოლმა გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ვანომ ხელით ანიშნა, გაჩუმდიო, თან სმენად იქცა: ანტერესებდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მეზობელზე მისი ნათქვამი.

კედელს იჭით ჩამიჩუმი არ ისმოდა. მხოლოდ თეფში დაეცა იატაკზე და გატყდა, მეტი არაფერი.

გვიან ღამით ნიკომ გააღვიძა ცოლი და ჩურჩულით უთხრა:

— მაგ მამამაღლზე ნაკლები ვარ! კაცი არ ვიყო, თუ ხეალ ღმერთივით სუფრა არ გავაწყო. აბა, მიყურე!

მართლაც, მეორე დღეს ნიკომ იმდენი ირბინა ქალაქში, რომ საღდაც კარგ სამუშაოს მიაგნო და საღამოს ფულიანი დაბრუნდა შინ.

იმ დღეიდან მოყოლებული მისი ოჯახის საქმე წაღმა წავიდა...

გავიდა დრო და ვანოს კიდევ უფრო გაუჭირდა. უქანსაყნელი ნივთი — ძველი კარადა სახლიდან გაიტანა და გაყიდა. როდესაც კარადას მიათრევენ, ვანომ, მეზობლის გასაგონად, ხმამაღლა უთხრა ცოლს:

— ეგ ახალი ტყავის სავარძელი მანდ, კუთხეში მიდგი! ბუფეტი კი ფანჯარასთან იყოს... ფრთხილად, კედელს არ წამოსდო!

ნიკომ თავის ოთახში გაიგონა ეს და ტუჩზე იკბინა. მეორე დღეს უთენია გავიდა სახლიდან და გვიან დაბრუნდა. შინ შესულმა ცოლს ფული გადასცა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ახალი ავეჯი იყიდე, მაგათზე ნაკლები ვართ?!

ღამშვენდა ნიკოს ოჯახი. გაივსო ძვირფასი ნივთებით, რადგან მეზობლის ტრაბახით წაქეზებული ნიკო თავს არ იზოგავდა, ირგებოდა, წელებზე ფეხს იდგამდა, რომ არაფერში ჩამორჩენოდა ვანოს.

ვანოს საქმე კი უფრო და უფრო უარესდებოდა. დილიდან დაღამებამდე სახლში იჯდა, არაფერს აკეთებდა და მშვიერ-მწყურვალად, კონკეტში გახვეული, მეზობლის გასაღიზიანებლად, ხან კრაველის ქურქს სთავაზობდა ცოლს, ხან ოქროს საყურეებს, ხან კიდევ რას... შურით გახელბულ მის ფანტაზიას საზღვარი არა ჰქონდა!... ბოლოს გადაპყვა კიდევ ამ ოცნებასა თუ ბოღმას.

უხეიუხელო ახაპი

ცოლმა მუყაოს კოლოფს ხუფი ახადა:

— ფეხსაცმელი ვიყიდე, მოგწონს? ქმარმა კოლოფიდან შავი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ამოიღო, ხელში შეატრიალა და ისევ კოლოფში ჩადო.

— საზღვარგარეთულია? — იკითხა, რომ რაღაც ეთქვა.

ცოლი სამზარეულოში გავიდა და ტურქული აახრიგინა.

— მოდი, არა გშია?

— ახლავე, — ქმარმა პაპიროსს მოუყიდა. „არგ ფეხსაცმელს აკეთებენ ის ობრები. ნეტა, რამდენი მისცა?“

სამზარეულოდან ცოლმა გამოიხედა.

— მშვიერ კეჭზე ნუ ეწივი, ჯერ პამე!

ქმარმა პაპიროსი საფერფლეზე დასდო, სამზარეულოში გავიდა.

ჭამის დროს ისევ ფეხსაცმელზე ფიქრობდა. მერე თავის ოთახში დაბრუნდა, საწერ მაგიდას მიუჯდა, საფერფლედან ჩამქრალი პაპიროსი აიღო და მოუყიდა.

მეზობელ ოთახიდან შეიღმა დაუძახა:

— მამი, გცალია?

— რა გინდა?

ბავშვი მიუახლოვდა.

— აბა ნახე, ამოცანა სწორედ გამოვიყვანე?

მამამ რვეული გადაფურცლა.

— ამოცანა სადღაა?

— წიგნში.

— წაიკითხე.

„ორი ჰიქა სამი მანეთი ღირს. სამი თეფშიც სამი მანეთი ღირს...“

— მერე, შენ რას სწერ? — ჰკითხა მამამ, — ხელმეორედ იანგარიშე, არაა სწორი.

ბავშვი აიმრიზა და ფეხათრევით გავიდა ოთახიდან.

ოთახში ისევ ცოლმა შემოიხედა:

— რომელ საათზე იწყება სენსი, არ დავაგვიანებთ?

— ექვსზე.

— ახალი ფეხსაცმლით წამოვიდე?

— როგორც გინდა, — მიუგო ქმარმა.

მეორე დღეს, დილით, ისინი საგარეუბნო მატარებელს ელოდებოდნენ. ვაგზლის ბაქანზე ბევრი ხალხი ირეოდა. კვირა დღე იყო და თითქმის ყველას ხელში სანოვაგით გატენილი ბადურები და ჩანთები ეჭირათ.

აქა-იქ ტურისტებიც ჩანდნენ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად შეყრილიყვნენ და ხმამალლა ყაყანებდნენ. წელწვრილ, თქმობანიერ გოგონებს ტანზე კოხტად მორგებული გაცრეცილი სავარჯიშო შარვლები ეცვათ, ვაყებს კი მძიმე ზურგჩანთები წამოეკიდათ მხრებზე და მამლაცინწებივით იჭიმებოდნენ, თავებს ატრიალებდნენ და მთელი თავისი იერიით ძლიერი სქესის უპირატესობას გამოხატავდნენ: აქაო და ნახეთ, რა ბიჭები ვართო! ზურგჩანთა ზოგიერთ ქალიშვილსაც ეკიდა, მაგრამ ესენი ულამაზონი იყვნენ და, როგორც ჩანს, კენტად წამოსულიყვნენ.

მატარებელი ჩამოდგა. სწრაფად დაიძალა და ისევ გაივსო. ცოლ-ქმარი ვაგონის შუაგულში აღმოჩნდნენ. ადგილის მონახვა ვერ მოესწროთ და ფეხზე იდგნენ. ქმარს ცალ ხელში გასკდომამდე გატენილი ბადურა ეჭირა, რომელშიაც ზეთისა და რძის ბოთლები, პერგამენტში გახვეული კარაჭი, ძეხვი და სხვა სანოვაგე ეწყო. მეორე ხელში ტორტის კოლოფი ეჭირა. როცა მატარებელი

რებელი დაიძრა, ცოლმა ტორტი გამოართვა და უთხრა:

— რა უშნო ხარ! ადრე შემოსულიყავი, ადგილი დაგეკავებინა, სულ ეგეთი ბედოვლათი უნდა იყო?

ქმარს არ გაუგონია მისი ნათქვამი, რადგან გაშტერებული ფანჯარაში იყურებოდა. ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

— ამ ზაფხულსაც დედამშენთან გავატარებთ სოფელში?

— რასაკვირველია, რატომ მკითხე?

— ისე... კარგი იქნებოდა ტურისტულ მგზავრობაში წასვლა...

— ახალგაზრდა, შარვლიან გოგოებთან ერთად, არა? — ღვარძლიანად შენიშნა ცოლმა.

ქმარმა მხრები აიჩეჩა.

მატარებელი პატარა დაბაში გაჩერდა. ისინი ბაქანზე ჩამოვიდნენ. აქედან სახლამდე ხუთი წუთის სავალი იყო.

გზიდან გადაუხვიეს და კარტოფილის ნათესებს შორის თეთრად დამჩნეულ ბილიკს დაადგნენ. წინ ცოლი მიდიოდა, ქმარი უკან. ცოლს ტორტის კოლოფი ეჭირა ხელში, ქმარს კი სანოვავით გატენილი ბადურა.

უბრად მიდიოდნენ.

ერთ ადგილზე ბოგირი უნდა გადაევიდნენ. ბოგირის ქვეშ ხმაურით მიედინებოდა მღვრიე, აქაფებული წყალი. გაზაფხულის მზეს თოვლი გაედნო და არხში წყალი მოდიდებულებოდა.

ცოლის ქუსლებმა გაიბაკუნა ბოგირზე, ქმარი კი გაჩერდა და წყალს დააშტერდა. ნაკადის შუაგულში რამდენიმე სიბი ლოდი ეგდო. ლოდებს შორის პატარა მორევი ბრუნავდა. ამ მორევიში ხის ნაფოტი ტრიალებდა, აქამდე მოეტანა წყალს და გაეჩერებინა: ლოდები აღარ უშვებდნენ ნაფოტს.

ქმარმა ბადურა მიწაზე დადო, დაიჩოქა და წყალში ხელი ჩაჰყო. ცოლი მობრუნდა და გაოცებული მისჩერებოდა.

— რას შერები, ადამიანო, რას ეძებ?! ნამდვილად გადაშრევს ეს კაცი!

ქმარმა მისწი-მოსწია ქვები, ნაფოტს გზა მისცა, მერე ადგა და მუხლებზედგან ტალახი ჩამოიფერთხა: *მისწი-მოსწია*

— იარე... — ჩაილაპარაკა თავისთვის და ცოლი ვერ მიხვდა, ვის ეუბნებოდა: მას თუ პატარა ნაფოტს, რომელსაც მზიარული წყალი თავდაღმართში მიაქანებდა.

ჩემი ნაცნობები

ჩანახატი

— მე მაინც წავალ ბაკურიანში! — ქირვეულად ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და მიჯრით მიწყობილი ბასრი კბილები გამოაჩინა. მელიის ქურქში გახვეული, თვითონაც მელიას გავდა გამბდარი, წაწვეტებული სახითა და ვიწრო, ეკლიანი თვლებით. შეღებილი წამწამები ოდნავ მიენაბა და მანქანის საზურგეზე გადაწოლილი გულგრილად მისჩერებოდა ფანჯრის იქით გაშლილ სანახაობას.

— უყურე ამას?! — წამოიძახა ქალიშვილის დედამ, ახალგაზრდა სახის არაჩვეულებრივად მსუქანმა დედაცაცმა, მთელი ტანით მოუბრუნდა მის გვერდით მჯდომ სტუმარს და ლამის მიასრისა მანქანის კარებს. — როგორ მოგწონთ ახლანდელი ქალიშვილები, სიმონ?! დედამისი ეუბნება არაო, ეგ კი თავისას გაიძახის!

— მაგას არ ეკითხებიან, წაეა თუ არა! — გაისმა წინიდან მამაკაცის შეუვალი ხმა, — როგორც ვიტყვი, ისე გააკეთებს!

— ახალგაზრდა ქალია, ალექსევიჩი. — ჩაერია შოფერი, — გაუშვი, წავიდეს! ახლა ლიენი სეზონია, მთელი თბილისის გოგო-ბიჭები იქ არიან, — შოფერმა კისერი მოიღრია და ქალიშვილს თვალი ჩაუკრა, — მაგანაც გაიხაროს, რა მოხდება?!

— წინ იყურე! — თქვა მამაკაცმა. — ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით!

— მაინც წავალ! — აი, ნახე, თუ არ წავიდე! — გაბრაზებით გაიმეორა მე-

ლიამ და საყელოში ცხვირი ჩამალა.

სტუმარმა სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— დიდი ხანია არა ეყოფილვარ აქეთ... — თქვა მან, ფანჯარა გამოაღო და კვამლი გარეთ გაუშვა. — ხომ არ დაგიბერავთ? — ჰკითხა მეზობელს.

— არა, იყოს. — ქალმა თავისი ზორბა ტანი აამოძრავა და განზე გაიწია, — წლებულს თბილი ზამთარია.

— ეგა, პუბულა, მიეჩვია რუსეთში ყოფნასა, — უკან მოუხედავად შენიშნა ქმარმა, — მაგას სიცივე უფრო ეყვარება.

— აბა, აბა! დიდი კაცი გაგვიხდა სიმონი, საქართველოში აღბათ აღარც აპირებს დაბრუნებას. იქ გირჩევნიათ ყოფნა, არა, სიმონ? მართალი მითხარით, გეთყვია!

— ურჩევნია არა, ისა!

— ნუ იტყვი, კოტე. ადამიანს ყოველთვის იქ ურჩევნია, სადაც კარგადაა მოწყობილი. რა აკლია მაგას? შესანიშნავი ბინა აქვს, სამსახური. აქ ჩამოდის და ყველა პატივს სცემს, ხელის გულზე ატარებენ... მეტი რა უნდა?

— მე კი ბაკურიანი რაა, იქაც არ მიშვემთ! — გესლანად ჩაილაპარაკა მელოამ.

— ენას კბილი დააკირე, გირჩევნია! — მამამის არც ახლა მოუხედავს, გაუნძრევლად იჯდა და გზას გაჰყურებდა. სტუმარი მხოლოდ მის გაპარსულ კისერსა და ყურებამდე ჩამოწეულ შლიაპას ხედავდა.

— სოფელში თუ დარეკე, კოტე? იციან, რომ მიედივართ?

— იციან, მაშა!

— დიდი პურმარული ექნებათ, ასეთი ძვირფასი სტუმარი მოგყავას...

— არხეინად იყავი. ფეხზე დავაყენე ყველა. ერთი შევეძახე ჩემებურად და ვსიო! მოგვარე კაცი მომყავს-მეთქი, ცნობილი პოეტი, თქვენ იცით, როგორ

დაგვხედებით, თავს თუ გამოიჩენთ... ახლა იქ ისეთი ფაცა-ფუტეა, ატყდება და, ქუსლებს სულ ისეშვრს, ბრტყმენს! — კოტემ გულიანად გადაიხარხარა.

— რა ენა გაქვს, კაცი! სტუმრისა მაინც გრცხვენოდეს!

— არა უშავს, კახელია, გაუმღებს!

— სიძე როგორა გყავთ, კოტე? — ვითომ სხვათა შორის იკითხა სტუმარმა, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა.

— სიძე უკვე ნუფრიანში ბრძანდება. რას გააცდებს ქეიფსა!

— ჩვენთან რატომ არ წამოვიდა?

— „მოსკვიჩს“ აღარ კადრულობენ ეგა და მისი კნინა. საკუთარი „ვოლგა“ ჰყავთ!

— ბიჭიც წამოიყვანეს?

— აბა! ჩემი ვაჟა თუ არ მეყოლა გვერდში, ისე რა გემო აქვს ქეიფს?

— ვისა ჰგავს? — გაელიმა სიმონს.

— ვისა და პაპასა, ჭენაცვალე ისე-მეში!

— კარგი ახლა, მამა! გვაკმარე შენი ხუმრობა. ურიათუბანში ხომ არ გგონია შენი თავი? — ტუჩი აიმრიზა მელოამ და ისე გადახედა სტუმარს. თითქო ბოდიშს იხდისო მამის უზრდევლობის გამო.

— რაო, ვითომ? აღარ მოგწონთ ურიათუბანი?... ჰაი გიდი, რა დრო დავგა! გესმის, სიმონ, რას ამბობენ?.. მამაცხონებულო, შენცა და შენი დაც იქ დაიზარდენით, იქ აიდგით ფეხი, ახლა ვითომ კულტურულები გახდით, რაღა, აღარ კადრულობთ კახეთსა? აბა, რა უნდა გელაპარაკოთ! — კოტეს თავისებურად უნდოდა რაღაც დაეყოლებინა, მაგრამ თავი შეიკავა.

რამდენიმე წუთის შემდეგ გზატკეცილი საურმემ შესცვალა. წინ ვენახები და კრამიტით გადახურული სახლები გამოჩნდნენ. მანქანა სოფელს უახლოვდებოდა...

ზვიად გამსახურდია

დაღუპული კოსმონავთების ხსოვნას

ლაქვარდის განივი
მოსურეთ,
მორკალეთ,
რათა სულს ბორკილი
არ ედოს
აროდეს,
შორი ტატანივით
განჭარდით ციერნი,
რათა მიღმიერი

სიღურჯე გვარავდეთ.
სიფრცის კოლუმბებო,
გლოვობს ქარტეხილი,
ელვათა მოქიშპედ
აღარ იწოდებით,
თვალი — დაცრემლილი,
გული — დამუხილი,
მიწა შეისუდრა
დღეს თქვენზე გოდებით.

გადაკვიონ ზაბიძისადმი

გველესაპები იწვოდნენ ცაზე,
რაში რაშობდა რუში რებული,
გაფითრებული მიჰყვებოდი ედემის ვაზებს.
ცაზე კრებული ცისიერთა როს დაიფერფლა,
თვალანთებული შესდექ მამინ ბნელ ტირიფებთან
და შემოგესმა
კენტავრების აურზაური.
მამინ ლოგოსმა
იფეთქა შენში და მოზღვაული
დაინთხა ლექსი
და ამ ნალექში
შენ ამოაგზნე ტრიანონის ნელი ანთება
და მით დალუქე,
ცისებრ სალუქი,
სულის შენის უნაზესი ფოლიანტები.

მ ი ძ ლ ვ ნ ა

სონეტი



საპირისპირო განათების სხივი ფარული,
შემოესალტა დაუტირებ სახვათა კრებულს.
ვით შეღამების შუქ-ჩრდილები მთას დაფიქრებულს,
ეწვევა სულის საკურთხეველს ახლა სხვა რული.

გრავლის კოშკი შორით მოსჩანს ქიმ-გაბზარული,
ბალლას ათენას, სიბრძნის ველზე უმფოთვლად რებულს,
შავი ყორანი აზის თავზე და გაფითრებულს
გარს ახვევია დემონების ბილწი არული.

მოსალოდნელი მწუხარების კუშტი მაყარი,
მტკიცედ მივყვები მე ნაკვალევს მზიურ შუბისას,
შენ, თმაგაშლილი, თავზე ნაცარგადანაყარი

მლოცავ, მაირდები გრძნულ სიტყოს შენი უბისას,
მე ვარ სიზმარი, შენ — სიზმრების მხილველი ჩუმი,
მე ვარ ცხედარი, შენ — სუდარის ხარ აბრეშუმი.

ღამე კახეთში

როდესაც ღამე კვლავ მოაწევს და ცისარტყელა
დაჰკეცავს ხოლმე ფრთამოხატულ მარაოს თვისას,
როდესაც ტვერში გაიღვებებს ციციანათელა
ცეცხლის ფანტელად,
და სიო მოჰბერს სურნელებას შორეულ მთისას,
ოდეს ბუნება კვლავ მოხუჭავს ღვთაებრივ თვალებს
და მიიძინებს, რათა სიზმრად ნახოს ზესკნელი
და რუდუნება კვლავ მოიცავს მწუხრ არემარეს
დაკარგულ მთვარეს
გამოაგორებს ღრუბლებიდან უჩინო ხელი,
გადამსლება ჩემს წინაშე ტურფა ყვარელი,
ეს საარაკო ხეივანი, ზვარი, მადები,
დღეს მობიბინე და ძველად კი სისხლით ნაღები.
გლების მარჯვენა მადლიანი ნიადაგ იღწვის,
რომ არასოდეს დავივიწყოთ სურნელი მიწის.



ნ რ მ ი



ძვლები ღაღადებენ წრომში,
გმინავს წარმავლობის ქარი,
წლებთან და ქარებთან ომში
კატამონს დაეტყო ბზარი,

დრომ სივრცემორგებულ გუმბათს
და ბჭეს გადმოსხდა წყრომით,
ლაქვარდს ითოვს იაგუნდად
და მზეს აგალობებს წრომი.

ზარები ესიზმრება წრომს
და ზღვა ღაღადთა,
ხანაც ეზმანება რომ
საიქიოს დაღამდა.

წირვათა კურთხეულ აღში
ღნება ცვილივით,

ჩუქროთმის კოკრებს გაშლის
ხილვის ყვავილებად.

მწუხრს მწუხარება ახლავს
სულს ეპარება ცოცვით,
ცა დროთა ნახმლევს
იშუშებს ლოცვით;

ხანაც იპყრობს ნაღველი
მთაზე ნისლად მდგომი
და შრავლის მნახველი
ჩუმად სტირის წრომი.

წლები ჩამიწებულან წრომში,
წრომი — ქვით ნაგები ემბაზი,
წარმავლობის სიმწარეში
ფიქრობს სამებაზე.


ბ მ რ ე რ ი

იგი დიდების კარნავალია,
სხვათა დიდება მასთან უქმია,
მან ბოროტების სატურნალიას
ეშმაურ ლექსად ამბრი უქმია,

სიკვდილის შავი თესლი ბოდლერი,
აჲ ზმანებათა წარღვნად მზადები,

სუნთქვამისდილის სული მბოდველი,
წყველა, ქვესკნელით ნაღაღადები;

იყო კუზენი დიდი სატანის,
და როს შესცვალა ბედმა ტაროსი,
პაშივის გველმა მორკალა ტანი,
და გამოეყო ცას იკაროსი.



პატარა მოთხრობები

ზ კ რ ი

ის დიდხანს ეკიდებოდა სიცოცხლეს, როგორც ხავსი ჭერ შეუფოთლავ ხეს, მაგრამ ყოველდღე აკლდებოდა თვალისჩინიც და მუხლში ძალაც. საიდანღაც, ჩრდილო კავკასიიდან იყო ჩამოსახლებული, ომის მერე ქართლის ამ პატარა სოფელში შერჩენილიყო და ფესვიც გაედგა. მაგრამ უიღბლო ვარსკვლავზე გაჩენილს ოჯახი მალე დანგრეოდა და უპატრონო, დასნეულებული, თვითონაც დაღუპულიყო სანთელივით. ნეტავი ერთბაშად ჩამქრალიყო, მაშინ მისი ცოდვით აღარ დაიწვებოდა ქვეყანა.

ახლა იწვა ტახტზე გამოტილი და ზეწარწაფარებული. ვინ ჰყავდა, რომ მის სიკვდილს დაეზაფრა და ჰირისუფლად დასდგომოდა. ისევ სოფელს უნდა ეთავა მისი პატრონობაცა და გაპატიოსნებაც.

კაცები შორიახლო იდგნენ, ეზოში, ჰიშკართან, ორღობეში. ოთახში შავებში ჩაცმული ქალები მიდიმოდიოდნენ, უხმაუროდ, საჭმიანად და თავდაჯერებით. რაღაც შემოქონდათ, ფანჯრებზე შევ ფარდებს ჰკიდებდნენ. ოთახის ჰერიდან აბლაბუდები ჩამოკრიფეს; იატაკი სველი ჩვრით მოწმინდეს. მერე კედლებთან სკამები ჩამწყრივეს და ერთი-

მეორის გვერდით, მჭიდროდ ჩალაგდნენ.

ერთმანეთს მისჩერებოდნენ. უსიტყვოდ, ცნობისმოყვარე თვლებით და ელოდნენ ვინმეს პირველს ამოელო ხმა. ელოდნენ ზარსა და მოთქმას, მაგრამ მოზარე და დამტირებელი არ ჩანდა. შავებში ჩაცმულ ქალებს ისე გამოეკედათ ოთახის ოთხივე კედელი, თეთრი ჭუჭრუტანაც არსად დაეტოვებინათ, მაგრამ ზარი მაინც არ ისმოდა.

არ იცოდნენ რა ეთქვათ ამ უცხო მხრიდან ჩამოთესილ კაცისათვის, უპატრონოდ მიგდებული საპყარი როგორ დაეტირებინათ, ცოცხალი არავინ დარჩენოდა, რომ გულწრფელი ცრემლი გულზე მალამოდ მაინც მოხვედროდა.

მოხუცი ნატო შინდის გაროკილ ჯოხს ორივე ხელით დაყრდნობოდა, დაშაშრული სახე მუშტისოდენა ქცეოდა. თალხი კაბა ეცვა; წელზე შალი შემოეხვია და ლაფიანი ჩუსტებიდან შავი წინდები მოუჩანდა.

ნატოს პირდაპირ სალომე იჯდა, ჩაგორებული დედაკაცი. მხრებზე თბილი პალტო წამოეხსხა, მარჯვენა ხელში ჩაქმუჭნილი ცხვირსახოცი ტუჩებთან მიეტანა და მიცვალებულს კი არ უყურებდა, თავის მეზობლებს აკვირებო-

და, თითქოს რაღაც დაკარგვია და ეძებ-
სო.

კარებთან შემკრთალი, ლამაზად ჩაც-
მული გოგონები ისხდნენ, წუთიერ შე-
შფოთებას მათი სანდომიანი სახეები
შინაგანი შუქით გაენათებინა. ერთს
მუხლებზე ეწყო ხელები, მეორეს გულ-
თან დაეკრიფა და მორჩილად, წასაბა-
ძად შემზადებულნი შესცქეროდნენ
უფროსებს, ელოდნენ მათგან ტირი-
ლის დაწყებას, რათა თვითონ სიტყვას
თუ ვერ ეტყოდნენ მიცვალებულს,
ერთი მართალი ცრემლი მაინც ჩამოეგ-
დოთ.

მაგრამ ტირილის დაწყებას არავინ არ
აპირებდა. ოთახში უხერხული სიჩუმე
იწვა, მკაფიოდ ისმოდა სკამის ოდნავი
გატოკება და ადამიანების დაძაბული
სუნთქვა.

ნატომ ჯოხი დაბლა, ფეხებთან დადო,
ერთი ამოისლუქუნა და ჩიფჩიფითა
თქვა:

— რა გინდა, სიკვდილო, დეგვეხსენ
შე ხსენებავასაწყვეტო...

— აღარ დეგვეხსენები? როდემდე
უნდა იფარფაშო? — შეუძახა სალომემ
და პალტო გადაიძრო მხრებიდან, —
არ გეყო, ჩემი ლომივით ვალიკო რომ
წაიყვანე...

— ხალხო... ხალხო... — აკივლდნენ
ფანჯარასთან აკრული ქალები, — ქვე-
ყანაზე მაშ საპართალია?... მე ფეხზე
უნდა დავდიოდე და ჩემი ნორჩი გიგო-
ლა მიწაში იწვეს?

ოთახის ოთხივე გადაშავებული კე-
დელი შეტყდა, ქალებმა ადგილი შეი-
ცვალეს და აქა-იქ თეთრი ჭუჭრუტა-
ნებიც გამოჩნდა. ახლა ყველას გაახსენ-
და თავისი მკვდარი და ყველამ წაუტი-
რა. მალე ისეთი ზარი დადგა, რომ ხმა
ეზოში გავიდა და კიშკართან და ორლო-
ბეში ჩამომდგარი კაცები ერთად შეაგ-
როვა. კაცები დინჯად, უფროს-უმცრო-

სობით შემოლაგდნენ ჯერ ეზოში და
მერე საჩხეში, გატრუნულნი დადგნენ
ერთიმეორის ზურგსუკან და ჩაფიქრ-
დნენ. ქალების მოთქმაზე თვითეულს თა-
ვისი სატიკვარი წამოაგონდა, ომში და-
კარგული მამა თუ ძმა, შეილი თუ სიძე.
სხვებიც წამოაგონდათ, ზოგი ხიფათს და
ფათერაკს რომ გადაყროდა, ზოგი კი
უკურნებელ სენს მოესპო. მოთქმა ცო-
ტა რომ მიწელდა, კაცებმა ჩახველეს,
სიგარეტს მოუკიდეს, ცოტა უფრო
ხალვათად დადგნენ და აქამდე რომ
არავინ არ ფიქრობდა, ახლა ქელების
სამზადისსაც შეუდგნენ.

— ბესო, — უთხრა სახედაწითლე-
ბულმა, შუბლზე ქოჩორჩამოშლილმა
ყარამანმა ბრუნეტისმოსასხამიან კაცს.

— ერთი ჭედილა უნდა მოგვეცე.

— გვეყოფა? — შეექვდა ბესო.

— ჭამა ქონებაზე ჰკილია. რამდენს
ჩამოდიხართ, ბიჭებო? — მიუბრუნდა
ყარამანი იქ მდგომთ.

ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა. ყარა-
მანმა იქვე დაავალა ერთს ფულის აკ-
რეფა, მეორეს ღვინის ყიდვა, მესამეს
ხალხის მოწვევა და ასეთ საქმეებში
გამოცდილი კაცები დაფაცურდნენ,
კარგად იცოდა თვითეულმა რა და რო-
გორ გაეკეთებინა, პირველი შემთხვევა
ხომ არ იყო.

ოთახში კი ქალები იგონებდნენ თა-
ვიანთ გაუნელებელ დარდს და ამ მო-
გონებას მათი გული ისე აეჩუყებინა,
რომ მღუღარე ცრემლით დასტიროდნენ
მიცვალებულს.

ის კი, ჩრდილო კავკასიიდან რომ იყო
ჩამოსახლებული და მთელი სიცოცხლე
ტრაბახობდა, ჩემს ქვეყანაში რამდენი
სოფელიც არის, იმდენ ენაზე ლაპარა-
კობს ხალხიო, ახლა მღუღარედ უსმენდა
სოფლის ზარს. ეს ენა ალბათ მისთვისაც
გასაგები იყო.

ქორწინების სახლი



ჯერ გამიხარდა ქორწინების სახლიდან გამოსულ ახლად შეუღლებულ წყვილს, ნათესავეების, მახლობლებისა და ამხანაგების გარდა, კინტოს შარველხალათში გამოწყობილი კაციც რომ მიეგება არღნით ხელში. პათეტიკური მარშისა, შამპანურისა და შოკოლადის მერე არღნის ხმა წარმართულ უბიწოებად მოისმა. მეარღნე სიმე-პატარძლის „ნათლიებმა“ უბეად, ხელგაშლილად დაასაჩუქრეს და სწრაფად შელაგდნენ თეთრ „ვოლგებსა“ და „ჟიგულებში“, წითელი ბაფთებით რომ იყო მორთული.

ქუჩაში სიჩუმე ჩამოწვა. ქორწინების სახლში კი კვლავ სამზადისი იყო ახალი წყვილის შესაუღლებლად, რომლებიც ამ პათეტიკურ მარშს, შამპანურსა და შოკოლადს დიდი მოთმინებით ელოდნენ ერთი თვე.

მეორე წყვილიც რომ გამოვიდა, მეარღნე მათაც მიეგება ცხვირამდე ჩამოფხატული ქედით, ფაშფაშა შარველით და ვერცხლის ქამარზე ჩამოპროწიალებული ჭრელი ხელსახოცით. მეარღნის დანახვა ისევ გამიხარდა, მაგრამ ახლა უკვე გამიკვირდა, ასე დაბარებულივით საიდან ჩნდება-მეთქი. მექორწილენი წავიდნენ, მე კი თვალი „კინტოს“ მივადევნე. იგი თვალსა და ხელს შუა გამიქრა. სად უნდა წასულიყო, ალბათ იქვე ჩაეიდა სარდაფში, ან ჩიხში შეუხვია.

ვიდექი და ველოდი. იმ დღეს ქორწინების სახლიდან ახლადშეუღლებული წყვილი აღარ გამოსულა. გვიან მივხვდი, რომ კინტო და ქორწინების სახლში შესული წყვილები, რაღაცით ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

ყველაზე მარტივი გზა იყო, რომ სიმე-პატარძლის ნათლიები წინასწარ უთანხმდებოდნენ კინტოს, დროს უნიშნავდნენ და ისიც ზუსტად მოდიოდა. მაგრამ რამდენიმე დღის მერე ისევ რომ გავიარე ქორწინების სახლთან, აღ-

მოვჩინე, რომ ახლადშეუღლებული წყვილების ნათლიები არ იცნობდნენ კინტოს და თავდაპირველად თვალის არიდებასაც ცდილობდნენ, სანამ ვიღაცამ არ უჩუტრჩულა, რომ სირცხვილი იყო კინტოს „შემუხმეველობა“, თუ ნათლიებს არ სურდათ ძაღლების სათრევი გამხდარიყვნენ.

ახლა კი ფეხდაფეხ მივდიე მეარღნეს და იქვე, ჩიხში მდგომ ფარდულის წინ აღმოვჩნდი. კინტო ფარდულში შევიდა, არღანი კუთხეში მიდგა, ხვერდის ნაჭერი გადააფარა, თვითონ ლურჯი სამუშაო ხალათი შემოიცვა და ძველებური ქუდიც ლურსმანზე დაკიდა.

ფარდული ძველი, გაცვეთილი ფეხსაცმელებით იყო საესე, კინტო კი ნამდვილი მეჭლანე იყო — სადგისით, თაფლის სანთლით, ნართის ძაფითა და „პრიმა“ სიგარეტით.

ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა ბოლომდე გამეგო „ფირმის საიდუმლო“. მეორე დღეს სარდაფიდან ამოვიტანე გადაგდებული ფეხსაცმელი და მეჭლანეს დასაყერებლად წავუღე.

— ძალიან მეჩქარება და ახლაც უნდა გააკეთო, — ვუთხარი და დაუპატიჟებლად პატარა სკამზე ჩამოვჯექი.

— ბევრი საქმე მაქვს, შეილო!

— მოვიციდი.

— რას მომიციდი? არ გეყურება, საქმე მაქვს-მეთქი.

— ჩემი ფეხსაცმელი საქმე არ არის?

— გუშინდელი მუშტარი გაეაბრუნო და შენი შეკვეთა მივიღო?

— რატომ ბრაზობ, მაღარიჩი იქნება.

— თუ გინდა ხვალ მოდი, დღეს არა მცალია.

გამოვბრუნდი, მაგრამ კარებშივე დამეწია მისი ხმა.

— ჯეელი ბიჭი ხარ, არ გაწყენინებ, — მითხრა და ფეხსაცმელი გამომართვა. დახედა. გადააბრუნა. ზონარი გამოაძრო. სამიერე თითებით მოსინჯა. ეჭვია-

ნად თავი გადააქნია, — ეს ნაგავი სად იპოვე?

სახტად დავრჩი.

— ნაგავი კი არა, ფეხსაცმელია — ვუთხარი ნაწყენმა.

— შენთვის იქნება დირიჟაბლიც არის, ჩემთვის — ნაგავია, — იფიქრა, იფიქრა და მერე დაუმატა, — არა, ამაზე ხელს არ გავიფუქებ.

— იქნება მეტი არა მაქვს? — დავაპირე ნამუსზე შემეგლო.

მეკლანემ ფეხებზე დამხედა და ახალთახალი „ინსპექტორები“ რომ შემინინა, ცერად ამათვალიერა. თვლებში

ცივი სხივი ჩაუდგა და ზოლმიანად მკითხა:

— ეს ნაგავი ყასიდად მომიტანე? ფინაგენტი თუ ხარ, თავიდანვე გეთქვა, რა ფოკუსებს თამაშობ?

მივხვდი, საუბრის გაგრძელება აღარ ღირდა, დარცხვენილი გამოვედი ფარდულიდან.

ერთი თვის მერე ისევ მომიხდა ქორწინების სახლთან გავლა. ქუჩაში ახლად შეუღლებული ქალ-ვაჟი იდგა. პათეტიკური მარშისა, შამპანურისა და შოკოლადის მერე ჩემი ნაცნობი „კინტოს“ არღნის ხმა წარმართულ უბიწოებად ისმოდა.

წ ბ ი მ ა

სასტუმროს დიასახლისმა თეთრეული გამოცვალა, გრაფინით ახალი წყალი შემოიტანა და ძილი ნებისა უსურვა ბიძინას. მერე კარი გაიხურა და ღერფანში თანდათან დაიფრფლა მისი ფლოსტების ტყაბატყუპი. ბიძინა ფანჯარასთან იდგა. უკან არ მოუხედავს. სიგარეტის კვამლში გახვეული თვალგამტერებული მისჩერებოდა ოთხკუთხედ, უზარმაზარ მინას, რომელიც სარკველივით დაშვებულიყო ქალაქსა და სასტუმროს პაწია ნომერს შორის. სიგარეტის კვამლი თხლად ეფინებოდა მინას, ქალაქს თანდათან ეკარგებოდა კონტურები და ბიძინას ეჩვენებოდა, რომ აკვარიუმში იჯდა და იქიდან თევზის თვალებით გაყურებდა სივრცეს.

ეს მივლინებაც როგორ უეცრად დაატყდა თავს, ბიძინას შინ არ შეუვლია, პირდაპირ სამსახურიდანვე გასწია მატარებლისაკენ, რომ ღამე არ ემგზავრა. მატარებელში უძილოდ გატეხილი ღამე ბიძინას მძიმე სასჯელად მიაჩნდა, მეორე დღეს დარეტიანებული დადიოდა ზოლმე.

„ღამის მატარებელი მხოლოდ ახლა წამოვიდოდა თბილისიდან, — გაიფიქრა ბიძინამ, — მე კი უკვე სასტუმროში

ვარ და დიასახლისმა თეთრეულიც გამოცვალა...“

სასტუმროს ნომრიდან პატარა ქალაქის დაბრეცილი ქუჩა მოჩანდა. დამკვინარ სოკოებივით მიწოლილ-მოწოლილი სახლები საღამოს ბინდბუნდში იყო გახვეული. ულტრათანამედროვე სასტუმროს შენობა თითქოს ირონიით დასცქეროდა ამ პაწაწინა სახლებს. ქუჩასაც თითქოს ეგრძნო უცხო სტუმრის ამპარტავნობა და მინაბულიყო. ბიძინა უყურებდა პაწაწინა სახლებს და ცდილობდა გამოეცნო მათი ბინადარნი. აი ერთი სახლის აივანზე კრელხალათიანი ქალი გამოვიდა, შუბლზე ხილაბანდი ჰქონდა წაქრული და მოაჯირსდაყრდნობილი ვილაცას ეძახდა. მეორე სახლის კიშკართან „მოსკვიჩი“ შეჩერდა და მანქანიდან სამი ქალი გადმოფოფხნდა. მათ შავები ეცვათ და სახლისაკენ ისე ფრთხილად მიდიოდნენ, თითქოს ქუჩა მინის ნამსხვრევებით იყო მოფენილი. მერე ბავშვები გამოცვივდნენ ეზოდან, სიცილით გადასქრეს ქუჩა, სანამ ვილაცამ არ დაუცაცხანა და ლობესთან არ მიიყუენენ.

უკანასკნელად ბიძინა ამ ქალაქში ოცი წლის წინ იყო. მაშინ აქ, სასტუმროს ადგილზე თავლასავით გრძელი,

უფანჯრებო მალაზია იყო, სადაც ცხენის უნაგირებს, თასებს, თოკებსა და კიდევ რალაც-რალაცებს ყიდდნენ, კარგად ახსოვს ბიძინას, გამყიდველს უნაგირი რომ გადმოაღებინა და გულდასმით გასინჯა. გამყიდველი და მალაზიაში გასართობად მოსული მოხუცები ბიძინას ურჩევდნენ უნაგირი ეყიდა, რადგან ქალაქში ეს ერთადერთი მალაზია იყო, სადაც უნაგირის ყიდვა შეიძლებოდა. ინატრა მაშინ ბიძინამ აღარ დაბრუნებულიყო თბილისში, უნაგირთან ერთად ცხენიც ეყიდა და პირიქითა ხევსურეთში გადასულიყო. ეგონა იქ იპოვიდა იმას, რაც დიდ ქალაქში არ ჰქონდა.

ვერ გაბედა მაშინ ბიძინამ უნაგირის ყიდვა. მის ნაცვლად მტვრიანი ოდეკოლონი „იასამანი“ იყიდა, რადგან რალაც ხომ უნდა ეყიდა, ამოდენა ცნობის-მოყვარედ მოჩერებულ თვალს ხომ ვერ გააწილებდა. ოდეკოლონი იქვე მდგომ პატარა გოგონას მისცა.

— არ მინდა, — ცივად იუარა დარცხვენილმა გოგონამ.

— აილე, გოგო, — ურჩიეს მეზობლებმა.

გოგონამ გამოართვა ბიძინას ოდეკოლონი და გაწითლებული სახე უბეში ჩამალა.

ეს ისეთი წვრილმანი და ჩვეულებრივი რამ იყო ბიძინას ცხოვრებაში, რომ მაშინვე დაავიწყდა. გოგონასთვის სახელიც კი არ უკითხავს, ოღონდ შენიშნა, რომ ამ ცუდად ჩაცმულ, სიცივით აბუხულ გოგონას ძალიან თეთრი და ლამაზი ხელები ჰქონდა.

წვიმდა. ბიძინა დარწმუნებული იყო, რომ ბაწვიმდებოდა. წვიმის წვეთების წკაპუნო იმოდან უზარმაზარ, დევის თვალვით დაჭყეტილ ფანჯარაზე. ბინდს თქორიც შერეოდა და ქუჩაში აღარაფერი ჩანდა. ბიძინა ისევ ფანჯარასთან იდგა და უკან მოხედვისა ეშინოდა. არ იცოდა როგორ უნდა გაეთენებინა ღამე ამ პატარა ქალაქის საყდარივით გამოყრუებულ სასტუმროში. სჯობდა ისევ ჩაბნელებულ ქუჩისათვის

ეცქირა. ხანდახან გამოყრუებოდა სინათლე პაწია სახლებიდან და წვიმა ხმაურობდა. ეს კი რალაცით სიცივტელს ჰგავდა.

კარებზე ვილაყამ დააკაუნა. ბიძინა მთელი სხეულით შეერთა. ვინ უნდა ყოფილიყო. მივიდა და ნელა გამოაღო კარები.

— თქვენს ნომერში რადიოს ხაზი დაზიანებულია, — უთხრა სასტუმროს დიასახლისმა ბიძინას, — დაბლა ტელევიზორიც გვაქვს...

ბიძინამ შეხედა ქალს, რომელსაც გულზე ჩვილი ბავშვივით მიეხუტებინა ბაწრის გორგალი და ჩხირები, თვალში ეცა ქალის თეთრი და ლამაზი ხელები.

— მადლობელი ვარ, ჩამოვალ, — მიუგო ბიძინამ.

დიასახლისი წავიდა ფლოსტების ტყაპატყუბით. ბიძინამ კარები მიხურა და სკამზე დაჯდა.

წვიმდა. გარეთ აღარაფერი ჩანდა, აღარც სახლები და აღარც სინათლები. ოთახში უკაცური მყუდროება სუფევდა. ბიძინამ კედლები მოათვალიერა და რეპროდუქტორს მიაგნო. მივიდა და სახელური გადაატრიალა. მეხვით გაიშმა სიჩუმეში თბილისელი დიქტორის ხმა. ბიძინამ რადიო გამორთო და დიასახლისი მოაგონდა. „ნუთუ არ იცოდა ნომერში ხაზი რომ არ არის დაზიანებული? — გაიფიქრა მან.

წამოდგა, საწვიმარია აიღო. „ეზოში მაინც გავალ, თორემ აქ სული შემეხუთება“, — ფიქრობდა ბიძინა და ნავთისა და ნახერხის სუნით გაელენთილ კიბეზე ჩარბოდა. სანამ ეზოში გავიდოდა, ბიძინამ ჰოლში შეიხედა, სადაც დიასახლისი და ტელევიზორი ეგულეზბოდა.

დიასახლისი მართლაც იქ დახვდა. მხოლოდ არა მაგიდასთან, არამედ სავარძელში. ფოსტლები გაეზადა და მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ლამაზი ფეხები მოუჩანდა. აღარ ქსოვდა, რალაც ჟურნალი გადაეშალა მუხლებზე და ათვალიერებდა.

დიასახლისს თითქოს არც შეუმჩნევია ბიძინას ჰოლში შემოსვლა, კვლავ ჟურნალს ათვალეირებდა. ბიძინა მრავალჯერ დარჩენილიყო მარტო უცნობ ქალთან და ხშირად ასეთ მარტოობას ნატრობდა ზოლმე კიდევ, ახლა გული გამალეებით უცემდა და გრძნობდა, სიტყვა ველარ ეპოვა, თითქოს რალაციხა სცხვენოდა.

— წვიმს — თქვა ქალმა.

— ძალიან, — შვებით ამოისუნთქა ბიძინამ, საჭირო სიტყვა რომ მიაწოდეს.

— დაბრძანდით, ფეხზე რატომ დგებათ?

ბიძინა არ დამჯდარა, მხოლოდ ახლოს მივიდა.

— მშვენიერია, რაც აქ ხატია, მაგრამ სად იშოვი, — გაიცინა ქალმა. მას ხელთ მოდების ჟურნალი ეჭირა.

ბიძინამ თვალი შეავლო ქალის მკერდსა და მუხლებს. დიასახლისს აღარაფერი უთქვამს. შეუმჩნევლად იღიმებოდა. მზეზე გამოსული ფისოს ნეტარებით. გარეთ წვიმდა. ჰოლში ორნი იყვნენ ქალს მაღალი მკერდი და სავესე, მკვრივი მუხლები ჰქონდა. ბიძინამ სივარეტს მოუკიდა, მერე ბოდში მოიხადა და ქალსაც შესთავაზა.

დიასახლისმა აიღო, მოუკიდა და ღრმა ნაფახებით მოსწია. სიჩუმეს აელე-

ლევბინა. იღუმალი ნეტარება აღარ გმინეოდა, გაღიზიანებული დასცქეროდა ჟურნალს.

— სასტუმროში რესტორანი არ არის, მაგრამ ბუფეტი მაინც უნდა გქონდეთ, — თქვა ბიძინამ.

— მომსვლელი ცოტაა, — საქმიანად მიუგო დიასახლისმა, თავი ზევით არ აუწვევია, — თუ გშია, მაცივარში საქმელი მაქვს დასალევიც მოიძებნება.

— არა, არ მშია, — ჩუმად თქვა ბიძინამ და უცხად ზიზღი იგრძნო. საწვიმარს მკლავი გაუყარა და კარები გამოაღო.

— სად მიდიხარ, წვიმს, — დაუძახა ქალმა.

ბიძინას აღარ მოუხედავს. „საწვიმარში წყალი არ გაატანს, — ფიქრობდა იგი და ქუჩაში მიაბოტებდა, — პირველსავე სახლში შევალ, ამ თავსხმაში პატრონი ძალსაც არ გააგდებს გარეთ, მე უარს როგორ მეტყვიან ღამის გათევახე...“

დაბრეცილ ქუჩაზე წყალი გრილით ჩამორბოდა. მთებს გადაღმა, პირიქითა ხევსურეთი იყო. ჰეჰა-ქუხილის ხმა: იქიდან მოდიოდა. აქ კი გატრუნულიყო ქვეყანა და წვიმის მრუმე სინოტივეში თანდათან იძირებოდა.



მოკან ვოლფგანგ გოეთე

ფ ა უ ს ტ ი

ზეპელი)

პირველი ნაწილი

ლ ა მ ე

მაღალთაღებნიანი, ვიწრო გოტიკური ოთახი. ფ ა უ ს ტ ი მოუს-
ვენრად ზის თავის საფარქელში მავიდის წინ.

ფ ა უ ს ტ ი

მე გულმოდგინედ შევისწავლე ფილოსოფია, ღრმად შევეითვისე მედიცინა და სამართალი და შემდეგ, ჩემდა სამწუხაროდ, თეოლოგიის დაუფლებასეც საკმარისად ვიმტვრიე თავი. მაგრამ რა შედეგს მივაღწიე ამდენი გარჯით, როცა მე, ბრიყვი, ისევ ისე ბრიყვადვე დაერჩი! თუმც კი ვიფერებ მაგისტრის და დოქტორის ხარისხს, მაგრამ ჰა, ათი წელიწადი შესრულდეს ლამის, რაც ასე ურცხვად მოტყუებულ ჩემს მოწაფეებს უკმ და უსაგნო ყბედობაში ვულამებ დღეებს, და გულმოკლული ვხედავ, რომ სულ არაფრის ცოდნა არ ძალუძს თურმე ამა ქვეყნად ადამის მოდგმას. თუმც განათლებით მაინც კიდევ ვჯობივარ ყველას — დოქტორებს, ხუცებს, მაგისტრებს და უდღეურ მწერალთ; თუმც მოკლებული ვქვებხა და სულელურ დარდებს, არაფრად ვაგდებ ქვესკენლსა და ეშმაკის ფანდებს, მაგრამ ვაი, რომ სიხარულიც გამირბის განზე! ვერა, ვერ ვიტყვი სხვათა მსგავსად საკუთარ თავზე, რომ ბნელში დანთქმულთ წინ ვუძლოდი და გზას ვუკვლევდი, ან ჩემი ცოდნით მათ მძიმე ხვედრს ვუმსუბუქებდი.



სამაგიეროდ არც ფული მაჭვს და არც ქონება,
 არც ქვეყნიური რამ სიკეთე მომეპოვება.
 ალბათ ძალღიჯ ვერ აიტანდა ამნაირ ყოფას! —
 და ამიტომაც მე მაგიას და ჯადოჭრობას
 მივმართე, რომ იქნებ სულთაგან შევიტყო, რასაც
 ასე ამოდ ვადევნებდი გონების თვალსა;
 რომ ჭირის ოფლში გაღვარული გულმოსაკლავად,
 არ ვასწავლიდე სხვებს იმას, რაც არ ვიცი თავად;
 რომ მე როგორმე მოვახერხო იმის შეტყობა,
 რაც თვით ბუნებას ჩვენთვის ასე ძნელად ეთმობა;
 რომ ამოვიცნო გასაღები შემოქმედ ძალის
 და დავანებო ფუჭ სიტყვების რახარუსს თავი.

ო, მთვარე, იქნებ უკანასკნელად
 ხედავდე ამ ჩემს სატანჯველს შენა,
 რომლის შუქზედაც მრავალი ღამე
 მითენებია მწარეზე მწარე,
 ამ მაგიდასთან წიგნებზე დახრილს,
 ოდეს მიმზერდი მველობრულ სახით;
 ვგებ მიჩვენო მთები ზღაპრული,
 მაგ შენს საამურ შუქში ჩაფლული;
 ვგებ სულეთან ნავარდში ისევ
 ვიგრძნო სიცოცხლე და სიხალისე,
 და შენს წიაღში დავეხსნა სულაც
 მეცნიერების ყოველგვარ ბურანს.

აქ უნდა დაფრჩე გამომწვევდელი
 და ვერ დავტოვო სორო წყეული,
 რომლის მოხატულ სარკმელთა მინებს
 ციური შუქიც ძლივს ატანს სხივებს?!
 ისევ მტვრითა და ჭვარტლით მოსვრილი
 ძველი წიგნები და ქალღმერთები,
 ისევ აქა-იქ მიყრილ-მოყრილი
 უქმი ხელსაწყო-იარაღები;
 ისევ ეს ძონძი, ეს შუშის ჭილა,
 ეს ძველმანებით ავსილი თარო, —
 აი ეს არის შენი სამყარო,
 თუკი ამასაც სამყარო ჰქვია!

და ამის შემდეგ რატომღა გიკვირს,
 რომ ეგ ისედაც ტანჯული გული
 ათასნაირი დარდით და ფიქრით
 არის შეჭმული და გამოსრული.
 ეს იმიტომ, რომ ღვთით განახარებ
 ბუნებასა და სულდგმულთ კი არა,
 შიცვალეულთა ძვლებსა და გვამებს
 ანდომებ მთელ შენს სულიერ ძალას.



შეწამოიჭურ, გზები ხსნილია!
 ეს წიგნი იყოს მგვჯური შენი,
 წიგნი, რომელიც დაწერილია
 ნოსტრადამუსის* საკუთარ ხელით.
 მისგან შეიტყობ ყველაზე მთავარს:
 ვარსკვლავთ გზებსა და სიბრძნეს ბუნების,
 და მოგვეცემა შენ იმის ძალა,
 რომ გამოიხსომ სულმა სულები.
 თორემ, იცოდე, გონება მშრალი
 ვერ ამოგიხსნის ამ წმიდა ნიშნებს!
 სულნო, სწორედ ამ ნიშნების ძალით
 გამოიმეცხადეთ, თუკი რომ მისმენთ!

(გადაშლის წიგნს და ხედავს მაკროკოსმოსის ნიშანს.)

ეს რა უხაზღვრო ნეტარებით მგვსება სული,
 ეს რა უცნაურ ერუანტელს მგვრის ამ ნიშნის ხილვა!
 ისევ იღვიძებს სიხალისე ახალგაზრდული
 და მთლად უკვალოდ იფანტება წარსული დრტვინვა.
 ღმერთი თუ იყო, ვინც მოხაზა აქ ეს ნიშანი,
 რომლის თვით ერთი დანახვაც კი ასე მიაჩნებს
 მშფოთვარე სულს და გატანჯული გულის იარებს
 და ჩემს გარშემო საიდანდაც მთელი სიშმაგით
 ავლენს სანუკვარ მარადცოცხალ ბუნების ძალებს.
 იქნებ მე თვითონ ვარ ღმერთი და ეს ჩემი სული
 სჭვრეტს ამ ნიშანში გარემომცველ შემქმნელ ბუნებას!..
 ეს რა ნეტარი ნათლის სხივი მესალბუნება!
 ახლადა მესმის მნიშვნელობა ბრძენკაცის თქმულის:
 „სულთა სამყარო დაგმანული ნუ გეგონება;
 გამოგფიტვია როგორც გული, ისე გონება.
 შეწამოიჭურ, შეგირდო, და ვე მკერდი შენი
 აისის სხივთა შქლე ცვარ-ნაშში განბანე ღმერთით!“

(ათვალღერებს ნიშანს.)

როგორ ჩართულა და მოძრაობს ნაწილი მთელში!
 როგორ იგრძნობა პარმონია აქ ყველაფერში!
 როგორ ილტვიან სანუკვარი ციური ძალნი
 ზევით და ქვევით დაუდგვარნი
 და ერთუროს საცხე ოქროს კალათებს
 აწვდიან და თან ქანგებს სანატრულს
 აფრქვევენ თავზე კურთხეულ ფრთებით
 ციდან სამყაროს დაუსრულებლივ.

სანახაობა და სეირი, ვაგლახ, სეირი
 არის ეს მხოლოდ! ო, ბუნებაე უკიდევანო,

* ნოსტრადამუსი — მიშელ დე ნოტრ დამი — XVI საუ-
 კუნეში საკმაოდ ცნობილი ექიმი, ასტროლოგი და ალქიმიკოსი.

როგორ უნდა ვწვდეთ მაგ შენს ჯიქანს, ობლადშთენილი,
ცისა და მიწის დაურეტელ სიცოცხლის წყაროს,
რომლის უებრო ჩქერალებსაც ესოდენ ელტვის
წყურვილისაგან ნაწამები ეს ჩემი მკერდი!

(უკმაყოფილოდ ფურცლავს წიგნს და ხედავს
დედამიწის სულის ნიშანს.)

ეს ნიშანი კი სულ სხვაგვარი გრძნობებით მავსებს!
ო, მიწის სულო, მაინც უფრო ჩემად მგეულები.
ისეთ ძალას ვგრძნობ შენი ნიშნის ერთ დანახვაზე,
თითქოს ღვინისგან მქონდეს გული გაშმაგებული.
სულ აღარა მაქვს იმის შიში, რომ მიწიერი
ვიტყვირთვო სვედა-სიხარული მეც ჩემს ნებაზე;
ვეძგერო ბედს და არ დაგვარგო კაცის იერი
მე განსაცდელის შემზარავ ხმის გაგონებაზე.

ჰა, მოიღუმა ზეცა და უკვე
ღრუბელთა მიღმა გადაშალა მთვარეშაც შუქი.
ლამპარი ქრება...
და ჩემს ირგვლივ ჭვარტლის და ბუღის
ბურუსი დგება.
ბნელი თალიდან გამყინავი უბურავს სიო
და საშინელი განსაცდელის მოახლოების
ნიშნად ციმციმი გააქვთ მწუხრში ცეცხლოვან სხივებს.
ვეგრძნობ, აჟ დაჰქრისხარ უკვე, სულო, ჩემგნით ხმობილო,
დიადაო სულო, გვედრები გამომეცხადე!
რა უცნაურად მეგლიჯება მკერდში ეს გული,
ახალ შეგრძნებებს მოწყურებული.
მთელი არსებით შენსკენ ვილტვი და შევდალადებ:
სიცოცხლედაც კი რომ დამიჯდეს, — გამომეცხადე!

(ხელს სტაცებს წიგნს და იღუმალ წარმოსთქვამს სულის
ნიშანს. აბრიალდება მოწითალო ალი, რომელშიაც
ცხადდება სული.)

ს უ ლ ი

ვინ მომიხმობდა?

ფ ა უ ს ტ ი

(პირს იბრუნებს)

საშინელი სანახავია!

ს უ ლ ი

გაშმაგებული მომელტვოდი ამდენი ხანი
და გამუდმებით ჩემს სფეროზე გეჭირა თვალი,
ახლა კი...



ფ ა უ ს ტ ი

შენი სუნთქვაც ვეღარ ამიტანია!

ს უ ლ ი

აღელვებული, რანაირად აღარა მთხოვდი,
რომ მოგესმინა ჩემი ხმა და გენახა სახე.
მე შენს ლოცვაზე მყისვე თვალწინ გამოგესახე,
მაგრამ, ზეკაცო, ვხედავ, გიბყრობს შიში და შფოთი.
განა მაგ მკერდში არ იყო რომ სამყაროს ქმნიდი
და ამ სამყაროს ისე წარმტაც საუფლოდ სთვლიდი,
რომ თვით სულების ტოლადაც კი მოგქონდა თავი!
სად ხარ, ფაუსტო, ან რა იქნა ხმა, როგორც ზარი,
რომ ვღერდა მძლავრად ჩემს ყურებში ერთი სურვილით,
ხოლო ახლა კი სდუმს შიშისგან მთლად დათრგუნვილი?
ნუთუ შენა ხარ ის ფაუსტი, ფაუსტი-მეთქი,
ჩემი სუნთქვისგან რომ კანკალებ გულგანახეთქი,
ვით მხდალი მატლი ჩემს წინაშე მიწას განრთხმული?!

ფ ა უ ს ტ ი

ეს მე კვანკალებ, სულო, შენგნით მოგვრილი ძრწოლვით,
როცა მე მართლაც ვარ ფაუსტი და შენი სწორი?!

ს უ ლ ი

ამა ცხოვრების დინებაში მარად ჩართული
და შრომის გრიგალს ადევნებული,
ვჩნდები და ისევ ვუჩინარდები.
მე ვარ მუდმივი ბრძოლა, ჭიდილი,
ცხელი სუნთქვა და ცივი სიკვდილი,
ცვალებადობა განუწყვეტელი
და ოკეანე დაუშრეტელი.
ეს მე ვქსოვ დროის მოგუგუნე დაზვასთან მდგარი
ცოცხალ სამოსელს ღვთაებისას დღისით და ღამით.

ფ ა უ ს ტ ი

განა მთელ მაგ შენს ქმედებაში არა ვლინდება,
რომ მე თავადაც შენ გვეკუთვნი და შენა გგავარ?!

ს უ ლ ი

შენ მას ეკუთვნი, ვისაც ძალგიძს, რომ სწედე კიდევაც,
და მე კი, — არა!

(ქრება.)



ფაუსტი

(გაოგნებული ძირს ეცემა)

—ო, შენ თუ არა,
მაშ ვისა, ვისა?!
შე, ხატებას და მსგავსებას ღვთიასა,
თვით შენი წვდომა-გატოლებაც არ ძალმიძს განა?!

ისმის კარზე კაეუნო

ქოი, სიკვდილო საშინელო, ამას რას ვხედავ!
კარს ჩემი ბრიყვი ფამულუსი მომადგა თავად.
რისთვის მოვიდა აქ ეს შშრალი პედანტი ნეტავ
ესდენ სანუკვარ ჩვენებათა გასაფანტავად?!

შემოდის ვაგნერი საძილე ხალათსა და ღამის ჩანჭი, ღამპით.
ხელში. ფაუსტი უკმაყოფილოდ შეაქცევს ზურგს.

ვაგნერი

მაპატიეთ და, მგონი, ბერძნულ ტრაგედიიდან
კითხულობდით აქ ეს-ეს არის თქვენ ერთ-ერთ ნაწილს.
დეკლამაციის დაუფლება მეც გულით მინდა,
რადგან უმისოდ დღეს იოლად ვერ გავა კაცი.
კომედიანტის ეს ხელობა, გამიგონია,
ქადაგებაში ზოგჯერ მღვდელსაც გამოსდგომია.

ფაუსტი

კომედიანტი თუა მღვდელი, ეს ალბათ მაშინ,
რაც მართლაც ხშირი მოვლენაა დღეს ცხოვრებაში.

ვაგნერი

როგორა ფიქრობთ, შეიძლება მჭევრმეტყველებით
რამის მიღწევა, როცა მხოლოდ დღესასწაულზე
სტოვებ საკუთარ მუხუეშს* და ხალხში ერევი,
ხოლო სხვა დროს კი მას სულ მუდამ ჭოგრიტით უმზერ?

ფაუსტი

ამ მიზანს ისე ვერ მიაღწევთ, თუ შთაგონებით
აღძრულმა სიტყვამ თვით სულიდან არ ამოხეთქა,
თუკი მსმენელის გულს არ მოხვდა სიტყვა ყოველი
და უშუალო ძალით მასზე არ იმოქმედა.
თქვენ კი ზიხართ და მუდამ სხვისი ნასუფრალიდან
კრეფთ ნაყარნუყარს და ნაცარში სულის შებერვით.
ცდილობთ როგორმე გააჩალოთ ცეცხლის ალი და
მასზე მოხარშოთ შეჭამადი რამ მარგებელი.
ამგვარი მდარე გემოვნებით ბოლოს და ბოლოს

* აქ კაბინეტის მნიშვნელობით.



ძუძუთ ბაღლებს და მაიმუნებს თუ მოზიბლავთ მხოლოდ.
გულით გულებს დაპყრობას კი ნურასდროს ელით,
თუ თვით გულიდან არ აღმოსკვდა სიტყვები თქვენი.

ვაგნერი

დეკლამაციის ხელოვნებაც ხომ ბევრსა ნიშნავს,
რამიაც ჩემი ჩამორჩენა თქვენც აღვინიშნავთ.

ფაუსტი

ვინც ამ საქმეში მართალი და სწორი გზით მიდის,
მასხარასავით ის ეფენებსაც არ აფლარუნებს!
ნამდვილ ორატორს თავისტეხა არ უნდა დიდი,
მას სიტყვის ძალა წარმატებას ისეც არგუნებს.
ჰოდა, თუ მართლაც სერიოზულ რამის თქმა გნებავთ,
მოეშვით მაშინ ფუჭ სიტყვების გამოდევნებას.
თორემ რასაც თქვენ იზეპირებთ აქ წლითიწლოებით
და გსურთ როგორმე მიიტანოთ მსმენელთა გულთან,
იმ უსარგებლო ქარს მაგონებს, შემოდგომობით
ხმელ ფოთლებს შორის ამაოდ რომ ხმაურობს მუდამ.

ვაგნერი

ჰოი, უფალო! რა დიდი დრო სჭირდება სწავლას,
ჩვენი სიცოცხლე კი ესოდენ ხანმოკლე არის!
ამდენს ვწვალობ და არ კი ვიცი, შევძლებ თუ არა,
რომ სიძნელეებს საბოლოოდ გავართვა თავი.
ან როგორ გინდა სწვედე საკითხთა არსსა და წყაროს
და მოიპოვო მით სიმშვიდე შენი სულისა,
როცა ნახვეარ გზას ვერ გახვალ და უმოწყალოდ
მოაწევს კიდევ უკვე ჟამი აღსასრულისა!

ფაუსტი

ძველ ეტრატებში გინდათ ჰპოვოთ ის წყარო წმინდა,
რომელიც გვიკლავს დაუძლეველ სულიერ წყურვილს?
თუ მძლე ნაკადად თვით სულიდან არ გადმოდინდა,
ძნელია სადმე მოიძიოთ სიმშვიდე სულის!

ვაგნერი

კი მაგრამ, განა დიდ სიამეს არა ვგრძნობთ, როცა
გონების თვალთ ვუკვირდებით გარდასულ დროსა,
როცა ვიტყობთ, თუ რას ფიქრობდნენ ბრძენკაცნი ძველად
და ამის შემდეგ რაოდენ შორს წავედით ჩვენაც?!

ფაუსტი

ჰო, ისე შორს, რომ ვარსკვლავებსაც კი მივწვდეთ ლამის!
ეჰ, მეგობარო, გარდასული დროცა და ჟამიც



ჩვენთვის შეიდ ბეჭდით დაბეჭდული წიგნია მხოლოდ.
 ის კი, რასაც თქვენ დროის სული უწოდებთ ახლა,
 ეს არსებითად იმ სწავლულთა აზრები გახლავთ,
 რომელთა თავშიც დროის სულმა ასახვა ჰპოვა!
 რაც უფრო მეტად ვუკვირდებით ამ ბინძურ საგანს,
 მით უფრო გული გვიღონდება ჩვენ იმისაგან.
 ის უნუგეშო ძველმანებით სავსე ყუთია,
 მაღალფარდოვან სისულელის შუა საბუთია;
 უგვანო სენტენციებია, რომელთაც ასე
 უხეად აფრქვევენ თოჯინების თვატრის კარზე.

ვაგნერი

მაგრამ ქვეყანა! კაცთა სული! სიკვდილ-სიცოცხლე!
 მათ შესახებ ხომ ყველას უნდა რამე იცოდეს?

ფაუსტი

„რამე იცოდეს!“ — აი თურმე რაშია საქმე!
 მაგრამ ვის ძალუძს სთქვას, ბავშვს ნამდვილ სახელს რომ
 არქმევს?

თითოთოროლამ, ვინც რომ მართლაც რამე იცოდა
 და ბრბოს გადუხანა თვისი გული, მყის ხელი სტაცეს
 და ან ჯვარს აცვეს, ან უბრალოდ კოცონზე დაწვეს;
 გულუბრყვილონი არ დაინდეს, არ შეიცოდეს!
 მაგრამ ეს ჩვენი საუბარი სჯობს, რომ ამჟერად
 შევწყვიტოთ, რადგან გვიან არის უკვე ძალიან.

ვაგნერი

მე კი მთელ ღამეს ვისურვებდი თქვენთან დარჩენას,
 ო, ეს იმდენად სასარგებლო საუბარია!
 ხვალ აღდგომა დღე რომ დადგება, თქვენივე ნებით,
 კვლავაც გავბუდავ და მოგმართავთ მე შეკითხვებით.
 თუმც ბევრი ვიცი, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, სრულიად
 მართებულია, რომ ყველაფრის ცოდნა მწყურია.

(გადის.)

ფაუსტი

(მარტო)

ვით შეეღიოს უმნიშვნელო საგანთა გამო
 ამდენ ზრუნვას და ფუჭ იმედებს ისეთი კაცი,
 ვინც ხარბად ქტეავს მიწას, რომ იქ მოძებნოს განძი,
 და ჭიაცყელას დანახვაზეც ბალღივით ხარობს?!

როგორ გაბედა ამგვარ ვინმემ დაეძრა კრინტი
 იქ, სადაც ქროდა დიდებული სულების დასი?!



მაგრამ ამჯერად მსურს მოგიძღვნა მადლობა დიდი,
 თუმც კარგად ვიცი, საცოდავო, მე შენი ფასი.
 შენ განმიჭარვე უახლობის გრძნობა საზარი
 ძირს დანარცხებულს ცეცხლოვანი ჩვენების ძალით.
 აჰ! სული იგი იყო ისე უზარმაზარი,
 რომ მის წინაშე ქონდრისკაცად ვიგრძენი თავი.

მე, ღვთის ხატებამ, ვიფიქრე, რომ მქონდა უნარი,
 მებილა სარკე მარადიულ ჭეშმარიტების,
 და მისი ჭვრეტით მონეტარეს, გულდაშვებებით
 შემეძლო მიწის შეილობაზეც მეთქვა უარი;
 ჭერუბიმებზე მალლა მყოფი, უკვე თამამად
 ვფიქრობდი ლალად შეეროდი ბუნების ძალებს;
 გავტოლებოდი ღმერთებსაც კი... მაგრამ რა მალე
 მხვდა წილად ამგვარ ცდუნებისთვის სასჯელი მწარე —
 მქუხარე სიტყვამ ფეხის მტვერთან გამათანაბრა!

აწ უკვე შენთან გატოლებას ვერ განვიზრახავ,
 თუმც კი შევძელი გამოწვევა და შენი ნახვა,
 მაგრამ აქ დასაკავებლად კი არ მეყო ძალა.
 ო, იმ ნეტარ წამს, ოდეს შენთან ყოფნა ვისურვე,
 ერთ და იმავე დროს რა დიდი და რა მცირე ვიყავ,
 შენ კი კვლავ ასე დაუნდობლად გადამისროლე
 ადამიანურ ყოფის მღვრიე მორეუსა შიგან.
 ვინდა მასწავლოს, როგორა ვწვდე იდუმალ საგნებს?
 რას განვუდგე და რას ველტვოდე შეკავშირებას?
 აჰ, ზოგჯერ ჩვენი საქმეები ვნებებზე ნაკლებ
 როდი ზღუდავენ ჩვენი ყოფის დღეთა დინებას!

განა ყოველგვარ დიად მიზანს ასევე მტრულად
 არ ზღუდავს ჩვენი საზრუნავი ყოველდღიური?!
 განა დიდ სწრაფვას ფუჭ ოცნებად არ ვნათლავთ უმაღ,
 თუკი არ ახლავს მას სიკეთე ამქვეყნიური?!
 განა ასევე არ თრგუნავენ და არა სპობენ
 ცრუ სიკეთენი ჩვენს მაღალ და სანუკვარ გრძნობებს?!

ან თავად ჩვენი წარმოსახვაც განა ყოველთვის
 არ ელტვის ხოლმე მარადიულს, მაგრამ რა ცოტა
 დამბრკოლებათაა საჭირო, რომ სულიერ შფოთვად
 გვექცეს ეს მისი მისწრაფება დაუცხრომელი.
 გულში უმაღვე ისადგურება წყვეული ზრუნვა
 და გამუდმებით გვატყებს თავზე დარდსა და ურვას;
 ათასგვარ ნიღბით გვევლინება დღისით და ღამით
 და მოსვენებას აღარ გვაძლევს არც ერთი წამით:
 ის ხან ცოლ-შვილის სახეს იღებს, ხან სახლ-კარისას,
 ხან ხანძრის, წარღვნის, დაშნისა და საწამლავისას, —
 მოჩვენებითი საფრთხის გამო ვეძლევიტ განგაშს
 და მას დავტირით, რაც ჯერ კიდევ არ დაგვიკარგავს.



ღმერთი კი არა, ჭიაცულა ვარ მე ნამდვილი!
 ჭიაცულასებრ მტვერში არის ჩემი ადგილიც!
 მეც მტვერში ვცხოვრობ, მტვრით ვსაზრდოობ და მტვერში
 ვცოცხავ
 და გზადგამვლელი მეც მტვერშივე ჩამმარხავს ცოცხლად.

მტვერი არ არის მართლაც აქ ეს კედელი განა,
 და თაროები მრავალ წყებად მასზე მიდგმული;
 ეს უსარგებლო ძველმანები, ეს თავის ქალა
 და სამყოფელი მთლად ჩრჩილთაგან გამოფიტული?!
 შენ ამ წიგნებში სანუგეშო რა უნდა პპოვო?
 სწერია კია განა მათში იმაზე მტვრი,
 რომ კაცთა მოდგმა სულ ტანჯვაში იყო და მხოლოდ
 თითოთროლას თუ სწყალობდა ამქვეყნად ბედი?!
 გამოფიტულს თავის ქალავ, რად მიკრეჭ კბილებს,
 იწებ გსურს მითხრა, რომ ოდესღაც შენი მფლობელიც
 ბნელში ამაოდ დაეძებდა სინათლის სხივებს
 და რომ არც მე ვარ მასზე უფრო ჭკუათმყოფელი?!
 თქვენც მე დამცინით, ჩემი უქმი იარაღები, —
 თვლები, ხრახნები, ფარგლები და სახელურები;
 თქვენით ვფიჭობდი დაგმანული კარის გაღებას,
 მაგრამ ბჭე იგი შეუვალი დარჩა სრულებით.
 დედა-ბუნება ნათელ დღეშიც არ გვაძლევს ნებას,
 შევიტყოთ რამე იდუმალი მისი ქმედების
 და, რაც მას ჩვენთვის თავის ნებით არ ემეტება.
 ვერ გამოვტყუებთ ვერც ხრახნით და ვერც ბერკეტებით,
 ჩემთვის ურგებო ხარახურავ, აქ მამის ხათრით
 გინახავ, თორემ სულ არა გაქვს ფასი სხვაგვარი.
 და შენც, გრაგნილო, იმის შემდეგ გედება ჭვარტლი,
 რაც ამ ძველთაძველ მაგიდაზე ხრჩოლავს ლამპარი.
 განა არ სჯობდა, გამეფლანგა მთლად ყველაფერი,
 ვიდრე მცირედის ტვირთქვეშ მუდამ ქედი მეხარა?
 მემკვიდრეობას თუ არ ახლდა რამ სარგებელი,
 ნეტავი იგი სულაც წყალში გადამეყარა.
 რასაც ვერ ვიხმართ, სატანჯველად გვექცევა ბოლოს,
 სარგებელი კი მოცემულ წამს მოაქვს თან მხოლოდ!

მაგრამ რად იპყრობს ასე რიგად ახლა ჩემს მზერას.
 ეს შუშის ბოთლი, მიგდებული კუთხეში უქმად?
 ან სული ჩემი რად აავსო სინათლის ჭველმა,
 როგორც ტყის ტვერი ღამეული ციურმა შუქმა? —

შოკესალმები შენ ერთადერთს დიდი პატივით,
 შენ მიიზიდე ჩემი სული ანდამატივით.
 შენში ვაფასებ კაცთა ნიჭს და ხელოვანებას
 და იმ უბადლო ყოვლისშემძლე სასმელის უნარს,
 რომელიც მყისვე მომგერის ტკბილ და ჯადოსნურ ბურანს.
 მომმადლე შენი შემწეობა და დახმარება!



გიმზერ და თითქოს მიყუჩდება გულის იარა, ხელში გიღებ და ვგრძნობ, რომ თითქმის უკვე მოლიანად ვთავისუფლდები ყოველნაირ საზრუნავთაგან, — კამკამა ზღვაში გადვიფარ გულდამშვიდებული, ჩემს ფერხტქვეშ ბზინავს ზედაპირი სარკისებური და ცისკრის ჟამით ვეგებები ნაპირებს ასალს.

ჰა, მოკპრის ეტლი ცეცხლოვანი მსუბუქი ფრთებით და უკვე მზად ვარ, რომ ვეახლო სფეროებს მაღალს, სად უნეტარეს არსებობას შევიგრძნობ შევებით და განვეუდგები ყოველნაირ მიწიერ ზრახვას. ო, შენ ჯერ კიდევ ჭიაცყელავ, განა ამ მტკრიდან ძალგიძს კი ამგვარ ნეტარებას რომ მიადწიო, თუკი მტკიცედ და საბოლოოდ არ გადასწყვიტავ, რომ შენს სანუკვარ მიწიერ მზეს ზურგი აქციო. გაბედუე ძალით შეამსხვრიო დახშული კარი, რომლის წინაშეც ყველა ასე შიშითა ბნდება, და დაამტკიცე, რომ ამქვეყნად ადამიანი თავის ღირსებით თვით ღმერთებსაც კი უტოლდება. მხნედ შეეგებე შენ ქვესკნელის ცეცხლოვან გრიგალს, რომლის მარტოდენ წარმოსახვაც შიშითა გვზარავს, და მტკიცედ შედი იმ საზარელ ნაპრაღსა შიგან, სად ჯოჯოხეთის გენია გიზგიზებს მარად. დროა უარპყო მიწიერი შენი რაობა, თუნდაც რომ გშთანთქას საშინელმა არარაობამ.

ძირს ჩამოგიღებ, სასურველო ბროლის ფიალავ, შენ ეგულვოდი ჩემს წინაპართ გულის ტრფიალად, თუმც რა ხანია შენც ჩემსავით გდიხარ ამ მტკვარში. შენ ამშვენებდი მათს დამეულ ლხინსა და ნადიმს, შენ ჰგვრიდი ხოლმე გოროზ სტუმრებს სიხარულს ნამდვილს, ოდეს ისინი გადაგყმდნენ ხელიდან ხელში და ერთმანეთის მიყოლებით ბოლომდე გცლიდნენ... მახსოვს, ისინი თავს ყოველთვის მოვალედ სთვლიდნენ ლექსით შეემკოთ ჩუქურთმების შენის მშვენება. ო, სიყრმის დღეთა გარდასულო ბედნიერებაე!.. ახლა მე უკვე ვერ გადაგცემ მეზობელს ჩემსას და ვერც მომხიბლავ შენს მშვენებას შევამკობ ლექსად; მყის დამიბურავს ეს სასმელი გონებას ნისლით, შენში მუქად რომ ლიცლიცებს და საამოდ ელავს. იგი მე თვითონ შევამზადე ჩემს მოსალხენად და მთელი გულით ვსვამ კიდევაც უკანასკნელად, ვით სადღეგრძელოს, მომავალი დღისადმი მიძღვნილს.

(ფიალა პირთან მიაქვს.)

ისმის ზარბემს რეცვა და გუნდის ვალობა.



ანგელოზთა გუნდი

ქრისტე აღსდგა! გიხაროდეთ,
 მძიმე ხვედრით დათრგუნვილთ,
 ტანჯულნი და დავრდომილნი,
 პირველყოფილ ცოდვის შვილნი —
 ხსნის იმედი არ მოგშლოდეთ!

ფაუსტი

ეს რა გაბმული გუგუნი და სათნო ხმებია,
 მე ზაგეთაგან ამ სასმისს რომ მტაცებენ ძალით?
 ნუთუ ისინი ქვეყნად იმას იუწყებინან,
 რომ უკვე დადგა საზეიმო აღდგომის ჟამი?!
 ნუთუ ეს ხმები არის ეჭო მოძახილისა,
 ანგელოზები რომ გალობდნენ დამარხვის ღამით,
 როგორც საწინდარს ახალი და მძლე კავშირისასა?!

ქალთა გუნდი

უდიდესი მოწიწებით
 განზანილი მისი გვამი,
 სურნელოვან ნელსაცხებლით
 შემკული და სისხლმდინარი,
 კლდის ქვეშ მიწას მივაბარეთ
 სუდარაში წაგრაგნილი,
 მაგრამ ვაი, რომ სამარე
 ცარიელი დაგვხვდა დილით.

ანგელოზთა გუნდი

ქრისტე აღსდგა! აწ და მარად
 ნეტარ იყვნენ გატანჯულნი,
 რამეთუ კვლავ უძგერთ გული
 იმედით და სიყვარულით —
 ციურ ძალთა გასახარად.

ფაუსტი

ტკბილო ჰანგებო, რად შემაკრთო მე აქ, ამ მტვერში,
 თქვენმა ესოდენ უნაზესმა და მძლავრმა ელვრამ?
 საოობს, გულსათონებს რომ სწვეოდით მშვიდ სამყოფელში,
 რადგან თუმც მესმის თქვენი, მაგრამ არა მაქვს რწმენა,
 რწმენა, რომელიც კრძალვით ჰბადებს სასწაულს ჩვენში.
 ჩემთვის დაბმული არის ბჭენი წმიდათაწმიდა,
 საითკენაც თქვენ მომიწოდებთ ასეთი გზნებით,
 თუმც სიყრმიდანვე შეჩვეული ღვთიური ხმები
 კვლავაც მავსებენ სიცოცხლით და სიხალისითა.
 ოდესღაც წინათ, ბავშვობაში დიდ შაბათ ღამის
 სიმყუდროვეში, ვით ციური ამბორი ტკბილი,



ისე მალხენდა ეს ხმები და გულამოსკენილი
 ვლოცულობდი და ბედნიერი ვიყავი ამით.
 ამოუხსნელი სიყვარულით ტყეა და ველებს
 მივაშურებდი და ო, რწმენის საკვირველებაც,
 განმარტობით ვაფრქვევდი იქ მდულარე ცრემლებს
 და ვგრძნობდი მკერდში მე სამყაროს აღმოცენებას.
 ეს ხმები იყო, სიყრმის ჟამის ლალ თამაშობებს
 და გაზაფხულის შემოსვლას რომ მამცნობდა ამოდ,
 და, აყოლილი კვლავ იმ ნეტარ ბავშვობის გრძნობებს,
 საბედისწერო ამ ნაბიჯზე აწ უარს ვამბობ.
 ო, იგალობეთ, ზეციურო ჰანგებო, ლხენით!
 კვლავ დედამიწას ვურიგდები ცრემლების ფრქვევით!


მ ო ც ი ქ უ ლ თ ა გ უ ნ დ ი

ცად ამაღლდა დამარხული
 და სიცოცხლე ჰპოვა დიდი —
 ნეტარება არნახული,
 წყარო შემოქმედებითი.
 ჩვენ კი, ცრემლებშეუშრობლად
 მისკენ მზერამიბყრობილნი,
 ვწუხვართ, რომ აქ ასე ობლად
 მიგვატოვა თვისი შვილნი.
 მიგვატოვა უმოწყალო
 სევდასა და სატანჯველში, —
 და მოგტირით შენ, მოძღვარო,
 შავ შენს ციურ სამყოფელში.

ა ნ გ ე ლ ო ზ თ ა გ უ ნ დ ი

ქრისტე აღსდგა! პა, დასძლია
 სფერო ხრწნის და მორჩილების.
 სამუდამოდ დაამსხვრია
 შან მონობის ბორკილები.
 მისი მცნების მიმდევართა,
 ტანჯულთა და უპოვართა,
 მოყვასისთვის დამაშვრალთა,
 სანეტარო გზით მავალთა
 და სიკეთით გულგამთბართა
 შორის არის იგი მარად —
 ციურ ძალთა გასაზარად.

გერმანულიდან თარგმნა ბიორკი ჯორჯანდია





საჭე და გზა

უკვე საქმას ხანია ისე გავაანებოვრა მანქანის სიმრავლემ, ლამის ფეხით სიარულს გადავეჩვიეთ. ეს განსაკუთრებით სოფელში, გლეხკაცის თვალთ უფრო შეინიშნება; ერთი კილომეტრიც რომ გვქონდეს გასაფრთხილი, ვდავართ და მანქანას ველოდებით — საცაა გამოჩნდება კიდევ. ხელს აუწევ და სულ ეგ არის; მაგრამ ამ ლოდინში ზშირად იმდენი დრო გავადენება ხოლმე, ვერჩვენება, თითქმის ჩვენი საათი ტუფის, თითქმის მოღუპართავი დაგვიტრია, ანდა რაღაცას მივართუთ შემთხვევით. ესეც ჩვეულებრივი, ადამიანური აზნაია და, კიდრე შევამოწმებდეთ, ჩვენ ჩვენი გვეშარტება.

გზაზე გამედლე-გამომედელს კი რა გამოლევს! ზოგი მხოლოდ მოგესალმება, ზოგი, თავანაონობის გამო, მოგიკითხავს, ზოგაც იმსი-შორიდან დავიწყებს საუბარს, იფიქრებ, ასე რომ ვიდეგ ხვალ ამდრომდე, უტრებს არ დამსვენებინებსო. სოფელია, უველა გიცნობს, უველას იცნობს; თანაც, ერთ თარგზე გამოტრიალს, ქვეყანაც შემოიარო, ორ კაცსაც უტრნახავ ვერსად და, სხვანაირად არც იქნება...

მაგრამ ჩვენი მადლიანი ბერკაცები... ჩვენი ბერკაცები სულ სხვანაირი არიან: ხადაც უნდა შეხედე, რა მდგომარეობაშიც უნდა შეხედე, ცდილობენ, შენი ცხოვრების გზას გადაავლონ თვალი. მერე საკუთარი, ჩველი ცხოვრებიდან ისეთ მავალითებს ვაიხსენებენ, რაც, მათი აზრით, უკუის სასწავლებლად გამოაღებება. ასეა. ოქროდღირებულ სიკეთეს უველა სხვადასხვანაირად ვასცემს ხოლმე.

დაგვხმარება ბერკაცია და ფიქრიდან გამოვიყვანს:

- რასა დგებარ, შეილო, გზაზე?
- ელოდებო.
- ვის ელოდები?

- მანქანას.
- საით ამგზავრებულხარ?
- შინა ვენახში მივდივარ.
- ანი.
- ევე, გვერდითა სოფელში ვაპირებ გადასვლას.

ეკვიანად გაქმნეს თავს:

— რაც ხანია აქა გხედავ, ბარე ორჭერ ჩახვილოდი და ამოხვილოდი, გადახვილოდი და ვადმოხვილოდი. რამ დაგზარმაცათ ევრე, შეილო? ვაიარე, ვაიშაღე წელში, ქვეყანა დაინახე და დანახე. უწინ ხად იყო ამდენი მანქანა, უოველადღე საიდან ხად დავდიოდი: სამკალი და სათიბი, სათხარაი და ხანაე... ათი კილომეტრი იქით, ათი — აქეთ, მუხლიც გვიმარტებოდა და ქანიც. ცხოვრების გაიოლებამ ივრე დაგზარმაცათ, შეილო, რომ არა ვრცხუენიოდეთ, ძილად მივშვებოდით. ვაგმართავდით გუთნეულსა და შეუდგებოდით ხვანს. მერე დავთესვაო, დაფარცხვაო, მოშკაო, ვალეწვაო... ახლა წისქვილს ადარ იკითხე? კინადამ თვეობით ვიდექით და ველოდებოდით ქერსა... დიდი მოშანცეული ვარკით ვმოულობდით დუქმა-პურსა და აქი მადლიც იმასა ჰქონდა და მარილიცა!.. ახლა, რა? — ტრაქტორიო, კომ. ხანიო. წისქვილში კიდევ ვინდა დადეს! უმადობაც იხიტომ მოვქალოთ!... შეილები მეცა მყოლია და, ეს არ მიწნა, ის მინდაო, ერთხელ არ წამოსცდენიათ: ისინი რომ ობინა პურს სქამდენ, ივე თქვენ როგორ დავგემოვნებთ კარაქიან პურსა. არაფერი ვაკლიათ და აზი-მანზობასაც აქი ამიტომ მიეჩვიეთ... ტანისამოსია, ფეხსამოსია... კონკო-ქველა და ქლანი მარტო ზღაპრებიდან იციოთ... უწინ ძნელი დრო იყო, შეილო, ძნელი. წაგნი სწავლეთ, ვაივთ ქვეყნის ავარგე და შექით ავეცხოთ თვალი. მე კი, როცა დაქანულმა ჩანმა ხიმსუბუქე ივ-

არსო, მაშინ შივადექი სამარის კარსა. მაგრამ ნუგუშად ის მიმუყება, რომ თქვენა ხართ ცხოვრებით გალაღებულნი... ფერ-ზორციანი დროა, ისღა დაგვარჩენია ნატვრად, ტყვეამ არ დაიწყოს ზუზუნნი... უწინ კი სხვა დრო იყო, მშინერი, შიშველი, ცივი დრო...

მაშინ მართლაც სხვა დრო იყო. დროა ყველაფერი: ჩვენი დრო ვართ და დროა ისიც, რასაც ვხედავთ და ვინშენთ.

დროს მოაქვს და დროს მოაქვს ყველაფერი. ბერკაცებს საკუთარი წარსულის გახსენება უფეროთ. როცა მათ ვაყვაცობაზე ჩამოვარდება საუბარი, შეიძლება მაშინ აჰარბებდნენ ცოტას, მაგრამ სიღუჭიერის გადაჭარბება არ ჩვევიათ, ვინაიდან სიღატაკე ვერაფერი ხატარაობსა. ზოგჯერ სიღატაკე კაცის უგვირავლობის შედეგია და მისი გაზვიადებით, ანუ ამ მხრივ სხვაზე წინ დავდგეთ, ვინ გამოიღებს თავს!

აღამიანის ცოდნა ყოველდღიურად მდიდრდება, რაც უმთავრესად მშობრთულია იქით, რომ უკეთ იცხოვროს. ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა ისიც, რომ უოველი თაობა მომდევნო თაობის ბედს შენატრის, თქვენ რა გვიკირთ, ისეთი პირობები გაქვთ, ჩვენ ვერც ვიოცნებებდით.

აღამიანი წარსულის რომ მისტირის — გაჭირვებით, ჭახირით ჩავლილ დროს, ის უფრო საკუთარ, დაუბრუნებელ ახალგაზრდობას ნანოსს, ეიღერ მაშინდელი ცხოვრების უთავბოლობის თუ მოუწყობლობის. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც იტყოდა, ოღონდ ახალგაზრდობა დაგვიბრუნდებოდა და უარეს ვასაჭირვებდაც არ ვიტყოდით უარსო. ჩვენთვის ადვილი გასაგებია მათი წარსული და დღევანდლობაც, აკი ამიტომაც უუთანატრწონობთ ხოლმე.

თანაგრძობა აღამიანის სიყვარულზე მიგვანინებს...

ამ ათიოდე წლის წინ წაეკითხე წიგნი — „ექიმის ჩანაწერები“ (ავტორი ვილარ გამახსენებია); იმ წიგნიდან რამდენიმე დეტალი აქამდე გამოიყვა, მაგრამ ეს ერთი იმდენად ნათლად ჩამებუტდა გონებაში, მხავს აშბავს რომ ვისმინე ხანდახან, მაშინვე ის ამოტავტავდება ხოლმე.

წიგნის ავტორი პეტერბურგის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე სწავლობდა. მეცტრამეტე საუწყუნის ბოლო წლები იყო და დღევანდელი მანქანების წინაპრები უკე „წარმოუდგენელ სისწრაფეს“ — რვა კოლომეტრს აეთარებდნენ საათში (სხვათაშორის, ჭერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველებს მანქანების განვითარების დღევანდელი დონე და მომავალი შოფერების უსულგულობით თუ უვაცობით გამოწვეული ის სავალალო შედეგა, რისი მოწმენიც არც თუ ისე იშვილიად ვუოფილვართ).

ლექცია დაიწყო.

მხოლოდში სახელგანთქმული მეცნიერი კა-

თედარზე ავიდა და გაჩერდა.

სტუდენტები გასუსულენა მასწავლებლის საქმით დრო გავიდა, მეცნიერი კმაისტეფიკრშია წასული.

სტუდენტები გაინულუბივით სხედან — არ უნდაო მუუდრობა დაურღვიონ — ვინ იცის, რას ფიქრობსო.

ბოლოა მეცნიერმა თავი ასწია, ღიმილით გადახედა აუდიტორიას და თქვა:

— ბედნიერი თაობა ხართ, — ისევ დაფიქრდა, — უბედნიერესი ჩემს დროს სად იყო სწავლისა და მუშაობის ასეთი პირობები. თქვენ მოწმენი იქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის აუვაკებისა. ის დაბორტორიები რომ მახსენდება, სადაც ახალგაზრდობისას ვმუშაობდი, პარდაპირ საკუთარი თავი მეცოდება. თქვენ კი, თქვენ, ღმერთო, რა დიდებული სამეცნიერო დაბორტორიები გაქვთ!..

— ნამდვილად შეგვეცოდა, — ასყენის ავტორი, — თუმცა რა შწევრავლსაც იმ დიდამეცნიერმა შიადწია, ერთი კაცისათვის თითქმის წარმოუდგენელიც კი არის. ვაშობდა ხანი და იმ დიდი მეცნიერის სიტყვებს ვიშეოვრებ. მაგრამ განსხვავება ამ არის, რომ მისი ავტორიტეტი მხოლოდ მედიცინაში მაშინაც ვაწუწომელი იყო და ახლაც ვაწუწომელია... ვიშეოვრებ მის სიტყვებს და სრული უფლება გაქვთ, ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო, თქვენც ისევე შეგავცოდეთ, როგორც ჩვენ შეგვეცოდა ის დიდი მეცნიერი. ვაივლის დრო და, დარწმუნებული ვარ, ახლა თქვენ ვაიშეოვრებთ ამ სიტყვებს და ახლა თქვენ ვახლებით სინანულისა და შეცოდების მიწეწი... საერთოდ, ასე გაგარბოდება დაუბრუნებლად და აქ ცუდი არაფერია, ვინაიდან ცხოვრების სიბრძნე და სიკეთე სხვა არა არის — რა, გარდა პროგნოსისა, მხოლოდ და მხოლოდ უკეთესის შენებისა. ცხოვრების გზასაც იმიტომ პქვია გზა, რომ ათასწირია იგი: ივარდით მოფენილი, ეკლიანი, საცაღვესო და ისეთიც, მომქანცველი სიარულის შემდეგ, როცა დაშვიდობოზე განვალს ფიქრი, თვალმუდგამ ფრიალო კლდეებს ან თვალმუდგამ უფსკრულს რომ შიადგები და იძულებული ხარ უკან გამობრუნდე — ერთხელ ვავალი ხელახლა გაიარო, ნაცნობ გზაზე ხომ, საერთოდ, საინტერესო თითქმის არაფერია...

ამგვარი რამ ცხოვრების წინსვლის კანონზომიერება და ამიტომაც ადვილად გვესმის მისი, ვინც ახალგაზრდის ბედს შენატრის ხოლმე: მეტი არაფერი მინდა, ნეტავ ახლა შენხელა ვიყოთ. ამ ორიოდ სიტყვაში მხოლოდ უკეთესი, ასე ვთქვათ, კარგი ცხოვრების სიკეთე არ ჩანს; დამაფიქრებელი და თანაგრძობის დუმილის გამოწვევი მიწეწი სხვა: სიბრძნის უძღურება და, რაც მთავარია, სიყვდილის მოახლოებით გამოწვეული შიში. მარადიული დუ-

მიღისა კი მარტო იმას არ ეწინია, ვინც იცის, რომ თავისი სიყვდილით სიყეთეს მოუტანს სამშობლოს, ერს...

კაცობრიობისა და საკუთარი ერის ისტორიაში ჩახედულ კაცს მწვენივრად მოეხსენება: ადამიანის გენია კროვის მამინ განიცდიდა მხოლოდ, როცა გაუთავებელი, მომქანცველი ომები არა მარტო აფერხებდა შენებას, არამედ იმასაც ანგრევდა, რაც უკვე აშენებული იყო, რითაც ამუშობდა ადამიანი. ომი მარტო ადამიანის სიყვდილს არ ნიშნავს, ომი ადამიანის აზროვნებასაც ჰქადავს, რაც არანაკლებ სავალალოა.

უფროსებზე რომ არაფერი ვთქვათ. ზემო თაობის ხალხი ვაიხსენებს, ომის დროს რა ღირდა პური.

- რა ღირდა ტანსაცმელი...
- რა ღირდა ფეხსაცმელი...
- რა ღირდა სასკოლო საბუნძქვეანელი...
- რა ღირდა რვეული...
- რა ღირდა სტუმრის დახვედრა...
- რა ღირდა მგზავრობა...

დედებისა და ქრივ-ობლების ცრემლის გარდა, ყველაფერი ძვიარი იყო. გაჭირვებამ ადრე ვაგებინა ბავშვებს ცხოვრების აყარბა, ადრე დაუბოხა ხმა და ადრე დააეწივა ღახტი, რაც-ტაფელა, შურდული... ბავშვი ბავშვობას ადრე რომ დაეარბავს, თავისთავად დანაყლისია... ეს საწუშარო ამბავი განსაკუთრებით მას მოეხსენება, ვისაც საკუთარი მხრებით გადაუტანია ნაადრევად დამძიმებული ცხოვრების ტვირთი...

ელგუჯა ოშტერელია შეიდი კლასი დამთავრდა და მერვე კლასის სახელმძქვეანელოებას როცა-შეეწინა ადარც უფიქრია. მისწავლე სწავლას რომ მიატოვებდა, მამინაც აწირა-ღებოდა ხოლმე სკოლა და ამ ჩვეულებრივ სიტყვას — შიტოვებას — მამინაც აუტანელ სიტყვას — „განთესვას“ ეძახდენ.

დაბრუნდი სკოლაშიო, რამდენჯერმე სთხოვეს ელგუჯას, თუმცა, მაინცდამაინც არ ჩახტებინა, რაც ზედადდენ, ობოლი იყო და უტირდა. ვინ ვატყვის, გინდა თუ არა მშვირ-მწუროვალმა ისწავლეო. მართალია, უფროსებს ახლაც პირზე აკერიათ შიმშილმა გვასწავლაო, შიმშილმა გამოგვაფიხილაო, და ათასი სხვა რამეც. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ეს ჩვეულებრივი ვაზვიადებია და მეტი არაფერი...

მამინ იყო: ექიმს მოუყვანდნენ ავაღუფოფ, ვაქვალტკავებულ ბავშვს.

- რას უჩივის? — იკითხავდა ექიმი.
- სისუსტეს.
- ვახადეთ.

რა უნდა ვახადათ, რა ეცვა? მშობლებისეული ტანსაცმელმა იყო ჩაყარგული. აუტანელი სიღარიბე, ოღონდ რწმენა, რწმენა.

მა მტერზე ვამარტყვინა. ეს კი ყოველგვარ კონებაზე მეტად ფასობს.

- გახინჯავდა ექიმი და თავს ვაქვნივდა...
- სიფრთხილვა საქირა.
- როგორ მოვიქცეთ, ექიმო?
- გაძლიერებული კვებაა აუცილებელი.

იმას კი აღარ კითხულობდა, იყო თუ არა ამის საშუალება. ისე, სიმაღლე რომ ითქვას, ექიმებმა ეს სხვაზე უკეთ იყოდნენ. პროფესია აძლულებდათ, დიანონოზი არ დაეშალათ, რეცეპტიც ამ დიანონოზის მიხედვით გამოეწერათ. წამალი მოვებოდა თუ არა, ეს უკვე სულ სხვა საქათბი იყო, რაზედაც ექიმი არასოდეს არ აგებს პახუსს...

ელგუჯა ოშტერელი სადმელში დაიბადა, ამბობოლურის რაიონში, 1916 წელს შეიდი კლასი რომ დამთავრა, თხოუშეტი წლასაც არ იყო. როცა ზედავდა, ოჯახს თავს გატანა უქირდა, წიგნს ავი ვეღარც დაუდო ვგული და აღარც უყან დაბრუნებაზე აუტეხიათ დიდი დავიდა-ჩაბა.

ლამაზი სოფელია სადმელი. თუმცა რაქის რამელი სოფელი აღარ არის ღამში! — რა გულამაზება, თუ ძმა ხარ, პურია საშოვარი! — ეღობება ელგუჯას.

ეს სევდანიარევი ღიმილი, რა თქმა უნდა წარსულს ეტება.

უკეთესად, ძნელია ითქვას: კაცს რომ უქირს, მამინ ბუნების სიღამაზეც კი შეუშინვეელია. მამინ მხოლოდ საწუშარი უდგას თვალწინ და შთელი ძალა მიმართულია იქითკენ, ეგებს ამ გასპირს ვაფუსხლტე როგორმეო.

ელგუჯამ საშუშაროს დაუწყო ტებნა, ხადეც არ მიკითხა, ყველგან უარით დახედნენ — რა დროს შენი მუშაობაა, წადი, შეიღო, ქერ ტვალი ვამაგროო...

— მწერალი არკადი ვაიღარი ვაგივია? — ვეკითხები ელგუჯას.

— როგორ არა! კინოებოთ, ფურნალ-ვაზეთობით, ტელევიზორით... სხვათაშორის, არც წიგნის მუშუცხოვება.

- მავას ვინ ვაკადრებთ?
- ისე ვთქვი, ზიტყვის მასალად.
- მოდა, ეს არკადი ვაიღარი თექვსშეტი წლასა არც იყო, დივიზიის კომისრად რომ დანიშნეს.

- იცოდნენ წლოვანება?
- წლები წამატა.
- ტუთლი თქვა, ზომი?
- ასე ვამოდის.

— ზედაც, ზოგჯერ ტუთლიც სასარგებლო უოფილა.. შე კი ამდენი ვერ მოვოფიქრე. არც მამინ მაველა სიმალლე და ქანა, მაგრამ ამდენი ვერ მოვოფიქრე... დევიოდა, სად აღარ დავდიოდა, ვის ავი ვაწუხებდი, საშუშარო ვერა დავერ კოშოვენ...

სადმელთან ახლო იყო ზეტყის დამამუშავე-

ბელი ქარხანა და ელგუტამ კიდევ ერთხელ მი-
აქრობა იმ ქარხანას.

დირექტორი გაუწერა:

— როგორც მასსოვს, გასაგებად ვითხარა,
ვერ მივიღებ-მეთქი!

— მაშ რა ვქნა, უფროსო?

— შე რაღა ვქნა?

— უნდა მიშაღო.

— შენ მივიღო და შე წავიდე?

კინაღამ ატირდა ბები.

დირექტორმა უფროსად თქვა:

— ხომ იცო, შეიღო, როგორი მკაცრია კანო-
ნი, უწილოვანს რატომ ამუშავებო, მოშხნინან
და მამუშეცირივი ვერ მიშვილის. მესმის, შენი
მდგომარეობა, მაგრამ რომ არც შე შექვს სხვა
გასაქანა?

ამ საუბარს ვიღაც მაღლიანი კაცი შეესწრო,
ეტუბობდა, კარგად იცნობდა ქარხნის დირექ-
ტორს და პირდაპირ უთხრა, პირდაპირ და მოჭ-
რობ:

— მიიღე.

— მიიღე, ადვილია. ამის გულისათვის პარ-
ტიიდან გაპირცხავენ და, შენც ვეკრდზე დამრ-
ჩებო.

— ვინ ვაგრიცხავს, კაცო, რას ამბობ?

— მიჩივლებს ვინმე, ცოტაა მტერი?

— შერე, სადაა ის მტერი?

— ღმერთო, მაშინ მომკალი, როცა მტერი
დაშეღებო.

— ვაბაურდება და, თქვი, უპირდა და, ბე-
ლი შეკრა-თქო?!

დირექტორი წელ-წელა მოტყდა:

— კარგი, მიმიღია, ოღონდ ამ ამბავს ცუდი
შედეგი თუ მოსვტა, შენს კიხერზე იყო რემი
ცოღებო...

იმ დღიდან ელგუტამ ბე-ტყის დამამუშავებე-
ლი ქარხნის გარეშე დაიწყო მუშაობა. ემანდ
არ თქვან, ბავშვიაო და, დილის ძილი მოკლეო,
სხვაზე ადრე მიდიოდა გარეშე. სხვაზე ადრე
მიდიოდა და სხვაზე გვიან ბრუნდებოდა შინ.

გაუბრებო, უფრო მეტად, ადამიანური ღირ-
სება აიჭულებოდა, და თავდაუზოგავად მუშაობ-
და. უფროსებს ხელეშე მისჩერებოდა — რას
და როგორ აკეთებენო, ყველაფერს აკვარდუ-
ბოდა. ასწონ-დასწონიდა და თუ მისაბამ მაგა-
ლითად გამოადგებოდა, აკი ბაძვდა ხოლმე. ეს
არ იყო მარტო ბავშვური ცნობიზმოყვარეობა;
ეს ის იტერესი იყო, რაც მომავლისაკენ აბე-
დებდა. მომავლის გზას აჩვენებდა. მომავლის-
კენ ხომ, ხაწუნხაროდ, ყველა ერთნაირად არ
იხედებო.

— ძალიან მიყვარს, — ამბობს ელგუტა და
ნათქვამს უფროსდება, — არც მაშინ მაკლდა
ქანი და სიმაღლე. რატომ არ მიღებდნენ სა-
მუშაოზე?

— აკი წედან თქვით — ასაკის გამოო.

— შეც მაგას არ ეამბობ?

— შერე?

— ხომ შეიძლება... რაღა შეიძლება, ასეა;
ჩვენს ვარშეო რამდენ ბიჭს ვცდობთ, ორ-
მოცი წლის კაცზე მეტი ქანი რომ აქვს, რა-
ტომ არ უნდა იმუშაოს ასეთი ქანის პატრონ.
მა?

— მაგრამ ჯერ ხომ წრდა არ დასრულებია
და არც გონებრივად დასრულებულია? ადრევე
რომ ხაწმომო საქმეს შევაჭიოთო, ორმოცამდე
ვერ მიატანს.

— ჩვენც ადვილი და მსუბუქი საქმეზე და-
ვაუენოთ.

— ასე არ გამოვა. სხვაე არა იყო რა, ახლა
ხაწმომო არაფერი გვეჭირს და აქობებს. ბავშ-
ვობა გათაროს... პასპორტის ასაკის შემდეგ
კი დათმობა დანაშაული მგონია.

— რა ცოც, შე ისეე ჩემი ბავშვობა მაგონ-
დება.

— სხვანაირად არც იქნებო...

პირველი ზელფასი რომ აიღო, ვახარებული
იყო ბები.

— მაშინ სხვას ვიღას უღზინდა და ჩვენც
ამ დღეში ვიყავით. საღ წავიდებდი — დედას
მიუტყანე ზელფასი. ცრემლი წამოსცვიოდა.
ახლა, იმ ვასპირს რომ ვუვალებით ჩვენს შეი-
ღებებს, ზღაპარი ზგონიათ...

გარეშე მუშაობდა ელგუტა და თან შოფრო-
ბას სწავლობდა.

დამჭერი ბიჭი იყო, დამჭერი და ბუჭათი.
ამით თავი შეაყვარა ყველას. აკი ქარხნის დი-
რექტორი ხშირად ამბობდა ხოლმე, რაზე ღმერ-
თი გამოწერებოდა და არ მივიღებელიო.

იღვა და მუშაობდა თავისთვის—შე შენ გეტ-
ყვა, ლამარაკით შეაღონებოდა ეიწმეს.

გავიდა დრო, შოფრობა ისწავლა და ისევე
სოფლისკენ გაუწია გულმა.

კოლმურწეობის თავმჯდომარემ ჯერ სო-
ფელში დაბარუნებო მიულოცა, შერე ჰქიობა,
რისი გავთებოა შეგიძლიაო.

შოფერი ვარო.

შოფერი ხარ და, აკერ მანქანა, დაჭევი და
იმუშავეო.

სადმელის კოლმურწეობაში ერთი წელი
იმუშავა ელგუტამ. მარტალია, მაშინ ჯერ კი-
დევე გამოუცდელი შოფერი იყო, მაგრამ სი-
ღინე და დაკვირვებულობა არც მაშინ აკლდა.
სიღინე და დაკვირვებულობა ხომ ასე აუცი-
ლებელია შოფრისათვის, რათა საყუთარ სი-
ცოცხლებსაც გაუფრთხილდეს და სხვაე დაიც-
ვას ხოფათისაგან. რაჟის გზები არც ახლაა მ-
ინცდამაინც მშვიდად გასაველი და, ადვილი
წარმოსადგენია, იმ დროს რაღა იქნებოდა.

როგორც ყველა კაცს არ შეუძლია დაუფუ-
ლოს ექიმის პროფესიას, ასევე შოფრად ყველა
არ იყარება.

გამოსდილებაც სულ მალე მიიღო ელგუტამ,

ამიტომაც საფრთხილო გზებზე სიარულს ზში-
რად მას ავალბდნენ.

კაცს გაჩნია: ზოგი იტყვის, განგებ მავალე-
ბენ, ჩემი თავიდან მოშორება უნდათო.

მაგრამ ელფუქას ამგვარი დავალება ამაყუბ-
და. ეს ნდობა იყო, ენდობი? — ეს იმას ნიშ-
ნავს, გჭერა მისი.

სოფელში ერთი წელი იმუშავა.

ჩათვდა ერთი წელი და აჩქემა, ქუთაისში
უნდა წავიდეთო.

არ ეთმობოდათ, მაგრამ ვეღარ გადათქმევი-
ნეს, და გზა დაულოცეს, სიკეთითა და სიხარუ-
ლით გველხოსო.

ეს იყო 1958 წელი.

ელფუქა ოშხერელმა ქუთაისის მეთოხე ავ-
ტოსატრანსპორტო საწარმოსში 1958 წელს და-
იწყო მუშაობა. თავდაპირველად ზეინჯლად მუ-
შაობდა.

ამ საწარმოს დირექტორი გიორგი ვაბუნია
მართლაც რომ სიამაყით ამბობს:

— დიახ, თავდაპირველად ზეინჯლად მუშა-
ობდა. შევხედეთ და შევატყვეთ, კარგი ბიჭი
ჩნდა და ამიტომ არც ყურადღება დაგვიკლია.
როგორც ახლა ქვეყანაში იცის, აღდომ არ გვიმი.
ტყუნა და ამით ჩვენს თავსაც ვუმაღლებ... მა-
შინ ხად იყო ამდენი მანქანა. არც ამდენი მან-
ქანა იყო და არც ასეთი ღიდი და უთვისაღვი
შეწინებლობანი. კანტიკუნტად ვიდებდით მანქა-
ნებს და, მართალი ვითხრათ, მაინცდამაინც
შოფერებიც არ გვაქამდნენ თავიბრის. გარაფში
ერთი პირიბოთი ვიდებდით შოფერს: ზეინჯლად
უნდა ემუშავნა და, როცა მანქანა გაჩნდებოდა,
საუოყმანო დარაფერი იყო, საქებს მიუჭდებოდა
მანქანე... ეს, ასე ვთქვათ, ორმავად სასარგებ-
ლო გახლდათ. პირველად: დეტალურად შეისწავ-
ლიდა მანქანას, სათანადო პრაქტიკას შეიღებდა,
და მეორე: ბევრიც მოგვეწავლინებინა, რიგს ვერ
დავარღვევდით... შახსოვს, ელფუქა სულ პირ-
ველად ტონანახტერიან თვითმკლელზე მუშა-
ობდა, ახლა თორმეტტონიანი მანქანა ახარია.
ხედავთ, რამხელა სხვაობაა? ცხოვრება, რა
თქმა უნდა, წინ მიდის... ოცი წელია ჩვენთან
მუშაობს. ჩვენ ხელში გაიზარდა და დავაყავ-
და. ამ ხნის განმავლობაში მეც აქა ვარ, შეხ-
სიერებას არ ვუწივი, — დამილით ამბობს, —
არ შახსოვს, გეგმა არ შეეცრულებინოს, მუშა-
ობის რტეში დაერღვიოს, ავარას მოგხდინოს...
საერთოდ, უბრალო შენიშვნაც კი არ მიღლია.
ხანდახან ჩემთვის ვიტყვი ხოლმე, როგორ
მშვენიერად აწყოლობდა ჩვენი ცხოვრება, ყვე-
ლა რომ ისე ასრულებდეს თავის მოვალეობას,
როგორც ამას ელფუქა ოშხერელი ასრულებს...
არ გეგონათ, ვაპარბებდე. აი, სხვა საქებარი
სიტყვებო ვეღარ მიმაყვინა, თორემ იმასაც ვიტ-
ყავდი, ერთი წუთითაც არ შევყოყმანდებოდი...
სამსახური გინდა, ოქანბი გინდა, კაცად კაცი
ბომ აწყოწივი ოქროსა... კარგია, კაცს ამაგი რომ

დაუფახდებ. ამას, გულახდლოდ მოგახსენებთ
ჩემზედაც... იმედო მაქვს თავის ჯერსში წარ-
მომარაშვეთო.

— შესმის. მშობლიური მოვალეობაა ეს.

— დიახ, დიახ, სწორედ ასე ვთქვი...

მეთოხე ავტოსატრანსპორტო საწარმოს გა-
რეთი მალდაკშია... რომელ ქუთაისელსაც არ
უნდა აკითხოს, ამ უბანს ყველა მიგახწავლის.

ეს გარეთი 1948 წელს აშენდა. საძირკველი
რომ ჩაუყარეს, ასე თქვეს, გრჩეკრობით დრო-
ებით ნაგებობას ვაშენებთო, დროებითი კიდევ
კაპიტალურს არ ნიშნავს. როგორც პროქტი
ითვალისწინებდა, ისე ააშენეს და, რა დროები-
თი ნაგებობა, მუდმივად შერჩათ! ისეა მოძვე-
ლებული, უცხო კაცს შეგრცხვება და, თქვენ
წარმოიდგინეთ, მასპინძელი რადა დღეში იქ-
ნება. საწარმოს 260 მანქანა აქვს, სხვას რომ
თავი დაუანებოთ, სარემონტო მანქანებიც ღია
კაბეში უდგანან. თუ კარგი ამინდია, კიდევ
არა უჭირს რა, მაგრამ ერთიც ვნახოთ, გახშით
დაიჭირა წვიმები, მაშინ?

გარეთის გაშვე, კონსტანტინე შევგულიძე სი-
ნაწულით ამბობს:

— ათი სარემონტო თხრილი გვაქვს, ეს არის
და ეს მეტი სივარძოვე წარმოუდგენელია. ვი-
დრე ახალი ნაგებობა დამთავრდება, სხვა გზა
არ არის და, როგორც აქამდე ვახერხებდით, მა-
ნაშდევ ასე უნდა გავიდეთ იოლას...

ავტოსატრანსპორტო გარეთის ახალი შენო-
ბის ჩინჩისი კი უკვე აღმართულია.

მშენებლები იმედს იძლევიან, მალე დავამ-
თავრებთო.

მშენებლებს ხან დაეჭვრებათ, ხან — არა...

მე რომ ქუთაისში ჩავედი, ძლიერი ქარი
ქროდა და სულ მალე უარესსაც მოელოდნენ;
ხმაშაღლა არ მითქვანს, გულშიც კი გავივლი-
ურარესი რადა უნდა იყოს-შეუთი.

ელფუქა ოშხერელის მანქანა — თორმეტტო-
ნიანი კრაზ-25მ, გარეთის ეზოში იდგა, უქანა
საბურავები მოეჭროთ.

მანქანას ბიჭები უტრიალებდნენ.

— მესამე დღეა, ვარემონტებო, — თქვა ელ-
ფუქამ და საბურავს დახედა.

— ეს რამხელა საბურავია?! — მართლა გა-
მიკვირდა.

— მანქანაც დილია.

— სხვაწიარად არც იქნება... მარტო, აღ-
ბათ, თქვენც ვერ მოტრევიო.

— რას ამბობ?! შშინეა, მარტო ჩემი ჭანი
რას ეყოფა!... ძალიან სამწუხაროა ერთი რამ

— საბურავის შემონატყეუბი ვერ იქნა და ვერ
მოვიშინაურეთ. დაიწყებენ მუშაობას, ცოტა
ხანს — ეს ხათროო, ეს თავმოყვარებოო —
გაჩერდებოან; მერე გაკრული ბელით სწერენ
განცხადებან; დეა გარბიან. არა ტყუენა და ვერც
ეტყვი, გაჩერდითო. მაშ დმერთო არ არის! —
ტაქსიმოტორის საბურავების შემონატყეუბა და



კრახის საბურავების შემონატყვისაც ერთნაირი ხელფასი უნდა ჰქონდეთ? ჩემი მანქანის საბურავს ერთი კაცის ძაღლიც რას დააკლებს — ქვეშ მოიკცევს და მოგვამა კირი! გინდაც მოერიო, სახვალოდ აღარ ვინდა ჩანი და ხალისი? თუ შენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის სიკეთე ვინდა, სიმართლე უნდა თქვა. სიმართლის დაფარვა და სიცრუის თქმა, ორივე დანაშაულია. ზოგს პატრიოტიზმი აკერია პირზე. ცარიელი სიტყვებით საქმე არასოდეს გაეთუბულდა...

კაცი სიმართლეს ამბობს და, ისდა დავრჩენია, დავთანხმო, შით უშეტებს ეს სიტყვები მხოლოდ თორმეტტონიანი მანქანის საბურავების შემონატყვებს არ ეხება.

— მალე გახვალ რეისში? — ვეკითხები ელგუჭას.

— ხვალ დავამთავრებ რემონტს. ეს ბიჭები რომ არა, ვინ იცის, რამდენ ხანს ვიდეგობოდი ასე. კარგი ავტოშემკეთებლები არიან.

და შეც რეორგანიზაციის ვაიციანი კარგი ავტოშემკეთებლები:

— რეზო კაპანაძე...

— ოთარ მანავაძე...

— რეზო ხუჭაძე...

ზეითი ჰქონდათ ხელები მოთხვრილი და მკვების მიწვდიდნენ.

ელგუჭამ თვალი მოავლო მანქანას და თქვა: — ასეთ რემონტს ვაფუძლებთ რეგორში, შენ სხვა იკითხე.

ვერ მივხედი, რისი თქმა უნდაოდა:

— რა ბრძანეთ?

— ეს შედარებით წვრილმანია, მაგრამ მართლა რომ მოიშალოს მანქანა, მაშინ რა შევადლება, არ ვიცი! საერთოდ ცუდად არის საქმე.

— მაშინაც ვაარეშონტებთ და, ეგ იქნება.

— მერე, ვინ გვაძლევს უფლებას?

ეს კი ნამდვილად აღმოჩენა იყო ჩემთვის:

— რემონტის უფლებას არ ვაძლევენ?!

— არა. კაბიტალური რემონტის უფლება არ გვაქვს. კრახ-შინ მარკის მანქანების კაბიტალური შეკეთება მხოლოდ ვოლგოგრადში შეიძლება. პირდაპირ საოცარია: ამ მარკის დიზელის ძრავიანი მანქანები ძალიან ბევრია საქართველოში და შეკეთების საშუალება კი არ გვაქვანია. ავტორეაბილიტაციის სამინისტროს მხოლოდ გვეგში კინტერესებს, სხვა დანარჩენი, ეტყობა მეორე ხარისხოვანი პგონია. მაშ რას უნდა შეიწეროს ეს დაუღვერობა, რომ იმდენსაც ვერ მიადნია, ვოლგოგრადში ნავიგაციით და იქ ვაერემონტო? ან უსულალოდობა, ან წყურბულება, ანდა მეტავალიობა... რა კვან ეწვივნება და ეწვიონოთ! რაო, ჩვენ არ გეწყინს ამდენი ჩახირო და წვალება?

შე კი მეგონა, ზედიზედ ორ სიტყვასაც ვერ იტყვის-მეთქი...

ქუთაისის მეოთხე ავტოსატრანსპორტული საწარმო ძირითადად დასავლური ტიპის ავტომობილებს მშენებლობებს ემსახურება.

დაიწყება საშუალო დღე და მანქანებიც მოედების გზებს: აგრო, ცემენტი, ფიცარი... რა ჩამოთვლის სამშენებლო მასალა.

შენდება ქარხნები, ფაბრიკები, ხიდები, საცხოვრებელი კვარტალები...

მშენებლები ჩაუფრიან საძირკველს და დაეყოლებენ ხოლმე: მშვიდობაში, სიკეთეში მოგვამარტებსო.

მშვიდობა და სიკეთე — ეს კეთილშობილებაა...

მთელი საქართველო სამშენებლო პოლიტიკადაც არის ქცეული.

ასეთი ხანგრძლივი სიმშვიდის დღეები ჯერ არ დასვლამია ჩვენს ქვეყანას, დიდი და პატარა ომები გუთამსა და ხარკოს მოგვანატრებდნენ ხოლმე. ამის თაობაზე მშვენიერად ითქვა დიდი ტრიბუნიდან.

ჩვენმა ხალხმა შენებისათვის მოიცილა და დანახვა ქვეყანას: შემოარი შეოშრად, მაგრამ არც მშენებელი ყოფილა ნაკლები.

ერთმა ამერიკელმა ბიზნესმენმა თბილისის მშენებარე გარეუბნები რომ დაათვალიერა, უვლას გასაგონად თქვა: მსოფლიო მომიჯლია და ასე ერთბაშად, ერთდროულად წამოშლილი კვარტალები, კაი ხანია, არ მინახავსო.

სხვა რომ ვაქვებს, ამას უფრო ადებს ფასი...

დელაუარენია ვადის ელგუჭა რეისზე და არ იცის, რითი დამთავრდება ის დღე. შენარტლებს თუ არა გეგმას. რაც არ უნდა იყოს, მაინც ვჯანა, ვჯან კი ხიფათით არის სავსე — შენ არ წაწყდები და სხვა წაგაწყდება. მართალია, ახლა ვეგმა მანქანა აქვს, წაწყდება ვინმე და კარგ კორდელელებსაც დაიქერს. მაგრამ უველი ხომ ასე არ არის, ხიფათს უშეტესად ისინი ვადეუყრბოან ზოლმე, ვინც ვადეკრულშია. ვისაც წინა დღის ბახუსი აქვს ვამოყოლილი, ანდა ისინი, საკუთარი თავივით რომ არ უფრთბილდებიან მანქანას. რაკი შენი სიცოცხლე მანქანაზე ვამოკიდებული, ამიტომაც ისე უნდა მოუარო, სანანებლად არ გექცეს. რაც მთავარია, შენი დანაშაული ხშირად სხვის ამწარებს, სხვათა დედებს აცემებს ძაძას, სხვათა მამებს ატირებს უცრემლოდ, სხვათა ცოლებს აჭერივებს, შეილებს აობლებს. ამ დაუღვერობისათვის ვანონი თხოვს პასუხს, მკაცრია კანონი და მაინც ღმობიერი ვეჩვენება. შოფერი მთვრალი, ნახვაში (და არა „ნახვაში მდგომარეობაში“, როგორც ამას იურისტები ამბობენ და ვაწეოებიც იმეორებენ) უწის საქებს, ეს იმას ნიშნავს, პოტიციოური შეკელია. აი, ამ კუთხით უნდა მივუდგეთ...

ვადის ელგუჭა რეისზე. ათასი ჯურის ხალხი ხედება, ათასი პროფესიის; უვლას თავისებური მიდგომა სჭირდება, თავისებური აღლო, რა...

თა გაიგო, ვის როგორ უნდა დაუბლოკდე, რათა დამწვინდებინათ: ან არ დაკარგო ეს სამსახურსაც სჭირდება და თვითონაც — დამანაც. რამდენადაც ბევრს ვიცნობთ, იმდენად ბევრს ვართ.

— დატვირთვა, გადატანა, გადმოტვირთვა — ეს არის ჩემი ყოველდღიური საქმიანობა; — ამბობს ელგუჯა, თან რაღაც დეტალს ატრიალებს ხელში.

ეს სამი სიტყვა სათქმელად ადვილია. მაგრამ ამ სიტყვებში იმალება ელგუჯას მამულიშვილური მოვალეობა: იგი მუშაობს პატროსნად, ერთგულად და ამით აკეთებს ხალხის და ქვეყნის საქმეს, ამას თავმდაბლობას ეძახიან. თავმდაბლობა კი, როგორც ცნობილია, ადამიანს აკეთილშობილებს.

— მთავარია, უპირველესად შენ იყო შენი საქმიანობის კმაყოფილი. ხასყეთოს გააკეთებ რამეს და, წუ გეფიქრება, დღეს თუ არა ხვალ მაინც უტყველად გამოჩნდება დამახველი. ეხებ არ იყოს, ჩვენ ხომ იმატომ არ ვმუშაობთ, ვინმეს თავი რომ მოვაწონოთ? თუმცა არაან ასეთი ვინმეებიც. რას იკიმ, მატრო შეხედულებით არ განვსხვავდებით ერთმანეთისაგან...

ქუთაისის ეს მეოთხე ავტობატრანსპორტო საწარმო ძირითადად აქამეთის სილის გამამდიდრებელ ქარხანას ემსახურება. აქამეთის კარიერზე თხუთმეტი აქაური კაცი მუშაობს.

— თქვენც იქ მუშაობთ?
— რა თქმა უნდა! მაგრამ, ემ ნეტა, არ გამსხვანა მინცი!
— ძნელია?

— გზა უვარგისი, იჭაურობა მიწვეულმონგრეულია. იმდენად უყურადღებოდ არის მიტოვებული, რომ სხვის ნაცვლად შე მრცხვენია... კაცს მოზრდილი თანაღებობა უჭირავს — ხელტასი არ აკლია, მანქანა და ზავარძელი, რაც თვითონ მას ეხება, მხოლოდ იმას თხოვ, შეტე არაფერს და იმასაც არ ახრულებს... მანქანი კარიერიდან ქარხანამდე ექვსადექვსი კილომეტრია. სწორედ ეს ექვსი კილომეტრი გვიწვავს მანქანებს. გახვალ დაღობს მწვენივრად აწყობილი მანქანით და ხალხობს რომ ბრუნდება, აქეთ შენ გაქვს დაგლეჯილ-დაღეწილი განი და ნერვები, იქით — მანქანა გასაცოდავებული. რა ქრისტეს პერანგი გახდა ეს ექვსი კილომეტრი, ვერ გავიგე! ამდენი მანქანის ასე მიწვეულ-მოწვეულა ათჯერ უფრო ძვირი უჯდება საბელმწიფოს, ვიდრე იმ გზის შეეთება დაუჭლებოდა. 1972 წელს მივმართეთ სადაც ჯერ არს. დაგვიარდნენ, მალე შევაკეთებთ, სულ მალეო. საქმეში ხარ?!

ზოგიერთ ხელმძღვანელ ამხანაგს ისეც ძველი მოსდგამს — დაპირებით მოგიშორებს. აბა, ერთი აჯადრე, სავარჯილადან გადმობრძანდიო!

ისეთ უცვს დასდებს, ბაბილონის გოდოლას აშენებას დაგპირდება, მაგრამ არაფერც არც თვალს მოაშორებს, მიეძინება დასველებული ლულს ამდენი დაპირებებით! ცუდები უფრო წევით მიწვეულნი სმა და, ჩივილის შებო საქმე არაფერი აქვსო, ცუდი კაცის სახელს დაგიგდევენ. ზოგიერთი სიმართლის თქმასაც გიშლის. აბადა, უბრალო გზას კი არ დაგვიარდნენ, ასფალტს დავაგებთო. შევატყუო, არც ამ დაპირებას უწინადა სახირო პირი, ავდექით და გრეიდერი მოვიტოვებო. შენ გგონია უარი გვითხრეს — კი ხატონო, წიადეთო. მოდა დანუ გაგიკვირდება — მართლა არ მოგვეცეს?! თუმცა... თუმცა ვიდრე ავამუშავებდით, ისეც წავივარტყვს და რუსთავის რომელიღაც ობიექტია თუ ორგანიზაციას გადასცეს. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, თითქოს დაგვეცინიან... თუ ძმა ხარ, როგორც გითხარი, აი, ასე დაწერე...

— დავწერ, თუ ამით ეშველება რამე.
— ქვეყანა გაიგებს და იქნებ მაშინ მაინც ინამუსონ... მე რომ მეთხოვ, იმ მანქანების შეკეთების თანხა, რაც იმ გზის მიწვეული გამოსწვლვა მწურობრივად, იმ დაპირებებით დაავადებული ორგანიზაციის კისერზე უნდა წაიქცეს: კანანამეა იმისი უფროსი... კიდევ რა უნდა მეთქვა? მო, თორმეტი რეხისა გეგმა, ჩვენ კი ხშირად თვრამეტსაც ვასრუებთ. გზა რომ გზასა ჰგავდეს, მაშინ ხომ... ეხეც ზარალია თუ არა? ზედაც? თურმე ერთ დაუდევრობას რამდენი ხასყეთო რამის წახდენა-გაფუჭება შესძლებია...

ელგუჯა ოშხერელს არა მქონია შემთხვევა შუა გზაზე მოშლოდა მანქანა. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, გარეშო შუვა და, ვიდრე მანქანას არ მოაწესრიგებს, ვიდრე არ განიჩავს და გულს არ დაიშვიდებს, შინისკენ არ იზამს პარს. დილით საქმე აღარაფერია, აიღებს საწვევს, საგურუს და გზას გაუდგება... რაკი მანქანა ყოველთვის წესრიგში აქვს და ქუჩაში მოძრაობის წესებსაც იცავს, ამიტომ ქვასაც არ გადააბრუნებს ხოლმე ავტოინსპექტორების დანახვას თუ ხსენებანუ...

სამი შვილის მამა ელგუჯა — ეხებ საქმეა! უფროსი გოგო — დაჩეგანი — საავტომობილო ქარხნის საიარალო საამქროში მუშაობს. პირველთანრიგოსანია კალათბურთში და ქილკის ნაყრებში თამაშობს.

მეორე გოგონა მეცხრეკლასელია, ისიც სპორტსმენია — ფრენბურთელი.

მესამეკლასელი შერაბი კი ფეხბურთელობაზე ოცნებობს...

მოხუცი დედა კი საღმელშია — სოფელს ვერ შეუღია, იმასაც მიხედვა უნდა.

ახეა: როცა სამსახურში არ არის, საფიქრალი და გასაკეთებელი მაინც თავსეხსაყრელი აქვს ელგუჯას.

ელგუჯა ოშხერელმა იანვრის გეგმა 151 პრო-

ცენტით შეასრულა. გეგმის გადაშეტებით 1485 ტონა ტვირთი გადაიტანა. ვალდებულება აღებული აქვს, ამ წლის გეგმა ხაში თვით ადრე შეასრულოს, იანვარში გვიჩვენმა, რომ ამ ვალდებულებას შეასრულებს.

ერთბაშად არ შეუდწევია წარმატებისათვის, ნელ-ნელა ადიოდა ზედა საფეხურზე:

1965 წელს კომუნისტური შრომის დამკვერთლის საპატიო წოდება მიენიჭა;

1970 წელს, ლენინის დაბადების ასი წლის-თავთან დაკავშირებით, საიუბილეო მედლით დააჯილდოვეს;

1971 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით;

ხოლო 1974 წელს, მერვე ხუთწლეულის მესამე გადამწვეტი წლის გეგმის ვადაშივე შესრულებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა...

ქუთაისიდან წამოსვლას რომ ვახირობდი,

ჩემს ახლობელს, ოთარ ლოსაბერიძეს შევიჩვიე:

— რა ვქნა არ ვიცი, ელგუჯა... ომბერდლის შოფრობა ცოტა არ იყოს უინტერესო თემად მჩვენება — მუშაობს, არც უსიამოვნება, არც შეხლა-შემოხლა, სიმშვიდე, მართო სიმშვიდე. რა გამოვა, ვერაფერს ვიტყვა.

ოთარიც შოფრია, ელგუჯას კარგად იცნობს.

— შენი მაყვარს, — ელაშება ოთარს, — ახლა ხომ ომი არ არის, რომ კაცს ფათერაკებით სავსე თავგადასავალი ჰქონდეს. ომში-უთავგადასავლოდ და უფათერაკოდ გმირად ვერ გახდები, ელგუჯას ზოგიერთი შოფრიათისა-საფარით, ავტონისპექტორებისაგან გასხლტო-მა-გამოსხლტომის თავგადასავლები რომ ჰქონდეს, გმირიც ვერ გახდებოდა.

მართალი გიბზრათ, ყველაზე უფრო საინტერესო მეც ესა მგონია.



თბილისური ტანსაცმელი

ჩვენ განვლეთ, ამხანაგებო, გმირული ისტორიის ხანგრძლივი წლები, როცა მილიონობით კომუნისტი და უპარტიო შეგნებულად არ ერიდებოდა მსხვერპლს და გაჭირვებას, უმცირესითაც კმაყოფილდებოდა, საკუთარ თავს ნებას არ აძლევდა მოეთხოვა ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. არ შეიძლებოდა ამას ვაეღვნა არ მოეხდინა აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების წარმოებისადმი დამოკიდებულებაზე, მის ხარისხსა და ასორტიმენტზე. მაგრამ ის, რაც ვასაგები და ბუნებრივი იყო წარსულში, როცა პირველ პლანზე იდგა სხვა ამოცანები, სხვა საქმეები, თანამედროვე პირობებში მთვლებელია.

ლ. ი. ბრამეცვი

მოგხსენებათ ჩვენში როგორი დეფიციტურია ბავშვების ტანსაცმელი. ამიტომ არ გამკვირვებია, როცა ამ ექვსიოდე თვის წინ თბილისის „ბავშვთა სამუაროში“ ბიჭუნების კოსტიუმებზე უზარმაზარი რიგი დაჯინაზე. მახსოვს, მაშინ საბავშვო მაღაზიაში სათამაშოს საუბლად შევიარე და ასეთ რიგს კი წაეაწყუდა.

დახლზე და მის უკან ბიჭუნების კრედი, ღამაწი კოსტიუმები ჩაემწკრიფებინათ. პიჭაკების ჭიბეები შავი კანტებით იყო მოართული. შავი სამხრები და ლითონის ბრჭყვიალა დიდი ბი ტანსაცმელს მერ ღაჯათსა და შნოს აძლევდა.

რიგში მდგომნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ და თვალი კოსტიუმებისაკენ გაუარბოდათ:

— ნეტავი სადურია?

— ვერ ხედავ, იშორტულია! — აეტორბიტულად ამტკიცებდა შუახნის ქალი.

— ააპონური იქნება!

— არა, ფინურსა ჰგავს!

— ასეთ ჭრედ-ჭრულს მხოლოდ საფრანგეთში ეყარავენ.

— არა, არა, — დაუფინებით ამბობდა ახალგაზრდა დედა, — პოლონური იქნება, ან უნგრული...

პირველმა შეიჯდომა კოსტიუმით ხელში რიგს რომ თავი დააღწია, მიცვიდნენ და ბავშვის კოსტიუმი მუშტრის თვალთ შეამჩნვეს.

ახლოდან კიდევ უფრო უკეთესი იყო ბიჭუნას კოსტიუმი, უჯანსაღელი შოღის მიხედვით შეეკრილი.

— სადაურია? — ეკითხა რიგის ბოლოში მდგომმა ქერათმიანმა ქალმა და კოსტიუმის მფლობელს პიჭაკი გამოართვა.

— არც მიკითხავს, — მიუჯო კოსტიუმის პატრონმა, — ან რა კითხვა უნდა, ზედვე ეტყობა, რომ იშორტულია.

პიჭაკზე იარლიყს დაუწყეს ძებნა და როგორი იყო რიგში მდგომთა გაცემა, რადგანაც საკმაოდ უკეთესი იარლიყზე წარწერა ამოიკითხეს: ბავშვის კოსტიუმი თბილისის პირველი მაისის სახელობის სამეგრელო ფაბრიკაში შეეკრილიო.

— უფროე შენ, თბილისური არ ყოფილა!

— თავი გაქნია ქერათმიანმა ქალმა და სიტყვებს იმედის გაცრუების კილო შეეპარა.

კოსტიუმს არ მოეშვენ. აქეთ ატრიალეს. იქით ატრიალეს, ზომეს, სინჯეს, მაგრამ წუნი მაინც ვერ უნახეს. რაც მართალია, მართალია,

ბიჭუნას კოსტიუმში ნამდვილად გემოვნებით იყო შეყვანილი, ჩვენსას არ ჰგავდა.

მართალია, ამ აღმოჩენის შემდეგ ბიჭუნების კოსტიუმებზე რიგი ერაგვარად შეთხელდა (რა დასაძალია, ჭერ კაფე ვერ ვენდობოი თბილისის სამკერვალო ფაბრიკების მიერ გამოშვებულ ნაწარმს), მაგრამ მოლიანად არ დაშლიდა და მაღაზიაში შემოწოდული ბიჭუნების კოსტიუმები ჩქარა გაიყვანა.

თამარელა: იგი „ახალი პორტრეტის“ ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურაა. ამ ნაწარმოებს შიშდება თამარელა ვეწოდოთ. იგი არის ერთადერთი პიროვნება რომანში, რომელიც მომწერე და თვითმხილველია ყველა ამისა. თუ რომანში დაახლოებით სამოცი პერ-სონაჲი მოქმედებს, მათგან ორმოცდაცხრამეტე-ბოლომ არ საშუალოდ ეთაშუბინა მოქმედე-ბას, კულისებში გადამს სულის მოსაქმელად. მაგრამ თამარელა კი წუთითაც არ ტყუილს სცემას, მაშინაც კი იქ არის, როცა იგი უშუ-ალოდ არ მოწაწილეთებს მოქმედებაში. ფაქტი-ურად, თამარელას გამოჩენით იწყება რომანი და თამარელას ხიტყვებით თავდება. დიდი ჯა-ფა აწევს თამარელას და შემთხვევითი როლია, როცა ხიდაშელი პროკურორის განაგუნენ წე-რადს შეეცდის და ასეთ რაიმეს დაწერას: „მა-ტყვემცემლი სოლომონი თუ ეს რაიმე უყანო-ნობა არ იქნება, გთხოვთ ნება დამართოთ, გადა-ვიდე ნიკო არაბიძის საზღვი საცხოვრებლად და ვუბატრონო აქურობას მის დაბრუნებამ-დე“. ამას სრული უფლება მხოლოდ და მხო-ლოდ თამარელას აქვს, მან დამისახურა ასეთი-ნდობა. მკაცრმა სინამდვილემ მხოლოდ თამა-რელას არგუნა ბედად, ღირსი ვახადა არაბიძე-ების ოჯახში დატრიალებული ტრავმადია გაე-ზიარებინა და ბოლოს, გველისაგან დაგვლილ-შატბია არაბიძეს შხამი ზომ თამარელამ ამო-წყო... თამარელა არაბიძეების ოჯახის მთაო-ველი ანგელოზია იღას, ასეა, მაგრამ ტრა-გიკული პიროვნება...

ტრაგიკული გმირის მთავარ ნიშანთვისებად არისტოტელეს კეთილშობილება მიაჩნდა. თამარელას უპირველესი ნიშანთვისება წარმოად-კეთილშობილებაა, ბუნებით თანდაყოლილი კეთილშობილება, რომელსაც ფესვები მითოლო-გიაშიც აქვს ღრმად გადგმული და ფიქრობთ,

ავტორს ამ შემთხვევაში გამოყენებული აქვს ბერძნული მითოლოგიის ერთი მოტივი — ეერძოდ მსხვერპლად თვითშეწირვის მოტივი — აღმეტოსისა და ალექსტადეს ამბავი, როცა ქმარს — აღმეტოსის მაგივრად ჰადესში ცოლი — ალექსტიდა ჩადის (ამ მითოლოგიურ სიუჟეტზე ევრიპიდემ შექმნა ტრაგედია — „ალექსტიდა“).

რამა უამრავი მაგალითი გვიჩვენა, როცა ადამიანები მსხვერპლად ეწირებოდნენ კეთილწოდებულ მამებს, თამარელა თავის თავგანწირვით, როცა იგი სასიკვდილოდ დაგებული შატბიას ვეულის მხამს ამოწვის, სწორედ ისეთ ადამიანად გვეხატება, რომელიც ფრანკზე რომ მოხვედრილიყო, უსათუოდ გმირობას ჩაიდენდა, რადგან იგი აღსახევა კეთილშობილებითა და ახლობლისათვის თავგანწირვის სულიკვეთებით. ამიტომაც თამარელა თავისთავში ტრაგიული გმირის იმ თვისებას ატარებს, რასაც არისტოტელე ასეთი გმირის უპირველეს ნიშნად სახვს — კეთილშობილებას.

რომანი თამარელაზე დაწერილი და რომანის ეპიგრაფად წამდგარებული სიტყვებიც მისი დევიზია: „...როგორ? თქვენა ვგონათ, მე ამ პატარა საღამურზე უფრო აღვიღი დასაყრავ ვეოი მიწოდეთ მე რა ხაკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ შეგიძლიათ გააწავალოთ, რამდენიცა გსურთ და ჩემზე დავყრას კი ვერ მოახერხებთ“. თამარელას ცხოვრება, რომელიც ჩვენს თვალწინ ჩაივლის, უპირველეს ყოვლისა, ამ სიტყვების დადასტურებაა და უშუალო კავშირშია მისსავე უკანასკნელ მონოლოგთან, როცა იგი პოლო სიტყვებს ხელსაც თან ატანს: „რა აქნებოდა გეცლია, ღმერთო... — ფიქრობდა თამარელა... — რა ვნახე, რომ მეტი აღარ გეცტებოდა... არა, მაგას კი, აღბათ, ვერ ვიტყვი, არაფერი მენახოს!.. ვნახე ცხოვრება თავისი დიდი სასწაულებით, სიყვითითა და დიდი ჭეშუქითაც, მაგრამ მე ხომ მაინც ვერ გამოჭეუქვინან რა აქობებდა... ვყოფილიყავი ბარდღაბიანისა, ღერონტისა და სხვების ხასა, ცოლად ვავოლოდი ბილაშელს, შატბიასთვის კი მომესპო რწმენა სილაშისისა, ერთგულებისა, სიყვარულისა, ადამიანობისა... არა... აღბათ... ყველაფერი სქობს ღალატს, უბინდისობას, სულმოკლეობას, ჭეუქსს... ყველას ჰგონია, რომ სუფთა და კეთილშობილი, პატოსანი გააღწეხებულია... არა, იყენენ, არიან და იქნებიან პატოსნებიც, სულგრძელებიც, თავდადებულებიც... ღმერთმა ნუ ქნას ადამიანების მოდგმას მარტო ჭეუქსით ეუთურებინოს ბელები და ღორების ქაშს ვახტოლებოდეს...“

რომანში თამარელა ერთ-ერთი მთავანი, რომლის ფიქსურტი და სულიერი სილაშაზე ერთნაირად იწვევს თანაგრძნობასაც და შურ-

საც. იგი ერთდროულად უწომოდ ბედნიერტა და უწომოდ უბედურტა.

როგორც უკვე ვთქვით, თამარელა ერთს ღერ თადერთი გმირი, რომელიც ბრძენის ყველაზე დეტალში ცოცხლობს, ყველა ამბავში მონაწილეობს, ყველა გმირს იცნობს, მაგრამ არც ერთთან ის „ახლოს“ არა, როგორც ღერონტი ბუნადაქსთან. თამარელა და ღერონტი ბუნადაქსე შედარებით გვიან შეხვედებიან ერთმანეთს, მაგრამ პოტენციურად ისინი უკვე რომანის დასაწყისიდანვე ერთმანეთის პირისპირდგანან.

თამარელას ხასი რომანში (ისევე, როგორც ნიკო არაბიძის) მთავარია. ამ პიროვნებების ხასიათზე, ვარგუნულ თუ შინაგან მონაცემებსზე, ბევრი რამა დასოკიდებულია, უფრო მეტიც, ბევრი გმირის ბედის „გამგებელი“ სწორედ ესენი არიან. ამიტომაცაა, რომ რომანში ორი ყველაზე ძლიერი პიროვნება — საბავალითონი და მისხამანი შინაურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყველაზე უფრო ტრაგიული პიროვნებები არიან. ნიკო არაბიძისა და თამარელას შატბრული სახეებით ერთხელ კიდევცხება გახდა, რომ ადამიანი ერთდროულად ბედნიერტაა და უბედურტაც. ბედნიერი, რომ ბედმა ასეთი მძიმე ტვირთის წიდეა არგუნაწილად და უბედურტაც იმავე გარემოების გამო. თამარელასთვის არაფერი, რაც კი ადამიანურტაა, უფრო არა; უფრო არა მისთვის არც საყვარული და არც სიძულვილი. იგი სიყვარულისთვისა დაბადებული და უყვარს კიდევც. უწომო სიყვარულით უყვარს შატბია არაბიძე. ყველაფერს მის წმინდა სახელს ანაცვალბს, საუთარ სიყოცხლებაც კი...

პერიოდებად და საფეხურებად არამც და არამც არ შეიძლება თამარელას ცხოვრება დაიყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირობითად მაინც შეიძლება მის ცხოვრებაში სამი მნიშვნელოვანი ეტაპის გამოყოფა: პირველი — თამარელა შატბით ჩადის და შატბიაზე საშუალოდ შეყვარებული დიდი ცხოვრების გზაზე პირველ ნათლობას იღებს; მეორე; როცა თამარელას ბუნადაქსე შემოაკვდება. ცხოვრება დაძაბულობის კულმინაციას მიაღწევს; და მესამე; როცა თამარელა ტრაგიულად იღუპება, სადაწამე ფაქტურად, იწვევა მისი მეორე სიყოცხლებ; როგორც ვთქვით, ეს გამოყოფა ძალიან პირობითია, მაგრამ ავტორისეული ხატვის ბერებში მაინც იქითყენ ვიზიძებებს, რომ ეს სამი ეტაპი ცალკე სურათების სახით გამოყოფით მთლიანი ნახატადან. სამივე შემთხვევაში თამარელა ისეთი დილეგის წინაშე დგას, როცა „ვაჟაცსა გუდა რჩინისაც“ კი შეუდრკება.

ძნელბედობის დროს, როცა საბჭოთა ხალხი სამეგრელო-სამცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა, ზურგში იოთქის ყველა უბანზე მამაკაცები ქალებმა შეცვალეს. ენით აუწერელი გმი-

რობა გამოიჩინეს ქალებმა და ამის ერთ-ერთი დადასტურებია რომანის ის ადგილი, როცა შრომის ფრონტზე ნიჩბებითა და ლაშქრებით შეიარაღებული ქალები გამოჩნდებიან. მათ შორისაა თამარელა:

„შტოლნაში თამარელამ უფრო ადვილად შე-
აბიჯა, ვიდრე აქამდე ჰქონდა წარმოდგენილი,
ამ პირველი, ყველაზე მწელი ნაბიჯის გადადგმა
უფროდ იმანაც გაუადვილა, რომ გვერდით ნი-
კო ახლდა...“ ძალიან ვრცლად აქვს აღწერილი
ღ. ავალიანის შახტში თამარელას პირველი
„მოუზაურობა“. ერთი შეხედვით, შახტის სუ-
რათის აღწერა, იმისი, რასაც თამარელა მიწის-
ქვეშეთში ზედავს, შეიძლება ითქვას, გაკიანუ-
რებული და გაგრძელებულია, მოსაწვენივ კია;
მაგრამ აქ ავტორი ერთ მხატვრულ ზერბს მი-
მართავს: თამარელამ და მისმა მეგობრებმა
წლების განმავლობაში რაც სიძველეები უნდა
გადაიტანონ, მას ღ. ავალიანი თამარელას შახ-
ტში პირველი გამოჩენისთანავე ვერჩენებს.
სხვაგვარად, სხვათა შორის, შეუძლებელიცაა
ყველა „უთარაჯი“ შახტში პირველხვე ნახუ-
ლიანს გადახედოდა თავს თამარელას, ანდა
მთელს ტექნიკურ პროცესს პირველივე ნათ-
ელმანვე ზიარებოდა. ავტორს თამარელას მო-
მავალი განცდები და თავგადასავლები აწმყოში
აქვს ვადმოტანილი. შახტში ამ „გაუთავებელ
მოუზაურობას“ თითქოს მწერალიც გრძნობს
და ამას თამარელას თვლით დაგვანახებს: „თა-
მარელა ამდენ შეშინებულებას თუ მანძილს, რაც
გამოიარა, იხე მოქანდა, გუნებაში ნატრობდა,
ნეტავი მიხვდეს ნიკო ბიძია და ცოტა ხნით
სულის მოსათქმელად შენახვენოსო“. მაგრამ
„მოუზაურობა“ გრძელდება და სულს ვერც
თამარელა ითქვამს, ვერც მკობხველი და ვერც
ავტორი. შახტის შექმნისაკის სიბრუნდ, ტექ-
ნიკური აღჭურვილობა, მიწისქვეშ მშენებარე
ტექნიკური პროცესები საქმის ცოდნითაა აღ-
წერილი და ძირითადად სწორედ თამარელას
შახტში პირველი ვასტინების დროსაა დასუ-
რათხატებული. სხვადასხვა ეუბითა და სხვა-
დასხვა ადამიანების თვლით შახტი ბევრ სხვა
ადგილასაა აღწერილი, მაგრამ ეს უფრო სა-
ერთო სურათის ერთგვარ დაშატებასა და შევ-
სებას ემსახურება.

რომანში ავტორმა ყველაზე მძიმე ზეადრი
წილად არგუნა ორ მოქმედ გმირს: თამარელას
და ბარდლა-ბიძინას. პირველი კვლასკველელი
გაბდა, მეორე კი — სამშობლოს მოლაშტე,
თუმცა ასეთ მძიმე ბრალდებას თავისი სიცო-
ცული ახსნა აქვს.

თამარელა პირველი გამოჩენისთანავე იუ-
რობს ყურადღებას და პირველივე სტრიქონე-
ბიდანვე სიპაითით ემსხველეპით მის მიმართ.
რაც უფრო ვეცნობით თამარელას, მით უფრო
ცხიბლებით მისი ადამიანურობით, მისი მოქ-
მედება ჩვენთვის ულაპარაკოდ მისაღებია, მისი

სიტყვა კანონია, ამიტომ იგი თავიდანვე უდრ-
დესი ნდობით აღჭურვილი, სამართლიანობისა-
თვის მებრძოლად ჰცნასება და არც კიდევ
ასეთი. რა ვქნათ, რომ თამარელას არც აქვს
ბრძოლის ისეთი მისტებაები, როგორც სხვებს,
რომლებსაც ძალაც უნსწევთ და მდგომარეო-
ბაც, საქიროების მხედვით თავიანთი სიტყვი-
თა და ავტორიტეტით სამართლიანობა აღა-
გინონ. თამარელამ „შეშთხვევით“, „მისდაუნე-
ბურად“, ყველასაგან დაუეთიხავად აღადგინა
სამართლიანობა, მაგრამ იგი ვიდრე ამას მოი-
მწმელებს, მოიხოვა იმის უფლება, რომ სა-
ხალხო მსაქული იყოს და ამ სახელით ბორც-
სა და გაუტანელს, ფლიდას და ორგულს გაუს-
წორდეს.

ლეონტი ბუნალაძის მოკვლა, და ისიც თა-
მარელას ხელით, საზოგადოებრივი შურისგე-
ბაა; ანე მოქცეულია, ანდა უნდა მოიქცეს ყვე-
ლა, ვისაც კი თამარელა მონწონს და უყვარს.
ბუნალაძეებისთანას თავიდან მოცილება ისევე
აუცილებელია, როგორც ბარდლა-ბიძინას საჯა-
როდ დახვრეტა, თუმცა არ უნდა დაგვაიწუ-
დეს, ისინი სხვადასხვა გზით მიდიოდნენ იმ
დანაშაულისაკენ, რისთვისაც პასუხი უნდა ავირ-
ხალებს წინაშე. წუთით ბუნალაძისა და ბარ-
დლა-ბიძინას როლები რომ შევეკუდოთ, ამით
არც არაფერი დასაუდება, გადაადგილებიან
მხოლოდ ფიგურები, ერთი მიწისსაცემი მიშა-
ვალი დანაშაულებრივი ორი გზა მიანიც დაი-
რება, განა რაიმე განსხვავებაა გერმანელი ჯა-
რისკაცის მუნდირში გადაცემულ მოლაშტე
ბარდლა-ბიძინასა და ჩვეულებრივ სამოქალა-
ქო ტანსაცმელში გამოწყობილ ლეონტი ბუნა-
ლაძის დანაშაულს შორის? გვართა და სახე-
ლით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან,
ფაზისურადაც სხვადასხვანაირად გამოიყურე-
ბიან, თორემ სული ორივეს ემსახიასათვის მიუ-
ყიდა. ისინი ერთ დროს ხომ ძმაცაცებიც იყ-
ნენ, თუმცა უმცროს-უფროსობდნენ.

თამარელამ რომ სახალხო მოსამართლის რო-
ლი იყოსა და საზოგადოების სახელით ლაშა-
რაკობს, ეს აზრი გავიძლიერა მის მიერვე ჩა-
დენილმა საქციელმა. იარაღმომარჩვებული თა-
მარელა თანმიმდევრულად პუნქტების მიხედ-
ვით უყითხავს ვანაენს ბუნალაძეს, სინამ-
დვილდში ასე ვთითმ არ მოხდებოდა?
სუსტი არსება ვითომ შესძლებდა ასეთ რა-
მებს? მაგრამ ლიტერატურული, მხატვრული ნა-
წარმოები ხომ სინამდვილის ფოტოგრაფირება
არაა? გოეთე ამბობს: „ჩვენი ცხოვრებლდან
აღებული რომელიც ვნებათ ფაქტი იმითომ
კი არ არის ღირებული, რომ იგი ნამდვილია,
არამედ იმითომ, რომ იგი რაღაცას ნიშნავს“.

ემსაგონსა და გაიძვრობაში გამოზრდილი
ბუნალაძეს სწორედ თამარელამ გამოუყვანა
წიარვა. ეხვეც კანონზომიერია, აქაც მხატვრული
სიმართლე ავტორის მხარეზეა, რადგან კარგად

ესმის ეს ქვეშაობა, რომ იმ ეტაპზე ბუნა-
ლაქის ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქა-
ლაქნად, მაგრამ ამ დროს ხდება ხოლმე —
ზღვას ვადარჩენილს ცვარი რომ ახრის.

უდავოა, თამარელა მის თავზე დატრიალე-
ბულ უზედურებას მიაშვედ განიცდის, კოშმა-
რულად ტანჯავს მას ბუნაქაძის ლადა, სუ-
ღიერად უწოდებდნენ შეშფოთებულად, მაგრამ თავის
სიპირდღეში დაწმუნებულა და გრძნობს,
სწორად მოიქცა. თუმცა სულთხორცაჲდე პა-
ტოსან თამარელას არ შეუძლია ბოლომდე
პატოსანი არ იყოს და იგაც ვადაწყვეტს ჩა-
დექიანი ცოდვა პარკურობას ვაანდოს...

ესე, როგორც თამარელა, ჩვენც ღრმად ვართ
დაჭრებულნი, ბუნაქაძეს მხოლოდ თამარელას
პატოსანებას ხელყოფის ცდა რომ აწვევს კი-
სერზე ცოდვად და ბუნაქაძის „შევი სისხლი“
მხოლოდ შებღალული სინდისის გამო იღვრე-
ბოდეს, მაშინ თამარელას მიერ გახრადილი
რტვილდერის ხმა შეიძლება სულ სხვაგვარად
შემოგვესმოდა, მაგრამ ბუნაქაძე თამარელას
თვალში და საერთოდ ყველა პატოსანი მოქა-
ლაქის თვალში ხომ პოტენციური დამნაშავეა,
რომლის სასჯელს მხოლოდ სიკვდილი შეეფარ-
დება. და აი სწორედ ეს „ვანაჩენი“ მოხუცეს
სისრულეში თამარელას საზოგადოებას სახე-
ლით. ეს ისეთი განჩინებაა, რომელიც არც
ხელმოწერია და არც ბეჭედდასმული, მაგრამ
დასტურის ძალა კი იმდაგვარივე აქვს. თამარ-
ელას შურისგება საზოგადოებრივ შურისგე-
ბად უნდა მივიჩნიოთ. ბოლოს და ბოლოს,
ისეთ ადამიანებს, როგორც თამარელა, შეუძ-
ლიათ და ვალდებულნიც არიან პირადი ღირ-
სება დაიცვან, რადგან ამ ღირსებას კანონი
იცავს, იგივე საზოგადოება იცავს და ამიტომ
დავარქვით მას საზოგადოებრივი შურისგება.

ბარდ და ბიძინა. სულით დაცემული
ადამიანების საბებო განსაკუთრებით იმ სა-
ჭირობორტო და მძიმე დღეებში გამოჩნდა,
როცა საბჭოთა ხალხი სამკვიდრო-სასიცოცხლო
ბრძოლას აწარმოებდა ფაშისთან. ამიტომ
რთულ სიყვალურ ვითარებასთან დაკავშირე-
ბით ხასიათებულ რთულდება, ზნობად ჩვეუ-
ლებრივი თვალისათვის ძნელი ხდება ყალბისა
და ნამდვილის გარჩევა.

ბარდლა-ბიძინას მსგავსნი, სუსტნი ნების-
ყოფის ადამიანები ძლიერ საშინელი არიან, მაგ-
რამ მათ საბოლოო დატეხვას მაინც რაღაც მწი-
ფნელაღონი ფაქტორი უწყობს ხელს — კონ-
კრეტულ შემთხვევაში ბარდლა-ბიძინასთვის
ასეთი შეიქნა ომი, თორემ მანამდე იგი ხალხ-
თარ სურვილებს თვითონვე ისრულებდა. ბუ-
ნაქაძეებისთანავე ხალხთარი პრეტენციების
გარდა საზოგადოებრივი საქმეებში „აწუბებო“
და ყველაფერს თბილ სავარძელში მოკალათე-
ბულნი აუვარაბქინებენ.

წარმოებში ეს ორი გმირი ფსიქოლოგი-

ურად ერთნაირად დამაჭრებლად არის დახა-
ტული, მწერალი მათი ხატვისას არ იშურებს
ფერებს, რათა მათი საბებო უფრო გამოეყვე-
თოს, უფრო დამახასიათებელი გახდეს, უფრო
კონტრასტული იყოს და მკვეთრად გამოეყოს
სხვათა საბებებს. ამისათვის ავტორი მსუბუქ
იუმორთან ერთად ზნობად მწარედ და სატი-
რულად გაქაქნულას როგორც ერთს, ისე მე-
ორად, თუმცა სიტყვა-მასხვებისათვის არც ბარ-
დლა-ბიძინა და არც ბუნაქაძე იყოფენ ჭიბე-
ში ხელს. ისინიც მაღალ დონეზე არიან მოხზა-
დებულნი, რათა „მეტყუა“ მოიგერიონ.

„ახალი პორნოგრაფიის“ ერთი მხრით მორა-
ღურად სპეტაკი და მეორე მხრით, ამორალუ-
რი გმირები შეუჩრდილები წომიერი გამოყე-
ნებით არიან განათებულინი, თუმცა სულიერი
განცდის აღწერის კულმინაცია მწერალი მა-
ინც იქ აღწევს, როდესაც ორივე კატეგორიის
გმირები ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ სე-
ტუატიში აღმოჩნდებიან. აღმათ, აჩაყისთვის
სადღო არაა, რომ ბარდლა-ბიძინას დახატვა-
სა და თამარელას სიკვდილის სცენა უძლიერე-
სია რომაში. ეს იმიტომ, რომ ტრაგედია ადამი-
ანურად და იგი თითოეული პიროვნებისათვის
ძნელად ასატანი და შესაგუებელია.

ბარდლა-ბიძინა იმ ადამიანებს ჩიუხვს გა-
ნეუთუნება, რომლებიც თვითონვე სუსტა ხა-
სიათის, უნებისყოფობის გამო თვალს ვერ უს-
წორებენ სინამდვილეს, საყუთარი უღორობა,
უწყობა ღრთა მანძილზე მათ აბრახებთ და
აბორტებთ. ლეონტი ბუნაქაძისაგან განსხვა-
ვებით, ბარდლა-ბიძინა იცის, რომ საზოგადო-
ებას იგი არ სჭირდება, ხალხმა ზედმიწევნით
იცის მისი ასავალ-დასავალი, მას ხალხის თვა-
ლისაგან უკვე აღარაფერი აქვს დამალული,
უფრო მეტიც, მისი პიროვნება ისეა შესწავლი-
ლი, რენტგენის სხივებით ისეა გამოჭეხული,
რომ ვარშემომყოფთათვის ისიც კი ამოხსნი-
ლია ხვად და წეგ რას მოიპოქმედებს ბარდლა-
ბიძინა. ლეონტი ბუნაქაძე უფრო მაღლად,
სხვის თვალთაგან უხილავად აბამს ინტრიგების
ქელს, წაწილობრივ მის შეუვალობას და სა-
ზოგადოებაში ერთგვარ რეპუტაციას, მის თა-
ნამდებობასაც უნდა ვუმაჯღოდეთ, რადგო ამ
შემთხვევაში ნიღბის როლსაც თამაშობს მის-
თვის.

ბარდლა-ბიძინას ერთდერეთი „სიკეთე“ ისაა,
რომ მას გულწრფელად უყვარს თამარელა და
შეიძლება ქვეცნობიერად მას წუმბად თავის
დახსნა ამ ვზით სურს. სადღაც, მისგან შორს,
დევს სიკეთე, მაგრამ ბარდლა-ბიძინას თვალს
სჭრის ამ სიკეთის გამოჩნაშუქი, მაგრამ ყველა-
ფერს აქვს ლოკაური დახაწვისი და ასევე
ლოკაური დახასრული. ბარდლა-ბიძინამ თა-
ვისი გზა ქათმების უიღვა-გაყიდვით დაიწყო,
შემდეგ ბეწა-ბუსა და ბუნაქაძის მარქაში გა-
ერია და ისიცოცხლე, როგორც სამშობლოს მო-

ლაღობა დაარსდა. შწარე, მაგრამ ობიექტური სინამდვილიდან გამოტანილი ლოკაციური დასკვნა. ცხადია, ბარდღა-ბიძინას დრომ და გარემოებას, სიტუაციამ შეუწყო ხელი, რომ სულიერად დაცემული გმირის ბედი კანონზომიერად ასე განვითარდებინა.

ბარდღა-ბიძინა „ახალი პორზონტის“ მეტად რთული ფსიქოლოგიური სახეა. იგი მთელ რიგ მომენტებში სიყვითლეს და პორტეტებს შორის დაახივებს, ზოგჯერ თითქოს არც აღარაფერი უკლია, რომ სიყვითლეს გადადგას ნაბიჯი, მაგრამ უკანასკნელ წაშს ან ვიღაცა გაახსენებს, ან თავად გაახსენდება საყვოთარი წარსული, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სულ-თამბუთავი მაქლავუნსავით აწევს გულზე და ბოლოს დაღობებს, ზურგს აქცევს სიყვითლეს.

ლეონტი ბუზალაძე, საქმიად ითქვა მის შეხატებზე: „როგორც დავიწყებულ, რომანში ლეონტი ბუზალაძეს შეტად სანატორიო რაღი აქვს, იგი სანატორიუმს ზედის კაცია და ასევე სანატორიუმად და უჩვეულოდ შემოიქცევა იგი შწარელს...“

შხატის უფროსი ლეკა კარზე მომწუდარ მთხოვნეულებს თხოვნითვე მიმართავს, ზოგმა ჩემს შოადგილეს, ლეონტის მიმართეთო; ვინც უხანძლო გმირი უყვლის ვახაგროდ შენინავენ; „ამხანავ ბუზალაძის არც უხას ცუდია ჩვენთვის, არც უფროსი“. ამ ერთი წინადადების შემდეგ ჩვენთვის უკვე ზოგადად ხილული ხდება ბუზალაძე, და ეს იმ დროს, როდესაც თვითონ ჭრ კიდევ არ იცის, რომ მისი საზე „გამქვადებულა“.

რამდენიმე სიტყვიანი შწარე არსებობს შემდეგ უკვე ნათელი ვინ-თან და როგორ აღამიანთან გვექნება საქმე.

ლეონტი ბუზალაძე თავის „შეხედულებებში“ თანმიმდევრულია. გვეგნაშობიერად მოქმედებს, სიძულვილის ცეცხლიც თანდათან ედება, „სიძულვილიც ერთგულია თავისი „მე“-სი. იმიტომაც იგი თანმიმდევრულია. „ვეგნაშობიერად“ გადაგვარდება და აღამიანურ სახესაც დაკარგავს, ეს შეტამორტოზა ნიკო არაბიძისადმი დამოკიდებულებაში უფრო თვალნათლივ მოჩანს. ბუზალაძე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს იმ უფსკრულინაპირს, რომელსაც მის გარდა თითქმის ყველამს ხედავენ. მხოლოდ მის ზარს და გაუშაძარ გულს ვერ უგრძნვია და თვალს ვერ დაუნახავს მოახლოებული საფრთხე.

გაიძვრა და ეშმაკ ბუზალაძეს ერთი კარგი თვისება გაჩნდა. წარმოიდგინეთ, იგი შეხანაშენავდა არჩევს ერთმანეთსაგან კარგსა და ცუდს, ყოველ შემთხვევაში, მახინჯსა და ღამაშს, თავის საქმეში იგი ძლიერია და ირგვლივ შიშისა და რიდის გრძნობას თესავს. მას ზოგიერთი ერთიება, იმიტომ, რომ ბუზალაძე საშიში, დაუნდობელია და, აუტიკავარი თავი რატომ აუტიკოო. ისიც შემთხვევითი როდია, ბუზალაძე თამარელს რომ წაუბოტიებდა, მისთვის

და მისთანებისთვის ეს დიდებონ შწარელსაკენ მიმავალ გზაზე ერთგვარი „დადლომატიური“ სვლა: ერთიც ვნახოთ, ჩვენს ბედებსა უღამოს ლეონტის და ასეთი... სათვის საყვარელი არსება მის ანესსზე წამოცვოს, მაშინ ხომ ბუზალაძეს სხვათა თვალში ერთი გამხვეული ქულა მიემატება და ცოფუნისაკენ მიმავალ გზაზე კიდევ უფრო თამამად გალაქებს.

სულიკო, ეკონტი მეცენატი, თავისებური კვატი, არცთუ მთლად ნიქს მოკლებულია, აუხსა და კარგის გამჩნევი, მაგრამ დამოშობი, ოდავე შურაინაც, აღამიანი, რომელსაც შეუძლია ერთნაირად გაუფოს კეთილსა და ზორბობს, ორთვესთან ისეთი შეხების წერტილები მოჩანს, რომ ცალ-ცალკე შემთხვევაში კეთილ აღამიანადაც შეივლით და ვაღიაროთ პორტეტაც — ასეთია „ახალი პორზონტის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გმირის სულიკოს ურთულესი ხანაიო რომანში, იგი მთელი ნაწარმოების მანძილზე ქამზარავით თოქვე დაღის, ოღნავი ბიძგი, ნიავის დაქროლება და იგი სადღაც გადაიხელება, მაგრამ როგორადაც ბეწვზე არ ჰკიდია მისი მოქალაქეობრივი სინდისი, იგი მანაც ბოლომდე აუღებს თავის ხასიოს, მუდამ ამოკვარაულ, საზეიმოდ გამოწყობილ, თამადაქულ სულიკოს სულიც ვაღაქული აქვს და ხახვთან ერთად სულსაც კარგად აჩენს, სულთა სინდისის საკითხი სულიკოს არ აღარდება, შეიძლება იგი ერთადერთი გმირია ნაწარმოებში, რომელსაც თავისი მოქმედების უწყველობა წამს და იმიტომ არც არავის ბაძებს და არც ზურს ვინმემ მიბაძოს. იგი პრაქტიკული აღამიანი და ყველაფერს ამ საზომით ზომავს. მან წინასწარ, დიდი ხნით ადრე იცის, რა უნდა გაკეთოს და რაც მოავარია და თანაც უჩვეულო — როგორ უნდა გაკეთოს. სულიკო იმდენ და ასეთ დამირთვის იძლევა, რომ მისი ხასიოთიდან გამომდინარე ვრწმუნდებით, ასეთი ნიქის პატრონს მათი რეალიზაცია გაუბარდება. სულიკოს პირველებაში ვანზოვადებულთა ზურდევ და ფრივოლური აღამიანის ხასიოთი, რომელიც ყოველთვის მზადია და თითქოს მის ნიქიც შესწევს, გაკეთოს ისეთი მანო, ანდა დადგას ისეთი ქანდაკება, რომ მთელი საქართველო მის სანახავად აიყაროს. ასეთი რამეების მართლაც ზერია სულიკოს. სამწუხაროდ, ასეთები არიან ზელოვნებში: მათ ყველა ეტაპი დამტეულია აქვთ, მხოლოდ რისთავებობს გვირგვინი უფრო და ისიც სხვათა მოსაჩვენებლად, თორემ თავიანთ რწმენაში არც ისეა საქმე...

ნეტარ არიან მორწმუნენი, აღზათ სულიკოს და მისთანებს გულისხმობს წმინდა ნინო, სულიკოს მაშიდა, როცა ასეთი შწარე წყაბერტებით უმასპინძლებდა ზოგ-ზოგებს: „მოწოდება იღუებმა რაც ღრო გაღის,

თანამდებობა მით უფრო მტკიცედ იჭერს ნიკის ადგილს... — აჩვენებს კაცი, რევისორი, ან მხატვარი უნდა ვახდეთ... — განაგრძო წმინდა ნინო, — ნაცნობობით მიიღებენ... ნაცნობობით დაამთავრებს უმალეებს, საწიგნოდ გადასცემენ დაბლომს და იწუებს კაცი ნაცნობობით რევისორობას, ან მხატვრობას...“ ასეთ მკაცრ სიმართლეს სულაც ვერსად გაქცევია, რადგან ისეთი წართობის ქაღისაგან, როგორც წმიდა ნინო, შედგათები, ნურას უკაცრავად!

როგორც უკვე ვთქვით, „ახალ ჰორიზონტს“ სამოცამდე მოქმედი გმირი ჰყავს, მაგრამ ყველას არა თუ დახასიათება, ერთბაშად ვახსენებაც ვაჭირდება, არცაა საჭირო იქნებ იყიბოთ, რა დააწვია ვთქვათ, მეგობ, ინტელექტუალურმა, დიდი გრძნობის პიროვნებამ! იგი ხომ ბევრის მომხრე და თვითმზოდელია?!

მართალია, რომანის სიუჟეტურ ხაზს მეგი მიხვება, მაგრამ კონფლიქტებში ის ერთად და ფიზიკური ხალაშობით მომეტებულად დაჯილდოებული რამდენადმე ცოცხა და მოუკარბელიც კი ჩანს; საქმე იქამდე მივიდა, რომ ავტორმა შეიძლება პუშკინის სიტყვების პერიფრაზირება მოახდინოს: ეს რა მომივიდა, მეგი გაუთხოვარი დამჩაო.

ავტორმა არც იმის იმედი მოგვცა, რომ განათლებული, ადლიიანი მეგი თავის ინტელექტუალურ ცოდნას ხაღმე პრაქტიკულად გამოიყენებს, თუმცა, წუ მოვობოვთ მეგისთან პიროვნებებს, რომ მწერალს კონფლიქტების გამწვავებაში დაეხმაროს, იგი ისედაც გვამახსოვრებს თავს და შეიძლება ითქვას, იგი ერთადერთი გმირია, რომელიც სრულყოფილი ხელოვნების ნიჭის გამგები და შემფასებელია, ზოლო მისი პიროვნება და ფიზიკური ხალაშზე ხელშესახებად გადმოგვცემს ჩვენ.

ხად გაქრა შატბია, ვისთვისაც და ვისისახელითაც ამდენი დავიფარების მოწმენი გავხადით? შატბია „ახალი ჰორიზონტის“ სრულყოფილია და მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ იგი მომავლის გმირი უფროა. უკველ შემთხვევაში, ჩვენ ასეთად გვესახება იგი.


იქნებ ვინმეს პითია დაავიწყდეს? სულ ერთ ეპიზოდში მონაწილეობს პითია და მწერალი ფეროვან და მრავალსახოვან ტიპოვნი შეტანა ძლიერად და თვითმოუფადაც გამოიყურება. იგიც წიგნის ფურცლებზე შატბიასავით მომავლის დიდი იმედებით ქრება.

იქნება ვინმეს ხასარია და ლიდა დაავიწყდეს? მათი პორტრეტები ფერადოვნადაა წიგნში დახატული. შემდეგ ისინი ქრებიან, აღარსად მონაწილეობას აღარ იღებენ, მაგრამ ტიპურნი და „გამყოლი ხასიათისანი“ არიან.

ასევე გვგონია, ჩვენ შორისაა ნაპოვნი ხაზას, რაიკომის მდივნის ბეგლარის, ლუკას, ელოზბარის, კაკო ზიზნიხაძის, ქარქაშაძისა და სხვათა პროტოტიპები.

ყველამ თავისი თქვა, ყველა გმირმა თავისი გასაყებელი გააყეთა, ყველანი ცალ-ცალკედ და ერთად, ერთ უდიდეს მიზანს ემსახურებოდნენ, ეთქვათ და გამოეხატათ ისიც, რაც ავტორს სურდა, რაც ავტორისთვის და ხალხისთვის საჭირობოტო და ავტორიგად მნიშვნელოვანი იყო.

ცნობილი რუსი პოეტი ო. მანდელშტამი წერდა: „მხატვარი თავისი ბუნებით მკურნალია, მაგრამ თუ იგი არავის მკურნალობს, მაშინ ვისთვის და რისთვისღა იგი საჭირო“ — ეს სიტყვები ჩვენ შეგვიძლია „ახალ ჰორიზონტს“ მივუხადოთ, რადგან ლ. ავლიანს, როგორც დავინახეთ, მხოლოდ იმის უნარი კი არ შესწევს, რომ შესანიშნავად დაგვიხატოს ჩვენი ხალხის ცხოვრების დრამატული, მძაფრი სურათები, წარმოგვიდგინოს ხასიათების მთელი გალერეა, ღრმად ჩასწვდეს სოციალურ სინამდვილეს, არამედ იგი კეთილშობილურ მკურნალად მოგვევლინა, რომელმაც ადამიანის სულიერი და ფიზიკური სატყორის უებარი მალამო იცის, ზოლო ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების მომავალი კეთილდღეობისათვის აუცილებელია ბუნებით ასეთი მკურნალები.



დავით შანულოძე

აკაკი წერეთელი და საზრანგეთი

სულითა და გულით ქართველი ვარ,
პატრიოტი. სამშობლოს კეთილწარმატე-
ბა მიტოვ მენატრება, რომ ის პირნათ-
ლად, მკიდროდ შეუკავშირდეს ფერა-
დოვან მსოფლიოს.

აკაკი

აკაკი წერეთელი არის ეროვნული და, ამას-
თანავე, ინტერნაციონალური პოეტი, თავისი
სამშობლოს მგზნებარე ტრუზადური და, ამავე
დროს, დაუცხრომელი ინტერნაციონალიზტი.
აკაკი ყოველთვის დანტერესებული იყო სხვა
ხალხების ცხოვრებითაც, პირველ რიგში მე-
ზობელი ხალხების ცხოვრებით; ის იცნობდა
მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანისა და ხალ-
ხის ისტორიას, მათ ხასიათსა და წეს-ჩვეულებ-
ბას, მათს კულტურასა და ლიტერატურას. ყო-
ველივე ეს ნათლად ჩანს აკაკის შემოქმედე-
ბაში.

აკაკის, როგორც დიდი პროგრესული საზო-
გადო მოღვაწის, პოეტური და პოლიტიკური
მრწამსი შემდეგი იყო:

დაე, სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მომე იყოს ერთი-მეორის
და არა მონა, უმა და ფარეში.

ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობის,
ძმობის იდეა მთავარი, წამყვანი იდეაა აკაკის
შემოქმედებაში:

გაურჩევლად გვარ-ტომობის,
ყველასათვის კეთილი მსურს,
ვინც კი კაცად-კაცადია
და სინართლით გული უხურს.

ერთობას და მასთან ძმობას
არაფერი მიჩნეენია...
ამ კავშირის ორ-ძალობა
იმ თავითვე შემეგნია...

სწორედ ამ კეთილშობილური იდეების მა-
ღალმხატვრული ქადაგებით იპყრობდა აკაკი.
განსაკუთრებულად დიდ უპრადღებას არა
მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ მის ფარ-
გლებს გარეთაც.

აკაკი სათანადოდ აფასებდა საფრანგეთისა
და ფრანგი ხალხის როლს ევროპის განვი-
თარების ისტორიაში. მან კარგად იცოდა, რომ
საფრანგეთი ევროპული ცივილიზაციის სათა-
ვეში იდგა. აკაკის აღფრთოვანებდა თავისუფ-
ლებისმოყვარე ფრანგი ხალხის რევოლუციური
შემართება, მისი შეუდრეკელი ბრძოლა სამშო-
ბლოს თავისუფლებებისა და დამოუკიდებლო-
ბისათვის, საფრანგეთის დიადი რევოლუციური
ტრადიციები. ლექსში „სხვადასხვა ერი“ პოეტა
წერს:

ფრანგებმა თავის წილ-ხვედრი
სხვადასხვა რიგად გაშარტეს,
ბევრი იშუთოეს და შემდეგ
წითელი დროშა ამართეს...

დასწერეს: „თავისუფლება,
ძმობა და სიყვარულიო,
ვისაც არ მსურდეს ქვეყნისთვის,
ღვთისაგან იყოს კრულიო!“

სწავლა და ხელოვნება,
სიბრძნე და მეცნიერება
მისათვის უნდათ, რომ სხვებსაც
მისცენ მით ბედნიერება!

შრომობენ შესანიშნავად,
გულგახსნილ, პირობიწიარად
და ჯერ არავის უნახავს
უსაქმურად და მიწინარად.

ქირში და ლხინში ერთგვარად
მალა-სულღობით ქებულან,
ბევრჯერც ჰქონიათ შავი დღე,
მაგრამ არ შეშინებულან...

აკაი ლაპარაკობს ფრანგ ხალხზე, როგორც
გულგახსნილ, დიდსულვან, მებრძოლ ხალხ-
ზე, რომელმაც მოახდინა 1789 წლისა და 1848
წლის რევოლუციები და პარიზის კომუნის
მდევარე დღეებში აღმართა წითელი დროშა.
როგორც ვუთხრებთ თავის შემოქმედებაში, ამ
ღუგისშიც აკაი ხაზს უსვამს ფრანგ განმანათ-
ლებელთა დიად მოწოდებას: თავისუფლებას,
ძმობას, ერთობას; აკაის რწმუნით, მხოლოდ
ამ გზით შეიძლება კაცობრიობის წინსვლა, გან-
ვითარება, მისი კულტურის აუჯავება.

გავიხსენოთ აკაის ღუგისა, „ძმობა, ერთობა
და სიყვარული“, რომელიც ასე იწყება:

მსურს, რომ ქვეყანა გულში მივიტრა
და ვახსნილი მაქვს ვეკლასთვის გულში...
დაბადებიდან თან ჩამესახა:
„ძმობა“, „ერთობა“ და „სიყვარული“.

აკაის თხზულებებში ხშირად ვხვდებით
ფრანგი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწე-
ების საგულგახსნილ, მოხდენილ გამოთქმებს.

საინტერესოა აკაის უმდიდრესი მეცნიერული
ხასიათის დავითრება. პოეტი ერთ წერტილში,
რომელსაც ჰქვია „შენიშვნა“, ეხება სულხან-სა-
ბა ორბელიანის იგავ-არაკების წყაროებს და
დასძენს, რომ ამ იგავ-არაკებში აქა-იქ არის
ისეთი ნაწარმოებები, რომელთა წყაროები
უცხო ქვეყნების ფილოსოფოსთა საქმეებელი.
აკაის აზრით ზოგიერთი იგავი სულხან-საბა
ორბელიანისა ძალიან ჰგავს გამოჩენილი ფრა-
ნგი პოეტის ლაფონტენის იგავს და კიდევაც
ჩამოთვდა მათ.

1809 წელს გაზეთ „კავალში“ დაიბეჭდა გა-
მორჩენილი ფრანგი მხატვრის გუსტავ დორეს
(1802-1888) ერთი ნახატის რეპროდუქცია,
რომელსაც თან ერთვოდა აკაის წერილი-გან-
მარტება სათაურით „უძღები შვილი.“ ფრანგი
მხატვრის ღრმამინარსიან სურათს ძალიან და-
უინტერესებია ჩვენი მგოსანი, რასაც მოჰყვა
მისი შესანიშნავი ახსნა-განმარტება. აკაი იხ-
სენებს ახალი აღქმის იგავს უძღებ შვილზე,
რომელსაც მისთვის ჩვეული მხატვრული ის-

ტატობით გადმოგვეცემს: ერთ კაცს ჰყავდა ორი
შვილი. უმცროსმა მამას გამოართვა თავისი წი-
ლი ქონება, მიატოვა მშობლიური კერა და ზე-
ტიალი დაიწყო. ცუდი ყოფიქცევისა და უთავ-
ბლოც ცხოვრების შედეგად წაღებული ქონება
მალე შემოეფანტა. გაღარიბდა, ლუკმა-პურიც
კი ენატრებოდა. მივიდა ერთ მდიდარ კაცთან
და თხოვა დახმარება. მან იგი ღორების მწყემს-
ხად მიიღო. ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ
ბიჭმა გადაწყვიტა მამასთან დაბრუნება; მამას
ძალიან ესამოყვანა, უკანდაბრუნებული, დარცხ-
ვენილი და შეწუხებული შვილი, რომ დანახა,
გულში ჩაიკრა, გამხიარულებულმა და აღტაცე-
ბულმა დიდი ღზინი გადაიხადა. უფროს შვილს
გაუპირდა და კიდევაც ეწყინა მამის ასეთი
საქციელი. მან მამას უსაუვედურა: ეს როგორ
ხდება, რომ შე დღენიდავ უშრომობდი, გემსა-
ხურებოდი და ჩემთვის ერთი ცხვარიც კი არ
გაიმეტე; ჩემს უმცროს ძმას კი, რომელმაც
მიგატოვა და წაღებული ქონება გაანახა, ასეთ
ღზინს უმართავო. მამამ უპასუხა: შენ მუდამ
ჩემთან ხარ, ეს კი დაკარგული იყო და დღეს
დამიბრუნდა. კარგად იცი, მწყემსი, რომელიც
ას ცხვარს უფლის, ერთი რომ დეკარგოს, წყა
მის საპოვნელად და დანარჩენ ოსმოდვა-
ცხარამებს მიატოვებს, მონახავს იმ ერის და
მოიყვანს იქ. სადაც დანარჩენები არიან.

აკაის მშვენიერი ახსნა-განმარტებით, დო-
რეს ნახატი პლასტიკურად წარმოსახავს ამ სა-
გულისხმო იგავს. „უტორს, ბატონ დორეს,
აუღია ის წამი, როდესაც შენინებული შვილი
ფეხქვეშ უვარდებოდა მამას. მამა სიხარულით
გულზე იკრავს. და სამწყემსურიდან დაბრუნე-
ბული შვილი, ესაუვედურება. ეს სამი წამი
შეუფრთხება მას ერთ სამავალით ნახატად“.

ფრანგი არქეოლოგი და ისტორიკოსი ბარონ
დუ ბიი წიგნში „იმერეთში“, აღტაცებით ლაპა-
რაკობს ქართველ ხალხზე, მის წარსულსა და
აწმყოზე. ფრანგ ტყუპარს განსაკუთრებით მოს-
წონებია ქუთაისი, მისი მოხდენილი მდებარე-
ობა, მისი მკვიდრნი, ბაგრატიან ტომის ნანგრე-
ვები, რომელმაც მას წარმოუდგინა ქართველი
ხალხის მისიმე წარსული. ამ ქუთაისში, ბარონ
დუ ბიი შეხვდა აკაი წერეთელს. ამ შეხვედრას
ფრანგი მწერალი ასე აგვიწერს: „რა სასამოვ-
ნო სიკრპარზი მომეძლია რიონის ნაპირებზე!
იქ იქ კვლავ ენახე ჩემი მეგობარი რომელსაც
განმორცილებულთა ამადლებული და კეთილ-
შობილური ხასიათი მისი ხალხისა; ის თავისი
გენიოსობით, თავისი პიროვნებისა და ნაწარ-
მოებების მომხიბვლელით გვიჩვენებს, თუ
რა სიმადღემდე შეუძლია მოაღწიოს მშობლი-
ურ ნიდავზე განვითარებულ და უმადლეს
მწვერვალზე ასულ ნაციონალურ ტყუა-გონებას.
პოეტი აკაი წერეთელი — თავისი სამშობლოს
სახელგანთქმული მგოსანი და ზეგარდმო მად-
ლით ცხებული, გამომხატველი ქართველის გუ-

ლისტქმისა... ის პირველხარისხიანია პოეტია...
ბარონ დე ბაის თავის წინგში მოაქვს მის
მიერ კარგად შესრულებული პროზაული თარგ-
მანება აკაის ლექსებისა, „სხვადასხვა ერი“
(«Les nations différentes»), „ბატის წინგ“ («De-
vant l'image»), „სულეიკო“ («Souliko») და
„ფუტკარი“ («L'abeille»).

დე ბაის მოეწონა სხვადასხვა ხალხის აკაი-
სებური პოეტური დახასიათება, განსაკუთრე-
ბით კი ფრანგებისა და ქართველებისა, აკაი
წარმოგვიდგენს მხატვრულ სურათს კაცობრა-
ობის ედემისას, რომელშიც ცხოვრობს სხვადა-
სხვა ერი, თითოეულს თავის კუთხე, თავისა
სამყოფელი აქვს, ლაპარაკობს თავის ენაზე,
ყოველი მთავანი თავისებურად შრომობს და
იბრძვის უკეთესი მომავლისათვის.

აკაის ამ ლექსთა ციკლიდან დე ბაიმ თარგ-
მნა „ფრანგები“ და „ქართველები“.

აღსანიშნავია ეკატერინე დადიანის მძაბლის
ბერკოვ დე რომანის შეუღლის, დიუშეს დე
რომანის წიგნი «Les dévoilées du Caucase»,
რომელშიც ფრანგი ავტორი აღწერს კავ-
კასიაში მოგზაურობას, სტუმარი ღაღ დად-
გილს უთმობს საქართველოში მიღებუ-
ლი ზოგადი იდეების ვადმოცემას. ქნი
დე რომანი წიგნს უძღვნის მის ნათესავ ამილ
მიურატზე გათხოვილ ჩვენს სალომე დადიანს
წარწერთ: „მის ბრწყინვალეობას პრინცესა სა-
ლომე მიურატს, რომელმაც იშვიათი თავაზია-
ნობით გაიღო მისი ვასაოცარი კავკასიის კარი,
— მოკმატებით ვუძღვნი ამ სტრაქონებს“.¹

წიგნის ავტორი ეგება საქართველოს ისტო-
რიას, კულტურას, მწერლობას, ასახელებს ძველ
და ახალ ქართველ მწერლებს. დე რომანს ფაი-
ზად, სათანადო ლიტერატურული ვემოციებით
პროზად ვადაუთარგმნია ქართველი პოეტების:
აკაის, ილიას და რატიელ ერისთავის ლექსები.
აკაისა — „სიყვარულა“² ილიასი — „შესვლილი
ნაწილი პოემისა „რაძღენიმე სურათი ანუ
ეპიზოდი უჩაღის ცხოვრებიდან“³ რატიელ
ერისთავას „სამშობლო ზევსურისა“⁴.

აკაი დიდ ყურადღებით ეკიდებოდა უცხო-
ურიდან ქართულად თარგმნილ ნაწარმოებებს,⁵
გამოთქვამდა მათზე საკულისხმო შეხედულებ-
ებს, ზოგჯერ თვითონაც თარგმნიდა, აღსანიშ-

¹ Le Baron de Baye. En Imérétie, Paris, p. 12.

² Duchesse de Rohan. Les dévoilées du Caucase. Paris, 1912, p. 1.

³ იქვე, გვ. 72.

⁴ იქვე, გვ. 73.

⁵ იქვე, გვ. 76.

⁶ იხ. შ. რევიშვილის „აკაი წერეთელი და
სახლარგარეთელი ლიტერატურა“, „ლიტ-
ჯინეთი“, 1960 წ., 2 დეკემბერი; აგრეთვე ქეთე-
ვან ბურჯანაძის „აკაი წერეთელი თარგმნის
შესახებ“, „მნათობი“, 1969 წ., № 6.

ნავია აკაის მიერ ქართულად თარგმნილი მიერ
ფან ბერანტეს ლექსი „ქაჩის ქაღალდი“⁶ (ჩაქა-
ლიც დაიბეჭდა 1865 წლის „ცისკარში“ (№ 9).

საინტერესოა აკაის შეხედულებანი პოეტურ
თარგმანზე. 1899 წელს ეურნალ „კრებულში“
(№ 2) აკაი ბიბლიოგრაფიული შენიშვნებს
სახით გამოაქვეყნა წერილი „ბერანტეს ლექსე-
ბი ქართულად“. შენიშვნები ეგება ახალგაზრდა
პოეტის გ. გვაზავას მიერ შესრულებულ თარგ-
მანებს „ბერანტე ქართულად“ (1898 წ.).

აკაი თავის წერილს იმით იწყებს, რომ
პოეტური თარგმანი დიდი სიმძნელეთანაა და-
კავშირებული. აკაის აზრით „საზოგადოდ
თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლომე“. მაშინაც
კი, როდესაც მთარგმნელმა ჩინებულად იცის
ორივე ენა და ნიჭიან უტოლდება დედნის
ავტორს, „გამოუპარება ის წერტილმანება, რომე-
ლიც შეადგენს თითოეული ხალხის განსაკუთრე-
ბილს სულის საიდუმლო მოძრაობას, რომელიც
მხოლოდ ავტორს შეეძლო დედის რტესთან
ერთად შეეხისხობროცებია, რომ პოეტური ნა-
წარმოები მოქარა და ვაგსივონება“.

ესაღია, ჩვენი სასიკადლო მგოსანი ამას
ლაპარაკობს კლასიკოსთა თხზულებების თარგ-
მანებზე და არა, — როგორც თვითონ წერს, —
„უშინშენელო და უბერიო“ ნაწარმოებებზე,
რომლებიც თარგმანში შეიძლება უკეთესი აღ-
მონდეს.

ფრიად საყურადღებოა აკაის შეხედულება-
ნი პოეტური ნაწარმოებების შესახებ, რომლებ-
საც ის ორ ჩვეულებად ჰყოფს. აკაი წერს: „პოეტუ-
რი ნაწარმოებები, ლექსები, ორგვარია: ერთი
ადგილზე გონებას, ამაღლებს, მერე ვადაღის
გრძნობაზე და ორივე ერთად მსხველავს. მეო-
რი კი — თითქოს საქმეც კი არა აქვს რა გო-
ნებასთან, თავის თავად უძერება სულსა და
გულში და თითქმის უნებურად მხიბლავს ადამი-
ანს, ამ უჯანსყნელთაგანს ეკუთვნიან სახალ-
ხო მგონებში, მათი ლექსები უფრო სასიამოლო-
ნი არიან, ვიდრე სადეკლამაციო, ხმაშაღლა
საკითხავი, და მართლაც, მათი კითხვის დროს
გულში უძვეველად იმღერის მკითხველი. ამ
უჯანსყნელი დარგის მგონებში იშვიათად იხა-
დებია, როგორც ინტლისებების ბერსნი, გერ-
მანელების მანე, და გნებუთ კოლცოვიც, რომე-
ლებიც ქებთ მოსახსენებელია. ამათაგანია,
მაგრამ უფრო ძლიერი ფრანცუზების მგოსანი
ბერანტე, რომელმაც თავისი თანამედროვე საფ-
რანტეის ყოლა-ცხოვრება სასიამოლო ლექსე-
ბით გამოსახა, მისი ლექსები ერთსა და იმავე
დროს კიდევ ატყობენ და კიდევაც ანაღვლია-
ნებენ მკითხველს. კითხვულს — გეცინება.
მაგრამ იმ სიცილიში რაღაც ეკალით იჩხლი-
ტება უყოველ მის ნათქვამში ლირიზმი და სა-
ტირა ერთად არიან შენათხზნი და თანასწორის
ძლიერებით იმორჩილებენ მკითხველს. ამგვა-
რი ნაწარმოების სხვა ენაზე ვადაღება თითქმის

მოუბრუნებელია და ვერც ვერავინ დაიხმებს, რომ ბერანტე სამაგალითოდ გვაქვს გადმოღებულია“.

როგორც ვხედავთ, აქაც „სახალხო მგოსნებს“ იგი უპირატესობას აძლევს პოეტებს შორის, ვინაიდან „მათი ლექსები უფრო სასიამოვნო არიან, ვიდრე სადღესასწაულო, ზნაობადა საერთოა“ (დაყოფა ჩვენია დ. ფ.) აქაც სახალხო მგოსნებად სამართლიანად მიიჩნია რობერტ ბერნის, ჰანსის ჰანე და კოლცოვი, მაგრამ უველა მათგანზე მაღლა ის უნა პიერ ბერანტეს აუენებს, როგორც უფრო ძლიერ სახალხო მგოსანს. საერთოდ ასეთი დარჯის პოეტები, აქაცის აზრით, იშვიათად იხადებიან.

აქაც იქვე მოეთითებს, რომ ასეთი სახალხო მგოსნების ნაწარმოებთა თარგმნა სხვა ენაზე თითქმის შეუძლებელია და ვერც ვერავინ დაიტრიალებს, რომ ბერანტეს ლექსები სამაგალითოდ გვაქვს გადათარგმნილი.

თვითონ აქაც, ასე დაინტერესებულმა ბერანტეს ლირიკის ქართულად გადათარგმნით, მხოლოდ ერთი ლექსი — „ქმრის გოდება“ გადმოთარგმნა, დანარჩენის თარგმნას თავი მიახსნა. აი რას წერს პოეტა: „ჩვენ რამდენჯერმე ვსინჯეთ, მაგრამ ჩვენი შომა ბერანტეს თავში კიდის დაკვრა გამოდგა და დავანებეთ თავი“. ვასაგებია, რომ საერთოდ და აქაც, აქაცის მხედველობაში აქვს იდეალური. ადევრატური, სრულყოფილი თარგმანი, რაც მრეღმისწავდობია.

აქაც მისხალმებოდა უცხო მწერლობიდან თარგმნილ ნაწარმოებს, როგორც ცდებს უკეთესის მისაღწევად, რადგან მთარგმნელობით საქმიანობას აქაც უკველი მწერლის დიდმნიშვნელოვან აუცილებელ მოვალეობად თვლიდა.

როგორც ჩანს, აქაცის კარგად ცოდნია ბერანტეს პოეზია, მისი იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული ღირსებანი, ამიტომ საპატიო საქმედ უთვლიდა უველა მწერალს ბერანტეს ლექსების ქართულად თარგმნის ცდას. აქაც მოწოდება ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს გ. გვაზავს ბერანტეს ლექსების თარგმნის ცდა, მაგრამ უსაყვედურს მომბლიერი ენის არა სათანადო ცოდნა. აქაც წერდა: „გ. გვაზავს ნიჭი არ აქვია, მაგრამ დედა ენის ცოდნაში კოკლობს და ეს სირცხვილია ნიჭიერი ქართველისათვის“.

ბერანტეს ლექსების ქართულად მთარგმნელი გ. გვაზავი მკაცრად გააკრიტიკეს ქართულ ჟურნალებში, აქაც კი უფრო მოწოდებად მოეპყრო მთარგმნელს, თავი შეიკავა ვაკიცხვისაგან, ამიტომ რომ ამ კეთილშობილურ საქმეში ხალისი არ დაკარგოდა არც გ. გვაზავს და არც სხვა ნიჭიერ პოეტებს.

ბერანტეს პოეზიისადმი აქაცის ასეთი გულმხურვალე დამოკიდებულების შესახებ მსჯელობის დროს, არ შეიძლება არ ვავიხსენოთ დიდი რუსი კრიტიკოსის ზესარიონ ბელისსის

აღფრთხილებული სიტყვები ბერანტეს შემოქმედებაზე, მისი პოეზიის ხალხურებაზე. ზესარიონ ბელისსის აზრით, „ხალხურობა — პოეტის უმდიდრესი დამსახურებაა. ამ მხრივ კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს კრილოვისა და კოლცოვის შემოქმედებას. ფრანგი პოეტებიდან ბელისსი განსაკუთრებულად გამოყოფს ბერანტეს, რომელიც სწორედ ამ ხალხურობით უველა ფრანგ პოეტზე მაღლა დგას. ბელისსის თქმით: „ბერანტე მომღერალი“ მალე უველას მიერ იქნა აღიარებული არა მარტო საფრანგეთის დიდ პოეტად და თვით საფრანგეთის უველაზე ეროვნულ პოეტად. საფრანგეთის ეროვნული სულის ნიღბი არის გამოითქვა ბერანტეს სიმღერებში უველაზე ორიგინალური, უველაზე ფრანგული და ამასთანავე საუბურო პოეტური ფორმით“.

ხალხურობას, როგორც სხვა ნიჭიერებს ბუნება იძლევა. „შემოქმედებითი უნარი ნიჭია — წერს ბელისსი, — ხოლო შემოქმედებაში ხალხურად ყოფნის უნარი — მეორე ნიჭია, რომელიც არა ყოველთვის, არამედ, პირიქით, ძალიან იშვიათად არის ხოლმე პირველთან ერთად“.¹ ამ მეორე შემოქმედებითი ნიჭის, უნარის გარეშე პოეტი ხალხური ვერ იქნება. ამ თავისებური ნიჭიერებას აქვს მრავალნობის საფუძვლები. დიდი კრიტიკოსის აზრით, არიან ჩვეულებრივი ნიჭის ადამიანები, არიან დიადნი, არიან გენიოსებიც. რაზეა დამოკიდებული ასეთი დაყოფა ნიჭიერებისა? ბელისსის თქმით, „ეს დამოკიდებულია იმ ოდენობაზე, რომელიც ეს თუ ის პიროვნება თავისი თავით გამოხატავს თავისი ერის სულს“.² ბელისსის სიტყვებით რომ ვთქვათ „ხალხური პოეტი ნამდვილი მოვლენაა“... „ხალხურობა პოეტში თავისებური გენიალობაა“.

ვინც ღრმად ჩაუყვირდება აქაცსა და ბელისსის გამოანაჟმებს სახალხო მგოსნების შესახებ, აშკარად შეამჩნევს მათ ერთმანეთთან მსგავსებას.

გავიხსენოთ აქაცის სიტყვები: „ამ დარჯის (ე. ი. შემოქმედებითი უნარისა და ხალხურობის ნიჭის მქონე — დ. ფ.) პოეტის იშვიათად იხადებიან“. აქაცს რწმუნით ასეთი სახალხო მგოსნები ერის დიდება და სიამაყეა.

სწორედ ასეთი პოეტი იყო თვითონ აქაც წერეთელი. ქართველმა ხალხმა მას სამართლიანად შეარქვა: „სიტყვის ღმერთი“, „საქართველოს ბუღმელი“, „ქართული პოეზიის იაზღუნი“, „ჩვენი ქვეყნის რჩელი“, „ქართველი ხალხის მესაიდუმლე“, „შობილი ქვეყნის მოზარცი“, „ერის გულიდან ამოღებული მარგალიტი“; ეს ბუმბერაზი პოეტი სიცოცხლეშივე იხსენი-

¹ В. Г. Белинский. Полное собр. соч. т. VIII, Москва, 1955 г. стр. 568.
² იქვე, გვ. 565.
³ იქვე, გვ. 570.

ებოდა მხოლოდ სახელით — აკაკი, ქართველ ხალხს მუდამ ეამაუებოდა და ეამაუება აკაკის სახელის წარმოთქმა, ამიტომაც, რომ ქართველი ერთი ალერსით და ღრმა სიყვარულის გრძნო-ლით ამბობს სიტყვებს: „ჩვენი აკაკი, ჩვენი დიდება“. ასეა შესული და დამკვიდრებული ქარ-თველი ხალხის სულსა და გულში აკაკის დი-ადი პიროვნება და მისი უცვლადი შემოქმედება. ჩვენი დროის აკაკი, გალექტიონ ტაბიძე ამ-ბობდა: „ქართველ პოეტთა შორის ყველაზე ახლოს ხალხთან აკაკი იდგა“. „ის თავისებდა თავის თავში ორფეოსსა და მეფესტოფელს, ნაწი და ვესლიანად დამცინავდა... აკაკი მთლიანად გამოსახავდა თავის თავსა და დროს“. გა-ლექტიონის შესანიშნავი გამოთქმით „აკაკიმ მარგალიტების შთები დადგა“. აკაკის პოეტური კულტურის ხსენებლენამა ვანმგრძობმა, გა-ლექტიონმა ჩვენში ყველაზე კარგად იცოდა აკაკის მხატვრული სიტყვის ძალა და ძლიერე-ბა, როცა ამბობდა:

ასეთი იყო ჩვენი აკაკი,
არ ეკარება მის ელერას ვანგი,
იგი იტაცებს ადამიანთა გულს,
იესწიოთ მალეა პოეტის ჩანგი!

აღექსი ტოლტოი წერილში „ბრძენი აკაკი“ აღნიშნავდა, რომ „აკაკი წერეთელი ჭერ კადევ სიცოცხლეშივე გახდა სახალხო პოეტი“, რომ „მის ლექსებს მღეროდა მთელი საქართველო“, აკაკის პიროვნებითა და შემოქმედებით მოხიზ-მული აღქსი ტოლტოი იქვე დასძენს: „ახლა აკაკი წერეთლის სიტყვებზე დაწერილ სიმღე-რებს მღერის არა მარტო საქართველო, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა“.

აკაკის წერილადან „ბერანტეს ლექსები ქარ-თულად“ ნათლად ირკვევა ჩვენი სათაყვანო მგოსნის პოეტური სიახლოვე დიდ ფრანგ პოეტ ბერანტესთან. ქართული ლექტიკატურის შესა-ნიშნავი შეკლევარი ლევან ასათიანი წერდა: „აკაკი ნამდვილი ქართველი ბერანტეა, როგორც თემის აქტუალრობით, ისე ამ თემის მსუბუქი იუმორისტული ტრაქტიკით და ლექსის ვერ-სიფიკატორული სინატიფით.... იქ სადაც აკაკი დასცინის და ჰკილავს საზოგადოებრივი ცხოვ-რების უკუღმართ მოვლენებს, ხშირად აღწევს ისეთ ეფექტს, რომელიც სპარსობს ბერანტეს შედეგებს სიძლიერეს“!

დღი გამომხატურება პპოვა ქართველ ხალხში აკაკის მიერ 1878 წელს თარგმნილმა მოლიე-რის პაროზით დაწერილმა სამშოქმედებამა კო-მედიამ „სკაპენის ცულლუტობამ“. ამ მხარუ-ლი კომედიის მოქმედება ხდება ნეაპოლში. არგანის შვილი ოქტავი შემთხვევით შესხვდე-ბა ოხლად დარჩენილ ღამაშ ქალიშვილს ვია-

ცინტას და შეუყვარდება. მამის დაუყოვნად კლდეცა ჭვარს დაიწრის მასზე არგანტი ვან-რისხდება, მაგრამ ჭკეიანი, მობერტებული და გაბედული სკაპენი სხვადასხვა ოინებით საქმე-ს კარგად დამთავრებს. ვერონტის ვუქს დეანდრს, რომლის მსახური სკაპენია, უყვარს არგანტის ქალიშვილი ზერბინეტა, აკაკი მძიმე მდგომარე-ობა შექმნილი მშობლების მტრიც, მაგრამ მარ-დი და შევირცხლი სკაპენი თავისი მჩქეფარე ძალითა და ენერგიით ჩაერტვა საქმეში და ყველაფერს კეთილად დაბოლოებს.

როგორც ვხედავთ, ნაწარმოებს მთავარი მოქმედი გმირი უზარალო ადამიანი, მსახური სკაპენია, რომლის გამჭირაბ ვონებასა და მოქ-მედებასთან დაკავშირებულია კომედიის ყველა რგოლი. მოლერი ხშირად სარგებლობდა ფრან-გული ხალხური ფანსებით და სწორედ აქედან იღებენ მაცოცხლებელ ძალას და ძლიერებას მისი უცვლადი კომედიები.

საქართველოში ზოგიერთი ფიქრობდა, რომ აკაკის მიერ ასე მშვენიერად თარგმნილი „სკა-პენის ცულლუტობა“ სენსაზე არ ივარგებდა და მსურებელს ვერ დაინტერესებდა. მოხდა სრულიად პირიქით: „სკაპენის ცულლუტობამ“ აღაფრთოვანა ქართველი მკითხველი. მან მარ-ველი წარმოდგენისთანავე მიიქცია ფართო სა-ზოგადოების ყურადღება. მანინდელ ქართულ პრესაში ვიოზულობთ: „დიდი ხანია ამისთანა მშვენიერი წარმოდგენა ქალაქის ქართველ სა-ზოგადოებას არ უნახავს. პირნათლად შეგვიძ-ლია ვთქვათ, რომ მოთამაშეების მოქმედებულმა ნაწილმა სწორედ არტისტის ხელოვნებით ითა-მისულა და ნამდვილი ნიჭი გამოიჩინეს. საზოგა-დოება, რომელიც წარმოდგენას ესწრებოდა, აღტაცებულნი მოვიდა“. აღსანიშნავია, რომ „სკა-პენის ცულლუტობა“ აკაკის რევისორობით დაიდგა.

„სკაპენის ცულლუტობა“ ჩვენში გადაიქცა სახალხო კომედიად. იგი დაიდგა საქართველოს შორეულ დაბებსა და სოფლებშიც კი. ყველ-გან მოსწონდათ თარგმნილ და ბექტაკლეც-ისე დამკვიდრდა ქართული თეატრის რეპერ-ტუარში მოლიერის „სკაპენის ცულლუტობა“. აღსანიშნავია, რომ 1880 წელს გამოჩენილი მსახობის კოტე მესხის საბუნეფსოდ წარ-მოდგენილ ამ კომედიამი ვერონტის როლს თვითონ აკაკი წერეთელი ასრულებდა.

აღსანიშნავია, რომ აკაკის მოსწონდა მთლი-ანად მოლიერის ეს ხალისიანი კომედი, ვან-საკუთრებით მთავარი მოქმედი გმირის სკაპე-ნის სახე, მისი დაუცხრომელი ბუნება, მოსწრე-ბული სიტყვა-პასუხი, ცხოვრების ავ-კარგის ცოდნა. აკაკის ერთ თავის წერილში მოაქვს სკაპენის შემდეგი სიტყვები: „ყოლ-შვილის პატრონი კაცი რომ საითმე ვაგმზავრება, დაბ-რუნების დროს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს ხელში, რომ ოჯახი არეულ-დარეული დაუსხ-დება, ქონება სულ დამწვარი, ფულები მოა-

1. ლევან ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1958 წ., გვ. 352.

რული, ცოლი მკვდარი, ვაჟიშვილი ყელ-გამო-
ჭრილი და ქალიშვილი გაუპატიურებული, და,
თუ ესეები ყველა ერთად არ აუსრულდა,
ღმერთს მადლობა უნდა შესწიროს და თავი
ბედნიერად უნდა ჩათვალოს. — ჩემთვის
მინც ესეები ყველა ცხოვრების კანონია: რა-
დესაც შინ ვბრუნდები, ყველაფერს ერთად
მოველი ზოლში: ბატონის რისხვას, ლანძვას,
გინებას, გათრევას, გაუპატიურებას და სხვ...
და თუ ესეი ყველა ერთად არ გადამბდა, ჩემს
ბედზე კმაყოფილი ვარ და ღმერთს მადლობასა
ვსწირავ ზოლში“.

აქაის აზრით, სკაენის ეს სიტყვები უნდა
ახსოვდეს ყველას ვინც ცხოვრებაში საზოგა-
დობრივ სარბიელზე ვაძვირს და „გონებდეს
მით თავის ვანამბნეებლად“.

აქაი ზიარად ისენებდა გიორგი ერისთავის
კომედია „გაერას“ დაწერის ისტორიას; თურმე
როდესაც გიორგი ერისთავმა „გაერა“ დაწერა
და მიიჭირა ყოფიანს აჩვენა, აღტაცებულმა
ღმერთს იგი რუსულ ენაზე თარგმნა და წაბა-
კითხავად მიუტანა შ. ს. გვარამცხვეს. კავკასიის
მთავარმართებელს ძალიან მოეწონა პიესა და
ცოლს უთხრა: „თუ როგორ მართლდება ჩემი
შეხედულება ქართველებზე? ისინი როგორც
ძველი, განსაკუთრებული ხალხის ნაპოშავიანი,
მართო სამხედრო სარბიელზე კი არ იჩენენ
ნიჭს, სამოქალაქო სარბიელზედაც შეუდარე-
ბელი არიან! თუ ახლაც ერთ ერისთავს დაუწე-
რია კომედია ქართული ცხოვრებიდან და მო-
ლოდერისა და გრიბოედოვის სიმაღლეზე ასულა-
შე მიიღა, რომ ეს ჩემი აღტაცება მთელ ქარ-
თველობას გავუზიარო, უნდა როგორმე წარმო-
ვადგინოთ ეს პიესა“.

აქაის ფრანგული ლიტერატურისადმი დამო-
კიდებულებას სტერკოვან აღსანიშნავია აგრეთ-
ვე მისი გამოხატულება სწორილი ფრანგი დრა-
მატურგის ვიქტორიენ სარდუს პიესაზე „სამ-
შობლო“, რომელიც ქართულად გადმოაკეთა
დავით ერისთავმა.

ქართული თეატრისათვის დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა ამ პიესის გადმოკეთებას. სექტაკლ-
მა, საერთოდ, დადებითი როლი შეასრულა
ქართული თეატრალური ხელოვნების წინსვლა-
სა და განვითარების თვალსაზრისით. აქაი
იმდენად დაინტერესდა ფრანგი დრამატურგის
ნიჭიერებით, რომ დედანში გაეცნო პიესას,
შეუდარა ქართულად გადმოკეთებული ტექსტი
და გამოთქვა ფრანგ საუბრადღებო შენიშვნები.
აქაის აზრით, ეს ფრანგული პიესა ვიქტო-
რიენ სარდუს მიერ „ისეთი გრძნობითა და ხე-
ლოვნებით, შინაარსით ისეთ ნიართა არის გა-
მოჭარბებული, რომ, რაც უნდა აფუჭოთ სხვა
ენაზე გადატანის დროს, სრულად ღირსებას
მანც ვერ დაუკარგავთ და კიდევ ბევრი რამ
შერჩება მოსაწონი“.

როდესაც აქაი ქართულ თეატრალურ დასს
ხელმძღვანელობდა, მან 1908 წლის 27 სექ-

ტემბერს სენონი წწორედ „სამშობლოთ“ გახ-
სნა. აქაიმ თავისი და მთელი ქართველი ერის
სიუყვარული და მადლიერების გრძნობა „სამ-
შობლოს“ გადმოკეთებლის დავით ერისთა-
ვისადმი ასე გამოხატა:

ძღუნად და საკურთხად სამარადისოდ,
საიქვეყნოდ და სააამშოფლოდ:
ღირსმა ერის ძემ, თეთი ერისთავმა
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

საუბრადღებო აზრები აქვს გამოთქმული
აქაის სარდუს მიერ პიესაზე „მადამ სანე-
ნი“, რომელიც ფრანგულიდან თარგმნა კოტე
მესსმა და თვითონვე საუცხოოდ შეასრულა
ნაპოლეონის როლი. აქაი დედანში იცნობდა
ამ პიესასაც, და როცა იგი თბილისის სცენაზე
წარმოადგინეს, მგოსანი საამოვნებით დაესწრო
საქტაკლს და დადებითად გამოეხატა მას.
აქაი თავის რეცენზიაში აღნიშნავს, რომ ნაპო-
ლეონის როლში საუცხოოდ გამოვიდა კოტე
მესხი; აქაიმ, ვინც კი ნახა ამ როლში, ყველა-
ზე უკეთესად კოტე მესხი მიიჩნია. კოტე მესხს
აქაი უწოდებს სცენისათვის შესანიშნავ მოვ-
ლენას, ქვეანს, წინდახედულებას და შრომის-
მოყვარეს, შრომისმოყვარეობა კი, პოეტის აზ-
რით, ნიჭის მონახვერია.

სექტაკლში მადამ სან-ენის როლს ასრულ-
ბდა კოტე მესხის და, ეფემია მესხი. აქაიმ მად-
ლამ შეფასება მისცა ეფემია მესხის მაღალ-
ოსტატურ თამაშს. დიდი პოეტმა გამოთქვა
თავისი შენიშვნები როგორც კოტე მესხის მიერ
განსახებრებულ ნაპოლეონზე, ასევე ეფემია
მესხის მიერ შესრულებულ მადამ სან-ენის
როლზე. მაგრამ საერთოდ ამ დამამის ფი-
ტურული არტისტული ნიჭი ქართული თეატ-
რის შემდგომი წინსვლისა და განვითარების
ერთ-ერთ მისახალმებელ მოვლენად მიიჩნია.
აქაი განსაკუთრებით აღაფრთოვანა ეფემია მეს-
ხის თამაშმა მთელ რაგ სცენებში, კერძოდ,
როცა ის (მადამ სან-ენი) ნაპოლეონს თავის
თავგადასავალს უყვება. ამ როლებში აქაის
სხვებიც უნახავს, მაგრამ უკეთესი არავინ.

ფრად მნიშვნელოვანია, რომ აქაი ეფემია
მესხის მიერ მადამ სან-ენის როლის ასეთ
ბრწყინვალედ შესრულებას იმიტომ ხსნის, რომ
ქართველი ქალის ზუნება რამდენადმე მგავს
ფრანგისას. „ფრანგის ქალი, — წერს აქაი,
— მუშაალი წოდებისაც რომ იყოს, მინც შე-
უძლია, ხანმოკლე თეიფეროს მედიდრობა,
დარბაზობა, პეროვნება, რომელსაც ისინი
„შეიკ“ (chic ძალიან მედიდრული, ბრწყინვალე
ჩინებული, გარეგნულად შროიანი, პენია-
ნი, მოხდენილი, კოსტა — დ. ფ.) ეტაბანა
მადამ სან-ენიც იმ გვართავანია. ოღონდ დიდ-
ხანს ვერ გასტანს, თვარა, ცოტა ხნით ადვილათ
შეუძლია თეიფეროს და დაიშვენოს დარბაზი-
ლობა. როდესაც ნაპოლეონის დებს ეტაბებდა,

მამინ კიდევ ეტყობა მედიდურობა. ხანდახან, უდროვარ-დროს, თავისი უფვარტომობის შესახებ ხმა წასდებდა ხოლმე: ხან ასეა და ხან ისე. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ე. მესხს და ამიტომაც უფრო მაღლა ვაყენებთ სხვებზე.

საგულისხმო ფაქტია, რომ აკაკი არის მსოფლიოში სახელგანთქმული ლექსის „ინტერნაციონალის“ ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე. ჩვენმა საუვარტელმა მგოსანმა მშრომელი მასების რევოლუციურ გამოსვლებს თვითმპყრობელობის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ მრავალი ორიგინალური ლექსი და დრამატურგიული ნაწარმოები მიუძღვნა. ცარიზმის სულღის შეხუთავ ატმოსფეროში აკაკიმ გამოიჩინა დიდი თავმჯდომარე, სიმბოლური, შორსმჭვრეტელი, თავანწირვა და გამოკვეყნა ალტერნატიული და პირდაპირი ფორმით დაწერილი პოეტური შედეგები, რომლებშიც გამოაშკარავებულია შეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოში. იყო მომენტები, როცა აკაკის სიციცხლე ბეწვევები, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა, არაფერს არ უშინდებოდა, მიდიოდა წინ და მაღლა, თავისი ძლიერი პოეტური თუ პუბლიცისტური ჰიტყვით, კიდევ უფრო მეტად აღაგზენდა მშრომელ მასებს თვითმპყრობელობის დასაშობად, სამშობლოს თვისუფლებებისა და დამოუკიდებლობის მოსახიფტებლად.

ამ ამ დროს აკაკიმ თავისებურად გადმოაკეთა ფრანგი რევოლუციონერი პოეტის ევენ პოეტის განთქმული ლექსი „ინტერნაციონალი“. ეს არის თავისუფალი — აკაკისებური თარგმანი. ლექსი დაიბედა 1906 წლის პირველ იანვარს „პატარა გაზეთში“. ამ ლექსის გამოკვეყნება გაზეთის სახალწლო ნაწილში ძვირფასი საჩუქარი იყო ქართველი ხალხსათვის.

ცარიზმისა და უკუღმჯერი ექსპლოატაციის წინააღმდეგ აღმგარი მშრომელი ხალხი გატაცებით და სიხარულით ენაფებოდა და მღეროდა კიდევ მსოფლიან მგოსანს მიერ გადმოკეთებული „ინტერნაციონალის“ მგზნებარე სტრიქონებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, პროლეტარული რევოლუციის თემაზე დაწერილი აკაკის ლექსების ძვირფას საუნებს შეემატა მის მიერვე ასე მაღალსტატუსად „მარსელიზონის ხმაზე“ გადმოკეთებული „ინტერნაციონალი“, ყოველივე ამით კი ქართველი ხალხის ამ უსაუვარტესმა მგოსანმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლების განვითარების ისტორიაში.

აკაკის ლექსებს ქართველი ხალხს მღეროდა მის სიციცხლეზე. ასევე მღეროდნენ ამ ლექსებს ამა მხოლოდ მოძმე ერები, არამედ მსო-

ფლიოს და სხვადასხვა ერებიც. აქედან აკაკის ლექსები ბოლო მსოფლიოში გაისმოეს, განსაკუთრებით, „სულიყო“ და „ციციანთელა“.

ზესტაფონის ერთ პატარა ლამაზ სოფელ ცხრაწუაროში ვარიწყა წერეთლის მიერ გიტარაზე მომიხიზლავად დამღერებულმა „სულიყო“ მთელი მსოფლიო შემოიარა. „ციციანთელა“ პირველად ქუთაისში აკაკის თვალწინ წარმატებით დაამღერა ექიმმა დავით ფაღავამ, შემდეგ გავრცელდა იგი ყველგან.

პარიზშიც აკაკი აღაფრთოვანა იქაური ქართველების მიერ შესრულებულმა „სულიყო“, „ციციანთელამ“ და სხვა სიმღერებმა.

გალაკიონ ტაბიძე იგონებს 1885 წელს პარიზში გიტარებულ დღეებს და წერს: „ხდება ცხოვრებაში ვასილყარი ამბავი: პარიზში ფრანგები ორკესტრზე უყრადგნენ „სულიყოს“. ბევრი რამ მსმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი მუსიკა არასოდეს“.

აკაკი გატაცებული იყო მუსიკით. მას მუსიკა მიჰიანდა ადამიანის სულის ამაღლებულ, გამაყთილშობილებულ ძალიად.

ვარიწყა (პარზარე) წერეთელი (1874-1948) იყო ზესტაფონელი გენერლის სპირიდონ მაკვირიანის ქალიშვილი, რომელიც შემდეგ ცოლად გაჰყვა საჩხერელ სერგო გიგოსძე წერეთელს. ვარიწყა წერეთელი ბრწყინვალედ ასრულებდა ქართულ სიმღერებს გიტარაზე, განსაკუთრებით აკაკის ლექსებს. მისი სიმღერით მოხიზლული აკაკი ვარიწყას უწოდებდა „მონის ბუღბუღს“. დღემა მგოსანმა თავისი სურათიც მიუძღვნა „ამ დიდებულ მომღერალ ქალს წარწერით: „ჩემს საუვარტელ ბუღბუღს სულიყო — ვარიწყას აკაკისგან“.

ვარიწყა წერეთელი იგონებდა ხოლმე ასეთ სინტეტურ ფაქტს: 1894 წლის შემოდგომაზე აკაკი ძალიან ავად გახდა. გაუფურე მის სანახავად. იქ დამხვდნენ აკაკის მეგობრები და თავყანისმცემლები: ვანო შანაბელი თავისი მეუღლე ტასოთა, ექიმი ვანო ელიაშვილი და სხვ. ჩემი მისვლისთანავე ვანო მარბებდა და ძიძა — ამა ჩქარა გიტარა მოიტანეთ, მხოლოდ ვარიწყას სიმღერა მოარჩენს აკაკისო.

მართლაც სწრაფად გაიჩინეს გიტარა, ავიღე ხელში და ფრაგურფით შევედი აკაკის ოთახში. ის თვალდახუებული იწვა ლოკოში. ერთ გვერდზე შე დავუჭექი, მეორეზე — ტასო, დანარჩენები სულგანაბულნი იდგნენ ჩვენს ახლოს. აკაკი არ განძრეულა, თვალიც კი არ გაუღებოდა.

ჩემად დავიწვე ხიმღერა. პირველად ვუმღერე მისი საუვარტელი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“, შემდეგ სხვა სიმღერებიც მივყავოდი. ცოტა ხნის შემდეგ აკაკი გადმობრუნდა, თავისი დიდი თვალები შემოგვანათა და, ირგვლივ რომ თავისი ახლო მეგობრები დაინახა, — გაიღო-

1. აკაკი წერეთელი. თხზ. კრებ. თბუთმეტ ტომად, ტ. 13, თბილისი, 1961 წ.; გვ. 218.

მა, ყველამ სიხარული დავტყუო, ყველა გამოცოცხლდა, ვანომ იხუმრა:

— ხომ ვითხარით, ვარინჯას სიმღერა მოარჩენს-მეთქი.

იმ დღეს აკაის სახლში დიდი ღვინო გაიმართა. აკაი მალე გამოჩანდა და დაწერა ლექსი „რამ მომარჩინა“.

ბურანში მყოფს ცოცხალ-მკვდარსა
ხმა ჩამესმა ციური რამი:
—ვერ გიმეტებ სსიყვდილოდ!
ვერ აბრევა... ვერ გავეწირავ!“...

ამასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა ივანე მაჩაბლის ქალღმერთის, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის ელენე მაჩაბელ-ჩერქეზიშვილის შემდეგი მოგონება: „ვარინჯას არა მარტო მომხიზლავი ხმა ჰქონდა, იგი მიწიღველი იყო თავისი ვარინჯობით, ხასიათით და ზედუნებით. პატარა ტანის, გამბღარო ავეზულუბის ვარინჯა, ამავე დროს, იმდენად ნაზი, აღერხიანი და სათნო იყო, რომ მაშინვე იყურებოდა ახლად გაცნობილთა სიმამათის, საჩხერეში, სადაც თითქმის უოველ ზაფხულს ვტარებდით დეიდაჩემთან — ნიკა წერეთელთან, — ებს ოჯახშიც აკაი ზნაირი სტუმარი იყო, ვარინჯა ხშირად მინახავს და მომისმენია. მშვენიერი ხმის პატრონი, გარკვეული და შინაგანი სიწაფით ხაუნს, აგი ისეთი გრძნობით ასრულებდა უმეტესად ხალხურ სიმღერებს, რომ მასზე ნამდვილად იოქმის, მსმენელებს მოაფრთხილებდა. როგორც კი საზოგადოებაში გამოჩნდებოდა, ყველა სიმღერას თხოვდა და ხმენად იქცეოდა. სიმღერებში აგი სიძუნწეს არ იჩენდა. ბევრსა და ხალხით მღეროდა...“

ვარინჯას ხმა მამარქმსაც — ივანე მაჩაბელს — ძალიან მოსწონდა და აკაისა არ იყოს, მასთანაც ავადმყოფობის დროს სპეციალურად ჩამოსულა თბილისში ვარინჯა, როგორც „შეურნალო“ თავისი შესანიშნავი სიმღერით.

აკაის სიყვარული მუსიკისადმი ხომ კარგად ცნობილი ამბავია. იგი ვანსაკუთრებით მგრძნობიარედ განიცდიდა მუსიკას და მეტადერ ხალხურ სიმღერებს, რომელთაც ხშირად თვალცრემლიანი უსმენდა... კარგად მახსოვს, როცა გამოვიდა პირველი ფირფიტები გრაჰფონოსისა, რომელზედაც ჩაწერილი იყო აკაის მიერ წარმოთქმული მისივე ლექსი „მოაწმინდა ჩათყირებულა“, აგრეთვე მისი მისაღება ბავშვებისადმი. ჩვენს ოჯახში იეს ფირფიტა შევინაოთ და აკაიმ პირველად ჩვენთან მოიხსინა თავისი ხმა გრაჰფონოში. აკაი აღელდა თავისი ხმის გაგონებაზე და ტირილი აუფარდა, რამაც ყველა ძალიან შეგვაწუხა, ჩვენ კი სიხარულით ვიმზადებოდით იმ წუთისათვის, როცა აკაის მის საკუთარ ხმას მოვასმენინებდით და არ მოველოდით, რომ ეს მომენტი მსცოვან მგოსანს ასე აღელვებდა“.

ქ-ნ ელენეს დეიდა, საჩხერელი ბებია წერეთლის მეუღლე, აკაის მეგობარი და ნათლიმე და ნიკა ბაკრატიონ-წერეთელი (გარდაცემული ხელ ელისაბედ წერეთელიმ // ქვედუჭოქმედო მოღვაწე იყო საჩხერეში — დ. ფ.) მოაწყო საღამო, სადაც ჩემმა რვა წლის ბავშვმა თამარმა წაიკითხა „ცა-ფირფუ, ზმელეთ-ზურმუხტო“. აკაი რომ უფრო უფლებდა ბავშვს, საშინლად აღელდა და ქეითინი დაიწყო. შე ვეოხებ, რამ აბადელდათ აგრე, რომ ატირდით-მეთქი; — იმისთანა გრძნობით წაიკითხა, ბედნიერება განიცდიდა, რომ პატარამ ასე აგრძო ჩემი გულის ნადებით, დიდები ისე ვერ წაიკითხავენო. დედამა ბავშვს და მოუხარდა“.

აკაი დიდ პატივს სცემდა პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ელისაბედ ორბელიანს, რომელმაც პარიზში წარმატებით დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი და 1895 წელს ფრანგულ ენაზე სახელმწიფო სამშობლოს. იგი ნიჭიერი პოეტი ქალი იყო, გარდა საკუთარი ლექსებისა, მის კალამს ეკუთვნის მშვენიერი თარგმანები ფრანგულ ენაზე ქართული და რუსი პოეტებისა: ლერმონტოვის „დემონი“ (იგი გამოცა პარიზში 1907 წელს ფრანგი პოეტის ფრანსუა კოპეს აღფრთოვანებული წინასიტყვაობით), სოლომონ იორდანიშვილიან ერთად შესრულებული „ვეფხისტყაოსანი“, „აბუსალომ და ეთერი“, ქართული პოეზიის ანთოლოგია, რომელშიც თავმოყრილია: ალ. ქავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ილიას, აკაის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვა ქართველ პოეტთა ლექსები.

აკაი ამ ნიჭიერი და ლამაზი ქალის ხშირი სტუმარი იყო. 1909 წელს აკაიმ მის აღზომზეა ჩაწერა:

ფრანციზულად გიყვარს წერა,
რუსულს თარგმნი, ქართულს ვერა,
მაგრამ მაინც ქართველობა,
ვეფიცევი, შენი მჭერა!

აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის მკვლევარე პროპაგანდისტმა ელისაბედ ორბელიანმა ახალი ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს ასე მიმართა სტუდენტებს: „უხსნილ ქართულ უნივერსიტეტს და ამათ ხელახლანასკვავთ ჩვენი ძველი კულტურის შეწვევით დაჟს... ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მოვალეობად მარტუნეს თქვენ ფრანგული შეგასწავლოთ, რათა თვით დედნის საშუალებით გაიცნოთ ამ უნაღდ დაწერილი გენოსურსი ნაწარმოებნი“.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1908 წელს აკაის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნი წლისთავის დიდი იუბილე დადებდა. ამ იუბილეს რუსების იმპერატორის ტერიორიაზე მოსახლე ხალხები ფართოდ გამოუხმურნენ; საზღვარგარეთელმა პრესამაც აღნიშ-

ნა ჩვენი სახელოვანი მგოსნის იუბილე. ფრანგულმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს წერილები აკაის პაროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ. აკაის იუბილე დღეებში რომში მიხილ თამარაშვილის თარსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით იქაურმა ქართველმა სტუდენტებმა იტალიელ მხატვარს გააცეთებინეს მშვენიერა სურათი, რომელზეც ერთად არიან გამოხატული შოთა რუსთაველი და აკაი წერეთელი. ეს საგულდაგულოდ გაეთებული სურათი გამოგზავნეს საქართველოში. სურათზე შორს მოჩანს საქართველოს ხედი, შოთა რუსთაველი კადაშს აწევის აკაის შემდეგი სიტყვებით:

ვის მინანდო სახლი ჩემი,
შენგან კიდევ ვინც მეფერა?
ვერო დაღვე, დაიჭირე.
ვერ წაგიტარ, ვერა, ვერა.

ამს მოსდევდა პარზაული ტექსტი: „თ. აკაი წერეთლის მშ წლის იუბილესათვის მიძღვნილი პატრი მიხილ თამარაშვილისა და რომის ქართველი სტუდენტებისაგან“.

საფრანგეთში წასვლის დროს აკაი ფაქრობდა რომში ჩასვლას და მიხილ თამარაშვილთან შეხვედრას, მაგრამ ეს არ მოხერხდა. თავისი თანხებრძოლისა და ახლო მეგობრის იაკობ გოგებაშვილისადმი პარიზიდან გამოგზავნილ წერილში აკაი წერდა: „როგორც მეტყება საშუალება, მაშინვე წავალ რომში მიხილ თამარაშვილის სანახავად“. სხვა წერილში აკაი იაკობს სწერდა: „გულში მივიღე თამარაშვილის წერილი რომიდან. დიდ იმედებს მწერს და აღტაცებითაც მიზარებს“. როგორც ჩანს, აკაი თავის მოგზაურობას საფრანგეთსა და იტალიაში გაჩვენებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა.¹

უფიქრობთ, ეს საკითხი ღირსია ღრმად იქნეს შესწავლილი ჩვენი ისტორიკოსების მიერ.

აკაი პარიზიდან თავის წათხავსა და მეგობრულ სხვიტორში — ბუენ წერეთელს და მის ოჯახს წერილებსა და სახუმარო ლექსებს უგზავნიდა, მათი დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ჭრატვრებით არა ჩანს.

მიუხედავად ხანდაშეშლილობისა და ფიზიკური სისუსტისა, აკაი პარიზში ბევრს მუშაობდა, კითხულობდა, წერდა, საზოგადოებაში სიტყვით გამოდიოდა. პოეტს დიდ სიამეს ჰქვრიდა და კიდევ უფრო მეტად ახალისებდა ცოლ-შვილთან ერთად. პარიზიდან გამოგზავნილ წერილებში აკაი აღნიშნავდა, რომ „ითხ-ხუთ წიღი-წადსაც ვერ დაეწერდი იმდენს, რაც აქ ამ ერთ თვეში დაეწერეო“. მართლაც ნაყოფიერი იყო აკაის მიერ პარიზში გატარებული დღეები,

იქ მიღებული შთაბეჭდილებანი, ყოველივე ეს ნათლად არის გადმოცემული აკაის პარიზულ ნაწარმოებებში: პარიზშია დაწერილი „ვერსად, პოემა „მოხუცის გრძნობა“, „დღესეულისა და ღამისა ნიკოლაძისას“, რომლებშიც პოეტი კვლავ გამოხატავს თავის საოცნებო იდეალს — სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია, რომელიც აკაის პარიზში ყოფნის დროს ბრიუსელში ცხოვრობდა, შემდეგს წერს: „აკაის ჩამოსვლა პარიზში იქაური ქართველებისათვის მიიღო დღესასწაული იყო. მთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი დატრიალდნენ და შევიდნენ შესაფერად დახვედროდნენ დიდებულ მგოსანს. მის პატავსაცემად მოაწყეს ქართული საღამო. ამ საღამოზე მოწვეულ იქნენ ფრანგი მწერლები, რომლებიც უნდა გაეზარებინათ მასპინძლების სიხარული, სახელოვანი მგოსნის იქ ყოფნით გამოწვეული. ფრანგები პარველად ხედავდნენ, როგორც ქართველს პოეტს, ისე ქართველობას ერთად თამოყრილს, და მოხიბულნი დაარჩნენ, როგორც აკაის არჩვენებლებიც გვარგნობით, ისე ქართული დროსტარებისა და ცვაკრის სიმშვენიერით. ეს შეხვედრა მთ დიდხანს ჰქონდათ ლაპარაკის საგნად და ტკბილად მოსაგონებლად. თვით მგოსანი უზომოდ იყო ნასამოვნები პარიზის ქართველობის მიერ მისი დიდი გულწრფელი პატივისცემით და იმასა იძახდა თურქვე: ანეთი პატივისცემის შემდეგ რომ მოყვებე, არ დამენახება კიდევყო.“

პოეტს სურდა პარიზიდან გადასულიყო ევროპის სხვა ქალაქებშიც, სადაც კი ქართველები ცხოვრობდნენ. იმ დროს შე ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ვიყავი, ციმბირიდან დაბრუნებული და აქაურობას თავშეფარებული. ჩემს გარდა ბრიუსელში კიდევ იყო ორი ქართველი: პალიკო ყოფიანი და ბარბარე ყოფიანი; ხოლო ბელგიის სხვა ქალაქებში (ლიევი, უანბლუ, მონსი) ამ კაცამდე იქნებოდნენ ქართველები. აკაის პარიზში ყოფნის ამბავი გვესმოდა და დახაც ვეშორება, რომ არ შეგვეძლო საყვარელი მგოსანი დავეხერხებინა ჩვენს შორის.

ამ წუხილში რომ ვიყავით ბელგიის ქართველები, ისე შედგატანებზე თვითონ აკაის წერილი მოვიდა ბრიუსელში ჩემს სახელზე ბედნიერი ვარ, რომ პარიზი ვნახე და საუფავეში არ ჩამყავ მისი ჭაჭარი. აქაურმა ქართველობამ ძალიან მასიამოვნა, მინდა ევროპის სხვა ქალაქებშიც ვნახო, აი, თუნდა თქვენი ბრიუსელი, თქვენი ნახვა გამეხარებოდა, მაგრამ რა ვქნა, უფულოობა, როგორც ყოველთვის, ხელს მშლის. ამიტომ მიიღეთ შორის საღამო.

ცხად იყო, ჩვენ უნდა გვერჩუნა საგზო ფულის გაგზავნისათვის და, ბრიუსელში რომ

1. შოთა ლომსაძე, „აკაის მოგზაურობა ევროპაში“, „მნათობი“, 1960 წ., № 10.

ჩამოგვივლიდა. მის შესაფერ პატივისცემისათვის. დიდი მადლობა მოვასხნე წერტილის მოწერისათვის და გამოვთქვი ბელგიაში შოთხი ქართველების საერთო, გულწრფელი სინანული, რომ ჩვენმა ხელმოკლეობამ ნება არ მოგვცა მისი აქ მოწვევით უსაზღვრო სიახვერება განვეცვათა.¹

გამოჩენილი საბჭოთა რუსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ტიხონოვი აკაის უწოდებს „აკაობრიობის რჩეულს“. „აკაი წერეთელი, — წერს ნიკოლოზ ტიხონოვი, — ერთ-ერთი უადრესად საპატიოა მსოფლიოს იმ გამოჩენილ ადამიანთა სახელებს შორის, რომლებსაც არაჩვეულებრივად ბევრი რამ გაუკეთებიათ თავიანთი ეროვნული კულტურის აღსაყვავებლად და თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ“.

ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, რუსული თეატრის კორიფეს ალექსანდრე სუშბათაშვილი უთინის სიტყვებით „აკაის ღრმად აქვს გაღმული ფეხები მშობელ მიწაში, რომლისგანაც იღებს ნოიერს საზრდოს თავისი შემოქმედებისათვის; ამასთანავე, იგი მიეცხრამეტე საუკუნის დიადი პუმანური იდეალებით გამსჭვალული მსოფლიო პოეზიის მომხიბვლელი წარმოდგენელია. აკაი არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის უმაღლეს მისწრაფებათა გამოშხატული პოეტია“.

ეროვნული და ინტერნაციონალური მოტივები ერთმანეთს ერთვან, ერთმანეთს ერწყმინან აკაის შემოქმედებაში. აკაი იყო თავისი ხალხის მომღერალი პოეტი, მებრძოლი პატრიოტი, ამავე დროს, იგი გამსჭვალული იყო ხალხთა ძმობის სუბტატი გრძნობით. აკაი წერდა: „შენი ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოკინისტურად, არამედ მამულისადმი შენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“. სხვა ადგილას აკაი ამბობდა: „შოკინისტობა საშინელებია, საძაგლობა, სასიზღრობა“.

აკაი ხასტიკად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ეროვნული ჩაყვრისა და შევიწროებისათვისპრობლეური რეჟიმის მიმდე პირობებში აკაი თავისი მხატვრული სიტყვით და პრაქტიკული მოღვაწეობით ამხნევედა ხალხს და მოუწოდებდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლისაკენ. მისი პატრიოტული ღირსება განჯამის აღმძვრელი საყვირი იყო შწრომელთა უართო მანებინათვის, მათ ბრძოლაში ცარიზმის დასამხობად. აკაი ისტორიული პერსპექ-

ტივის თვალზარისით ძალიან შორს ხედავდა, ის მტკიცედ და გარკვეულად მოითხოვდა ხალხთა სოლიდარობას, ურთიერთკავშირს, ერთობას კაცობრიული სულის² განმტკიცებას მსოფლიოს ყველა ხალხში.

აკაი თავის პოეზიაში, პუბლიცისტურ წერილებში, საქარო გამოსვლებში მუდამ იმ აზრს აწვითებდა, რომ საჭირო და სასარგებლოა ერთობა შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული. „შესამოცე წლებშივე, — წერს აკაი, — ჩვენი საერთაშორისო მცნება — ძმობა და სიყვარული იყო“. აკაი დიდად აფასებდა რუს ხალხს, რუსულ კულტურას, რუსეთთან მშურ კავშირს, ამავე დროს, ის აქტიურად ქადაგებდა ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობას და სხვა ხალხებთანაც ურთიერთკავშირს. პოეტის სამართლიანი თქმით, „ხალხის შეერთებული ძალა სტიქიონია, და ასტიქიონება — გამარჯვება მას ვერაფერი დაუდგება წინ“.

აღსრულდა პოეტის ოცნება, ქართველმა ხალხმა, მოძმე დიდი რუსი ხალხის დახმარებით, 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლება დააშარა და შეუდგა მშვიდობიან, თავისუფალ შემოქმედებით შრომას. დღეს საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკას საბჭოთა ხალხების დიად მშურ ოჯახში. ამ ნათელ დღეებს შორიდან შეხმაროდა დიდი პოეტი.

ის მიხარებს მოხუცს გრძნობას, გულს ის მხედება შევების ისრად, მშობელ ქვეყნის სამსახურსა რომ ღებულობს შეილი კისრად! ასეთ შეილებს საიმედოდ თქვენშივე ხედავს ჩემი თვალი, — მიტომავე მწამს ასე მტკიცედ საქართველოს მომავალი!

აკაიმ მთელი თავისი შეგნებული და ღრმად-შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, თავისი ასევე მალდი პოეტური კმნილებანი სწორედ ხალხთა შორის მეგობრობის, ძმობისა და ერთობის ქადაგებას მოახმარა.

აკაი ისიცხვლებივე გახდა უყვადო, ასეთივე დარჩა სოკვილის შემდეგაც. დროთა მდლევატ დინებაში ახალ-ახალი შარავანდეით იმოსება მისი მომხიბლავი პიროვნება და დიადი შემოქმედება. პოეტი დღესაც გულგადაღვლილი შემოუტრებს ოპერის ბაღიდან თავისი სათაყვანო სამშობლოს მოკაშაშა-მოილეტარ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს, თავის განუყრედ თანამებრძოლ ილიასთან ერთად მოღმარი და კვლავ თავაწული ნეტარი სიამით უცქერის რუსთაველის პრისპექტივე მიმავალ ხალხს და ხედავს, რომ

დავს საქართველო ოქროს თასივით მისი ლექსების ნექტარით სავსე.

1. თედო სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბილისი, 1969 წ. გვ. 40-41. იხ. აგრეთვე გიორგი ქვეთარაძის „აკაი პარიზში“, გახ. „ლიტ. საქართველო“, 1965 წ., № 46.

„საიბარო თოჯინა“

პოეზიას, ისევე როგორც მხატვრული ლიტერატურის უველა უნარს, გამომხატველობის მრავალი საშუალება გააჩნია, მწერალს კი პირადი თვალსაზრისი, ოსტატობა და ცხადი ან ფარული ტენდენცია. ზოგი იმას გადმოგვცემს, რაც საკუთარი თვალთ უნახავს, უშუალოდ განუცდია; ზოგი იმას, რის შეთხვევის, მოგონების უნარი აქვს; ზოგი პუბლიცისტური პათოსით იმსჭვალება, ზოგი ლირიკულ მჭმუნვარებას ეძლევა, ზოგი სატირას მიმართავს, ზოგი კი იუმორისტულად იღიმის, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენს თვით პოეტი პოეზიისადმი, რა მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვის ოსტატი სიტყვას. ზოგერთისათვის სიტყვა მხოლოდ მასალაა, ემოციას ან აზრს გამოსახატავად აუცილებელი მასალა, რასაც დაოსტატებული ზედა ისე იყენებს, როგორც სურს, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების უნარობრივი თავისებურება უკარნახებს; ზოგიერთის კი სიტყვა ქმედების, სინდისის, ცხოვრებისეული აზრის ტოლფასოვანია, მჭიდროდაა დაკავშირებული მის ტყველთან და სიხარულით და ზოგჯერ ისეთ რაწესაც განსაზღვრავს, რასაც შეიძლება ლიტერატურასთან კავშირი არც კი მქონდეს. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის ვარკვევას, რა უფრო მოეხოფება, რა უფრო სწორდება პოეტს — დიდი ოსტატობა და ფანტაზია, თუ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და პასუხისმგებლობა, მაგრამ, ჩვენი აზრით, პოეტთა იმ რიცხვს, ვისთვისაც სიტყვა ქმედების, სინდისის ტოლფასოვანია, ბესიკ ხარანაულიც ეკუთვნის.

ფილი წინა თავისაგან, რომ შეიძლება ცალკე ლექსადაც მივიჩნიოთ. პოემის გამართიანებელი ელემენტი თემის დიფერენცირებულად გაშლა, ცხოვრების სხვადასხვა კუთხით ჩვენება უფროა, ვიდრე თანამიმდევრულად დალაგებული ან კონტრასტულად დაპირისპირებული ამბებისა და პოეტური ნაწარვის გადმოცემა. საერთოდ, ბესიკ ხარანაული ერიდება თხრობით ელემენტებს და ცდილობს აზრი, სახე, უფროსი წერტილები და პეიზაჟი სექტრებზე დაუფილი მოგაწოდოს. ამა თუ იმ სექტრში შეიძლება ზოგი რამ შეიხვედისათვის გაუგებარიც კი აღმოჩნდეს, მაგრამ მთლიანობაში უველაფერს ხსნის პოემის ძირითადი აზრი, მისი განწყობილება; ტონალობის მიხედვით პოემის ბგერათა წყობა, ერთდამხვედროს, ნაღვლიანობა და ირონიუროც. ნაღვლიანი იმ პასაჟებში, სადაც პოეტი გულისტკივილს გამოსთქვამს გმირის სულიერი პარსტრაციის გამო, ირონიული კი მაშინ, როცა გმირის შინაგან უშობას, გულგრალობას, შეშინებული პატარა კაცის ყოველდღიური უფის ერთფეროვნებას ცოტათი აწვიადებს და ამგვარი გაწვიადებით ისე დასცინის, რომ დიმილი უადრესად განზოგადებულ ხასიათს იძენს.

პოემას წინ წამდვარებული აქვს ვთა-ფშავლას შეხანაშნავი სიტყვები. ეს ორსტროფიანი ეპიგრამა, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, მთლიანად გამოხატავს ნაწარმოების ძირითად აზრს:

უქმად ჩამალვით სიცოცხლს,
უქმად საფლავში წყვითა.

პოემის გმირი პასიური, ყოველდღიური ცხოვრების რიტმს დამორჩილებული, ერთფეროვნებისაგან გაწამებული, ვაკუუმი შეშართებისა და რომანტიკული ზესწრაფვისაგან დაცლილი ადამიანია, ჩვენ არც სახელთ ვიცით მისი, არც საფლავობა, არც პაროფსია და არც წარსული. მცოხველმა პოემის გმირი გარეგნულადაც უნდა წარმოიღვინოს და მისი

*. ბესიკ ხარანაული. „საიბარო თოჯინა“, 1973 წ.

ცხოვრება მისივე შინაგანი მონოლოგების ეპოქური და აზრობრივი ვარიაციებით, ვარსაყაროს შეგნებაში შეტრილი სახეებით, საგნებთან დამოკიდებულებით და განწყობილებით უნდა განსაზღვროს. როცა შეიხველი ყველა ამ მანიპულაციას ჩაატარებს, მან უკვე იცის, რომ პოემის გმირი ოჯახის პატრონია, უახსოვლი, შვილი და დედა, დადის სამსახურში, მგზავრობს სამოქალაქო ტრანსპორტით, ყოველ დღე ავითებს ერთხადაიმავე საქმეს, აქუთებს შექანაურად, უხალისოდ და როგორც ყველა მოსამსახურე კაცი, შაბათობით და კვირაობით ისვენებს. პოემის გმირის მთლიანობას მრავალი კომპონენტი ქმნის და როცა ყველაფერი ერთ ფოკუსში იყრის თავს, თავლწინ წარმოვიდგებოდა წვეულებრივი მესწანო, რომელსაც სურს თავი დააღწიოს დამამცირებელ ყოფას, გაამუდგეს, გააჟეკადეს, რაღაც ისეთისათვის დაიხარჯოს, რასაც ფასი აქვს, კაცურ საქმედ ჩაითვლება, მაგრამ იგი უკვე იმდენადაა ჩაფლდებული მესწანური ყოფის ჰაობში, იმდენად მომდუნებული, ბელაქნეული და გაგულგრილებულია, რომ ვერც ჰკობიდან ამოსვლას ახერხებს და ვერც საკუთარი თავის წვალებას მოშვებია. პოეტი ერთდროულად გმირის ყოფასაც ვიცნობს და მის განწყობილებასაც ვიცნობს და როცა დასტონის, დასტონის არა იმიტომ, რომ სძულს, სულიანობრივანად უარყოფს, არამედ უყვარს, ებრალებო, სურს დაუხმაროს და ამიტომ ვეხლს არ იშურებს, პირდაპირ, მოურთიდეზად ეუბნება რაც არის და რის თავიც აქვს. პოემის გმირი მესწანო კი არის, მაგრამ არც განუხარლდვია და არც დანახვის, აზროვნების უნარს მოკლებული. მის პაროუნულ ინდივიდუალობას მარტო ყოფის ერთფეროვნება და ცხოვრებისეული წერილობები კი არ ბოკავს, არამედ უფიერების გადაუქრელი საქთხების სიმძიმეც აწევბატვირთად და არსებობის ამ ორი კომპონენტის შერწყმა ზოგჯერ საკმაოდ მუქი ფერის სურათებს ქმნის.

პოემაში ანტიმესწანური თემა შეიძროდა დაკავშირებული ადამიანური განცდის ხან ერთ-მანეთისაგან მოწყვეტობ, ხანაც ორგანულად დაკავშირებულ კომპლექსებთან. პოემა იწყება დილის დადგომით, თვალის გახელის წაშით და ეს წამი ხახება არა მარტო შორეული თუ წინადღიწველი ასოციაციებით, არამედ განწოგადებული, სიმბოლური სურათებითაც. შუარი საგნებით შებოქილ, ფაქტების ჩარჩოში გამოწვედული საშუაროს ქერქერობით მხოლოდ სიმპტომები ახასიათებს იმ ყოფისა, რომელიც ჰმარს ირგვლივ არტყა, მაგრამ თანდათან ეს სიმპტომები გაღვებულ გონების იმპულსებით ოვსება და იწყებს სინამდვილის აღქმას.

პოეტი უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაღვიძების პირველ წამს, დახვეწილი-თვალის გახელის წამს, რომლის წაწილი ქერკიდეც ბნელს ეკუთვნის, მაგრამ სიცხადე უკვე იტაცებს საგნებს, მახლობელ ადამიანთა სახეებს, იმსკვალება საკუთარი არსებობის შეგნებით და იწყებს ცნებებით აზროვნებას. ეს ბუნდოვანი, მაგრამ დიდი წამი ახალი დღის დასაწყისია:

რა გვეკუთვნის ზევნ?
 იქნებ ეს წამი,
 ეს წამი ძილსა და ღვიძილს შორის —
 რომელსაც არავინ უმღეროდ,
 არვის ახსოვდა.
 ეს წამი — ვიღარე გავიღვიძებთ,
 როცა არ გვეძინავს.
 ვიღარე ახლო საგნები და შორი ცნებები,
 თითო-თითოთ თუ ჭგუფ-ჭგუფად,
 წესრიგით თუ აურხაურით
 არ შემოვა ზევნში, არ შემოვიცივდება!

გაღვიძებული გრძნობს, რომ ირგვლივ ყველაფერი ზუსტად ისეთივეა, როგორიც გუშინ, ერთი თვის, ერთი წლის წინათ იყო, არაფერი არ შეცვლილა, არც ვარეთ და არც შავნით, არ მომატებია ძალი, ენერგია, ზალისი, არავის არ სჭირდება იმავე შეტად, ვიღარე სჭირდებაო, ერთი ზიტყვით მისი ცხოვრება ტუთილად-უქმად იხარკება და იგი ცდილობს ემოციურ-სიღბატე შეცვალოს სიძლიერის ილუზიით, გაამხნეოს საკუთარი თავი, გაუჟეკადეს, გმირულ საქმეში დაიხარჯოს და დიფერტლოს:

გახსოვდეს ძილიც სიკვდილისა,
 მისი წვეთია, მისი თმის ღერო.
 ადამი, ალი! იქვემეზე, ალექსანდრე!
 ცხენის ჰიზინზე გაღვიძებული,
 წელით ხმლის ვადის მომსიწველო!
 ძილბურანიდან გამოპყავს დილას
 ღურჯი კარები,
 როგორც შენს ზელს, ძლიერს, ღონიერს.
 ადამი მეკრივო, ხალისიანი!
 მზიარულო, რომ კვლავ გელის ბრძოლით
 სიკოცხლე,
 ადამი, გაღო,
 დაანახე საშუაროს თავი!
 ღამის ნელწყარულ ნაკვერცხლებივით

1. შენიშვნის სახით აქ ერთი რამ უნდა ითქვას: არ ვიცი რამდენად იცნობს პოემის ავტორი დიდი ფრანგი მწერლის მარსელ პრუსტის თხზულებას „დაკარგული დროის ძიებაში“, მაგრამ მარსელ პრუსტმა გაღვიძების პირველი წამი ისე ზუსტად, ისეთი პოეტური-სიღრმით აღწერა, რომ მარტო ამ წამის აღწერას მის კლოსალურ თხზულებაში მთელი გვერდები უჭირავს.

ავტორილებს თვალს ნიაგი და გემინდელ დღის ფერფლსაც წაიღებს.

მაგრამ აბსტრაგირებული, სინამდვილის ზღვარს მიღმა გატანილი სურვილი, წინასწარ შეკონიწიებული ილუზია ისევე ხანმოკლე აღმოჩნდა, როგორც გაღვებების წაში და ემოციური ინექციებისა და ინსტიტუტის უნარს მოკლებულია გმირი, რომელიც ლოგინიდან დგება, იცუამს და იმ კაცის ნაბიჯებით გადის ვარეთ, ვისაც ქუჩაში არავითარი საფრთხე არ ელოდება, ისევე ებმება ყოფისა და ყოფიერების მონოტონურ ფერხულში, ანგარიშს უწევს ცხოვრების ფანეულბათა დაზუსტებულ სისტემებს, იწოვს ყველაფერს, რაც თვალს ზღვება და იმის მიხედვით, თუ როგორი აწინდია ვარეთ, თვალთ აღქმული შის განწყობილებას ან ესადაგება ან ეწინააღმდეგება. შეგნებაში იჭრება თანამიმდევრობას, სწორახაზოვნებას მოკლებული სინამდვილის ნათღებები — ქუჩის სამოსელი, სახლების ფასადები, დაწესებულებათა აბრები, ყუბუეუნიანი ტრამვაი, დუღისა და ქალიშვილის, „ორი ფურის“ ერთსახოვანი სახიერება. დედა-შვილს თითქოს სცივთ, მარტის მსუსხავი ქარი უბერავს, მაგრამ პოემის გმირი გრძნობს, რომ შათი სხეულებს სითბოს დიდ მარაგს ინახავს და ისევე ემდება ილუზიას, ისევე სცდება სინამდვილის ზღვარს, მაგრამ ქუჩის სამოსელი და ქუჩის ლექსიცა ამის საშუალებას არ აძლევს და იგი კვლავ მარტო რჩება:

როცა ამ ქალაქში,
ამ მილიონიან ქალაქში
ტყუილად დაღიზარ სმენადაცქვეტილი,
არაფერს გეძახის არცერთი ფანჩრდიდან,
არაფერს გადმოდგება არცერთი აიენიდან
სათის გუგუღივით:
არაფერს გაშლის ზელებს შუა ქუჩაში
შენს დანახვაზე,
თითქოს შენ აქ დიდხანს,
დიდხანს კი არ გეცხოვროს,
არამედ სასუიდლებზე
ჩამოსული გლეხი იყო.

მაგრამ პოემის გმირს მარტო უილაჭობა და მარტობის გრძნობა კი არ აწუხებს, არამედ უტირს მისგან დამოუკიდებელი მოვლენების ახსნა, უმნიშვნელო, მაგრამ უამრავი შთაბეჭდილებების ერთად თაყმოურა და შათში გარკვევა. დამოუკიდებელ აზროვნებას, შინაგან თავისუფლებას მას ისევე ის ურჩევნია, რომ გონებრივად დამონებული იყოს, ემორჩილებოდეს მასზე უფრო ძლიერ პიროვნებას, ისეთ პიროვნებას, ვინც პირადი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებს და მისი ამღვრეული ჭკუის პოტენციალს ერთი მიმართულებით წარმართავს, სულერთია, როგორც არ უნდა იყოს

ეს მიმართულება — მცდარი თუ კუშპირიტი, ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში ცხადად იგრძნობა ავტორის გეხლი და დამკვირვებელს.

უფრო მეტად ეპოქაში მონა ვერცხვოდა.
კარგიც იქნებოდა,
შე არ დამპირდებოდა ტენისს ჰელეტა,
გონებისათვის ძალდატანება,
მიუყუბოლი წესრიგს
და მეყოდინებოდა,
რომ მივყუბო უმალეს ნებას,
რომ მუყავს პატრონი —
თუნდაც მკაცრი,
და ის ფეჭრობს ყველას მავიკრად.
აბა რა... მომწყინდა შემიწებული გულოთ
ხეტება.

პოემის გმირს არაფერზე არ გაანია საყუარო აზრი, არც უნდა გაანდებს, ამგვარი რამ მას ისე არ აწუხებს, როგორც ცხოვრების წარმადლობა, უქმად დახარჭული დრო, კარგი მომდგარი ქარმავობა, რასაც ვერაფერს მოუხერხებ, ერთი ნაბიჯითაც ვერ დაახვეინებ უყან, რა გინდ ღიდი სურვილიც არ გქონდეს ხელახლა იცხოვრო ამქვეყანაზე, იცხოვრო უფრო ვაყუაცურად, აზრიანად, მღურვის ვარეშე. გმირს არაფერი აქვს სათქმელი არც მახლო. ბელათვის და არც შთამომავლობისათვის, არაფერი ვაყუეთებია ისეთი, რის ვამოწმაც შეიძლება, რაც პოზითა და უნიადავო ჩივილით არ იყოს შენიღბული.

და არის ორმოცი წლის
კაცის ცხოვრება?
ახალგაზრდობის
უყანასკნელ წრეს უელის იგი
და დინიშთან კი
ყვავილებით არაფერს ელის.
უტლიან საყუედურებოთ,
უტლიან პრეტენზიებით,
უტლიან — ყველაფერი რომ ვაუტეს
— ისე!
იციან რა ჩიტყც არის,
რაც შეუძლია.

ამიტომაც ვანიცდის პოემის გმირი ახალგაზრდობის დამოზობას, შორეულ წარსულს მტყიენულად, ამიტომაც სურს ისევე გულბრუცილო, თქვენსებტი წლის ჰაბუყი იყოს და მის გულში ისევე ენთოს ტრფობის აღი, როგორც მაშინ, როცა ამქვეყნის მამოძრავებელი გრძნობა, ყოფიერების არსი სიყვარული ეგონა, როცა ეტრფოდა პურის ძნახავით ვარს ვამდგარ ქალს და ცეკვავდა ცეცხლის აღზე. მისდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთმა სხსურველმა ქალმა ანგარიში გაუწია, შეიყვარა, საყუთარ ჰერს ქვეშ შეიფარა,

ვათხო, დაატხო, ოჯახის მამად აქცია, მაგრამ მისთვის საყვარელი მძიმე ტვირთი აღმოჩნდა, დიდხანს ვერც ეს გრძნობა ატარა გულში და აძულებულია საყუთარ თავს გამოუტყდეს, რომ აქაც დამარცხდა, იმიტომ დამარტოვებულა, რომ ვიწრო ეგოიზმის ფარგლებს ვერ გასცდა.

საყვარელი...

ვერ მივეყვო ვერც მას ბოლომდის,
აქაც, როგორც სხვა საქმეებში,
მე არ ვისურვე,
იმ გულუბრყვილო წერვს ვგვანებოდი,
იმაზე მეტი რომ დანისა,
რისა ზედვად მის მხრებს შეეძლო.

პოემის გმირი კარგად იცნობს როგორც საყუთარ თავს, ასევე მის მსგავსა ზნეს და ადამიანურ თვისებებს, იცის, რომ უველა მათგანი საყუთარი ინტერესების სფეროშია ჩაყვრილი. კეთილშობილებას, ვაჟაკობას, ზნესრულობას ისინი სხვაგან ეძებენ, სხვებისაგან მოითხოვენ, ხოლო როცა თვით მათ სჭარბებთ ამავე თვისებების გამოჩენა, როცა რეალური საფრთხის წინაშე დგებიან, უკან იხვევენ, უშწილობას ეფარებიან და ცდილობენ ზოგადკაცობრიულ, გადაუტრეულ საყიობებზე მსჯელობით და ამოების წინ წამოწვიეთ შენიღობონ საყუთარი უდიჯობა და უხელგეულობა.

თუ ცხრა მთას იქეთ ვინმეს უჭირს,
სავანავაშო,
ხოლო შენს გვერდით თუ იბრძობა

ადამიანი —

რა ვაქეულობა.

ქუმიანში?

ადიდებელია,
გვიტყვიანა კაცობრიობის,
მაგრამ, დავ, სხვამ მისდიოს მას,
ჩვენ იმ კაცს ცამდე ავამილღებთ
და ჰველს დავედგამთ...

ოღონდ — ჩვენ არა, არც ჩვენმა შეიღმა,
სხვამ, სხვისმა შეიღებმა იმტერიონ თავი...
ხოლო ჩემნაირი კაცი გამოდგება
და სამყარო შეებრალდება,
როგორც წიწილა,
სადმე გზაში აუვანილი.

სხვა შემწინებისაგან, იმათგან, ვინც მხოლოდ საყუთარი კეთილდღეობისთვის იღწვის და ამ მიზნის მისაღწევად არაფერს არ ერიდება, პოემის გმირი იმით გამოიჩინევა, რომ მშრომელი და პატოსანი კაცია, მაგრამ იმ გარემოში, სადაც იგი ცხოვრობს, მის საყუთარ ოჯახშიც კი პატოსანი კაცა უფნარო, ჩამორჩენილ კაცად, ხეიარს თოქინად ითვლება და იგი გრძნობს შეიღების, შინაურების მისდამი დაჰყოილებულებას, იცავს, რომ იმათ თვალში,

ვისთვისაც ხილამაზეც კი ქონეწასთან, სანდიდ-რესთანაა დაკავშირებული, არააობაა და ამიტომ შორს გადახვეწის, ვადაკარგვის სურვილი უჩნდება, მაგრამ საყუთარი თავს შინ იმდენად ებრალდება, რომ დასაყარგავად არ ეშვება.

თუ შენს შეიღებს ჰყავთ ორი თოქინა
და ერთი არის ზეიბარსი და დავრდომილი,
ხოლო მეორე ლამაზი და ახალთახალი,
და თუ ბავშვებმა თამაშის დროს ლამაზ
თოქინას
დარქვეს შენი მდიდარი და გამოჩენილი —
შენი თქმით კი გაჩენილი და უსინდისო
ბიძის სახელი,
ხოლო მეორეს, ზეიბარსა და ჰველისძველს —
შენი,

მაშინვე შენთვის ნათელი უნდა გახდეს,
თუ რას ფიქრობენ
შენზე ოჯახში, მეზობლებში, ნათესაებში,
ამხანაგებშიც და სამსახურშიც.

პოემის გმირს არც ეს უნდა, რომ მისი შეიღებლი უსინდისონი, მხვეცილნი და გამოძალგებლი დანიარდონ, მაგრამ იცის ისიც, რომ ისინი ბევრი უხამსობის, უსინდისობისა და ავჯაკობის მოწმენი იქნებიან და ამ მოწმენობისათვის შეიღდება გაწყვალდენ, დაისაჯონ. მიუხედავად ამისა, შეიღს მაინც გონიერულ რჩევას აძლევს.

ვახსოვდეს, შეილო,
თუ შენ ესწრები
ადამიანის ღორულ საქციელს,
იგი შენთვის დაყარგულად უნდა ჩათვალო,
რადგან მწარედ შეგიყავრებს
როგორც მოწმეს.

პოემის გმირი გრძნობს, რომ ხელმოცარულია, სულეირი ხაზრდოს ძიებში და საყუთარი თავის წყალებში უამარავი დრო დახარჯა, უთავბოლოდ გაფლანჯა ახალგაზრდული ენერგია, ხოლო სხვებმა ამასობაში დაატაცეს უველდერი, რაზეც პირადი კეთილდღეობა, უზრუნველი ცხოვრება და ფუფუნება მოაკვს, რაც მორთულ-მონახული და ლამაზია, ხოლო მისი არსებობა დავიწყეს, დიხადაც კი არ ჩათვალეს იმისა, რომ მისთვისაც გაენაწილებინათ რამე. ამიტომაც იყვება პოემის გმირი პასიური პროტესტით, ამიტომაც ჩივის მწარედ.

ამა ერთხელ თუ უთქვამს ვინმეს —
იქნებ სხვაც რამე უნდაო ამ კაცს.
სხვა — რაც მორთულ-მონახულია,
რაც ლამაზია, რაც წერიალებს, —
მე რომ მუდამ მიმალავდით
და მუჭში რომ გამოქვამეთ ჩემგან ფარულად.

პასიური პროტესტით აღუხილა პოემის გმირი თავის თავს ბრძოლისაგან, მხვეცილთა წინააღმ-

დევ ამბოხებისაკენ კი არ მოუწოდებს, არამედ საკუთარ შესაძლებლობებს ითვალისწინებს და საპირისპირო გზას ადგენს. უსინდისო ადამიანების მიძინებული სინდისის გაღვიძება იმით სურს, რომ ამქვეყნაან ვაეცადოს, მოკვდეს, საკუთარი თავის დასწით დასაქოს ცხოვრებას ორივე ხელით ჩაბლაქუტული, ხარბი, ვაუშაღარი არაწაადები. სხვებს დაუთმოს, დაუტოვოს ყოველივე ის, რაშიც წილი მაინც არ დაუღებს. პასიურ პროტესტს თან ერთვის წარმავლობის, დროის შეუჩერებელი დინების, მისი ყოვლისმსურველობის აზრი, სიყვდილის გარდუვალობის შეგნება და ამაოდ დახარჯულ, ფუჭად ჩაგლილ ცხოვრებაზე საწამლავეთი მწარე ფიქრები.

რა კარგია, როცა ეაცი უცებ მიდის და ხალხს პირში შეატრევს სიტყვას, რაგორც ვინს — ნალას. ახლა წადით და დიქნეთ, უბიდან უბაში გადაიტანეთ თქვენი სიბრძნე, თქვენი აზრები, მე წავედი.

მოკლეა, გარდაიყვალა. იგი წავიდა ხელტახტვული, დაუბარჩავი, ერთ მიწაში დაფლული ხარბი, ერთხელაც რომ არ დარეკილანეთ ამდენი წელი, ამდენი ტუფილ-შარბალი იყო საჭირო, რომ ასე უცებდ წაეყვანათ?

მაგრამ, როგორც უველა სხვა შემთხვევაში, პოემის გმირის გარდაცვალება ამქართლად განღიანებული წარმადგენის ნაყოფია, პასიური პროტესტით ნაქარნახეი თვითგვემა და მან სხვებზე უკეთ იცის, რომ არსად არ წავა, არაფერს არ ჩაიდენს ისეთს, რაც მის ყოველდღიურ, ერთფეროვან, მუშნაურ ცხოვრებას დაარღვევს, არაფრისათვის არ იბრძოდებს ვაჟაყურად, არაფრისათვის არ დაიხარტება ბოლომდე.

მკვდარი კი არ ვარ, მკვდრებს ვეაყრებ, არ შეგეშინდეს.

ის, რაც პოემის გმირს ადღევებს და აღშფოთებს, რის გამოც პროტესტსა და საყვედურს გამოხატვას, მისივე ინდივიდუალური ცხოვრების სფეროში რჩება, მისივე ბოჰკილვებს წარმოადგენს და მან წინასწარ იცის, რომ ამ ბოჰკილვებს ვერ გასწევებს. ამიტომაც ებრალება ავტორს საკუთარი პოემის გმირი, ამიტომაც დაცინის შემწუნარებულად, მაგრამ მწარედ, უკომპრომისოდ.

პოემა დაწერილია თავისუფალი, ტრიალურ ლექსით, სადაც მოვლენები დროის მცირე მონაკვეთშია გამოკეტილი და მათი ერთდროს უღობა ვადმოცემულია ვერტყაადურად ეკავალებული პარალელური ხაზებით. ინტონაცია ხან აწილებს ლექსის დინებას, ხანაც აჩქარებს, ხოლო წინადადებათა სინტაქსური არაერთგვაროვნება ეხამება თხრობის ღირსიულ და იუმორისტულ ვარიანტებს. მაგრამ პოემის ნაკლოვანებანიც ვაჩინა და ზოგიერთ მთვანს აქვე ვაუხვამთ ხაზს ორიოდე სიტყვით. პოემის გმირი ცხოვრობს დიდ ქალაქში, მოქმედება მიმდინარეობს ამ ქალაქის ფარგლებში, მისი აღქმის ანარქიკი დაჯავშინებულია ამ მოვლენებთან, სავსებთან და ყოფასთან, რაც დამახასიათებელია დიდი ქალაქის ცხოვრებისათვის, შედარებები და მეტაფორები კი უმეტეს შემთხვევაში ადებულება ან დიდი ქალაქისაგან რადიკალურად განსხვავებულ ბუნების წიაღიდან ან სოფლის ყოფიდან, რაც ერთგვარ შეუხამებობას ქმნის, უბრაწიწმისათვის დამახასიათებელი სახეები, შედარებები და მეტაფორები ისე ძუნწად, ისე დარბილულადა წარმოადგენილი პოემაში, რომ ასოციაციები და უშუალოდ აღქმული სინამდიველ სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული რჩება. პოეტს ზოგჯერ უქირს რიტმისა და ტონალობის ზუსტად დაჯავშინება ამა თუ იმ ფრაგმენტის ან საკმაოდ გრძელი პასაჟის შინაარსთან. ვარდა ამისა, პოემაში, ისევე როგორც მოვლენებთან დაჯავშინებულ კინოფილმში, ჩართულია ემოციური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგრამ ზოგიერთი მთვანე ზოგად ხასიათს კი არ ანიჭებს პოეტურ წინამძღვრებს, არამედ პირიქით აკონკრეტებს, უფრო ლოკალურს ხდის. ძლივს შესაძინევ, მინიშნებულ დეტალებს აქა-იქ სწორედ ის წახსნავი აქვთ ბლაკვი, რომელთა სიმახვილე ტიპურობისათვის აუცილებელია. შეიძლებაოა ზოგიერთი ფრანზის სტილისტურად უფრო დახვეწა, ხოლო ზოგიერთს, როცა ინტელექტუალიზმი წინააწამოწულია, შეიძლებაოა უფრო კულტურული ტონალობა მქონოდა.

ამ პატარა წერილში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია პოემის ყველა დარსებისა და ნაკლის აღწესება და მართებულად შეფასება, ყველა იმ საკითხის დასმა და საფუძვლიანად განაღწება, რომელთა უმრავლესობა კაცობრიობისათვის დღემდე თავსატეხი პრობლემაა, მაგრამ ჩვენის აზრით ქართულ ლიტერატურას კიდევ ერთი კარგი ნაწარმოები შეემატა და ჩვენი წერილი ამ ფაქტის აღნიშვნა უფროა, ვიდრე მისი ამომწურავი შეფასება.

გიმი ვაღულბარია

პირველი ფილი, ალბანეთის კონკრეტული...

„ჩილე, ჩვენი უმთავრესი პარტია“

ბოლო დროის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეურნალ-გაზეთებში განხილული ცნობები და რეცენზიები ქართული ფილის „ნერგების“ შესახებ. ყველა მათგანი ილუსტრირებულია ფილიდან ამოღებული სურათებით. ფილი დიდი წარმატებით სარგებლობს გერმანიის მკითხველთა შორის.

„ნერგები“ ერთ-ერთი საუკეთესო ფილია ბოლო წლებში ჩვენს ეკრანებზე — იუწყება გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“.

„ქართული კინოს ნაწარმოები „ნერგები“ პოეტური ფილია“ — წერს „ეპარკატი“ („სიმაართე“).

ბოლო კინოს სპეციალური ეურნალი „ფილმ-შედეგი“ უფრო ვრცელად ეხება ამ მოვლენას და შეთხვევებს იუწყებს: „ნერგების“ ჩვენება გერმანიაში საბჭოთა კინოს დღეებში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა“. ამ ეურნალში „ნერგების“ შესახებ რთი წერილია დაბეჭდილი. ეურნალი შეთხვევებს ფილის მოყვანილობას მონაარსს მოუთხოვს, აცნობს დაბეჭდულ კოლექტივს — რეჟისორს ჩხეიძე და სცენარის ავტორს სულეო ქვენი იგივე კოლექტივია, რომლებმაც „ქარისკაცის მამა“ შექმნეს...

„ფილმ-შედეგი“ „ნერგების“ შესახებ განმარტობს: — ქართული გლეხის მოქმედებაში შეიძლება გარდასახულია დონ კობოტი, ანდა თუ გინებათ ნათანი (იგულისხმება ლესინგის „ნათანი ბრძენი“), რათა განახორციელოს ადამიანური ღირსება, სიკეთე და სიბრძნე... მსხლის ნერგებისათვის ზრუნვის მთავალით... არის ყველა იმ სიკეთის დაცვა, რაც ადამიანებს შეუქმნიათ.

ფილმში არის ბევრი მშვენიერი, დასაძახ-სოვრებელი სცენა, ხშირად დაბეჭდილი ფარული მხიარულებით. მაგბა ლუკა თაყაიანი და საყვარელ სახეს ბრწყინვალედ და ზუსტად ასრულებს რამაზ ჩხეიძე. მხიარულება და ღრმა კეთილგონიერება გვაკავშირებს ჩვენ ამ ფილმთან.

„ნერგების“ ჩვენება წარმატებით ვრცელდება გერმანიაში.

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება დიდად შეაშფოთა იმ ბარბაროსობამ, რასაც ჩილელი ფაშისტები სჩადიან. არა თუ ყოველ დღეს, ყოველ საათს ჩილედან ახალი და ახალი შემადრწუნებელი ამბები მოდის. მსოფლიოს ხალხები ხმას იმაღლებენ ჩილელი ფაშისტების თვითნებობის აღსაყვეთად. ჩილელ ხალხს სოლიდარობა გამოუცხადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებმა; ამ სოლიდარობის ერთ-ერთი დადასტურებაა ახლანდელი ჩეხოსლოვაკიაში გამოსული კრებული სთაურთ — „ჩილე, ჩვენ შენთან ვართ!“ წიგნი გამოსცა გამოცემლობა „ჩეხოსლოვაკიელი მწერალი“. ამ კრებულში გამოქვეყნებულია პაბლო ნეროდის უკანასკნელი ნაწარმოებები, რომლებიც ფაშტიურად არის მწერლის ერთგვარი პოეტური ანდრძი. კრებულში დაბეჭდილია გამოჩენილი ჩეხოსლოვაკიელი კულტურის მოღვაწეების პუბლიცისტური გამომხატვრები ჩილეს ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამ ჩვენ შეხვედებით ი. ტაუფენის, გ. ფრჩიკოვას, დ. შინერის, ნ. ფრიდის, ი. პილარის, პ. კოიშისა და სხვ. სახელებს. წიგნი იხსნება ჩეხოსლოვაკიის სახალხო პოეტის ივან სკალის ლექსით, რომელიც ჩილეს ტრაგედიიდან სამი დღის შემდეგ დაიწერა.

ამ კრებულში ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა გამოხატა გულწრფელი გრძნობა სოლიდარობისა ჩილელი ხალხისადმი, რომელიც უძრავად და შეუპოვრად იბრძვის ზენტის სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ.

ინტერვიუ

305 არის „შავპირიანი ქალბატონი“

შექმნილობების მუდმივი საზრუნავია, რომ როგორმე ჩაიხე ახალი დეტალი შემატონ დიდი ინგლისელი დრამატურგის ბიოგრაფიას. ეს მართლაც დიდად მომზობლავი ცდუნებაა, რადგან ცნობილია, შექსპირის დღემდე ცნობილი ცხოვრებისეული დეტალები ერთ ღია ბარათზე ეტყება.

ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის სენსაცია, რაც გამოიწვია ინგლისელი შექსპიროლოგის აღფრედ როუზის ახალმა აღმოჩენამ.

შექსპირის სონეტებმა ბევრი საზრუნავი გაუჩინა მეცნიერებს, რადგან მათში ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია და მიძღვნილია შექსპირის თანამედროვეებისადმი. ასე, მაგალითად, გრაფი საუტკემპტონისადმი, პოეტ კრისტოფერ მარლოსადმი და სხვ. მაგრამ ამოუხსნელი რჩებოდა შექსპირის სონეტების გმირი ქალი, რომელსაც პოეტი „შავგვრემან ქალბატონს“ უწოდებდა.

დიდი ხნის მანძილზე „შავგვრემანი ქალბატონი“ ამოუხსნელ საიდუმლოებად ვსახებოდით, მაგრამ იგივე აღფრედ როუზმა დაუღალავი კვლევა-ძიების საფუძველზე უშეცდომოდ ამოიკნო „შავგვრემანი ქალბატონის“ ნამდვილი ვინაობა.

შექსპირის თანამედროვის ფორმენის ჩანაწერებში აღ. როუზმა მიაგნო „შავგვრემანი ქალბატონის“ როგორც პორტრეტულ აღწერას, ასევე მის სახელსა და გვარს. იგი ყოფილია სასახლის მუსიკოსის, ეტალოელი ბატისტა ბასინოსა და მარგარეტ ჯონსონის ქალიშვილი — ემილია, რომელიც ცოლად ჰყოლია ვინმე უილიამ ლანეს.

გამოირკვა, რომ ემილია ბასანო, ანუ იგივე ემილია ლანე იყო შექსპირის სონეტების გმირი, რომელიც სონეტების მიხედვით თავდავიწყებით ჰყვარებია დიდ დრამატურს.

ასეთი ავტობიოგრაფიული მომენტების საიდუმლოებათა გახსნას მიეძღვნა პროფ. აღფრედ როუზის გამოკვლევა „შექსპირი — ადამიანი“, რომელიც შექსპირის მოპლენს შექსპირის საიდუმლოებით მოცულ ბიოგრაფიას.

პოლ სოფილდი და სამხატვრო თეატრი

ინგლისურ პრესაში მიმდინარეობს დისკუსია — მიხანწიწონილია თუ არა ლონდონში ე. წ. „მსოფლიო თეატრების სეზონების“ შემდგომი ჩატარება. (ლონდონში ამ „სეზონების“ დროს უხუცეხენ სპექტაკლებს, ყველაზე სპექტაკლებს მართავენ ცნობილი საბჭოთა დრამატული კოლექტივები).

უერლან „პლეიზ ვნდ პლეიერზის“ მთავარმა რედაქტორმა, პიტერ ენსორმა ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა თხოვა ცნობილ მსახიობს პოლ სოფილდს.

უერლანში გამოქვეყნებული ინტერვიუს შესავალში ენსორმა აღნიშნავს: სოფილდის აზრი იმითაც იმსახურებს უურადღებას, რომ ამ „თეატრალურმა ტიტანმა“ ყველაზე მეტი გააკეთა იმისათვის, რომ უცხოელებისათვის გაეცნო ინგლისური სცენური ხელოვნება, და მის ბოლო წლებს რეპერტუარში უფრო მეტი იყო უცხოელი დრამატურგების პიესები, ვიდრე

სხვა ცნობილი ინგლისელი მსახიობების რეპერტუარში.

პოლ სოფილდმა აღნიშნა, რომ ლონდონში საზღვარგარეთული თეატრების მის წარმოდგენილი სპექტაკლებს გაეცნობამ მის შემოქმედებაზე უდავოდ იქონია გავლენა. მაგალითისთვის მან დაასახელა ბოლო წლებში მის მიერ შესრულებული საუკეთესო სცენური სახე — ხლესტაკოვი (გოგოლის „რევიზორი“).

სოფილდი იგონებს პირველ მოგზაურობას 1955 წელს საბჭოთა კავშირში, როცა იგი მოსკოვის სცენაზე პიტერ ბრუკის მიერ დადგმულ სპექტაკლში ჰამლეტს თამაშობდა. ზოლო მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობების თამაშს ინგლისელ მსახიობზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და როგორც იგი ამბობს, მისთვის სრულიად ახალი სამყარო აღმოუჩენია.

სამხატვრო თეატრთან ნაცნობობა სოფილდისათვის დიდად ნაყოფიერი გამოდგა. სოფილდი ყველაზე მეტად შესრულებს ანსამბლურობას, დასის არაჩვეულებრივ შეთანხმებას, პარტიოტებს შორის ვანუწყავებულ კავშირს მოუხიბლავს. „ჩემი აზრით, — ვანავარობის მსახიობი — ეს დიდი ხნის მანძილზე ერთად მუშაობის და ურთიერთთანამშრომლობის შედეგია. მე ცხოვრებაში არასოდეს ამდაგვარი რამ არ მინახავს, ლონდონში ნაჩვენებ საუკეთესო სპექტაკლებშიც კი... ჩვენს სპექტაკლებში არ იგრძნობა ანსამბლურობა“.

სოფილდი ფიქრობს, რომ ინგლისში მედმეი დასის შექმნა ეკონომიური მიზეზების გარდა, გართულებული ინგლისელი მსახიობების თამაშის საერთო სტილის უქონლობით. „ხანდახან იმისაც კი იფიქრებ, თითქოს ინგლისური სტილი არ არსებობდეს“. შექსპირისა თუ ჩეხოვის დადგმებისა შეიძლება მიღწეით გარკვეულ მსგავსებას, მაგრამ ამის წყარო უფრო დრამატურგია იქნება, ვიდრე მსახიობთა მედმეი კოლექტივის ორგანული შემოქმედება.

„სოციალური სიზღვირა და ცეკვა“.

ამ სახელწოდებით ინგლისში გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერალ-ქალის სიუზენ პილის მოთხრობების ახალი კრებული. ბოლო წლების ლიტერატურაში მან ერთ-ერთი ნიჭიერი მწერლის სახელი მოიხვეჭა. სიუზენ პილმა 1972 წელს გამოაქვეყნა რომანი სათაურით — „ლამის ფრინველი“ და ინგლისის ორი უდიდესი ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

ახალგაზრდა მწერლის ახლო მეგობარი და მრჩეველი ჰამელა ჰენდონი ურადღებით აღენებს თვალურს 30 წლის სიუზენ პილის შემოქმედებას. თვითონ რომანი შემდგეს მოგვიანრობს; ჩვენ ერთმანეთი ვავი-

ნით, როცა სიუჟენი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო, იგი მაშინ თავის პირველ რომანს წერდა, რომანმა ძალზე დამაინტერესა. ეს არ იყო ჩვეულებრივი რომანი, რომელშიც შეიძლება მხოლოდ მოხარდი ვოგონას აღსარება ამოგეიოთხათ, რომანის გმირი ხანდაზმული ქალია. მართალია, ნაწარმოები გამოქვეყნდა, მაგრამ კრიტიკა დღემით შეხვდა მას. ახალგაზრდა მწერალმა კიდევ ერთი თუ ორი რომანი დაწერა, მათიც იგივე ბედი ეწვიათ; ერთობოდა, რომ სამწერლო კარიერა პილისათვის მარცხით დამთავრდა. ასე შეგონა პილი წერას თავს დაანებებდა, მაგრამ თურმე შე მას ცუდად ვიციან. იგი კვლავინდებურად გასაოცარი ენერჯიითა და თავგანწირვით მუშაობდა და შედეგით: „ქალბატონები და ბატონები“, „შესვენება უკეთესობისაკენ“, „ღამის ფრინველი“, — ესენი უკვე ყოველმხრივ საუკეთესო ნაწარმოებებია. მისი გმირები ხანშიშესულნი და ბავშვები არიან. ნაწარმოებებში ფანტაზიის ელემენტებიც არის, თუმცა ყველაფერი რეალისტურ მანერაშია გადაწვეტილი. სიუჟენი პილი კიდევ ბევრს გააყვებებს, გასაუღლა გზა ჯერ კიდევ წინაა, დარწმუნებული ვართ იგი ბევრს მიაღწევს.

ერთნაღ „ბუქს ნელ ბუქენ“-ის რეცენზიის ახრის, კრებულში შესული პილის თერთმეტი მოთხრობა ახალგაზრდა მწერლის ახალ გამოჩვენებს მოწმობს.

მ შ რ

ახალი და ძველი დასავლეთგერმანიის საენაზუ

როცა ერთნაღ „შეაგელის“ მიმოხილვადმა 1973-74 წლების დასავლეთ-გერმანული თეატრების სუბონის მიმოხილვა გააკეთა, გამოირკვა რომ თეატრები ისწრაფვიან თავიანთ რეპერტუარში შეიტანონ და მყოფრებულს უჩვენონ როგორც ძველი, კლასიკური, ისე „ბუშინდელი ავანგარდის“ წარმომადგენელთა პიესები. დასავლეთ გერმანიის მრავალმა თეატრმა ერთდროულად შეიტანა რეპერტუარში ვოლფონის, ზებოვის, ულტროვისის, ვედეკინდის, სარტრის, ტენესის, ლაიამსის, ანუის, ფრიშის და ბეკეტის პიესები.

საინტერესოა და თავისებური თეატრების დამოკიდებულება ფრიდრიხ შილერის შემოქმედებისადმი. 1968 წელს ფრიდრიხ შილერის „ჟანაღეტი“ მიდიოდა ანშლაგით, ორი წლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და პირველი ადგილი „ვერდგობა და სიყვარულმა“ დაიჭირა, ახლა მრავალი თეატრი უპირატესობას შილერის ისტორიულ-რომანტიკულ პიესებს ანიჭებს. ასე მავალითად მიუნხენში წარმატებით წარმოადგენენ „ღონ კარლოსს“, ფრანკფურტ-

სა და დორტმუნდში „მარიამ სტიუარტს“, ოლში და ჰამბურგში — „ორღეანდელს“ წილს“.

კიოლში ჩატარებულმა ერთმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ მყოფრებულთა მეოთხედის ასაკი 60 წელსაა გადაცილებული. რათა თეატრებმა ეს მყოფრებელი მიზიადონ ამიტომ „სიაწველო ბასტიონებს უბრუნდებიანო“.

კრიტიკოსთა აზრით, თეატრის პრობლემა ასე ვერ გადაიჭრება. თეატრებს ესპიროგობა კარგი, თანამედროვე პიესები, რომელთა რიცხვი სამწუხაროდ ძალზე მცირეა. ერთნაღი გამოყოფს როლფ ჰოპტერის პოლიტიკურ კომედიას „ლისისტრატუს“, ანგლისელი დრამატურგის ედვინდ ბონდის პიესას „ზღვა“ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორი დრამატურგის პიესებს (ფრიხ პლენცდორფის „ახალგაზრდა ე. ახალი ენებანი“ და პეტერ ჰაქსის „ადამ და ევა“).

225 წლის გიორგის საღმისისწავლოდ

იოან ვოლფგანგ გოეთეს ცხოვრება და შემოქმედება ხელოვნების თავყანისმცემლებს დიდ ანტერესს იწვევდა და იწვევს. ამიტომ შემთხვევითი როლია, რომ გოეთე ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. დასავლეთ გერმანიის ენობილი გახდა, რომ მიმდინარე წელს, (აგვისტოში სრულდება გოეთეს დაბადების 225 წელი) ტელევიზია შეუდგა ფილმის გადაღებას გოეთეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ეს იქნება 13-სერიიანი დოკუმენტური ტელეფილმი, რომლის საერთო ხანგრძლივობა 10 საათი იქნება. მიმდინარე წლის 28 აგვისტოს გოეთეს დაბადების დღეს უზვეუნებენ პირველ სერიას, რომელიც მიეძღვნება „ფაუსტის“ პირველი ნაწილის შექმნას. ერთი სერია დაეთმოება „ვერტერის“ შექმნის ისტორიას და მას მყოფრებელი უფრო მოგვიანებით იხილავს.

1975 წლის იანვრიდან 13-სერიიანი ფილმი მთლიანად მზად იქნება და დაიწყებენ ჩვენებას, ამჟერად უკვე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით; ფილმის ავტორება ფიქრობენ, რომ მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი გოეთეზე დაკმაყოფილებს ლატერატურათმცოდნეებს, რადგან გადაღებაში მონაწილეობას იღებს გოეთეს ცხოვრებისა და შემოქმედების მცოდნეთა მთელი აზრია. გადაღება მოხდება აღმოსავლეთ გერმანიისშიც, კერძოდ ვაიმარსა და ლაიფციგში.

XIII

ნიუ იორკის იუჯინ ო'ნილის სახელობის თეატრში წარმოადგინეს დადგმა, რომლის სათაურია „კეთილი გქემი“. რეჟისორმა ნეილ სიმონმა ეს სპექტაკლი შექმნა ა. პ. ჩეხოვის ნოველების მიხედვით. „კეთილი გქემი“ შესდგება 10 ნოველისაგან. მაცურებლის თვალწინ გაივლის ჩეხოვის გმირების მთელი გაღერა, მაგრამ ისინი დამორჩილებულია რეჟისორის მკაცრ ჩანაფიქრს და ამას აკეთებს თვით ჩეხოვი, რომელიც სპექტაკლში მონაწილეობას იღებს.

ბოსტონის გაზეთის „კრისტენ კაიენს უორტონი“ აქვეყნებს ჯონ ბოფორტის მიმოხილვას ამ დადგმასთან დაკავშირებით, სადაც ეკითხულობთ: „მთელი სპექტაკლი ერთ მთლიანობადაა შეკრული, მუსიკოსების პატარა ანსამბლი, დასაწყისიდანვე აპრობს დაბაზს უფერტიურაო, რომელიც პიტერ ლინკმა რუსული მელოდიების სტილზე დასწერა. მბრუნავ სცენას ადვილად გადაჰყავს მაცურებელი ერთი ეპიზოდიდან მეორეში. მთელი სპექტაკლი ადამიანურობითა და სიკეთითაა განმსჭვალული. „კეთილი გქემის“ ნახვის შემდეგ სულსა და გულში სითბო ისაღებრებს“.



634/102

5010 80 333.


საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა
ИНДЕКС
76128

„МНАТОБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ